



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

ნოდარ თოფურიძე

საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა

*დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი*

*მარინა კვაჭაძე, დოქტორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის  
პროფესორი.*

თბილისი

2015

## სარჩევი

ანოტაცია	4
Summary	7
შესავალი	9
თავი 1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნების ზოგადი მიმოხილვა საერთაშორისო დოქტრინებისა და დოკუმენტების მიხედვით	17
§1. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ზოგადისტორიული და კონცეპტუალური მიმოხილვა	17
§2. საერთაშორისო სამართლის სუბიექტი XVIII-XIX საუკუნეებში	32
თავი 2. XX საუკუნე და მოძღვრება საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შესახებ	41
§1. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია ომთაშორის საერთაშორისო სამართლებრივ თეორიაში	41
§2. ცივი ომი და საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია	72
თავი 3. სახელმწიფო - საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტი	93

§1. სახელმწიფოს რაობა საერთაშორისო სამართალში	93
§2. აღიარების ეფექტი: კონსტიტუციური და დეკლარაციული თეორიები.	110
§3. ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციების ურთიერთმიმართება	136
§4. სახელმწიფოდან სუბიექტთა გამოყოფა როგორც ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მეთოდი	156
§5. სახელმწიფოს კონტინუიტეტი	165
თავი 4. საქართველო - საერთაშორისო სამართლის სუბიექტი	191
§1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი	191
§2. იდენტურობა და კონტინუიტეტი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის.	209
დასკვნა	238
გამოყენებული ლიტერატურა	244

## ანოტაცია

წინამდებარე სადისერტაციო კვლევა მიზნად ისახავს, სრულად წარმოაჩინოს საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა. ამ მიზნით, დისერტაციაში განხილული და დადგენილია ის საფუძვლები, რომლებიც განაპირობებს საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას.

სადისერტაციო კვლევა შედგება შესავალის, 11 პარაგრაფად დაყოფილი ოთხი თავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისაგან.

დისერტაციის პირველი თავი ეთმობა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნების ზოგად მიმოხილვას საერთაშორისო დოქტრინებისა და დოკუმენტების მიხედვით. დისერტაციის პირველი თავი იყოფა ორ პარაგრაფად. პირველ პარაგრაფში განხილულია საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ზოგადისტორიული და კონცეპტუალური საკითხები. მეორე პარაგრაფში, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია შესწავლილია XVIII-XIX საუკუნეების სამართლებრივ მოძღვრებათა საფუძველზე. სახელმწიფო განხილულია, როგორც საერთაშორისო სამართლის პირველადი სუბიექტი. საერთაშორისო სამართალსუბიექტობა წარმოჩენილია ვესტფალის ზავის პერსპექტივიდან. განხილულია საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნების წარმოშობის მიზეზები. დადგენილია საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნების წარმოშობის პირველწყარო.

დისერტაციის მეორე თავი ეთმობა საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შესახებ XX საუკუნის მოძღვრებებს. ეს თავიც ორი პარაგრაფისაგან შედგება, რომელთაგან, პირველი, გვთავაზობს ომთაშორის საერთაშორისო სამართლებრივ თეორიაში შემუშავებულ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციას. ხოლო მეორე პარაგრაფში, შესწავლილია ცივი ომის პერიოდის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეპტუალური საკითხები. აღნიშნული პერიოდის საერთაშორისო სამართლის

თეორიაში, სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტები, კვლავ რჩებიან საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მთავარ მონაწილეებად. სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა ისევ რჩება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ კონცეფციად.

დისერტაციის მესამე თავი შედგება ხუთი პარაგრაფისაგან; იგი ეძღვნება საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტს - სახელმწიფოს. პირველ პარაგრაფში, შესწავლილია სახელმწიფო და მისი რაობა საერთაშორისო სამართალში. დადგენილია, რომ საერთაშორისო სამართალი, სახელმწიფოს განიხილავს საერთაშორისო სამართლის ისტორიულად შემდგარ სუბიექტად და რომ საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში, მისი ყველა თვისება უკავშირდება სუვერენიტეტს.

მოცემული თავის, მეორე პარაგრაფში, განხილულია სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების კონსტიტუციური და დეკლარაციული თეორიების ეფექტი. აღნიშნული პარაგრაფი შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სახელმწიფოს აღიარება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში, ფუნქციურად ჩაანაცვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებამ.

მესამე თავის, მესამე პარაგრაფში, განხილულია ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციების ურთიერთმიმართება. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ თუ ხალხს საშინაო ასპარეზზე ერთმევა თვითგამორკვევის უფლების ქმედითად გამოყენების შესაძლებლობა, იგი უფლებამოსილია ეს განახორციელოს სახელმწიფოდან გამოყოფის გზით, როგორც თავდაცვის უკანასკნელი საშუალება.

მესამე თავის, მეოთხე პარაგრაფში, გაანალიზებულია სახელმწიფოდან სუბიექტთა გამოყოფა, როგორც ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მეთოდი. მოცემული პარაგრაფი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სამართალი პირდაპირ არ არეგულირებს შემადგენელ სუბიექტთა სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხს. მას იგი ირიბად აწესრიგებს სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის სამართლის, სახელმწიფოებრიობისათვის

აუცილებელი კრიტერიუმებისა და მესამე სახელმწიფოთა მხრიდან აღიარების ლეგალურობის მოთხოვნების მეშვეობით.

ამ თავის ბოლო, მეხუთე პარაგრაფი, ეთმობა სახელმწიფოს კონტინუიტეტის საკითხს. კონტინუიტეტის ძირითადი არსი წარმოჩენილია სახელმწიფოს მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პრაქტიკულად იმავე ტერიტორიული შემადგენლობის და იმავე სტრუქტურისა თუ მმართველობის სისტემის შენარჩუნებად. დადგენილია, რომ ძალის უკანონო გამოყენების შედეგად განხორციელებული სახელმწიფო ტერიტორიის ანექსია, არ იწვევს სახელმწიფოს გაქრობას საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

სადისერტაციო კვლევის მეოთხე თავში, გადმოცემულია დისერტაციის მთავარი საგანი - საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მოცემული თავი ორი პარაგრაფისაგან შედგება. მისი პირველი პარაგრაფი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც საერთაშორისო სამართლის ახალ სუბიექტს. ამ პარაგრაფის საფუძველზე მტკიცდება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის მომენტისათვის, წარმოადგენდა სრულფასოვან საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, როგორც დეკლარაციული, ისე კონსტიტუციური თეორიების მიხედვით და მასზე ვრცელდებოდა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები.

მეოთხე თავის, მეორე პარაგრაფში კი, განხილულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის იდენტურობისა და კონტინუიტეტის საკითხი. ამ პარაგრაფში განვითარებული მსჯელობის საფუძველზე ავტორი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სამართალი შესაძლებლობას იძლევა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის იდენტურობისა და კონტინუიტეტის შენარჩუნება, აღიარებულ იქნეს საერთაშორისო თემობის მიერ, რაც საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიზნის - სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და სამართლიანობის დამკვიდრების მიღწევას ემსახურება.

## Summary

The aim of the present dissertation research is to comprehensively demonstrate international legal personality of Georgia. With this view, the dissertation discusses and defines those basics the existence of which determines international legal personality of Georgia.

The dissertation research consists of the introduction, four chapters divided into 11 sub-chapters, conclusion and references. The first chapter of the dissertation is dedicated to general overview of the concept of international legal personality according to international doctrines and documents. It is divided into two sub-chapters. The first one gives information on general historical and conceptual issues of international law subject. The second scrutinizes the concept of international legal personality through the prism of legal doctrines of XVIII – XIX centuries. The state is given as the primary subject of international law. The concept of international legal personality is viewed from the Peace of Westphalia perspective. Reasons for the emergence of the concept of international legal personality are discussed. The first source of origin of the concept of international legal personality is determined.

The second chapter of the dissertation is dedicated to XX century doctrines about international legal personality. This chapter too consists of two sections. The first one offers the concept of international legal personality developed in the theory of international law whereas another studies conceptual issues of international legal personality of the period of cold war. In the theory of international law of the given period, states as main subjects of international law, still remain main actors of the system of international law. International legal personality of states still remains to be a fundamental concept of international law.

The third chapter of the dissertation consists of 5 sections. It is dedicated to the state as the main subject of international law.

The first section studies the state and its essence in international law. It is defined that international law views the state as the historically formed subject and that in international legal relations all its qualities are related to sovereignty.

In the second section of the given chapter the effect of constitutional and declarative theories of defining the state is discussed. This section enables us to assert that recognition of the state, which

was extremely significant in the past, was functionally replaced by membership of the United Nations.

The third section of the third chapter discusses inter-relation of the right of nations to self-determination and statehood. The viewpoint is put forward that in case at the domestic level people are deprived of the right of self-determination, they are authorized to carry this out by means of secession from the state as the last means of self-defense.

The fourth section of the third chapter secession of subjects from the state is analysed as the method of formation of the new state. This section proves that international law does not directly regulate the issue of secession of constituting entities from the state. It settles this indirectly by means of succession of states, basic criterias of statehood and demands of legality of recognition of states by third states.

The final fifth section of this chapter is dedicated to the issue of continuity of the state. Its main essence is demonstrated as retaining practically the same territorial composition and structure as well as the governance system by the state throughout the certain period of time. It is defined that annexation of the state territory as a result of illegal use of force does not lead to the disappearance of the state from the international legal perspective.

Chapter four discusses the main essence of the dissertation - Georgia, as the international legal person. It consists of two sections out of which the first is dedicated to the Democratic Republic of Georgia as the new international legal person. On the basis of this section is proven that at the stage of occupation and factual annexation the Democratic Republic of Georgia served as the fully functioning international legal person according to both declarative and constitutional theories and acting principles and norms of international law applied to it.

Section two of the fourth chapter discusses issues of continuity and identity between the Democratic Republic of Georgia and the Republic of Georgia. On the basis of the discussion given here, the author proves that international law enables retaining of identity and continuity between the Democratic Republic of Georgia and the Republic of Georgia be recognized by the international community, which, in its respect, serves the aim of achieving equality and justice between the states – the main aim of international law.



## შესავალი

საერთაშორისო სამართლის როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, საყოველთაოდაა გაზიარებული აზრი, რომ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა საერთაშორისო სამართლის დარგის ერთერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. მკვლევართა პოზიციები ერთმანეთისაგან განსხვავდება სამართალსუბიექტობის კონცეფციის მხოლოდ როლისა და მნიშვნელობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების თვალსაზრისით. საერთაშორისო სამართლის თეორიაში, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ტრადიციული კონცეფცია, უწინარეს ყოვლისა, განმარტებულია, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ხარისხი. აგრეთვე როგორც პრაგმატული კონცეფცია, რომელიც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით მიუთითებს ერთობის არსებობაზე. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია წარმოადგენს ზნეობრივი იდეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის შეპირისპირების შედეგად წარმოშობილ შეხედულებათა სისტემას, რომლის უმთავრესი დანიშნულება სამართლიანობისაკენ სწრაფვის ვალდებულებისა და საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის უფლების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებაა.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მიიჩნევენ ერთობას, რომელსაც უნარი შესწევს ისარგებლოს საერთაშორისო უფლებებით და იტვირთოს საერთაშორისო ვალდებულებები, აგრეთვე ძალუძს განახორციელოს განსაზღვრული მოქმედებანი საერთაშორისო სამართლებრივ ველში.<sup>1</sup>

საერთაშორისო სამართლის სუბიექტები აგრეთვე შეიძლება განისაზღვრონ როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წარმონაქმნები, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო სამართლით დადგენილი უფლება-მოვალეობათა დამოუკიდებლად განხორციელების იურიდიული უნარი.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> L. Henkin; R.C. Pugh; Oscar Schachter; Hans Smit - International Law, Cases and Materials(1987) p. 228.

<sup>2</sup> Г. И. Тункин, Международное Право, Глава 5-Субъекты современного международного права, Москва (1982) с.83

საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, უპირველეს ყოვლისა, აღჭურვილია უფლება-მოვალეობათა განსაზღვრული კომპლექსით. თუმცა მისი დახასიათება ამით არ ამოიწურება. დამოუკიდებელი საერთაშორისო მოქმედებების იურიდიული უნარი და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელება, გვევლინება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მთავარ თვისებად. ეს თვისება უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელია სუვერენულ სახელმწიფოთათვის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით მართული ერებისათვის. საერთაშორისო სამართალსუბიექტობა რეალიზდება საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლივი განხორციელებით.<sup>3</sup> აქ იგულისხმება იმგვარი ძირითადი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მათი მატარებლის სტატუსს – სუბიექტად ახასიათებს. სუბიექტისათვის დამახასიათებელი უფლება-მოვალეობანი იყოფა ზოგადსუბიექტურ. ე.ი. ყველა სახის სუბიექტათვის დამახასიათებელ და სპეციფიკურ ე.ი. მხოლოდ სუბიექტთა გარკვეული ტიპისათვის დამახასიათებელ უფლება-მოვალეობებად. პირველ კატეგორიას (ზოგადსუბიექტურ უფლებებსა და მოვალეობებს) მიეკუთვნება, მაგალითად, სუბიექტის უფლება დაამყაროს ურთიერთობა სხვა სუბიექტთან; აგრეთვე, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შექმნის პროცესში მონაწილეობის უფლება, ისევე როგორც, მაგალითად, საკუთარი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის დაცვის უფლება და სხვ. რაც შეეხება ძირითად ზოგადსუბიექტურ ვალდებულებებს, უპირველეს ყოვლისა, ეს არის საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების კეთილსინდისიერად განმარტებისა და მათი შესრულების ვალდებულება. სპეციფიკურ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეს ის უფლებები და მოვალეობებია, რომლებიც ასახავენ კონკრეტული კატეგორიის სუბიექტების სტატუსის თავისებურებებს. ხოლო ყოველი კონკრეტული სუბიექტისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური უფლებებისა და მოვალეობების შინაარსი დგინდება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებითი სამართლის საფუძველზე. რაც შეეხება მათ მოცულობას,

---

<sup>3</sup> Д.И.Фельдман, Г.И. Курдюков, Основные тенденции развития международной правосубъектности. Казань, 1974).

იგი განისაზღვრება საერთაშორისო თანაცხოვრებაში საკუთარი ძირითადი ინტერესების რეალიზების პროცესში სუბიექტებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით. საერთაშორისო სამართალსუბიექტობით სარგებლობენ: 1) სახელმწიფოები; 2) დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერები, რომელნიც სახელმწიფოებრიობის მოპოვებას ცდილობენ; 3) საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციები; 4) სახელმწიფოთა მსგავსი სპეციფიკური წარმონაქმნები. ზოგადად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტების კლასიფიცირება შემდეგი ორი კატეგორიის მიხედვით შეიძლება: სუვერენულ (პირველად) და არასუვერენულ (მეორად; წარმოებულ) სუბიექტებად. სუვერენულ (პირველად) სუბიექტებად გვევლინება სახელმწიფო და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის მებრძოლი ერი და ხალხი. სწორედ მათ ახასიათებთ ისეთი პოლიტიკურ-იურიდიული თვისება, როგორცაა სახელმწიფოებრივი თუ ეროვნული სუვერენიტეტი. ამ თვისების წყალობით, სახელმწიფოთა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა არ არის დეტერმინებული გარეშე ნებით, წინასწარ არ განისაზღვრება რაიმე საერთაშორისო მითითებით ან აღიარებით. შესაბამისად, მათი სამართალსუბიექტობის რეალიზაციის შინაარსს, მოცულობას და ფორმებს უნივერსალურობა, სისრულე და მრავალფეროვნება ახასიათებს. არასუვერენულ (მეორად), გნებავთ წარმოებულ სუბიექტებს წარმოადგენენ საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფოთა მსგავსი სპეციფიკური წარმონაქმნები. მაგალითად თავისუფალი ქალაქები და თავისუფალი ტერიტორიები; ვატიკანი.<sup>4</sup> მათ სპეციფიკური იურიდიული ბუნება აქვთ: მათი დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი განპირობებულია არა სუვერენიტეტით (იგი მათ არ გააჩნიათ), არამედ სუვერენულ სახელმწიფოთა შეთანხმებით. მათი სამართალსუბიექტობის საფუძველსა და წინაპირობას წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებები ან აღიარების საერთაშორისო აქტები. ამგვარი საერთაშორისო სამართალსუბიექტობა თავისი ფორმის მიხედვით წარმოადგენს ნაწარმოებსა და სანქცირებულს, ხოლო თავისი შემადგენლობითა და

---

<sup>4</sup> ლ.ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი (2010) გვ.60

რეალიზაციის მიხედვით – ფუნქციონალურსა და სპეციალიზებულს. ისეთს, როგორც შეესაბამება მოცემული საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციებს.

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის პირველადი სუბიექტი და არა რომელიმე სხვა, ნაწარმოები სუბიექტი. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალსუბიექტობას ჩვენ განვიხილავთ ვესტფალის ზავის პერსპექტივიდან, ვინაიდან სწორად 1648 წლის ვესტფალის ზავია მიჩნეული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საწყის ეტაპად, მაშასადამე, საერთაშორისო სამართალსუბიექტობისა და თანამედროვე სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის პირველადი სუბიექტის წარმოშობის საფუძვლად.<sup>5</sup> თანამედროვე საერთაშორისო სამართლის წარმოშობასთან ამ თარიღის უშუალო დაკავშირებამ, განაპირობა საერთაშორისო სამართლისადმი, როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობების მომწესრიგებელი სავალდებულო მარეგულირებელი პრინციპებისა და ნორმების სისტემისადმი ტრადიციული მიდგომა. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის ამგვარი “ვესტფალური” ინტერპრეტაცია ძირითადად დღემდეა შენარჩუნებული. საკმარისია გავიხსენოთ ე.წ. ლოტუსის საქმე, სადაც 1927 წელს საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ დაადგინა, რომ: “საერთაშორისო სამართალი აწესრიგებს ურთიერთობებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის. სახელმწიფოთათვის სავალდებულო სამართლის ნორმები მომდინარეობს სახელმწიფოთა თავისუფალი ნებიდან, როგორც ეს ასახულია კონვენციებსა და გამოხატულია ზოგადი სამართლის პრინციპებში, რომლებიც არეგულირებენ დამოუკიდებელ საზოგადოებათა თანაარსებობას ან მოწოდებულია მათ შორის საერთო მიზნების მისაღწევად”.<sup>6</sup> სახელმწიფოს „დამოუკიდებლობა“ აქ სუვერენიტეტთან არის გათანაბრებული და მიჩნეულია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მთავარ აქსიომად. ბრაუნლის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, იგი წარმოადგენს: ”ერთა სამართლის ძირითად კონსტიტუციურ დოქტრინას, რომელიც აწესრიგებს ერთგვაროვანი

<sup>5</sup> L.Gross, The Peace of Westphalia 1648-1948, 42 AJIL 20-41, (1948) p. 26; A. Nussbaum, A Concise History of the Law of Nations (1950) p.86

<sup>6</sup> S.S. Lotus case, 1927 PCIJ (ser.A.) No.10, at18.

სამართალსუბიექტობის მქონე სახელმწიფოებისაგან შემდგარ საზოგადოებას<sup>7</sup>. ამგვარი ტრადიციული განსაზღვრება იმ აღქმის ნაყოფია, რომლის მიხედვითაც, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მხოლოდ ვესტფალის ზავის შემდეგ დამყარდა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საფუძველზე განვითარდა. საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფციების ინტერპრეტირება მოხდა ვესტფალური სახელმწიფოთაშორისი მოდელიდან გამომდინარე. თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, ისეთ ისტორიულ ფაქტებთან, როგორცაა ამერიკის კონტინენტის აღმოჩენა, რეფორმაცია, *Jus Belli ac Pacis* გამოქვეყნება, ანდა ვესტფალის ზავი, საერთაშორისო სამართალის დაკავშირება შეიძლება არ იყოს მართებული, ვინაიდან, “საკითხი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის წარმოშობის შესახებ ხშირად არასწორად არის დასმული და ამ კითხვაზე შესაძლებელია მხოლოდ ცალმხრივი, არადაამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა”.<sup>8</sup> საქმე ისაა, რომ საერთაშორისო სამართლის მრავალ კონცეფციას ფესვები გადგმული აქვს ბუნებითი სამართლის და *jus gentium*-ის პრევესტფალურ პერიოდში. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის წარმოშობის დაკავშირება მხოლოდ 1648 წლის მოვლენასთან, შეიძლება მცდარი იყოს ორი მიზეზის გამო. პირველი გახლავთ იმ წარმოდგენის სიმცდარე, რომ თითქოსდა 1648 წელს ჩამოყალიბდა თანამედროვე, აბსოლუტურად სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან შემდგარი ევროპული წესრიგი. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ამ პერიოდისათვის არსებული ევროპული პოლიტიკური წესრიგის სტრუქტურები, რომლებიც ჯერ კიდევ ცვლილებებს განიცდიან, ვინაიდან იმპერიული სტრუქტურები ჯერაც გამართულად ფუნქციონირებენ. „სამშვიდობო ტრაქტატი სინამდვილეში გადაიქცა წმინდა რომის იმპერიის ძირითად კანონად, რასაც ითხოვდა აგრეთვე, ე.წ. 1654 წლის “უახლესი საიმპერატორო დადგენილებები“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ორივე სამშვიდობო ტრაქტატის სრული ტექსტი”.<sup>9</sup> მეორე მიზეზი ამისა კი, გახლავთ ის, რომ ეს შეხედულება უარყოფს როგორც „არათანამედროვეს“ საერთაშორისო სამართლებრივი აზროვნების იმ მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც

<sup>7</sup> I. Brownlie, Principles of International Law, 4th ed. (1990), p.287.

<sup>8</sup> E. Reibstein, Völkerrecht: eine Geschichte seiner Ideen in Lehre und Praxis, Vol. I, (1957), p. 363.

<sup>9</sup> История человечества. Под общей редакцией д-ра Г.Гельмольта. Седьмой том, стр.324.

ბუნებით სამართალის საფუძველზე, მსოფლიოს აღიქვამს კაცობრიობის ერთობად – *communitas omnium gentium* ან ადამიანთა გლობალურ ერთობად - *Societas Humana*. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ათვლის წერტილის ზუსტად განსაზღვრა ალბათ შეუძლებელია იდეოლოგიური სარჩულის გარეშე. ვფიქრობთ, 1648 წლის ვესტფალის ზავი სწორად ასეთ იდეოლოგიურ სარჩულს წარმოადგენს. იგი პირდაპირ უკავშირდება შუასაუკუნეების *Respublica Christiana*-ს სუვერენული სახელმწიფოების საზოგადოებად ტრანსფორმაციას. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სავსებით შესაძლებელია ისტორიული მოვლენის სიმბოლიზება გარკვეული ტიპის გარდაქმნასთან, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგება ისტორიის შეფასების უნარი და გამარტივდება ფაქტების ისტორიული მნიშვნელობა.

XX საუკუნის პირველ პერიოდში და საუკუნის მიწურულს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა უდიდესი ზეგავლენა იქონია საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სისტემის განვითარებაზე. ისინი უკავშირდება იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის გამოვლინებათა დაკნინებას და ამის შედეგად საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტების წარმოშობას. 1917 წლის ოქტომბერში, რუსეთის იმპერიის დამხობამ, შესაძლებელი გახადა საქართველოს აღდგინა თავისი სახელმწიფოებრიობა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ასპარეზზე ახალ სუბიექტად გამოსულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. საერთაშორისო ურთიერთობებსა და სამართალზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე საბჭოთა კავშირის დაშლამ. ამ სახელმწიფოს დაშლის პროცესი (მას ხშირად გაყოფასაც უწოდებენ) და მისი შედეგები მეტად საინტერესო აღმოჩნდა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ვინაიდან განავითარა ახლებური მიდგომები საერთაშორისო სამართლის ისეთი ინსტიტუტებისადმი, როგორცაა სახელმწიფოთა იდენტურობა, კონტინუიტეტი, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა, საერთაშორისო მშვიდობის დაცვა, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობა და სხვ. სწორად ამ პერიოდში ხდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს ოკუპაციისა და უკანონობით აღბეჭდილი ფაქტობრივი ანექსიის დასრულებას.

XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სახელმწიფოებრიობა განიცდის დეკადანსს. შელახულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი საფუძვლები, დარღვეულია მისი ტერიტორიული მთლიანობა, მისი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის დადგენისას არ არის გათვალისწინებული საქართველოს ხალხის მიერ გამოხატულ სუვერენული ნება. თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ტრანსფორმაციის პირობებში, საქართველოს მსგავსი მცირე სახელმწიფოთა გადარჩენისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საფუძველზე, საერთაშორისო სამართალსუბიექტობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტის მიუხედავად, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, საქართველო აღქმულია საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ საერთაშორისო სამართლის „ახალ სახელმწიფო სუბიექტად“. მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება წარმოადგენს პოლიტიკური რეალიზმით განპირობებულ მიზანშეწონილებას და არ შეესაბამება საქართველოს მიმართ საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სათანადოდ შეფარდებასა და ანალიზს. სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ცვლილებამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო სამართლისადმი დამოკიდებულებაზე, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შეფასებაზე. საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საფუძვლების სიღრმისეულ კვლევას არ დათმობია სათანადო ყურადღება არც ქართველი და არც უცხოელი იურისტების მხრიდან. ამან განაპირობა საქართველოს „ახალ სახელმწიფოდ აღქმა“ და მისი სახელმწიფოებრიობის დაკავშირება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგებთან.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად სრულად წარმოაჩინოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობისთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხები და დაადგინოს ის იურიდიული საფუძვლები, რომელთა არსებობა განაპირობებს საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობასა და სახელმწიფოებრიობას. ამ მიზნის მისაღწევად სადისერტაციო კვლევა ეყრდნობა შედარებით-სამართლებრივ, კომპლექსურ, და ფორმალურ-იურიდიულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. დისერტაციაში აგრეთვე

გამოყენებულია სხვა სპეციალური მეთოდები - ისტორიულ-სამართლებრივი, სისტემურ-სამართლებრივი, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, ლოგიკური და პოლიტოლოგიური ანალიზი. სადისერტაციო კვლევას საფუძვლად უდევს საერთაშორისო სამართლის საბაზისო და სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კონცეფტუალური დებულებანი. საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობასთან, როგორც სადისერტაციო კვლევის ძირითად საგანთან მიმართებით, სამართლებრივ ანალიზს დაექვემდებარა საქართველოს კონსტიტუციური დებულებანი, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი აქტები, იმ მასშტაბით, რაც აუცილებელი იყო საერთაშორისო სამართლებრივი დასკვნების გამოსატანად. საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის პრობლემის გადასაწყვეტად, დისერტაციაში განხილულია საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საგნის წარმოშობის ზოგად ისტორიული და კონცეფტუალური საკითხები, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საკითხები XVIII-XX საუკუნეების პრიზმაში, აგრეთვე ცივი ომის პირობებში საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნების განვითარების თემატიკა. განხილულია სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის რაობა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. გაანალიზებულია სახელმწიფოთა აღიარების კონსტიტუციური და დეკლარაციული თეორიები, ხალხთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციების ურთიერთმიმართება, სახელმწიფოს იდენტურობისა და კონტინუიტეტის (განგრძობითობის, უწყვეტობის) თეორიები. დისერტაციის კვლევის ფარგლებში პირველად ხორციელდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამდგენი აქტების იურიდიული ბუნების კომპლექსური ანალიზი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.



# თავი 1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნების ზოგადი მიმოხილვა საერთაშორისო დოქტრინებისა და დოკუმენტების მიხედვით

## §1. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ზოგადისტორიული და კონცეპტუალური მიმოხილვა

ჩვენი კვლევის მიზნებისათვის, საჭიროა (და შესაძლებელიც) თავად საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნების, როგორც ახალი იდეის, გნებავთ კონცეფციის წარმოშობის პირველწყაროს დადგენა. ამისათვის საკმარისია საერთაშორისო სამართალსუბიექტობაზე მსჯელობა დავიწყოთ საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელო წყაროებში მისი პირველად ხსენებიდან, რასაც XVII საუკუნის უკანასკნელი პერიოდის მოღვაწის – გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის (Gottfried W. Leibniz) ნაშრომთან მივყავართ. როგორც ცნობილია, ლაიბნიცი 1646-1716 წლებში, სწორად შუასაუკუნეების ევროპული საზოგადოების თანამედროვე ევროპულ ერთობად ჩამოყალიბების პერიოდში მოღვაწეობდა. იგი პირველი მკვლევარია, რომელიც 1693 წლით დათარიღებული თავისი ნაშრომის “*Codex Iuris Gentium diplomaticus*”<sup>10</sup> წინათქმაში - “*Praefatio*”-ში იყენებს ტერმინს “საერთაშორისო სამართლის სუბიექტი” – “*persona jure gentium*”.<sup>11</sup> ამის მტკიცებისას, ნაიმანი (J.E. Nijman) ეყრდნობა ცნობილი მკვლევარის იან ჰენდრიკ ვილემ ვერჟილის (J.H.W. Verzijl) ნაშრომს “საერთაშორისო სამართალი ისტორიულ პერსპექტივაში”.<sup>12</sup> ლაიბნიცის ზემოხსენებული კოდექსი წარმოადგენს ორასამდე ისტორიული საჯარო აქტისა და ხელშეკრულების კრებულებს, რომლებიც თარიღდება 1096 წლიდან 1497 წლამდე. დოკუმენტების ეს კომპენდიუმი “*Codex Iuris Gentium diplomaticus*” გამოიცა ვესტფალის ზავიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ. წმინდა რომის იმპერიის პოლიტიკური სტრუქტურა ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და ტრანზიციის ფაზაში იმყოფება. ამავდროულად, გერმანელი მმართველები განამტკიცებენ თავიანთ

<sup>10</sup> G.W. Leibniz, *Codex Juris Gentium diplomaticus*, Hanover, 1693.

<sup>11</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.29

<sup>12</sup> J.H.W. Verzijl, *International Law in Historical Perspective*, Vol. II: *International Persons*(1969) p. 2.)

ძალაუფლებასა და დამოუკიდებლობას, ისწრაფვიან რა ევროპული პოლიტიკური წესრიგის მწვერვალებზე მოქცევისაკენ. ეს გარემოებები იწვევს პოლიტიკური სტრუქტურების ცვლილების აუცილებლობას. ევროპის პოლიტიკური წესრიგის ცვლილების სინამდვილე კი, თავისთავად წამოშობს ისეთი თეორიის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც გაითვალისწინებს ახალ მოქმედ პირთა ინტერესებს და იმავდროულად არ დაუშვებს პოლიტიკური წესრიგის ერთბაშად რღვევას. საფიქრებელია, რომ სწორად ამ გარემოებამ უბიძგა ლაიბნიცს შეემუშავებინა ბუნებითი სამართლისა და ერთა სამართლის თეორია, რომელიც პოლიტიკურად რეალისტური და იმავდროულად ნორმატიული უნდა ყოფილიყო. ლაიბნიცის უნივერსალური იურისპრუდენცია ბუნებითი სამართლის ტრადიციებს უნდა დაყრდნობოდა. XVI საუკუნიდან, საერთაშორისო იურისპრუდენცია ზნეობრივი ფილოსოფიის დარგიდან, თანდათან დამოუკიდებელ დისციპლინად ყალიბდება. ამაში პირველთაგან წვლილი შეაქვთ ესპანელ სქოლასტიკოსებს, ფრანცისკო დე ვიტორიას (Francisco de Vitoria) და ფრანცისკო სუარესს (Francisco Suarez). როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართლის თეორიის ემანსიპაციაში, უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ჰუგო გროციუსს (H. Grotius) ნაშრომით “*De Jure Belli ac Pacis*”<sup>13</sup> და ტომას ჰობსს (Thomas Hobbes), ნაშრომით “*Leviathan or The Matter, Forme and Power of a Common Wealth Ecclesiasticall and Civil,*” იგივე “*Leviathan*”<sup>14</sup>- “ლევიათანი”. ამ უკანასკნელში, კერძოდ კი ნაწარმოების მეორე თავში, საფუძვლიანად არის განხილული ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის საკითხები. ორივე, გროციუსიცა და ჰობსიც ევროპის ისტორიის ერთერთ ყველაზე სახიფათო – ოცდაათწლიანი ომის პერიოდში მოღვაწეობდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ამ ბრწყინვალე მოღვაწეებმა, გრძელვადიანი მშვიდობის დასადგურების მიზნით, წამოჭრეს წესრიგის დამყარებისა და ლეგიტიმური ძალაუფლების დაწესების პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხები. მათ კვალს ადგას სემუელ პუფენდორფი (S.Pufendprf) და მის მიერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში შექმნილი “*De Jure*

<sup>13</sup> H. Grotius, *De Jure Belli ac Pacis libri tres* (1625), transl. by F.W. Kelsey, *The Classics of International Law* (1925).

<sup>14</sup> Th, Hobbes., *Leviathan* (Penguin class ed., 1981); J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.51.

*Naturae et Gentium*”<sup>15</sup> - “ბუნებისა და ერთა სამართალი”. ლაიბნიცი გროციუსს “ჩინებულ კაცად” მიიჩნევს<sup>16</sup>, ხოლო ჰობსის მოსაზრებებისადმი გარკვეულწილად კრიტიკულია. თუმცა იზიარებს მის მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს მოვალეობა, ხალხისათვის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაა. ლაიბნიცი ჰობსსა და პუფენდორფს აკრიტიკებს იმის მტკიცებისათვის, რომ სამართლიანობა არის ის რასაც უზენაესი ხელისუფალი მოიმოქმედებს, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ სამართლიანობა ეფუძნება ნებასა და ძალას. ლაიბნიცის უნივერსალურ იურისპრუდენციაში მრავლად შეინიშნება გროციუსის თეორიის ფუძემდებლური კონცეფციების კვალი. ერთ-ერთი მათგანი არის ფუნდამენტური კონცეფცია – *appetitus societatis*, რაც გულისხმობს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას, იცხოვროს საზოგადოებაში. მეორე კონცეფცია ეხება ადამიანთა შორის თავისუფალი ნების საფუძველზე საერთო თანხმობის მიღწევას. ამ თვალსაზრისით, გროციუსი ამ ორი ზემოხსენებული კონცეფციის ძირითადი ელემენტების – “ბუნებრივი მიზეზის” და “თავისუფალი ნების” საფუძველზე, *ius gentium*-ს მიიჩნევს ყველა ერისათვის საერთო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობად, რომელიც ეხება პოლიტიკურ კავშირებსა და ერთა მმართველებს შორის ურთიერთობებს. გროციუსის თეორიის მესამე ელემენტი ითვალისწინებს სუვერენიტეტს. ცალკეული ინდივიდი სრულად არის გათვალისწინებული გროციუსის ერთა სამართლის სისტემაში და სუვერენიტეტი განიხილება სახელმწიფოს მმართველის ინდივიდუალურ უნარად, ვიდრე თავად სახელმწიფო კუთვნილებად. სუვერენიტეტი მმართველს სრულ სამართლებრივ კომპეტენციას ანიჭებს.<sup>17</sup> გროციუსის სუვერენიტეტის კონცეფცია არის სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობის მაჩვენებელი, იგი მიუთითებს თუ რას წარმოადგენს უმაღლესი ძალაუფლება (*summa potestas*) სრულყოფილ კავშირში, მამასადამე სახელმწიფოში. გროციუსი საუკეთესოდ იმ სახელმწიფოს მიიჩნევს, რომლის მიზანია სრულქმნისაკენ სწრაფვა, რაც გულისხმობს საყოველთაო სიკეთისა და თითოეულის ბედნიერებისაკენ სწრაფვას. “ხალხს” იგი განსაზღვრავს როგორც შედგენილ ხელოვნურ სხეულს (*a corpora*

<sup>15</sup> S.Pufendorf., On the Law of Nature and Nations (1688), transl. De Jure Naturae et Gentium (1672) in the Classics of International Law (1934).

<sup>16</sup> G.W. Leibniz’ - Caesarius Fürstenerius (1677), in Acad. Ed.,IV, 2ter Band (1677-1687),N.1, p. 3.

<sup>17</sup> J. E. Nijman, The Concept of International Legal Personality. The Hague (2004)p.47

*artificialia*), რომელშიც ცალკეული წევრები სულიერად არიან გაერთიანებულნი. ამ გზით მათ შორის წარმოიქმნება “ცალკეული ფუნდამენტური ხასიათი”. ეს უმნიშვნელოვანესი ხასიათი არის “სამოქალაქო ცხოვრების სრულყოფილი კავშირი, რომლის უპირველესი შედეგი სუვერენული ძალაუფლებაა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფოს გამაერთიანებელ დუღაბს.”<sup>18</sup> გროციუსი ერთმანეთისაგან განასხვავებს უმაღლესი, სუვერენული ძალაუფლების მატარებელ ზოგად და სპეციფიკურ სუბიექტებს - (*subieqtum*). პოლიტიკური ერთობა - (*civitas*) - წარმოადგენს სუვერენული ძალაუფლების ზოგად სუბიექტს, ხოლო თავად სუვერენი მის სპეციფიკურ სუბიექტს. ეს განსხვავება, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, შესაძლებელს ხდის ამბოხების უფლების ჩარჩოების აღიარებას. გროციუსი ბუნებითი სამართლის საფუძველზე, ამბოხს კანონიერად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუვერენი მმართველი კანონებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს ან აშკარად ხალხის მტრად იჩენს თავს. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რესპუბლიკა, რომელიც ამბოხის შედეგია, ხორციელდება ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად. აქედან გამომდინარე კი, ბუნებითი სამართლის ლეგიტიმურ საფუძველს ემყარება. ჩვენი კვლევისათვის გროციუსის არგუმენტების ნაწილობრივ განხილვა იმით არის განპირობებული, რომ ლაიბნიცი ხშირად უჭერს მხარს გროციუსს ამბოხის უფლების ლეგიტიმაციაში. ამბოხის უფლება უკავშირდება ერთა პოზიტიური სამართლის მიერ ისეთი უფლების აღიარების საკითხს, რომელიც მართვად ჯგუფს ეკუთვნის. თავად ეს ჯგუფი, კონცეფტუალურად შეიძლება საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მატარებელი გახდეს. აღსანიშნავია, რომ გროციუსი არ ახდენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის კონცეფციის პირდაპირ, აშკარა ფორმულირებას. თუმცა მასთან *societas humanas* ყოველი წევრი, სუვერენია ეს თუ სხვა სუბიექტი, წარმოადგენს ერთა ბუნებითი სამართლის საგანს.

სახელმწიფოს პერსონალურობა, იგივე სუბიექტობა, როგორც მნიშვნელოვანი ელემენტი, უფრო მკაფიოდ არის წარმოჩენილი ჰობსის პოლიტიკურ ფილოსოფიაში. ლევიათანში

---

<sup>18</sup> H. Grotius, *De Jure Belli ac Pacis*, Book II, Ch. IX, § 3, p. 310-311; J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.48

ჰობსი ძირითად თავს სწორად სუბიექტობის კონცეფციას უთმობს. იგი სუბიექტს განსაზღვრავს, როგორც “მას, ვისი სიტყვები და ქმედებები განიხილება მის საკუთარ ან სხვათა სიტყვებად და მოქმედებებად, ან ნებისმიერ სხვა საგანს, რომელსაც ისინი ეხება, მიუხედავად იმისა მართალია ეს თუ წარმოსახვა”.<sup>19</sup> ჰობსის თეორიაში სუბიექტობის კონცეფციას, სახელმწიფოს ქმნადობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თავდაპირველად არის ქაოსი, ომის მდგომარეობაში მცხოვრებ “ფიზიკურ პირთა” არაორგანიზებული ბრბო.<sup>20</sup> მას შემდეგ რაც ეს ბრბო აცნობიერებს, რომ მშვიდობა და წესრიგი თითოეულის პიროვნული ინტერესისა და საკუთრების დაცვის წინაპირობაა, თმობს თავისუფლებას და მისი შემადგენელი ნაწილები, ერთმანეთთან დებენ შეთანხმებას სუვერენული ძალაუფლების – “ხელოვნური პირის” შექმნის შესახებ. ამ პირს ენიჭება მათი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება.<sup>21</sup> ჰობსის მტკიცებით, ბრბო გარდაიქმნება მართულ ჯგუფად, რომელიც ექვემდებარება სუვერენულ პირს – “ამ დიდ ლევიათანს, სახელად თანამეგობრობა, ან სახელმწიფო”.<sup>22</sup> თანამეგობრობის სუვერენის პერსონალურობა გადამწყვეტი, ძირითადი პირობაა სახელმწიფოს წარმოშობისათვის. ჰობსის თეორიაში, სუვერენი სახელმწიფოს შესაქმნელად არის *condition sine quanon* (გარდაუვალი, აუცილებელი წინაპირობა). მის გარეშე არ არსებობს არც სახელმწიფო და არც სამოქალაქო საზოგადოება. სახელმწიფოებრიობას ესაჭიროება ხელოვნურად შექმნილი პირი, რომელიც ხელშეკრულებით დავალდებულებული აქტორია და სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, რომელსაც თავისავე არსებობით ქმნის.<sup>23</sup> ჰობსის თვალსაზრისით, ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ ხელოვნურად შექმნილი სუბიექტის – სუვერენის – წარმოქმნის შედეგად, ქაოსი და ომი, გარდაიქმნება აბსოლუტური სუვერენული ძალაუფლებისადმი დაქვემდებარებული, მართვადი ჯგუფის მშვიდობად. ჰობსთან, სახელმწიფო შექმნილია ერთადერთი, მშვიდობისა და წესრიგის დაცვის მიზნით, ხოლო აბსოლუტური სუვერენობა ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. მაშასადამე,

<sup>19</sup> T. Hobbes, *The Leviathan*, Ch.XVI. - <http://oregonstate.edu/instruct/phl302/texts/hobbes/leviathan-contents.html> (18 ოგნისი 2015წ)

<sup>20</sup> *Ibid.*, Ch.XIII. - <http://oregonstate.edu/instruct/phl302/texts/hobbes/leviathan-contents.html> (18 ოგნისი, 2015წ)

<sup>21</sup> *Ibid.*, Ch.XVII. - <http://oregonstate.edu/instruct/phl302/texts/hobbes/leviathan-contents.html> (18 ოგნისი, 2015წ).

<sup>22</sup> *Ibid.*, Introduction. <http://oregonstate.edu/instruct/phl302/texts/hobbes/leviathan-contents.html> (18 ოგნისი, 2015წ).

<sup>23</sup> *Ibid.*, ChXVI. <http://oregonstate.edu/instruct/phl302/texts/hobbes/leviathan-contents.html> (18 ოგნისი, 2015წ).

სუვერენში, როგორც ხელოვნურად შექმნილ სუბიექტში, ბრბო ხორციელდება სახელმწიფოდ. მართალია ჰობსი სუბიექტის თავისებურ განმარტებას გვთავაზობს, მაგრამ ეს არ უნდა გავაიგივოთ საერთაშორისო სამართალსუბიექტობასთან, ვინაიდან ჰობსი არ ცნობს ერთა სამართალს. იგი ბუნებით სამართალს აიგივებს ერთა სამართალთან და ამბობს, რომ: “ერთა სამართალი და ბუნებითი სამართალი ერთიდაიგივე რამ არის”<sup>24</sup>.

რაც შეეხება გერმანელ მრჩეველ სამუელ პუფენდორფს (Samuel Pufendorf), ნაიმანის მიხედვით, იგი სახელმწიფოს ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს “შედგენილ მორალურ სუბიექტად”. მისი თვალსაზრისით, სახელმწიფო გაურკვეველი წარმონაქმნია უზენაესი სუვერენობის გარეშე და აქედან გამომდინარე “სახელმწიფო და უზენაესი სუვერენიტეტი ღვთისგან არის ბოძებული”. გარდა ამისა, იგი სუვერენობას “აბსოლუტურად” მიიჩნევს. შექმნილი სუვერენი, იქნება ეს ცალკეული სუბიექტი თუ რამდენიმე მოქალაქისგან შექმნილი საბჭო, ფლობს უმაღლეს ხელისუფლებას, რაშიც მას ცალკეული სუბიექტები არ ეცილებიან. სუვერენი არ არის ანგარიშვალდებული, იგი ფაქტობრივად “წმინდაა”. გროციუსის მსგავსად, პუფენდორფიც აღიარებს გამონაკლის შემთხვევებში ტირანული მმართველობის წინააღმდეგ ამბოხის მორალურ უფლებას. ამბოხს, ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის ლეგიტიმურ უფლებად მიიჩნევს, ვინაიდან იგი თავდაცვითი მოტივითაა განპირობებული. პუფენდორფის მიერ, სახელმწიფოს “სუბიექტად”, გნებავთ “პერსონად” მიჩნევის მიუხედავად, იგი მაინც ვერ ჩაითვლება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სუბიექტობის მატარებლად, ვინაიდან პუფენდორფი, ჰობსის მსგავსად არ ცნობს საერთაშორისო სამართალს, როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს და მას მხოლოდ ბუნებით სამართალთან კავშირში განიხილავს.<sup>25</sup>

ლაიბნიცის უნივერსალურ იურისპრუდენციაში, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი შემდეგნაირად არის განმარტებული: “სუბიექტობა საერთაშორისო სამართალში მას გააჩნია ვინც წარმოადგენს საჯარო თავისუფლებას, ისეთს, როგორც არ გვევლინება სხვისი

---

<sup>24</sup> Ibid., Ch.XXX. <http://oregonstate.edu/instruct/phl302/texts/hobbes/leviathan-contents.html>(15 ივნისი, 2015წ).

<sup>25</sup> J. E. Nijman, The Concept of International Legal Personality. The Hague (2004)p.56-58.

მეურვეობისა თუ ძალაუფლების საგნად, არამედ თავად ფლობს ომისა და ალიანსებში გაწევრიანების ძალაუფლებას; აგრეთვე შესაძლებელია იგი შეზღუდული იყოს წინამძღოლის წინაშე ვალდებულებით და მის მიმართ გამოხატავდეს პატივისცემას, ერთგულებასა და მორჩილებას. იმ შემთხვევაში თუ მისი ძალაუფლება საკმარისად გაფართოებულია, მას მბრძანებელად/მონარქად მიიჩნევენ და სუვერენს ან სუვერენულ ძალაუფლებას უწოდებენ; ისინი ირიცხებიან სუვერენული ძალაუფლების მატარებელთა შორის და ფლობენ სუვერენიტეტს, მათ არმიებისა თუ ხელშეკრულებების გამოყენებით, საერთაშორისო ურთიერთობებზე ზეგავლენის საკმარისი თავისუფლება და უნარი შესწევთ.”<sup>26</sup>

როგორც ზემოთ ითქვა, ტერმინოლოგიურად პირველად ლაიბნიცი იყენებს ცნებას ”ერთა სამართლის სუბიექტი“, რაც წარმოადგენს თარგმანს მისივე შემოთავაზებული ცნებისა *“persona jure gentium”*. საგულისხმო ის არის, რომ ლაიბნიცი აქ არ ხმარობს ტერმინს *“persona iuris inter gentes”* მაშინ როდესაც ერთაშორისი სამართლის აღსანიშნავად იგი იყენებს ტერმინს *“iuris inter gentes”*. მიუხედავად იმისა, რომ მისი “კოდექსი” პოზიტიური სამართლის კრებულს წარმოადგენს, იგი სათაურად ირჩევს *“Codex Iuris Gentium”* და არა *“Codex Iuris inter gentes”*. საქმე ის არის, რომ იმ პერიოდში გამოიყენება ორივე ტერმინი, *Ius gentium* - ერთა სამართალი და *iuris inter gentes* - სამართალი ერთა და სუვერენტა შორის, მაგრამ ისინი სამართლის განსხვავებულ კონცეფციებს მიესადაგება. მართალია საერთაშორისო სამართალსუბიექტობა დამოკიდებულია სუვერენიტეტზე, მაგრამ ლაიბნიცის თანახმად, თავად სუვერენიტეტი პირობით ცნებას წარმოადგენს. არადა მეორეს მხრივ, საერთაშორისო სუბიექტობის მოსაპოვებლად, საჭიროა, რომ ვინმე აუცილებლად “წარმოადგენდეს საჯარო თავისუფლებას” და ფლობდეს უზენაეს საჯარო ძალაუფლებას, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობებზე ზემოქმედების შესაძლებლობას. ამავდროულად იგი შეიძლება დაექვემდებაროს მასზე აღმატებულ ძალას და მის მიმართ გარკვეული ვალდებულებები გაიჩინოს. ამგვარად, ლაიბნიცი

---

<sup>26</sup> G.W. Leibniz, *Codex Juris Gentium diplomaticus*, Hanover, (1693) p.175; J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.59.

საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნებას განიხილავს და ამკვიდრებს სუვერენიტეტის “პირობით” კონცეფციასთან პირდაპირ დამოკიდებულებაში<sup>27</sup>.

საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნების წარმოშობის მიზეზთა უკეთ დასადგენად, აუცილებელია იმ პოლიტიკური რეალიზმის გათვალისწინება, რომელიც ლაიბნიცმა ასახა როგორც გერმანიის იმპერატორის, ისე გერმანიის უფლისწულთა სუვერენობის მოთხოვნის აღიარებით. სწორად სუვერენიტეტის ზემოხსენებული “პირობითი” კონცეფცია აღმოჩნდა არსებული დილემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება. გარდა ამისა, იგი მიესადაგა იმდროინდელი ევროპის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ რეალობას – საფრანგეთის ძლევამოსილი მეფის - ლუი XIV ექსპანსიას. ლაიბნიცის იდეის ორიგინალობის სრულფასოვნად გასათავისებლად, გასათვალისწინებელია მისი გაერთიანებული *Respublika Christiana*-ს იდეალის და წმინდა რომის იმპერიის გაიგივების მცდელობა. მხედველობაშია მისაღები, მისი ზნეობრივი იდეოლოგიაც. გასაანალიზებელია მისი საერთაშორისო სამართლის კონცეფცია ბუნებით სამართალთან და სამართლიანობასთან დაკავშირებით. ლაიბნიცი ბოლოა იმ მოაზროვნეთა შორის, რომელიც იმპერიის დაცვას ცდილობს. ამავდროულად იგი ითვალისწინებს პოლიტიკურ რეალობას და აქედან გამომდინარე გერმანიის უფლისწულთა სუვერენიტეტის აპოლოგეტად გვევლინება. სწორად ამ პირობებში იბადება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნება, როგორც იდეალიზმისა და აპოლოგიის გამაწონასწორებელი აქტი<sup>28</sup>. ლაიბნიცი “კოდექსში” განაგრძობს იმის დასაბუთებას, რასაც იგი აქამდე „*Caesarinus Fürstenerius*“-ში<sup>29</sup> გვთავაზობდა სუვერენ უფლისწულებთან დაკავშირებით. მისი პოზიციის ორიგინალურობა მდგომარეობს სუვერენიტეტის კონცეფციის იმგვარად წარმოჩენაში, რომ გერმანელ უფლისწულებს საერთაშორისო მოლაპარაკებებში ესარგებლათ სრულუფლებიან სუვერენტა სტატუსით. სუვერენიტეტის ამგვარი რედეფინიცია საგრძნობლად დაიხვეწა “კოდექსში”, რომელიც შეიქმნა კონკრეტული პოლიტიკური მიზეზების საფუძველზე. ლაიბნიცი აღნიშნავს, რომ სუვერენიტეტის საგნის დადგენის მცდელობა ძნელია და

<sup>27</sup> Ibid. p.59.

<sup>28</sup> P. Riley, Introduction to Leibniz Political Writing,(1988) p.1, 26

<sup>29</sup> G.W. Leibniz, *Caesarini Fürstenerii de Jure Suprematus ac Legationis Principum Germaniae* (1677), Acad. Ed. IV, 2ter Band,N1, s.3



დელიკატურობას მოითხოვს. “სუვერენიტეტის კონცეფციის განმარტებისას, ვაღიარებ რომ უნდა შევეხო ... სფეროს რომელიც ეკლიანი და ნაკლებად კულტივირებულია. ამის მიზეზი ის არის, რომ სავალალო გატაცებების გამო, მათ, ვინც სუვერენიტეტზე წერენ, მზერა მხოლოდ ანტიკურობისაკენ მიუპყრიათ, რომლის ნაშთებიც ძლივს თუ შემორჩენილა და არ ინტერესდებიან უფრო თანამედროვე საკითხებით”.<sup>30</sup> “უფრო თანამედროვე საკითხებში” შეგვიძლია მოვიაზროთ 1648 წლის ხელშეკრულებების დადების შემდეგ, საერთაშორისო პოლიტიკაში გერმანელ უფლისწულთა უდავოდ მნიშვნელოვანი მდგომარეობა. სუვერენიტეტის კონცეფციის ხელახალი განსაზღვრის მიზეზს, წარმოადგენდა გერმანელ უფლისწულთა გაძლიერების უარყოფითი მხარეც. კერძოდ კი, მათ მიერ ძალაუფლების თვითნებურად და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. აგრეთვე, იმ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებათა განხორციელების შეზღუდვა, რაც კონკრეტული ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით, უდანაშაულოთა სისხლისღვრაში შეიძლებოდა გამოხატულიყო. ძალაუფლების ამგვარი ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად და უფლისწულთა შორის წესრიგისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად, ლაიბნიცი მათ შეკავებასა და დაბალანსებას, აღმატებული ძალაუფლების გამოყენებით ცდილობს. ლაიბნიცის მისწრაფება იმპერიის შენარჩუნებისაკენ, ვერ აიხსნება მხოლოდ მისი იდეალიზმით. მას მნიშვნელოვნად განაპირობებს კიდევ ერთი მიზეზი, ეს არის საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოზიცია როგორც ევროპაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. სწორედ სუვერენიტეტის ხელახალი განსაზღვრა ხდის შესაძლებელს ევროპაში შენარჩუნდეს ძალთა ბალანსი. ბალანსი, რომელიც ვესტფალის ზავის შემდეგ წარმოადგენს ევროპის სტაბილურობის საფუძველს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ოცდაათწლიანი ომის დასრულების შემდეგაც, მიუხედავად ნაიმეჰენის (Nijmegen) 1678-1679 წლების ზავისა, 1681 წელს, საფრანგეთი ითვისებს გერმანიის ტერიტორიებს, რომელთა შორისაა სტრასბურგი. ასე რომ, ლაიბნიცის მისწრაფება აღედგინა წმინდა რომის იმპერია, განპირობებული იყო პოლიტიკური მოტივით – გაერთიანებული იმპერია უკეთ აღუდგებოდა წინ საფრანგეთს და უფრო წარმატებულად დაიცავდა ევროპაში სტაბილურობას. საფიქრებელია, რომ სწორედ

<sup>30</sup> G.W. Leibniz, *Caesarini Fürstenerii de Jure Suprematus ac Legationis Principum Germaniae* (1677), Acad. Ed. IV, 2ter Band, N1, s.113; J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.60.

ხსენებულ პოლიტიკურ ფაქტორებს უნდა ებიძგათ ლაიბნიცისათვის, საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენიტეტის კონცეფცია ახლებურად გაეაზრებინა. ლაიბნიცის განმარტებით, სუვერენიტეტს გარკვეული შემადგენლობა გააჩნია. მისი შემადგენელი ელემენტებია: ა) ტერიტორიული ჰეგემონია, მაშასადამე ტერიტორიაზე ჰეგემონიური მბრძანებლობის უფლება; და ბ) “ვრცელი” ტერიტორია. მხოლოდ ვრცელ, ფართომასშტაბიან სამფლობელოს აქვს საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის უნარი. სუვერენიტეტის პირველ, ტერიტორიულ სუბსტანციას, ლაიბნიცი შემდეგნაირად განსაზღვრავს: “ტერიტორია ეს არის სახელმწიფოს, სამფლობელოს ან მიწის ნაკვეთის საერთო სახელწოდება. მაგრამ თავისი ფუნდამენტური მნიშვნელობის გარდა, იგი გამოხატავს კანონებისა და უფლებების ერთობლიობას...”.<sup>31</sup> აქ ლაიბნიცი შედარებას მიმართავს და განმარტავს, რომ “ისევე როგორც მემკვიდრეობა და სამკვიდრო ზოგიერთ ოჯახსა და სახლში ითვალისწინებს სრულ უფლებებსა და მთელ ქონებას, ტერიტორიაც გულისხმობს კანონთა და უფლებათა ერთობლიობას, რომელთა ფლობა შესაძლებელია მიწის დასახლებულ უბნებზე.”<sup>32</sup> რაც შეეხება “ვრცელი ტერიტორიების მფლობელ და მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის მქონე სუვერენტა საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარს,” როგორც სუვერენიტეტის კიდევ ერთ ხარისხობრივ მაჩვენებელს, აღსანიშნავია, რომ ლაიბნიცი, სუვერენ მმართველებს განასხვავებს ტერიტორიების სხვა მბრძანებლებისგან, მათი მდგომარეობის ხარისხის და არა ბუნების მიხედვით. ამგვარად, სუვერენიტეტი პირობითი, თანმიმდევრული კონცეფციაა.<sup>33</sup> ლაიბნიცი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი ერთობების სწორად სპეციფიური უნარი, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში და გადაწყვიტონ ერთა სამართლის (*ius gentium*) საკითხები, წარმოადგენს სუვერენიტეტის მაკვალიფიცირებელ ელემენტს<sup>34</sup>. იმპერიისათვის “კავშირის” სახელწოდების მინიჭებით, ლაიბნიცი საფუძველს უყრის

<sup>31</sup> G.W. Leibniz, *Caesarini Fürstenerii de Jure Suprematus ac Legationis Principum Germaniae* (1677), Acad. Ed. IV, 2ter Band, N1, s.114.

<sup>32</sup> G.W. Leibniz, *Caesarini Fürstenerii de Jure Suprematus ac Legationis Principum Germaniae* (1677), Acad. Ed. IV, 2ter Band, N1, s.115-116.

<sup>33</sup> Ibid. 117

<sup>34</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.64.

თანამედროვე ფედერაციულ სახელმწიფოს და მის განვითარებასთან დაკავშირებულ დებატებს.<sup>35</sup> ლაიბნიცი ცდილობს დააბალანსოს უფლისწულთა სუვერენიტეტი და წმინდა რომის იმპერიული ერთობის უპირატესობა *-(majestas)*. მას მიაჩნია, რომ ხელისუფლების ცენტრი - *(locus)*, უნდა ეკუთვნოდეს უპირატესობის მქონე მმართველს, ამ შემთხვევაში იმპერატორს და მის დაქვემდებარებაში უნდა შედიოდნენ სხვა სუვერენები. ლაიბნიცი იმპერიად მიიჩნევს ცალკეული რეგიონების კავშირს, სადაც ყოველი რეგიონი მისი ტერიტორიის მმართველი სუვერენის მიერ იმართება. ხოლო თავად კავშირისათვის საჭიროა გარკვეული ადმინისტრაციის ჩამოყალიბება, რომელსაც გარკვეული ზეგავლენა ექნება მის წევრებზე. აქედან გამომდინარე, ტერიტორიების კავშირი, რომელსაც ყველა (წევრი სუვერენი) აღიქვამს ერთ ადმინისტრაციულ და “საზოგადოებრივი კეთილდღეობის” მაკოორდინირებელ ძალად, წარმოადგენს ცალკეულ სახელმწიფოს. იმპერატორს ლაიბნიცი განიხილავს როგორც იმპერიული ადმინისტრაციის მეთაურს, რომელსაც გარკვეული უპირატესობა აქვს უფლისწულებთან შედარებით და უფლებამოსილია მოაწესრიგოს იმპერიის კეთილდღეობის საკითხები. „მისგან მოელიან ერთიანობის დამყარებასა და დაცვას, გარეშე მტრების მოგერიებას, საზოგადოებრივი მშვიდობის დაცვასა და უფლისწულთა შორის სამართლიანობის დაწესებას“.<sup>36</sup> პირობითი სუვერენიტეტის თეორია, საშუალებას აძლევს ლაიბნიცს იმსჯელოს იმპერიაში იმპერატორის უმაღლესი ლეგიტიმური ძალაუფლების და იმავდროულად, გერმანიის უფლისწულთა სუვერენული უფლებამოსილების მართებულობის შესახებ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ისინი ერთ სახელმწიფოში არიან გაერთიანებულნი. იგი აგრეთვე იძლევა შესაძლებლობას, სახელმწიფოდ წარმოაჩინოს როგორც მთელი „კავშირი“, ისე მისი შემადგენელი ცალკეული ტერიტორიები. ლაიბნიცის პოლიტიკური ფილოსოფიის თანახმად, სამართლიანობა უდევს საფუძვლად პოლიტიკურ წყობილებასა და პოლიტიკურ ძალაუფლებას. მხოლოდ სამართლიანად განხორციელებული ძალაუფლება შეიძლება იყოს ლეგიტიმური. უნივერსალური იურისპრუდენცია ერთმანეთისაგან არ განაცალკევებს შინაგან წესრიგს, გარეშე – ინტერსუვერენული წესრიგისაგან იმ თვალსაზრისით, რომ ორივე სფეროში

---

<sup>35</sup> Ibid. 67

<sup>36</sup> Ibid. 65

სუვერენი უნდა მოქმედებდეს სამართლიანად. ამრიგად, ლაიბნიცი საერთაშორისო სამართლებრივ სფეროში გარდასახავს კორელაციური პასუხისმგებლობის მორალურ-პოლიტიკურ იდეას. ხოლო სუბიექტობის ერთა სამართლისადმი მიკუთვნებით, ლაიბნიცი ავითარებს უნივერსალურ სამართლებრივ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს სამართლიან ქმედებებს. მისი უნივერსალური იურისპრუდენციის მიხედვით, სამართლიანობა ბუნებითი სამართლის წყაროა. ბუნებითი სამართალი, რომელიც გამოიყენება სუვერენული მმართველების მიმართ, წარმოადგენს *ius naturae et gentium*-ს, აქედან გამომდინარე კი, ეს მმართველები ვალდებული არიან აწარმოონ თავიანთი საერთაშორისო ურთიერთობები ბუნებითი სამართლისა და ერთა სამართლის საფუძველზე<sup>37</sup>. ლაიბნიცი ერთმანეთისაგან განასხვავებს ბუნებითი სამართლის სამ ხარისხს, რომელიც მომდინარეობს სამართლიანობის სამი თვისებიდან: კომუტაციური, დისტრიბუციული და უნივერსალური სამართლიანობიდან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უკანასკნელი ტიპია. ლაიბნიცი სამართლიანობის დამკვიდრებას “სიბრძნით სიყვარულს” – „*die Liebe des Weisen*”<sup>38</sup>, “*Wise Love*” უკავშირებს. სიბრძნეს იგი მიიჩნევს სრულყოფილების (პერფექციის) შემეცნების საშუალებად და ამგვარი შემეცნების მთელი კაცობრიობისათვის გაზიარებად. ლაიბნიცის თანახმად, “სიბრძნით სიყვარული” წარმოადგენს სამართლიანობის გამოვლინებას, სამართლიანობას, როგორც უნივერსალური კეთილგანწყობას, გნებავთ “სიბრძნით ნაკარნახევ გულმოწყალებას”. ყველას მიმართ ამგვარი კეთილმოსურნეობა საბოლოოდ თავს იყრის “სხვისი ბედნიერების საკუთრად აღქმაში”, რასაც ლაიბნიცი, “მიუკერძოებელ სიყვარულს” უწოდებს.<sup>39</sup> სამართლიანობის ასეთი კონცეფციის შემოთავაზება წარმოადგენს ორი ფსიქოლოგიური ვარაუდის ურთიერთშეხამებას. კერძოდ კი, გროციუსის ადამიანის ბუნების მიმართ, სოციალური და რაციონალური შეხედულებისა და ჰობსის შეხედულებისა ადამიანის ბუნების მიმართ, როგორც თავდაპირველად ეგოისტურისა და გათვლით მაცხოვრებლისა<sup>40</sup>. ლაიბნიცი ამ ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ შეხედულებას, თავს უყრის – “მიუკერძოებელი სიყვარულის” კონცეფციაში, რომელიც წარმოადგენს

<sup>37</sup> Ibid. p. 71-72

<sup>38</sup> Zimmermann, R., *Das Rechtprinzip bei Leibnitz. Ein Beitrag zur Geschichte der Rechtsphilosophie*, Wien 1852, s. 25

<sup>39</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.72

<sup>40</sup> G. Brown, *Leibniz's moral philosophy*, in N. Jolley (Ed.), *Companion* (1995)p. 412-413.

ალტრუიზმისა და ეგოიზმის კომბინაციას, იმ თვალსაზრისით, რომ სხვათა ინტერესი, ჩვენს საკუთარ ინტერესად გვევლინება. ლაიბნიცი აღიარებს ადამიანური ბუნების ეგოისტურ ტენდენციებს და ამაში ჰობს ეთანხმება კიდევ. თუმცა ამავდროულად მიაჩნია, რომ გონიერი სული შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, ურთიერთობა დაამყაროს ღმერთთან და დაეუფლოს აუცილებელ მარადიულ ჭეშმარიტებას. ლაიბნიცის პოლიტიკური ნაშრომი დაკავშირებული ნეტარებასთან, გვთავაზობს შეხედულებას ღმერთისა და სრულყოფილების ძიების შესახებ, რომლის მიხედვით, ღმერთის ძიება მორალური თვალსაზრისით, სრულყოფილების ძიებას ნიშნავს.<sup>41</sup> ლაიბნიცის თვალსაზრისით, სრულყოფილების ძიების ბუნებრივ წადილს განაპირობებს სხვისი პერფექციით ტკბობა. იგი ღმერთის სიყვარულს აიგივებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის სიყვარულთან და ამბობს, რომ: “არ არსებობს განსხვავება საზოგადოებრივ კეთილდღეობაში წვლილის შეტანასა და ღვთის განდიდებას შორის”<sup>42</sup>. როდესაც მავანი განწყობილია სამართლიანობისათვის, ცდილობს ყველას მიანიჭოს სიკეთე. ნაიმანის თვალსაზრისით, სწორად ეს არის ლაიბნიცის სამართლიანობის თეორიის ძირითადი, არსობრივი თვისება – სამართლიანობის იდეაში, რელიგიური კომპონენტის იდენტიფიცირება სოციო-პოლიტიკურთან<sup>43</sup>. ამგვარად, ლაიბნიცი აყალიბებს სისტემას, რომლის მეშვეობითაც თეოლოგია, მორალი და პოლიტიკა თანმიმდევრული უწყვეტობის (კონტინუუმის) ნაწილად გვევლინება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამართლიანობა ითვალისწინებს სხვათა ინტერესებისადმი ორმხრივ პატივისცემას, ისევე როგორც საზოგადოებისადმი ვალდებულებასა და მის მხარდაჭერას. ლაიბნიცი განმარტავს, რომ “სამართლიანობა საზოგადოებრივი ვალდებულება ან ვალდებულება რომელიც იცავს საზოგადოებას”<sup>44</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ:

---

<sup>41</sup> Felicity, in LPW(Leibniz Political Writing), Cambridge University Press 1972, 1988. Edited by Patrick Riley.p. 83.

<sup>42</sup> Exerpts from three letters to Th. Burnett (1699-1712), in LPW (Leibniz Political Writing), Cambridge University Press 1972, 1988. Edited by Patrick Riley.p. 191.

<sup>43</sup> J. E. Nijman, The Concept of International Legal Personality. The Hague (2004)p.75.

<sup>44</sup> On Natural Law, in LPW (Leibniz Political Writing), Cambridge University Press 1972, 1988. Edited by Patrick Riley.p. 77.

- 1) საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია წარმოადგენს ზნეობრივი იდეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის შეპირისპირების შედეგად წარმოშობილ კონცეფციას. მისი დანიშნულება სამართლიანობისაკენ სწრაფვის ვალდებულებისა და საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის უფლების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებაა.
- 2) საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მიიჩნევენ ერთობას, რომელსაც უნარი შესწევს ისარგებლოს საერთაშორისო უფლებებით და იტვირთოს საერთაშორისო ვალდებულებები, აგრეთვე ძალუძს განახორციელოს განსაზღვრული მოქმედებანი საერთაშორისო სამართლებრივ სიბრტყეში. საერთაშორისო სამართლის სუბიექტები აგრეთვე შეიძლება განისაზღვრონ როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, საერთაშორისო ურთიერთობებში რომელიმე ცალკეული პოლიტიკური ძალაუფლებისაგან დამოუკიდებელი წარმონაქმნები, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო სამართლით დადგენილი უფლება-მოვალეობათა დამოუკიდებლად განხორციელების იურიდიული უნარი.
- 3) “საერთაშორისო სამართლის სუბიექტის” – *“persona jura gentium”* ცნება ლაიბნიცმა შემოგვთავაზა. მას საფუძვლად დაედო ფარდობითი სუვერენიტეტის პოლიტიკურად რეალისტური კონცეფციის, სამართლიანობაზე დამყარებული ევროპული წესრიგის იდეალთან შერწყმა. თავის მხრივ, ეს განპირობებული იყო პრაქტიკული პოლიტიკური მოთხოვნილებით, გზა მისცემოდა საერთაშორისო ასპარეზზე ახალ მონაწილეებს, რაც უკავშირდებოდა მათი საერთაშორისო მდგომარეობისა და სტატუსის გარკვევის აუცილებლობას.
- 4) საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნების გამოყენებით, ლაიბნიცმა შეძლო საერთაშორისო ასპარეზზე სუვერენ უფლისწულთა მონაწილეობის ლეგიტიმაცია და ამის მეშვეობით, სუვერენული ძალების სამართლის უზენაესობისადმი და სამართლიანობის მოთხოვნებისადმი დაქვემდებარება.
- 5) “საერთაშორისო სამართალსუბიექტობის” ცნების წარმოშობა, მოხდა გერმანული იმპერიული და ევროპული ინტერსუვერენული საზოგადოებებისათვის მორალური

იდენტიფიცირებისა და უნივერსალური სამართლიანობისაკენ გზის გაკვალვის პროცესში.

- 6) საერთაშორისო სამართალსუბიექტობის სუვერენისადმი მიკუთვნებით, შესაძლებელი გახდა ერთა სამართალში სუვერენთა მონაწილეობის რეგულირება. მართალია მმართველთა სამხედრო ძლევამოსილებას შეეძლო მათი სუვერენიტეტისა და საერთაშორისო გავლენისათვის ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ სწორედ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა გახლდათ ის კომპონენტი, რომლის საფუძველზეც საერთაშორისო ასპარეზზე მათი მონაწილეობა საბოლოოდ იქნებოდა აღიარებული ერთა სამართლით.
- 7) საერთაშორისო სამართალსუბიექტობა ითვალისწინებს ერთა სამართლით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო სამართალსუბიექტობა გვევლინება პირობითი სუვერენიტეტის პოლიტიკური კატეგორიის სამართლებრივ ანალოგად.
- 8) საერთაშორისო სამართალსუბიექტობამ, სუვერენიტეტის ცნებას შესძინა ვალდებულებითი კომპონენტი. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ფლობა, მმართველებს მხოლოდ უფლების ძალას კი არ ანიჭებდა, არამედ წარმოშობდა მათი ძალაუფლების, ერთა სამართლისა და სამართლიანობის მოთხოვნათა შესაბამისად გამოყენების ვალდებულებას. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მოხმობა მოექცა სამართლებრივ ჩარჩოებში და თეორიული თვალსაზრისით აღიკვეთა მისი თვითნებური და უკონტროლო გამოყენება. ერთა ბუნებითი სამართლისადმი – (*ius naturale et gentium*) სუვერენულ ძალთა დაქვემდებარებით, წარმოიშვა ძალაუფლების სამართლიანობის მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოყენების ვალდებულება. შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ძალაუფლების საერთაშორისო მართლწესრიგისადმი დაქვემდებარება.
- 9) საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ლაიბნიცისეული კონცეფცია უტოლდება საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში “ლეგიტიმურ მონაწილეობას”, რაც უნივერსალურ იურისპრუდენციაში განუცალკევებელია

სამართლიანობისაგან, ვინაიდან თავად მნიშვნელობა “ლეგიტიმურობისა”, მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლიან მონაწილეობას.

## §2. საერთაშორისო სამართლის სუბიექტი XVIII-XIX საუკუნეებში

XVIII საუკუნის საერთაშორისო სამართლის ლექსიკაში “საერთაშორისო სამართლის სუბიექტის” ცნებამ ადგილი ვერ დაიმკვიდრა. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია არ არის მოხსენებული ვოლფისა (Chr. von Wolff) და ვატელის (Emmerich de Vattel) ბუნებითი სამართლისა და ერთა სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ სისტემურ სახელმძღვანელოებში. იგი არ გვხვდება არც კანტის ნაშრომში (Immanuel Kant) “*Zum ewigen Frieden*” - “მარადიულ მშვიდობისაკენ”, რომელიც იმ დროისათვის საერთაშორისო მშვიდობის საკითხების შესახებ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად ითვლებოდა. ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოდერნიზაციამ განაპირობა ის, რომ არც ვოლფი, არც კანტი და არც ვატელი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით არაფერს ამბობენ „საერთაშორისო სამართლის სუბიექტის“ შესახებ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად სამივე განიცდის ლაიბნიცის ზეგავლენას.

ქრისტიან ფონ ვოლფმა, რომელიც ლაიბნიცის მოსწავლე და მისი ფილოსოფიური სწავლების მიმდევარი გახლდათ, ნაშრომით “*Jus Gentium Methodo Scientifica Pertractatum*”<sup>45</sup> მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის “პერსონალურიდან”, “სახელმწიფოზე ორიენტირებულისაკენ” შეცვლაში. მან განასხვავა, სახელმწიფოთა საზოგადოება, როგორც უნივერსალური სუპერსახელმწიფო, გნებავთ, სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ადამიანთა უნივერსალური საზოგადოებისაგან - (*societas humana*). ლაიბნიცის მსგავსად, რომლისთვისაც იმპერია წარმოადგენს სახელმწიფოსა და იმპერიის შემადგენელ სუვერენულ წევრთა ერთიან სტრუქტურას, ვოლფსაც მიაჩნია „უზენაესი სახელმწიფო“- „*civitas maxima*“, ერთგვარ “მომცველ სტრუქტურად”, ახალ წარმოსახვით ზნეობრივ სუბიექტად. ვოლფის “*civitas maxima*” ეფუძნება საერთო კეთილდღეობისათვის გამიზნულ “პაქტს”, გნებავთ, “კვაზი შეთანხმებას”. სახელმწიფოთა

<sup>45</sup> Chr. von Wolff, *Jus Gentium Methodo Scientifica Pertractatum* (1764), *Classics of International Law*, Vol. 13, 1934. Prolegomena, § 7 *et seq.*



ეს საერთაშორისო სამართლებრივი კავშირი, იმართება როგორც ბუნებითი სამართლით, ე.ი. ერთა სავალდებულო სამართლით (*jus gentium naturale/jus gentium necessarium*) ისე ერთა ვოლუნტარული სამართლით (*jus gentium voluntarium*). ვოლფთან სახელმწიფოები, როგორც ზნეობრივი სუბიექტები, ექვემდებარებიან ორივე, ერთა სავალდებულო და ვოლუნტარულ სამართალს. ინდივიდების მსგავსად, სახელმწიფოებს გააჩნიათ თანდაყოლილი და განუსხვისებელი ბუნებითი უფლებები. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება, სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის უფლებაა. ვინაიდან ერთა სამართალი სხვა არაფერია, თუ არა ერთა მიმართ ბუნებითი სამართალი, ზნეობრივი სუბიექტები წარმოადგენენ ერთა სამართლის სუბიექტებს და ერთა ნებაყოფლობითი სამართლის პირობებში, აგრეთვე გვევლინებიან ერთა თანხმობის საფუძველზე დამატებითი პოზიტიური სამართლებრივი უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვილ სამართალსუბიექტებად. ზნეობრივი სუბიექტის ცნება, გვეხმარება ერი განვასხვავოთ მისი ინდივიდუალური წევრებისაგან. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სახელმწიფოები წარმოადგენენ *civitas maxima*-ს სამართლის ექსკლუზიურ სუბიექტებს. სწორად ეს არის ვოლფის თეორიის ძირითადი იდეა. სახელმწიფო არის ერთა სამართლის ერთადერთი სუბიექტი, წარმოადგენს რა „*civitas*“ კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს. აქ სახელმწიფო ზნეობრივი სუბიექტია, რომელიც ბუნებრივად ექვემდებარება ერთა უნივერსალურ სამართალს, ე.ი. ერთა სავალდებულო და ვოლუნტარულ სამართალს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, ვოლფთან *personae jure gentium* – (საერთაშორისო სამართლის სუბიექტი), მისი ტერმინოლოგიური არარსებობის მიუხედავად, წარმოდგენილია კონცეპტუალური თვალსაზრისით.

რაც შეეხება ემერიხ დე ვატელს (Emmerich de Vattel), აღსანიშნავია, რომ ვოლფის თეორიაზე დაყრდნობით, იგი კიდევ უფრო შორს მიდის და ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ბუნებრივი უფლებებით აღჭურვილ ერთობას და ამგვარად მისი სუვერენიტეტიდან გამომდინარე, გააჩნია საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებები. ვატელი, სახელმწიფოს განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების მწარმოებელ ზნეობრივ სუბიექტად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი უარყოფს საერთაშორისო სამართლის თეორიისა და მსოფლიო

მშვიდობისათვის სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სისტემის რელევანტურობას<sup>46</sup>. მისი თეორია განაპირობებს საერთაშორისო სამართლის ახლებურად აღქმას. აქ, ერთა სამართლის ფარგლებში მოქცეული სახელმწიფოს ზნეობრივი სუბიექტობა, დამოკიდებულია მის სუვერენიტეტზე და უკავშირდება ე.წ. “დიდ საზოგადოებაში” წევრთა შერჩევას. ვატელის თანახმად, სუვერენთა სამართალი, ის სამართალია, რომელიც სახელმწიფოებად წოდებულ ზნეობრივ სუბიექტებზე ვრცელდება და მხოლოდ ამ ზნეობრივ სუვერენულ სუბიექტებს შესწევთ უნარი, მონაწილეობა მიიღონ ერთა სამართალით მართულ “დიდ საზოგადოებაში”. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთა სამართალი აღარ წარმოადგენს ბუნებით სამართალს, არამედ გვევლინება პოზიტიური სამართლისაგან შემდგარ სისტემად, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს მხოლოდ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოთა შორის.<sup>47</sup>

კანტის თვალსაზრისით, უნივერსალურ საზოგადოებაში, გნებავთ, სახელმწიფოთა ფედერაციაში მშვიდობიანი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სტრუქტურა სავალდებულოა რესპუბლიკური იყოს. რესპუბლიკური კონსტიტუცია სამართლის უზენაესობას ეფუძნება და მშვიდობა მხოლოდ სამართალით მართულ გარემოში არსებობს<sup>48</sup>. მშვიდობის ეფექტიანობისათვის, აუცილებელია ერთა სამართალი წარმოადგენდეს თავისუფალ სახელმწიფოთა სამართალს<sup>49</sup>. ერთა სამართალი არის დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი. კანტის თანახმად, სუვერენულმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული “ერთა ლიგა”. იგი გვთავაზობს *ius cosmopolitanum*-ის, (კოსმოპოლიტური სამართლის) კონცეფციას. ლაიბნიცის მსგავსად, მას სჯერა უნივერსალური რესპუბლიკისა – კოსმოპოლისისა. *ius cosmopolitanum*, კოსმოპოლისის წევრი სახელმწიფოების და ინდივიდების ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი,

---

<sup>46</sup> E.de, Vattel, The Law of Nations or Principles of the Law of Nature Applied to the Conduct and Affairs of Nations and Sovereigns, LONDON: Printed for G.G. and J. Robinson, Paternoster-Row. (1797). Book I. p. 1-3.)

<sup>47</sup> J. E. Nijman, The Concept of International Legal Personality. The Hague (2004)p.83.

<sup>48</sup> Immanuel Kant, Zum ewigen Frieden. Bern 1867. Erster Definitionartikel zum ewigen Frieden – Die bürgerliche Verfassung in jedem Staat soll republikanisch sein. s. 10.

<sup>49</sup> Immanuel Kant, Zum ewigen Frieden. Bern 1867. Zweiter Definitionartikel zum ewigen Frieden – Das Völkerrecht soll auf einen föderalismus freier Staaten gegründet sein. s. 15-18

ყოველ ადამიანს ანიჭებს მსოფლიო მოქალაქის სამართლებრივ სტატუსს, სახელმწიფოს შემთხვევაში კი – სამართალსუბიექტობას.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის მიწურულს, ვატელიცა და კანტიც გვთავაზობენ ერთა სამართლის ალტერნატივებს, რომელთა ელემენტებიც თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ლაიბნიცის თეორიაში. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ვატელის მიდგომა ყველაზე წარმატებული გამოდგა პრაქტიკულობისა და ზოგადი გამოყენების თვალსაზრისით, რაც XIX საუკუნეში სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტის განდიდებას დაედო საფუძვლად.

რაც შეეხება ისეთ ავტორიტეტულ მეცნიერებს, როგორებიც არიან ბრაერლი (J.L.Brierly), კელზენი (H.Kelsen) და სელი (G.Scelle), უნდა ითქვას, რომ ისინი უარყოფენ სახელმწიფოსა და სამართალსუბიექტობაზე “ძველ, ანთროპომორფულ და მითიურ მსჯელობას”<sup>50</sup>. მეცხრამეტე საუკუნეში საერთაშორისო სამართლის სწავლების თვალსაზრისით, განვითარდა ორი მნიშვნელოვანი - რესტორაციული და რევიზიონისტული თეორია. პირველის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი პოზიტივიზმის მიმართულებით არის გაგებული. მოხდა ბუნებითი სამართლის დაკნინება მისი პერსონალურ (პიროვნულ) ცნობიერებამდე დაყვანით: ფაქტობრივმა საერთო კონსენსუსმა უარყო მიზეზი, როგორც ერთა სამართლის თავდაპირველი წყარო. პოზიტივიზმი იქცა XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნეების სამართლებრივი აზროვნების ძირითად მახასიათებლად. XVIII საუკუნეში, საერთაშორისო სამართალსუბიექტობა მეფეთა და უფლისწულთა ინდივიდუალური ატრიბუტიდან, სახელმწიფოს ატრიბუტად გადაიქცა. ამიერიდან, ერთა სამართლის მიხედვით, ყოველი სუვერენული სახელმწიფო აღიარებულია ფუნდამენტური უფლებების მატარებლად, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე არსებობას აღარ წყვეტს ხელისუფლების შიდა ცვლის შედეგად. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნეში ფრანგმა რევოლუციონერებმა ეჭვქვეშ დააყენეს წესი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ინარჩუნებდა საერთაშორისო სამართალსუბიექტობასა და იდენტურობას

<sup>50</sup> H.Kelzen, *General Theory of Law and State*(1945), p. 93, 108.; H.Thierry, *The Thought of Georges Scelle*, 1 *EJIL* (1990) p.193

შიდასახელმწიფოებრივი კონსტიტუციური გადატრიალების შემთხვევაში. ამის მტკიცებისას ისინი იმ პოსტულატს ემხრობოდნენ, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო “ხალხის სუვერენიტეტის შეზღუდვა ტირანების მიერ დადებული ხელშეკრულებებით”<sup>51</sup>. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეზამ ერთა სამართლის წიაღში უმნიშვნელო მხარდაჭერა ჰპოვა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის რევოლუციის ზოგიერთმა იდეამ წარუშლელი კვალი დატოვა XIX საუკუნის საერთაშორისო სამართალზე. მათგან ერთერთი უმნიშვნელოვანესთაგანია სუვერენული, ეროვნული სახელმწიფოს სრული ემანსიპაცია. ეროვნული სუვერენიტეტის იდეის საერთაშორისო სიმაღლეზე აყვანამ, გამოხატულება ჰპოვა ეროვნული თვითგამორკვევისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის სახელმწიფოთა აბსოლუტურ სუვერენულ უფლებაში<sup>52</sup>. ერთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის მიხედვით, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ცივილიზებული ერი სარგებლობს ფუნდამენტური უფლებებითა და მოვალეობებით. ერთა სამართალი მთლიანად დამოკიდებული ხდება ეროვნულ სუვერენიტეტზე. სუვერენული უფლებების აკუმულირებითა და ძალაუფლების განმტკიცებით, სახელმწიფო ისწრაფვის დადგეს სამართალზე მაღლა. მისი სამართალსუბიექტობა კლასიკური მნიშვნელობით დამოკიდებული ხდება აბსოლუტურ სუვერენიტეტზე. აქედან გამომდინარე, საკითხი ერთა სამართლის სტატუსის ნამდვილობის შესახებ XVIII-XIX საუკუნეებში ინარჩუნებს აქტუალურობას. XIX საუკუნის სამართლის გამოჩენილი ბრიტანელი თეორეტიკოსი ჯონ ოსტინი (J. Austin) და გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (J.W.F. Hegel), ეჭვქვეშ აყენებენ ერთა სამართლის სამართლებრივ ბუნებას. ოსტინი ერთმანეთისაგან მიჯნავს პოზიტიურ და ბუნებით სამართალს. იგი „მართებულ სამართალს” – (*Law proper*), განსაზღვრავს სუვერენიტეტის მატარებლის მიერ გაცემულ “ბრძანებად”<sup>53</sup> და ასკვნის, რომ ამგვარი „მართებული სამართალი” პოზიტიურ სამართალს წარმოადგენს<sup>54</sup>. შესაბამისად, იგი არ არსებობს საერთაშორისო ველში, ვინაიდან ასეთი რამ ვერ იარსებებს თანასწორ სახელმწიფოთა შორის. იგი ერთა სამართალს “პოზიტიური

<sup>51</sup> Wilhelm G. Grewe, *The Epochs of International Law*. (2000), p 413.

<sup>52</sup> *Ibid.* 420-421

<sup>53</sup> J. Austin, *The Province of Jurisprudence Determined* (1832), W.E. Rumble (Ed.), p. 10 et seq.

<sup>54</sup> *Ibid.* p.110

მორალის” სფეროს მიაკუთვნებს, რაც თავის მხრივ, ერთა სამართლის დამოუკიდებლად არსებობას უარყოფს. ოსტინს მიაჩნია, რომ “საერთაშორისო სამართალს არამართებულად ეწოდება სამართალი”<sup>55</sup>.

XIX საუკუნეში შეიმჩნევა სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის ცვლილება. სახელმწიფოს აღქმა ინდივიდების თავყრილობად, ჩაანაცვლა სახელმწიფოს გარკვეულ გონიერ ორგანიზმად შემეცნებამ, რომელშიც მონაწილეობს ყოველი ადამიანის გონი. მიიჩნევა, რომ ინდივიდი მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი და რეალიზებული, როდესაც იგი კოლექტიურის ნაწილია. ჰეგელის მსჯელობაში, სახელმწიფო და სუვერენიტეტი ამაღლებული ცნებებია. ჰეგელის მიხედვით, ეროვნული სახელმწიფო არის სუბსტანციურ რაციონალობასა და დაუყოვნებელ აქტუალობაში გამოხატული გონი, აქედან გამომდინარე კი, აბსოლუტური ძალაუფლება დედამიწაზე, რაც თავის მხრივ იმას მოწმობს, რომ ყოველი სახელმწიფო თავისი მეზობლის მიმართ სუვერენული და ავტონომიურია. სახელმწიფო სუვერენიტეტი აბსოლუტურად მიიჩნევა და საერთაშორისო სამართალი სრულად ხდება დამოკიდებული სუვერენულ ნებასურვილზე. ჰეგელის თანახმად: “თუ სახელმწიფო უთანხმოებას გამოხატავს და მისი კონკრეტული სურვილების ჰარმონიზება ვერ ხერხდება, საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ომის საშუალებით”<sup>56</sup>. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ ჰეგელი, ომს “საერთაშორისო პოლიტიკური თამაშის ნაწილად”, ხოლო სახელმწიფოს, იმ ღვთაებად განიხილავს, რომელსაც ინდივიდი თავდადებით უნდა ემსახურებოდეს. ჰეგელის სიტყვებით – “სახელმწიფო არის ღმერთის (ღვთაების) სამყაროში მსვლელობა” და მაშასადამე სახელმწიფო არის “სეკულარული ღვთაება”.<sup>57</sup> თავისი აბსოლუტური ძალაუფლებითა და აღმატებულობით, სახელმწიფო გამოცხადებულია ხელშეუვალ სიწმინდედ, რომელიც ღვთაებრივ ნიღაბის ატარებს.<sup>58</sup>

XIX საუკუნის სახელმწიფოებრიობის ჰეგელისეული თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ოტო ფონ გირკეს (Otto von Gierke) სახელმწიფოს

---

<sup>55</sup> Ibid. p.20

<sup>56</sup> G.W.F. Hegel, *The Philosophy of Right*, (1967, transl.Knox), p. 213-214.

<sup>57</sup> Ibid. p. 279 and 285

<sup>58</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.112-113

ორგანული და გეორგ ელინეკის (Georg Jellinek) სახელმწიფოს არაორგანული თეორიები, ერთის მხრივ, იქცა, რევიზიონისტი სწავლულების კრიტიკული მსჯელობისა და უარყოფის საგნად. მეორეს მხრივ კი, მოგვევლინა განახლების მომხრე სწავლულების შთაგონების წყაროდ. ორგანული თეორიის თანახმად, სახელმწიფოს ნება სუბსტანციურია და სოციო-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ხალხის კოლექტიურ ნებაშია განპირობებული. სწორად ამგვარი ნება ახდენს სახელმწიფოსა და მისი სამართლებრივი სუბიექტობის ფორმირებას. ფონ გირკე ავითარებს თეორიას, სადაც სახელმწიფოს სუბიექტობა რეალურია. იგი სახელმწიფოს ისეთ რეალურ ერთობად მიიჩნევს, რომელსაც საკუთარი სიცოცხლე და ნებასურვილი გააჩნია<sup>59</sup>. ფონ გირკეს თვალსაზრისით, ინდივიდს ესაჭიროება იყოს კოლექტიური ცნობიერებისა და ნების ნაწილი იმისათვის, რათა გეზი აიღოს თავისუფლებისაკენ და საბოლოოდ იგი ჰპოვოს კიდევ. მისი თვალსაზრისით, სახელმწიფო მისტიკური, ანთროპომორფული პერსონაა და სამართლის სუბიექტად მისი წარმოჩენა ახდენს მის დეიფიკაციას. ვოლფგანგ ფრიდმანის მოსაზრებით, გირკეს სოციო-ფსიქოლოგიურ საფუძველზე დამყარებული სახელმწიფოს კონცეფცია და მისი სუბსტანციური სამართალსუბიექტობა, იქცა „ინდივიდუალურის კოლექტიურში შერწყმის მნიშვნელოვან ქვაკუთხედად, რაც თანამედროვე ტოტალიტარული მმართველობის აუცილებელი ასპექტია“<sup>60</sup>.

გეორგ ელინეკი სახელმწიფოს შესახებ თავის კონცეფციას, ასევე აფუძნებს კოლექტიური ნების იდეაზე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ამ ნებას მიიჩნევს აბსტრაქციად ან თუნდაც ფიქციად. მისი თვალსაზრისით, სახელმწიფოს ნება არა ინდივიდების ნებისაგან შედგება, არამედ სახელმწიფო ორგანოების ნების გამოხატულებისაგან. „*Staat und Organ sind eine Einheit: Der Staat kann nur vermitteltst seiner Organe existieren; denkt man die Organe weg, so bleibt nicht etwa noch der Staat als Träger seiner Organe, sondern ein juristisches Nichts übrig*“<sup>61</sup>. („სახელმწიფო და ინსტიტუტები ერთიანია. სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი

<sup>59</sup> Otto Von Gierke. Das Wesen der menschlichen Verbände (1902) p.10

<sup>60</sup> W.Friedmann, Legal Theory Stevens & Sons Limited, London.( 1967) p.236-240

<sup>61</sup> G. Jellinek, Allgemeine Staatslehre(1905)p.546

დაწესებულებების/ინსტიტუტების მეშვეობით; ამ დაწესებულებების ჩამოშორების შემთხვევაში, სახელმწიფო არა მათ მატარებლად, არამედ სამართლებრივ ვაკუუმად (არარად) გადაიქცევა“). სახელმწიფოს არაორგანული დოქტრინა აღიარებს სახელმწიფოს ნების აღმატებულებას და მას „სამართლის დამცველად და განმავითარებლად“ განიხილავს „*Bewahrer und Fortbilder des Rechts*“<sup>62</sup>. თვითდაქვემდებარების თეორიის - (*Selbstverpflichtungs-Theorie des Staates*) მხოლოდ სახელმწიფოს შესწევს უნარი შეზღუდოს თავისი ძალაუფლება, როგორც შინ, ისე გარეთ. ელინეკი ამით გარკვეულწილად აკნინებს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობას და ასკვნის, რომ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამართალი, ერთგვარი „ანარქიული სამართალია“<sup>63</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორგანულიცა და არაორგანული სახელმწიფო თეორიაც ემყარება სახელმწიფო ნების გამოხატულებას. XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისის პირველ პერიოდში, საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს პერსონიფიკაცია, უკვე არა სახელმწიფოს მავალდებულებელი „ლიბერალური და პროგრესული მოწოდება“ (როგორც ეს იყო ერთა ბუნებითი სამართლის საფუძველზე), არამედ ინდივიდზე სახელმწიფოს განუსაზღვრელი უფლებების გაზრდის ხარჯზე სახელმწიფოს პერსონიფიკაციაა<sup>64</sup>. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ურთიერთობათა ცნობილი თეორეტიკოსი ედვარდ კარი (E.H. Carr) მიუთითებს, რომ სახელმწიფოსათვის სუბიექტობის მინიჭების შესახებ კამათი აზრს არის მოკლებული. სახელმწიფოს სუბიექტობის უარყოფა, ისეთივე აბსურდია, როგორც მისი მტკიცება. სახელმწიფოს სუბიექტობა არ წარმოადგენს ფაქტს, რომლის ნამდვილობა ან სიმცდარე შეიძლება დადგინდეს, იგი „სახელმწიფოს პოსტულირებულ ბუნებად“ გვევლინება<sup>65</sup>.

---

<sup>62</sup> G. Jellinek, *Allgemeine Staatslehre*(1905)p.155

<sup>63</sup> *Ibid.* p. 368

<sup>64</sup> E.H.Carr, *The Twenty Years` Crisis 1919-1939*.Perennial (2001). p.148

<sup>65</sup> W.E. Hall; A. P. Higgins, *International Law* . Oxford (1924)(8th. ed.)p.50

## **თავი 2. XX საუკუნე და მოძღვრება საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შესახებ**

### **§1. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია ომთაშორის საერთაშორისო სამართლებრივ თეორიაში**

საერთაშორისო სამართალსუბიექტობის დოქტრინაზე, მნიშვნელოვნი ზეგავლენა იქონია სამართლის თეორიაში საერთაშორისო სამართლის იდენტურობის რესტორაციული და რევიზიონისტული კონცეფციების ურთიერთდაპირისპირებამ. კამათი გაიმართა იმაზე, თუ რა წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ნამდვილ საგანსა და ნამდვილ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის როლის განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად



საერთაშორისო სამართლის დეფინიციისათვის, კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით ვერ იქნა მიღწეული.

რესტორაცია (განახლება) და რესტორაციული სწავლება ემყარება სახელმწიფოს პერსონიფიკაციას. იგი სახელმწიფოს განიხილავს საკუთარი ნების მატარებელ სუვერენულ სუბიექტად, რომელიც ამ ნებას აღასრულებს სამართალშემოქმედების მიზნით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს, მისი სუვერენიტეტისა და სამართალსუბიექტობის ანთროპომორფული თეორია, ხელს უწყობს სახელმწიფოს მისტიფიკაციას და სახელმწიფო სუბიექტის სასარგებლოდ ინდივიდის დაკნინებას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თავად რესტორაციულ თვალთახედვაში საგრძნობლად კნინდება XIX საუკუნის იდეათა დამახასიათებელი ამგვარი მისტიფიკაცია. თუმცა შენარჩუნებულია სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის კლასიკური ინტერპრეტაცია. ჯერ ისევ შესამჩნევია სახელმწიფოს გაღმერთების კვალი. რესტორაციული სწავლების თანახმად, საერთაშორისო სამართლის არსებობა აღიარებულია მისი პოზიტიური საერთაშორისო სამართლებრივი ბუნებიდან და მისი სისტემიზაციიდან გამომდინარე, რაც ამ სწავლების ერთადერთ ღირსეულ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს<sup>66</sup>. საერთაშორისო სამართლის მიზანს წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრთა ქმედებების რეგულირება. რესტორაციული მოძღვრების ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ტრიპელი (H.Tripel), ანცილოტი (D. Anzilotti), კავალიერი (A.Cavaglieri), ჰაილბორნი (P. Heilborn) და ოპენჰაიმი (L. Oppenheim), ავითარებენ და იცავენ თეზას, რომლის მიხედვით: „სახელმწიფო წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ერთადერთ სუბიექტს“ და რომ მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს გააჩნიათ სრული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა<sup>67</sup>. ამ ავტორთა თვალსაზრისით, სახელმწიფოსათვის, როგორც სოციალური ჯგუფისათვის იდენტურობის მისანიჭებლად, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია გადაწყვეტ როლს თამაშობს. იგი შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფოს წიაღში

<sup>66</sup>D. Anzilotti, Cours de Droit International (1929), p19

<sup>67</sup> H.Tripel, Les Rapports entre le Droit Interne et le Droit International, 1 RCADI (Recueil des cours de l'Academie de droit international) (1923) p.82 ; D. Anzilotti, Cours de Droit International (1929) Vol. I. p 47; A. Cavagliery, Règles Générales du Droit de la Paix, 26 RCADI (1929-I) 318-319; P.Heilborn, Les Sources du Droit International, RCARDI 5 (1926-I) p.11; L. Oppenheim (R.F. Roxburgh Ed.), International Law : A Treatise (1920) p.18-19.

ჩამოყალიბებული სუვერენული ნება საერთაშორისო სამართალში იქნას წარმოჩენილი.<sup>68</sup> ანცილოტი იზიარებს ტრიპელის დუალისტურ თეორიას, რომლითაც შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავებულ მართლწესრიგს წარმოადგენს, ვინაიდან ისინი განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ<sup>69</sup>. შიდასახელმწიფოებრივი სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება ინდივიდებს, იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო ადმინისტრაციულ ერთობებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები. ეს სუბიექტები ექვემდებარებიან და რეგულირდებიან სახელმწიფოს მიერ, მის მიერვე მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. საერთაშორისო სამართალი კი, განისაზღვრება სახელმწიფოთაშორის „თანასწორი“ ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლად. იგი მარტოდენ სახელმწიფოების მიერ შეიქმნა და მხოლოდ მათ ეხება. ამგვარად, მხოლოდ სახელმწიფოები ფლობენ საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტობას. იმის გათვალისწინებით, რომ შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართალი განსხვავებული წყაროებიდან საზრდოობენ (ერთის მხრივ სახელმწიფოს ნება, ხოლო მეორეს მხრივ სუვერენულ ნებათა თავსებადობა (*Vereinbarung*)) და სხვადასხვა საგანი გააჩნიათ, ისინი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სისტემებს წარმოადგენენ<sup>70</sup>. მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგიერთი რესტორაციული მიმდინარეობის მკვლევარი, მისაღებად მიიჩნევს შეზღუდულ, ე.წ. ნაწარმოებ საერთაშორისო სამართალსუბიექტობას (*sujet secondaire*). მათ რიცხვს ისინი მიაკუთვნებენ ერებსა და ამბოხებულ თუ მეომარ მხარეებს. ერთნი მიიჩნევენ, რომ გარკვეული ტიპის ნაწარმოები საერთაშორისო სამართალსუბიექტობა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გააჩნიათ, თუმცა მეორენი მტკიცედ უარყოფენ ერთა ლიგის საერთაშორისო სამართალსუბიექტობას<sup>71</sup>. ოპენჰაიმი შუალედურ გზას ირჩევს და ერთა ლიგას, *sui generis* საერთაშორისო სუბიექტად მიიჩნევს<sup>72</sup>.

<sup>68</sup> Anzilotti, Cours de Droit International, (1929) Vol. I. p 122-123.

<sup>69</sup> Anzilotti, Cours de Droit International, (1929) Vol. I. p 50-65.

<sup>70</sup> H.Tripel, Les Rapports entre le Droit Interne et le Droit International, 1 RCADI(Recueil des cours de l'Academie de droit international) (1923)p.83-84.

<sup>71</sup> P.Heilborn, Les Sources du Droit International, 11 RCARDI 5 (1926-I) p.14 ; R.Erich, La Naissance et la Reconnaissance des Etats, 13 RCADI (1926-III) p . 438.

<sup>72</sup> L.Oppenheim, The Future of International Law (1921), (transl. of a 1911 German text)p.125.

საყურადღებოა, რომ რესტორაციული სწავლების თანახმად, სამართალსუბიექტობის საშუალებით სახელმწიფოები ექსკლუზიურად განსაზღვრავენ თუ ვინ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და ვის ეკუთვნის საერთაშორისო საზოგადოების წევრობა. რესტორაციული სწავლება საერთაშორისო თემობას აღიქვამს სახელმწიფოთა საზოგადოებად და უარყოფს არაერთგზის განხილულ იდეას „უნივერსალური ფედერალური სახელმწიფოს შესახებ“<sup>73</sup>. პირველი მსოფლიო ომის კატაკლიზმების შემდეგ, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მარტოოდენ “სახელმწიფო სუბიექტზე” მიზნით, მკვლევარებმა საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია გამოიყენეს საერთაშორისო საზოგადოებისა და საერთაშორისო სამართლის კლასიკური ნამდვილობის დასადასტურებლად. რადგან რესტორაციული სწავლება ვოლუნტარისტულ ტრადიციებზეა აგებული, მიიჩნევა, რომ საერთაშორისო სამართალი ეფუძნება ძალას, რომ იგი წარმოიშვა სახელმწიფოთა სუვერენული ძალაუფლებიდან და ამ ძალაუფლებითვე შემოიფარგლება. საერთაშორისო სამართალსუბიექტობა კი, როგორც ასეთი, გამოყენებულია ცივილიზებულ ერთა ოჯახში გაწევრიანების, ან ამ ოჯახიდან გარიყვის ინსტრუმენტად. გარდა ამისა, თავიანთი წინამორბედების მსგავსად, რესტორაციული მიმდინარეობის წარმომადგენლები, შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური მოვლენების განვითარების მიუხედავად, საერთაშორისო სამართალსუბიექტობას მიიჩნევენ საერთაშორისო განგრძობითობის, გნებავთ კონტინუიტეტის, აქედან გამომდინარე კი, საერთაშორისო სტაბილურობის წინაპირობად.

რევიზია (გადახედვა) და რევიზიონისტების ძალისხმევა, გადაეხედათ საერთაშორისო სამართლისათვის მისი კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, განპირობებულია დემოკრატიული ფასეულობებისა და ინდივიდის დაცვის სურვილით. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარებისა და მომავალი ომის პრევენციის საკითხი. საერთაშორისო სამართლის მკვლევარები აქტიურად განიხილავენ მასების საზოგადოებაში (*mass society*) დემოკრატიულობისა და ინდივიდუალურობის საჭირბოროტო საკითხებს. ახალი სოციო-

---

<sup>73</sup> Ibid.p. 12-13

ფსიქოლოგიური ხასიათის მქონე აღმოჩენები მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ რევიზიონისტთა მხრიდან სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და სუბიექტობის ტრადიციული მიდგომების უარყოფაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქაში ინდივიდისა და კოლექტივის დაპირისპირების საკითხი ერთ-ერთ უმწვავეს საკითხს წარმოადგენს. რევიზიონისტების თვალსაზრისით, ახალი საერთაშორისო წესრიგი უნდა დაფუძნებოდა კანონსა და სამართლიანობას და არა ძალაუფლებასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს. რევიზიონისტები სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართალსუბიექტობის იმ ტრადიციულ კონცეფციებს, რომლებიც სახელმწიფოს ატრიბუტიკას წარმოადგენდნენ, განიხილავენ “მველი” საერთაშორისო სამართლის ნაწილად და მის დისკრედიტაციას ახდენენ<sup>74</sup>. სუვერენიტეტი, როგორც საერთაშორისო სამართლის ადრეული დასაბუთება, მიიჩნევა აგრესიის აქტებისა და პირადი ანგარიშსწორების გამომწვევ პრინციპად<sup>75</sup>, რომელიც სხვა კონცეფციით ჩანაცვლებას საჭიროებს. რაც შეეხება სახელმწიფოს ზეობაზე გადაჯაჭვულ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციას, იგი უსარგებლო, ზოგჯერ კი “სახიფათო” კონცეფციად აღიქმება<sup>76</sup>. ყოველივე ეს, იწვევს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ახლებურად აღქმას და გამოყენებას. იგი ამჯერად არა სუვერენული სახელმწიფოს ხარისხობრივ ატრიბუტად, არამედ ინდივიდების ერთობის ხარისხის ნიშანთვისებად გვევლინება. ამერიკელი მკვლევარი როსკო პაუნდი (Roscoe Pound), მსჯელობს რა მასობრივ საზოგადოებასთან დაკავშირებული თანამედროვე პრობლემების მართებულობაზე, 1923 წელს, ლაიდენის უნივერსიტეტში გამართულ ლექციაზე ითხოვს სუვერენიტეტის როლის სრულ და საგულდაგულო გადახედვას. არგუმენტად კი იმ გარემოებას იშველიებს, რომ როდესაც სუვერენიტეტი მეფეთაგან ხალხზე, მაშასადამე კი “კოლექტიურ ერთობაზე” გადავიდა, საერთაშორისო სამართალმა ინდივიდუალური ურთიერთობის სფეროდან კოლექტიურზე გადაინაცვლა და მას შემდგომ, “საქმე აქვს ადამიანთა დიდ თუ მცირე, მაგრამ მერყევი ჯგუფების ქცევასა და ურთიერთობებთან, რომლებიც მოქმედებენ განუსაზღვრელი კოლექტივის სახელით, მთელი თავისი

<sup>74</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.126

<sup>75</sup> L. Le Fur, *La Théorie du Droit Naturel Depuis le XVII Siècle et la Doctrine Moderne*, 18 RCADI (1927-III) p. 400-401

<sup>76</sup> N. Politis., *The New Aspects of International Law* (1928) p.13-14

უპასუხისმგებლობითა და ინსტიტუტური ქცევისადმი მიდრეკილებით, რაც ფსიქოლოგიური სწავლების თანახმად ბრბოს თვისებაა ... მოსალოდნელია მთლიანი მოსახლეობის მართვა არა ცალკეულ ინდივიდზე ზემოქმედებით, არამედ მოსახლეობის სამართლებრივ ერთობად აღქმით, რაც ხორციელდება იმ იურიდიული ჰიპოთეზის გამოყენებით, რომლითაც მოსახლეობას როგორც კოლექტიურ პერსონას, სამართლებრივ საფუძველზე დამყარებული ანგარიშვალდებულება გააჩნია”.<sup>77</sup> მიმდინარე პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება, კიდევ ერთხელ ხდება საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის გადახედვის მიზეზი. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში წარმოიშვა საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ტრადიციული, სახელმწიფოს ექსკლუზიური კუთვნილების შეხედულების უარყოფის საჭიროება, რათა ბოლო მოღებოდა სახელმწიფოს განდიდებას ინდივიდების მდგომარეობის ხარჯზე. ხდება სამართალსუბიექტობის კონცეფციის ზედმიწევნით შესწავლა, რასაც რევიზიონისტები იმ დასკვნამდე მიყავს, რომ საჭიროა სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ინდივიდუალური მოქალაქეების ხელოვნური და აბსოლუტური განცალკევება. გარდა ამისა, რევიზიონისტი მეცნიერები უპირისპირდებიან საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მკვეთრად გამოჯვანას და იზიარებენ მონისტურ შეხედულებებს, რაც მდგომარეობს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნების, ჩანაცვლებაში საერთაშორისო სამართლის სუვერენიტეტის ცნებით. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მართლწესრიგი აღიქმება, ერთიან, უნივერსალურ წესრიგად, რომელიც საერთო წყაროდან საზრდოობს. რევიზიონისტები საერთაშორისო სამართალსუბიექტობას იყენებენ სახელმწიფოსა და სუვერენიტეტის ტრადიციული დოქტრინების დეკონსტრუქციისათვის და უარყოფენ სახელმწიფოს პერსონიფიკაციას. საერთაშორისო სამართალსუბიექტობა აღარ განაცალკევებს შიდა წესრიგს, გარე წესრიგისაგან და ორივე აღიქმება უნივერსალური მართლწესრიგის შემადგენელ ნაწილად, რომელშიც ინდივიდი წარმოჩინდება შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. საერთაშორისო

---

<sup>77</sup> R.Pound, *Philosophical Theory of International Law*, 1 *Bibliotheca Visseriana* 89 (1923) p.78; J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.127

სამართალსუბიექტობის ცნების ცალკეულ ინდივიდთან დაკავშირებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ისეთი ტრადიციული ტერმინოლოგიის გამოყენებით, როგორცაა “საერთაშორისო სუბიექტობა” და “სამართლის სუბიექტი”, ინდივიდის პოზიციის გამოხატვა, რაც რევიზიონიზმის სოციო-პოლიტიკური თუ იდეოლოგიური იდეებისათვის ლეგიტიმურობის შექმნის მცდელობით არის განპირობებული, საგრძნობლად ამყარებს საერთაშორისო სამართალში ინდივიდის პოზიციებს. ისეთ მეცნიერს, როგორც არის ჯეიმს ლესლი ბრაერლი (J.L.Brierly), თავის რევიზიონისტულ კვლევებში თავდაპირველად ესაჭიროება საერთაშორისო სამართლის არავოლუნტარისტული, არაანთრომორფული, დემითოლოგიზებული საერთაშორისო სამართლის საფუძვლის მიგნება, რომლისგანაც წარმოიქმნებოდა განახლებული საერთაშორისო სამართლის კონცეფცია. ამ მიზნისათვის იგი ყურადღებას ამახვილებს სუვერენიტეტის ცნების სიმცდარეზე და უპირისპირდება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები არ მკვიდრობენ პოლიტიკურ კონტექსტში. ბრაერლი ეჭვქვეშ აყენებს საერთაშორისო სამართლის ორ ტრადიციულ თეორიას - სახელმწიფოს ფუნდამენტური უფლებამოსილების ნატურალისტურ და სახელმწიფოს თანხმობის პოზიტივისტურ დოქტრინას, რომლებსაც იგი სუვერენიტეტის მცდარი განსაზღვრების შედეგად მიიჩნევს. მისთვის სუვერენიტეტის დოქტრინა რეალობის გამრუდებულ წარმოდგენას ნიშნავს. ბრაერლი მკაცრად აკრიტიკებს საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედ სასამართლოს “ლოტუსის” საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საერთაშორისო სამართლის ტრადიციული, ვოლუნტარისტული კონცეფციების მიდგომის გამოყენებისა და სუვერენული სახელმწიფოს “დამოუკიდებლობაზე” ყურადღების გამახვილების გამო. ბრაერლი თვლის, რომ სახელმწიფოები დამოუკიდებელნი კი არა, შეზღუდულნი არიან საერთაშორისო სამართლით და მათი კომპეტენცია სწორად საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარეობს. მისი მტკიცებით, საერთაშორისო პრაქტიკა იმაზე მოწმობს, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება არასოდეს ყოფილა აბსოლუტური და რომ სახელმწიფოები არასოდეს ყოფილან სრულად დამოუკიდებელნი. პირიქით, ისინი ყოველთვის ურთიერთდამოკიდებულნი არიან. მისი თვალთახედვით, საერთაშორისო თანაცხოვრებას ბუნებრივი მდგომარეობა არ ახასიათებს. იგი

განპირობებულია სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური ურთიერთობის ფენომენით, რომელსაც კომპეტენციას საერთაშორისო სამართალი ანიჭებს. სახელმწიფოები პოლიტიკურ პირობებში თანაარსებობენ და არა თავისუფალ და აბსოლუტურ სუვერენულ პირობებში. ბრაერლის მტკიცებით, მორალი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის იმ საფუძველს, რომლის მიგნებასაც იგი ესწრაფვოდა და რომლისგანაც წარმოიქმნება განახლებული საერთაშორისო სამართლის კონცეფცია. ხალხი სამართალს ემორჩილება და იცავს იმ მიზეზით, რომ იგი მორალურად გამართლებულად მიაჩნია. საბოლოო ჯამში, ადამიანის რაციონალური ბუნებაა იყოს ზნეობრივი. თავის “ერთა სამართალში”, ბრაერლი ამბობს: “ნებისმიერი სამართლის მავალდებულებელი ძალის საბოლოო განმარტება მდგომარეობს ადამიანის რწმენაში, იქნება იგი ცალკეული ინდივიდი თუ სხვა ინდივიდებთან სახელმწიფოში გაერთიანებული, რომ წესრიგი და არა ქაოსი წარმოადგენს იმ სამყაროს წარმართველ პრინციპს, რომელშიც მან უნდა იარსებოს.”<sup>78</sup> სამართლის ყოველ, მათ შორის საერთაშორისო სამართლის დარგში, ვალდებულების საფუძველად ადამიანური მიზეზის გამოცხადებით ბრაერლი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ფუნდამენტურად იდენტური და ერთიანია. რაც შეეხება საერთაშორისო სამართალსუბიექტობას, “სახელმწიფოს პერსონალურობის” იდეა, როგორც ნატურალისტური, ისე პოზიტივისტური თვალსაზრისით, ბრაერლის მცდარად მიაჩნია<sup>79</sup>. “სინამდვილეში სახელმწიფოები არ არიან პერსონები, თუმცა ხშირად მოსახერხებელია მათი პერსონიფიცირება; მათ არ გააჩნიათ ნება, გარდა იმ ინდივიდების ნებისა, რომლებიც წარმართავენ მათ ურთიერთობებს; ისინი არა პოლიტიკურ ვაკუუმში არსებობენ, არამედ მიმდინარე პოლიტიკურ ურთიერთობებში. სახელმწიფოს სამართლისადმი დაქვემდებარებას არ სჭირდება რაიმე განსხვავებული ფილოსოფიური განმარტება გარდა იმისა, რაც საჭიროა ინდივიდის სახელმწიფოსათვის დაქვემდებარებისათვის. განსხვავება ამ სამართალსა და საერთაშორისო სამართალს შორის მნიშვნელოვანია, ... მაგრამ იგი არ მდგომარეობს იმ ერთობის ხარისხის არც მეტაფიზიკურ,

---

<sup>78</sup> J.L. Brierly, *The Law of Nations: An Introduction to the International Law of Peace* (1928)(5th. Ed.), p57.

<sup>79</sup> *Ibid.* p. 62.

არც რაიმე მისტიკურ ხარისხში, რომელსაც სახელმწიფო სუვერენიტეტი ეწოდება.<sup>80</sup> საერთაშორისო სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით, ბრაერლი 3 კომპონენტზე ამახვილებს ყურადღებას: 1. სახელმწიფოს როგორც ერთობას, არ უნდა მიენიჭოს რაიმე “მისტიური” ხარისხი და თვისება; 2. სახელმწიფოს “პერსონიფიცირებული” იმიჯი უნდა შეიცვალოს “ინსტიტუციური” წარმოდგენით; 3. მხოლოდ ინდივიდუალურ ადამიანს შესწევს უნარი გამოხატოს საკუთარი ნება და არა სახელმწიფოს. პოლიტიკურ ფილოსოფოსთაგან, ბრაერლი ყველაზე მეტად ჰეგელს აკრიტიკებს. იგი აცხადებს, რომ სახელმწიფოს მისტიფიცირებით, ჰეგელი გაუგონარ ზიანს აყენებს საერთაშორისო სამართალს. მისი აზრით, ჰეგელის იდეები ასაზრდოებენ აბსოლუტურად სუვერენული სახელმწიფოს, ავტონომიური სუბსტანციური არსების ცნებას, როგორც სრულად ავტონომიური ნების ეთიკური იდეალის რეალიზაციას.<sup>81</sup> სუვერენულ სუბიექტებად მიჩნეულნი, სახელმწიფოები არ ექვემდებარებიან რაიმე ზნეობრივ სტანდარტს, ვინაიდან თავად მიიჩნევიან სულის (*Geist*) მორალურ ინკარნაციად, ჰეგელის სიტყვებით კი, სამყაროში ღმერთის სვლად.

პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა ძრწოლამ, ხელი შეუწყო აბსოლუტურად სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო სუბიექტის იდეის უარყოფას. ოპტიმიზმი სახელმწიფოს მორალური ბუნების შესახებ გაფერმკრთალდა. გარეშე შეზღუდვებისაგან თავისუფალი ნების მატარებელი სახელმწიფო სუბიექტი, დაბრკოლებად იქცა საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარებისა და სუვერენიტეტის ახალი კონცეფციის წარმოშობის გზაზე. ნაიმანის თქმით, სახელმწიფოს პერსონიფიკაციის ჰიპოთეზა ბრაერლის თვალსაზრისით, პოლიტიკური ძალაუფლების განმარტებას მიზეზთა გამო ვერ აკმაყოფილებდა. ეს მიზეზებია: ა) მცდარი ფსიქოლოგიური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ინდივიდის ნებაზე ზეგავლენა უნდა ემყარებოდეს განცალკევებულ და “აღმატებულ ნებას”. ბრაერლი “ჰიპოთეტური სუბიექტის გამოგონებას, მისთვის

---

<sup>80</sup> Ibid.p.62-63

<sup>81</sup> J.L. Brierly, The Basis of Obligation in International Law, in Lauterpacht and Walldock(Eds.), The Basis of Obligation in International Law and Other Papers by the late James Leslie Brierly 1,(1958) p. 36



“აღმატებული ნების” მინიჭებას და ამით “ლოგიკური სტრუქტურის სრულყოფას”, მნიშვნელოვან შეცდომად მიიჩნევს, რომელიც თავის მხრივ, “ადამიანის გონების ანთროპომორფულ განწყობაზე მიუთითებს”; ბ) სახელმწიფოს პოლიტიკური (საშინაო თუ საგარეო) ძალაუფლების, სუვერენიტეტის ბუნება, არ განსხვავდება ძალაუფლების სხვა ფორმებისაგან. იგი არც აბსოლუტურია და არც შეუზღუდავი. არ ემყარება ძალას, თუმცა ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში ძალის გამოყენების უფლებას იძლევა; გ) ვალდებულების წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ აღმატებული ნების ან აღმატებული ძალაუფლების გარეგნულობა (*externality*) ილუზიაა.”<sup>82</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ჩვენს წარმოდგენაში დავექვემდებარებით ან დავემორჩილებით გარეგან ძალასა თუ გარეგან წესებში გამოხატულ მორალს, აღარ დაგვჭირდება “სუბიექტი” კანონებისა და ძალაუფლების ამოსაკრეფად. აქ ბრაერლი იშველიებს პროფესორ კორკუნოვის მოსაზრებას, რომლის მიხედვით: “უფლებამოსილება დამოკიდებულია არა მმართველის ნებაზე, არამედ საგნის შინაარსის შეცნობაზე. თუ ეს ასეა, სახელმწიფოს უფლებამოსილების განსამარტავად აღარ არის საჭირო სახელმწიფოსთვის ნების მიწერა და მისი პერსონიფიცირება”<sup>83</sup>. ბრაერლი სახელმწიფო ინსტიტუციის სახით, გვთავაზობს სახელმწიფო სუბიექტობის ალტერნატივას. ბრაერლის მიერ ინსტიტუციის ცნების გადამუშავება, მეტყველებს მის მცდელობაზე, ყურადღება გაამახვილოს სახელმწიფოს ფუნქციურ ბუნებაზე: “სახელმწიფო არ უნდა გავაიგივოთ მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მთელ საზოგადოებასთან; იგი (სახელმწიფო) მხოლოდ ერთ-ერთი მრავალ ინსტიტუტთაგანია, თუმც უაღრესად მნიშვნელოვანი; მიუხედავად ამისა, იგი არ წარმოადგენს ყოვლისმომცველ ინსტიტუციას, რომლისგანაც ან რომელშიც ყველა სხვა ინსტიტუტი ან ასოციაცია არსებობს.”<sup>84</sup> ბრაერლი არ იზიარებს კელზენის მოსაზრებას სახელმწიფოს მართლწესრიგთან გაიგივების შესახებ. იგი სახელმწიფოს განსაზღვრავს ინსტიტუტად, მაშასადამე ურთიერთობების სისტემად, რომლის მიზანია საზოგადოებაში

---

<sup>82</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p.139-140; J.L. Brierly, *The Shortcomings of International Law*(1924), in Lauterpacht and Walldock(Eds.), *The Basis of Obligation in International Law and other papers*. Clarendon Press,(1958) p.40-46

<sup>83</sup> J.L. Brierly, *The Basis of Obligation in International Law*, in Lauterpacht and Walldock(Eds.), *The Basis of Obligation in International Law and Other Papers by the late James Leslie Brierly 1*,(1958) p. 41

<sup>84</sup> J.L. Brierly, *The Law of Nations: An Introduction to the International Law of Peace* (1928),(5th. Ed.) p.56

უსაფრთხოებისა და წესრიგის სათანადოდ რეალიზება. მისი თვალსაზრისით, სამართალი კი არ ქმნის წესრიგის სისტემას, არამედ ხელს უწყობს მის შენარჩუნებას<sup>85</sup>. ინსტიტუტი “სახელმწიფო”, ქმნის სამართალს, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზებისა და ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგების ინსტრუმენტს<sup>86</sup>. სამართალი და კანონი საზოგადოებაში წესრიგის დაცვას ემსახურება და ამიტომაც უნდა აღსრულდეს. დაუმორჩილებლობა მხოლოდ ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ჩვენ სამართლებრივ ნორმას იმდენად ამორალურად მივიჩნევთ, რომ მხოლოდ მისი კანონის სახით არსებობის ფაქტი, ხელს აღარ გვიშლის მისი ხელყოფისაგან. ბრაერლი შესაძლებლობას გვაძლევს, სახელმწიფოს შევხედოთ არა როგორც მიზანს, არამედ საშუალებას, სხვა მიზანთა მიღწევის საშუალებას. სახელმწიფოთა სამართალსუბიექტობაზე საუბრისას ბრაერლი მიუთითებს, რომ სახელმწიფოებს პერსონალურობა არ გააჩნიათ, არ გააჩნიათ არც შეგნება. მხოლოდ ინდივიდებს ძალუბთ აზროვნება და შესწევთ ნების გამოხატვისა და მოქმედების უნარი. თუმცა იგი იმასაც დასძენს, რომ ეს ქმედებანი შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო ინსტიტუტებს. იმის დასადასტურებლად, რომ “სახელმწიფო-ინსტიტუტი” არა ცდომილება, არამედ სახელმწიფოს ნამდვილი ხასიათის გამოვლინებაა, ბრაერლი სამ შესაძლო ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ამ ინტერპრეტაციებს ბრაერლი რეიმონდ შალელის (Raymond Sallieles 1855-1912) ნაშრომს უკავშირებს<sup>87</sup>. იგი უარყოფს სუბიექტობის კონცეფციისადმი, როგორც “ფიქციურ”, ისე “ინდივიდუალისტურ” მიდგომას. პირველს იმ მიზეზით, რომ მას მივყავართ სახელმწიფოს როგორც ცალკეულ, ყოვლისშემძლე ერთობის განდიდებასთან მისი წევრების ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინების გარეშე. ხოლო მეორეს, იმ მიზეზით, რომ იგი ფაქტობრივად საზოგადოებაში და სახელმწიფოში იწვევს უმრავლესობის მხრიდან ჩაგვრასა და ბატონობას. ბრაერლი აღიარებს სამართალსუბიექტობის სამი ელემენტის მართებულობას<sup>88</sup>. 1) პირველ რიგში, ინდივიდები რომლებიც შეადგენენ ინსტიტუციებს ქრებიან ავანსცენიდან; 2) მეორეს მხრივ,

<sup>85</sup> J.L.Brierly, *The Outlook for International Law* (1944) p. 75

<sup>86</sup> J.L.Brierly, *International Law as a Subject of Education*(1926), in Luterpacht and Waldock(Eds.)p. 128-129,132.

<sup>87</sup> Raymond Sallieles, 1907-8 *Comparative Civil Law Course on legal persons, De la personnalite juridique*, published in Paris, 1910.

<sup>88</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality. The Hague* (2004)p. 146

სუბიექტობის “გამაერთიანებელი” ფუნქცია შენარჩუნებულია. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო არ აღიქმება ფიქტიურ ერთობად, საპირისპიროდ, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მეშვეობით, საერთაშორისო სამართალი აღიარებს სახელმწიფოს ერთობას; 3) მესამეს მხრივ, ინდივიდის პერსონალობის ინსტიტუტი “სახელმწიფოს” ნაწილია. სახელმწიფო შედგება ინდივიდებისაგან და არსებობს მხოლოდ მათი მსახურებითა და მათი მეშვეობით. “სახელმწიფოს” ჩამოყალიბება საზოგადოებრივი ცხოვრების წინაპირობაა და ადამიანური პერსონალობის მხოლოდ მცირე ნაწილის რეალიზება ხდება “სახელმწიფო–ინსტიტუტის” მეშვეობით. სახელმწიფოს როლის შემცირებით და ინდივიდუალურ პერსონალობაზე აქცენტის გადატანით, ბრაერლი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დოგმა სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლის სუბიექტობის ექსკლუზიურობის შესახებ, არ არის “ხელშეუხებელი”. სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, ინსტიტუციის ცალკეულ წევრთა შეკავშირების სამართლებრივ ინსტრუმენტს. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის სახელმწიფოს პერსონალობისაგან განცალკევებით, ბრაერლი ახდენს სახელმწიფოს დემითოლოგიზაციას. ამით კი, ახერხებს თავად საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის დემითოლოგიზაციას. ხოლო საერთაშორისო სამართალსუბიექტობის სახელმწიფო ინსტიტუტებთან მიხედვით, იგი ინდივიდს საერთაშორისო მართლწესრიგს უკავშირებს და საერთაშორისო სამართალსუბიექტობას ინდივიდის ატრიბუტად წარმოაჩენს. მისი თეორია ხელს უწყობს სახელმწიფოს კონცეფციის რევიზიას. სახელმწიფოს - ინსტიტუტად განსაზღვრით და აბსოლუტური სუვერენიტეტის უარყოფით, ბრაერლის საშუალება ეძლევა ამტკიცოს, რომ სახელმწიფო არა საბოლოო მიზანი, არამედ საშუალებაა, და როგორც ერთობა იგი შეზღუდულია საერთაშორისო სამართალით. საბოლოოდ, საერთაშორისო სამართალსუბიექტობას, ბრაერლი ინდივიდის საერთაშორისო სამართალთან დაკავშირების საშუალებად ასახავს<sup>89</sup>.

---

<sup>89</sup> J. E. Nijman, The Concept of International Legal Personality. The Hague (2004)p. 148-149

რესტორაციულ და რევიზიონისტულ სწავლებაში საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ერთ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ძველი იდენტურობის განახლების, მეორე შემთხვევაში კი, სახელმწიფოს პერსონიფიკაციის ახალი საერთაშორისო წესრიგით ჩანაცვლების თვალსაზრისით.

1933 წელს, ჰანს კელზენი (Hans Kelsen) წერდა, რომ სამართლის წმინდა თეორიაში, სამართალსუბიექტობის კონცეფცია, სუბსტანციური (არსობრივი) კონცეფციიდან (*Substanzbegriff*) გარდაიქმნა ფუნქციური, (*Functionsbegriff*), გნებავთ კავშირებით (რელატიურ) კონცეფციად (*Relationsbegriff*).<sup>90</sup> იმის გასაგებად, თუ როგორ ახერხებს კელზენი სამართალსუბიექტობის კონცეფციის ტრანსფორმირებას, აუცილებელია თვალი გადავავლოთ დებატებს ენისა და ეპისტემოლოგიური პრობლემების შესახებ. კერძოდ კი გავეცნოთ ვენელ ინტელექტუალებს, მაუტნერსა და მახს (Fritz Mauthner; Ernst W.J.W. Mach) ასევე გერმანელ ფილოსოფოსებს ვაიჰინგერსა და კასირერს (H.Vaihinger 1852-1933; E.Cassirer). სამართალსუბიექტობის კონცეფციის კელზენისეული რევიზია, წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამართლის მეტაფიზიკურად დამძიმებული კონცეფციებისაგან თავის დაღწევის მცდელობას, რაც თავისთავად საერთაშორისო სამართლისა და სამართალსუბიექტობის კონცეფციის დემითოლოგიზაციის განზრახვად გვევლინება<sup>91</sup>. მაუტნერი და მახი მიიჩნევენ, რომ “ნების” შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ ნების ვისამე ქმედებაში გამოხატვის ფორმით. შეუძლებელია წმინდა, სუფთა ნების წვდომა, არამედ ოდენ ფუნქციური ნებისა. ამ მიზნით, მაუტნერი გვთავაზობს “ნების ჰეტეროგენულ თეორიას”, რომელშიც ნება არ არის ადამიანის გონებრივი ცხოვრების პირველადი და ჰომოგენური ფაქტი, არამედ ჩაფიქრებულია როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა<sup>92</sup>. ნება არ არის კონკრეტული, შეცნობადი სუბსტანციური ობიექტი, არამედ ამოსაცნობია მის

<sup>90</sup> H.Kelsen, The Pure Theory of Law, “Libandism”, and “Neo-Kntianism”. A Letter to Renato Treves (1933), in S.L. Paulson and B. Litschewski Paulson (Eds.) Normativity and Norms, Critical Perspectives on Kelsian Themes (1998) p. 174

<sup>91</sup> H.Kelsen, Das Verhaltnis von Staat und Recht im Lichte der Erkenntniskritik, Die Wiener Schule, (1921) s. 101-102.

<sup>92</sup> H.Kelsen, Deas Verhaltnis von Staat und Recht im Lichte der Erkenntniskritik (1921), in Klecatsky and Marcic and Schambeck(Eds.), Die Wiener rechtstheoretische Schule: Schriften von Hans Kelsen, Adolf Merkl, Alfred Verdross 95 (1968)p. 135-136.

ფუნქციონირებაში, როგორც ნებელობითი ქმედებების კომპოზიცია. მაუტნერის მსგავსად, კელზენი უარყოფს სახელმწიფოს სუბსტანცირებულ ნებას და განთქავს მას მოქალაქეთა ინდივიდუალური ნებისაგან შემდგარ მართლწესრიგში, რომელიც ერთობლიობაში სახელმწიფო ნებად ფორმირდება. კელზენი ეწინააღმდეგება სამართლის თეორიაში განსაგნების პრაქტიკას (*Substantialisierung*), კერძოდ კი სახელმწიფოს კონცეფციის მეტაფიზიკურ რეალობად გადაქცევას<sup>93</sup>. სამართლის თეორია და მისი კონცეფტუალური აგებულება (*Begriffsbildung*), კელზენის თვალსაზრისით ჯერ კიდევ პრიმიტიულ, მითოლოგიურ ფაზაშია და ჩვენი სუბსტანციური, სრულიად ანთროპომორფული ენის ტყვეობაში იმყოფება<sup>94</sup>. სახელმწიფოს სუბიექტობასთან დაკავშირებულ ადრეულ ნაშრომებში, კელზენი არა მხოლოდ მაუტნერის მოსაზრებებს იზიარებს, არამედ ეყრდნობა აგრეთვე ნეო-კანტიანელ გერმანელ ფილოსოფოსს, ჰანს ვაიჰინგერს. ვაიჰინგერის წიგნი „თითქოს და-ს ფილოსოფია“ „*Philosophie des Als-ob*“<sup>95</sup> წარმოადგენს კელზენის 1919 წლის სტატიის, “იურიდიული ფიქციების თეორიისათვის” “*Zur Theorie der juristischen Fiktionen*”<sup>96</sup> შესწავლის საგანს. ამ სტატიაში კელზენი ყურადღებას ამახვილებს ფიქციების ეპისტემოლოგიურ მნიშვნელობაზე, როგორც სამართალში შემეცნების ინსტრუმენტზე და სამართლებრივი რეალობის ცნობის მნიშვნელოვან საშუალებაზე. კელზენის წმინდა თეორიაში, საერთაშორისო სამართლის საფუძველს წარმოადგენს “სავარაუდო” ძირითადი ნორმა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს საერთაშორისო სამართალი აღვიქვათ სამართლის სისტემად, რომელიც სახელმწიფოებზე მაღლა დგას და ამით სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებს აღჭურვავს საერთაშორისო სამართლის ეფექტიანობის პრინციპით<sup>97</sup>. კელზენის შეხედულება სამართლისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართების შესახებ, განსხვავდება “ძველი” პოზიტივისტების შეხედულებებისაგან. კელზენი უარყოფს ვოლუნტარიზმის პოზიტივისტურ დოქტრინას,

<sup>93</sup> H.Kelsen, *Das Problem der Souveränität und die Theorie des Völkerrechts* (1920) s.19.

<sup>94</sup> H.Kelsen, *Allgemeine Staatslehre* (1925) p.62.

<sup>95</sup> H. Vaihinger, *Die Philosophie des Als ob, System der theoretischen, praktischen und religiösen Fiktionen der Menschheit auf Grund eines idealistischen Positivismus* (1913)

<sup>96</sup> H.Kelsen, *Zur Theorie der juristischen Fiktionen* (1919), in *Die Wiener Schule*, s. 1220

<sup>97</sup> H.Kelsen, *Introduction to the Problems of Legal Theory* (1992), transl. of the 1st ed.(1934) of the *Reine Rechtslehre: Einleitung in die Rechtswissenschaftliche Problematik*, S. Paulson and B. Litschewski Paulson(Eds.)Clarendon Press.Oxford.p.55.

რომელიც სუვერენული სახელმწიფოს ძალაუფლების ფაქტობრივ მდგომარეობას, სამართლის წყაროდ მიიჩნევს. მისი თვალსაზრისით, ძალაუფლება კი არ არის სამართლის მყოფელი, არამედ სამართალია ძალაუფლებით აღმჭურველი, მისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი და მისი ლეგიტიმურობის ამლიარებელი. ამ თვალსაზრისით, ძალაუფლება აღარ არის სამართალზე აღმატებული, მაგრამ არც სახელმწიფოა სამართალს დაქვემდებარებული. ეს უფრო ის შემთხვევაა, როდესაც ძალაუფლება კომპეტენციად გარდაიქმნება და საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებზე აღმატებულ მდგომარეობაში იმყოფება. კელზენი ედავება საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ იგი, ელინეკის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, წარმოადგენს “ანარქიულ სამართალს”. აგრეთვე, ედავება ვოლუნტარისტულ მიდგომას საერთაშორისო სამართლის სამართლებრივი ბუნების სრული უარყოფის შესახებ<sup>98</sup>. იგი იმ პოზიციაზე დგას, რომ საერთაშორისო სამართალი ჭეშმარიტად სამართალი და იძულებითი სისტემაა. საერთაშორისო თანამეგობრობა მისი სამართლებრივი ნორმების შესრულებას უზრუნველყოფს თავისი ქვესისტემების მეშვეობით. ამ ქვესისტემებს სახელმწიფოები წარმოადგენენ, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სამართლის შექმნაში<sup>99</sup>. კელზენი ამტკიცებს, რომ სამართლის თეორიაში ნების სოციო-ფსიქოლოგიური მოსაზრება გამოუსადეგარია. იგი მიუთითებს ელინეკის არაორგანული თეორიის მცდარობაზე, რომლის თანახმადაც “ხალხის ნება” გაიგივებულია “სახელმწიფოს ნებასთან”. სახელმწიფოს გაერთიანებული ნება, ე.ი. ხალხის ნება, წარმოადგენილი იყო გაერთიანებული სახელმწიფო პერსონალობის, ზოგადად კი, სამართალსუბიექტობის არსად. სამართლებრივი ნების ფორმირება და განსაზღვრა ხდებოდა სოციო-ფსიქოლოგიური საშუალებით, რამაც შეცდომით აზიარა სოციოლოგია იურისპრუდენციას. ფონ გირკეს კონცეფცია, კოლექტიური შეგნების მეშვეობით სახელმწიფოს ნების, როგორც კოლექტიური ნების ჩამოყალიბების შესახებ, კიდევ უფრო მეტად ეწინააღმდეგება კელზენის პრინციპს, რომელიც ეხება განსხვავებას არსებულსა და აუცილებელს შორის. გირკე სახელმწიფო ნებად

---

<sup>98</sup> H.Kelsen, Introduction to the Problems of Legal Theory (1992), transl. of the 1st ed.(1934) of the Reine Rechtslehre: Einleitung in die Rechtswissenschaftliche Problematik, S. Paulson and B. Litschewiski Paulson(Eds.) Clarendon Press.Oxford.p.116-117.

<sup>99</sup> Ibid. p.122-124

განიხილავს მასობრივ ფსიქოლოგიურ ფაქტს. კელზენის შეხედულების მიხედვით კი, საზოგადოების სახელმწიფოსთან იდენტიფიცირება აშკარა შეცდომას წარმოადგს, ვინაიდან საზოგადოება ეროვნულ-ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიური ერთობაა, სახელმწიფო კი არა<sup>100</sup>. მისი აზრით აქ სახელმწიფოს ორგანული კონცეფციაც სცოდავს და ერთმანეთში ურევს სოციალურსა და სამართლებრივს. კელზენი უარყოფს მეტაფიზიკური კოლექტიური ნების ორგანული ერთობის იდეას და მას სოციოლოგიურ ფაქტად აცხადებს, რომელიც გამოუდგარს საფუძველია სამართლებრივი კონსტრუქციისათვის. მულტინაციონალური იმპერიის, შემდეგ კი, დაყოფილი რესპუბლიკის სოციო-პოლიტიკური კონტექსტი, კელზენს აიძულებს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა შეიმუშავოს, - “სახელმწიფოს ნება, თავად არის მართლწესრიგი”.<sup>101</sup> ამ ხატოვან გამონათქვამს, კელზენი იყენებს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის გამოსახატად, რომლის მეშვეობითაც იქმნება კანონმდებლობა. იგი დაბეჯითებით უარყოფს სახელმწიფოს ნებისმიერ განსაზღვრებას, გარდა სამართლებრივისა. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის მრავალფეროვნება და მოსაზრებათა პლურალიზმი, რომელიც განუყოფელია იმ პერიოდის ავსტრო-ვენური პოლიტიკური პრობლემების, სოციალური არასტაბილურობისა და რელიგიურ, ნაციონალისტურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის არსებული ანტაგონიზმისაგან. ასეთ ვითარებაში, სახელმწიფოს ერთიანობისა და სტაბილურობისათვის უმჯობესია ნეიტრალური განსაზღვრების მოძებნა. სწორად ამიტომ ანიჭებს კელზენი უპირატესობას სახელმწიფოს წმინდა სამართლებრივ განსაზღვრებას. იგი სახელმწიფოს აიგივებს იძულებით წესრიგთან - მართლწესრიგთან. სახელმწიფო როგორც ნორმატიული წესრიგი, არის კელზენის პასუხი სახელმწიფოს იდენტურობისა და ძალაუფლებასან დაკავშირებულ საკითხებზე. მოგვიანებით, კელზენი თავის “სამართლის წმინდა თეორიაში”, სახელმწიფოს განსაზღვრავს არა როგორც ერთობას, არამედ სახელმწიფოს ეროვნული მართლწესრიგის პერსონიფიკაციას, რომელსაც მივყავართ

---

<sup>100</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p. 169; H.Kelsen, *Hauptprobleme der Staatsrechtslehre*(1911) p.165.

<sup>101</sup> H.Kelsen, *Introduction to the Problems of Legal Theory* (1992), transl. of the 1st ed.(1934) of the *Reine Rechtslehre: Einleitung in die Rechtswissenschaftliche Problematik*, S. Paulson and B. Litschewiski Paulson(Eds.) Clarendon Press.Oxford. p.104

სახელმწიფოსა და სამართლის იდენტურობასთან. სამართლის გაიგივება სახელმწიფოსთან, უკანასკნელს აქცევს სამართლის სუბიექტად და ბუნებით, სხვა სამართლის სუბიექტებს უტოლებს -“*Die Person des Staates is nur in vergrößtem Maßstabe was jede andere juristische Person, aber auch jede physische Person ist: die Persönification von Rechtsnormen*”.<sup>102</sup> კელზენი, სახელმწიფოს წმინდა ნორმატიული ტერმინებით განსაზღვრავს და მიზნად ისახავს არ დაუმვას სამართლის არასწორი გამოყენება სახელმწიფო ქმედებების გასამართლებლად. დასასრულს იგი ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამართალია სახელმწიფოს არსებობის საფუძველი. სხვა სიტყვებით, სამართალი ბატონობს ძალაუფლებაზე, ხოლო საერთაშორისო სამართალი უფლებამოსილებით აღჭურავს სახელმწიფოს. საერთაშორისო სამართლის სისტემაში, სახელმწიფო ”ქვესისტემას” წარმოადგენს და შეზღუდულია საერთაშორისო სამართლით. რაც შეეხება კელზენის სუვერენიტეტის კონცეფციას, იგი უარყოფს სუვერენიტეტს, როგორც სახელმწიფოს ექსკლუზიურ ატრიბუტს და მის გამოყენებას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს გამოხატულებად. იგი მას მცდარ, საერთაშორისო სამართალთან არათავსებად პრინციპად მიიჩნევს. ამგვარად, იგი განერიდება სუვერენიტეტთან დაკავშირებულ ტრადიციულ პირობითობას. მეორეს მხრივ, კელზენი ხელახლა ამუშავებს სუვერენიტეტის კონცეფციას საერთაშორისო სამართლის უპირატესი მნიშვნელობის გამოსაამკარავებლად და ამ მიზნით ინარჩუნებს სუვერენიტეტს თავისი თეორიის შემადგენელ ნაწილად. ნაშრომში „სუვერენიტეტის პრობლემა და საერთაშორისო სამართლის თეორია“ „*Das Problem der Souveränität und die Theorie des Völkerrechts*“, კელზენი იძლევა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემის სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სამართლებრივ სისტემის სუვერენიტეტს შორის. პირველ შემთხვევაში, არჩევანი გასაკეთებელია სუბიექტურ და ობიექტურ კოგნიტურ პერსპექტივას შორის. პირველ პერსპექტივას, მაშასადამე სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის უპირატესობას, მივყავართ სოლიპსიზმამდე: სუვერენული სახელმწიფო წესრიგის პერსპექტივა სახელმწიფოებს არწმუნებს სხვა სახელმწიფოები განიხილონ, საკუთარი სახელმწიფო წესრიგის შემადგენელ ნაწილებად - (*Teilordnungen*), იმ პირობით, რომ იგი დანარჩენ სახელმწიფოთა მართლწესრიგზე

---

<sup>102</sup>H.Kelsen, *Das Problem der Souveränität und die Theorie des Völkerrechts* (1920)p.20.



ვრცელდება როგორც საყოველთაო წესრიგი.<sup>103</sup> საერთაშორისო სამართლის უპირატესობის ობიექტივისტურ თეორიაში კი, ცალკეული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა, საერთაშორისო სამართლის სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კელზენი სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ძალაუფლების საკითხს ახალ, სამართლის უზენაესობის ელფერს სძენს, რითაც შემდეგ ეპისტემოლოგიურ საკითხს სვამს – უზენაესობა ეროვნული (შიდასახელმწიფოებრივი) სამართლისა თუ საერთაშორისო სამართლისა? საბოლოოდ იგი არჩევანს არც ერთ პერსპექტივაზე არ აჩერებს, ორთავე განაგრძობს თანაარსებობას, რის შედეგადაც საერთაშორისო სამართალი ამბივალენტურ, გარდამავალ მდგომარეობაში არსებობს. მიუხედავად ამისა, კელზენს მიაჩნია, რომ გარკვეული პროგრესი ობიექტივისტური მიმართულებით მაინც შეიმჩნევა. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტზე სრულად უნდა ითქვას უარი და ყურადღება უნდა გამახვილდეს ჭეშმარიტად საერთაშორისო სამართლის საზოგადოებისა და *ivitas maxima*-ს გნებავთ მსოფლიო სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, იგი სუვერენიტეტის პრობლემას, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემად აღიქვამს. იგი უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო მართლწესრიგის აღმატებულებას შიდასახელმწიფოებრივ მართლწესრიგზე, თუმცა ორთავეს, ერთი უნივერსალური წესრიგის ნაწილად მიიჩნევს. ამით იგი უარყოფს ტრადიციულ დუალისტურ შეხედულებას, მაგრამ აგრეთვე უარყოფს მონისტურ შეხედულებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის უპირატესობას ქადაგებს. კელზენის მონისტური კონსტრუქცია აგებულია უნივერსალური (საყოველთაო) სამართლებრივი სისტემის იერარქიულ წესრიგზე. სამართლის ამგვარ იერარქიაში, სამართლებრივი რეჟიმის ერთიანობა დამოკიდებულია ძირითად ნორმაზე, როგორც კანონიერების პირველად საფუძველზე, რომელიც აწესებს ნორმათა ამგვარ ერთობლიობას. სხვა სიტყვებით, ზემდგომი ნორმა განსაზღვრავს ქვემდგომი ნორმის წარმოშობის როგორც პროცესს, ისე შინაარსს. ამგვარი საყოველთაო მართლწესრიგი, რომელიც ვრცელდება ძირითადი ნორმიდან - (*Grundnorm*) ინდივიდუალურ ურთიერთობამდე, იძლევა საჯარო და კერძო სამართალს შორის

---

<sup>103</sup> Ibid. p. 315

დუალიზმის საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას. 1934 წელს, კელზენი ერთ-ერთ თავის ნაშრომში ასკვნის, რომ “სამართლის სუბიექტის კონცეფცია, უბრალოდ არის გარკვეულ მოსაზრებათა ხელოვნური ხელშეწყობა, ევრისტიული კონცეფცია, შექმნილი სამართლებრივი შემეცნებით – სამართლის ანთროპომორფული ენის წნეხქვეშ “სუბიექტი” უბრალოდ იქცა სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების კომპლექსურ ნორმათა ერთობლიობის პერსონიფიცირებულ განსახიერებად.”<sup>104</sup> სახელმწიფო როგორც სუბიექტი მოიაზრება სრულყოფილი სამართლის სისტემური ერთობის გამოვლინებად. 1932 წელს, კელზენი უპირისპირდება საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონვენციურ-რესტორაციულ კონცეფციას. მისი თვალსაზრისით, მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა არის მცდარი, ვინაიდან იგი ემყარება მოძველებულ მტკიცებას სახელმწიფოს სუბსტანციური, მეტა-ლეგალური არსებობის შესახებ. კელზენი ასევე უარყოფს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის კონვენციურ მნიშვნელობას. მის მიერ სამართლის სუბიექტის ძველი კონცეფციის, როგორც თავისუფლების პოსტულატის ჰიპოსტატიზაციის უარყოფა, იმავდროულად უარყოფს ჰეგელის იდეას ინდივიდუალური თავისუფლების შესახებ, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ სახელმწიფოს შემადგენლობაში შეუძლია ადამიანს თავისუფლების, ინდივიდუალურობისა და მორალურობის რეალიზება; რომ თვითშეგნება და ინდივიდუალური თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიურად, რაციონალური სახელმწიფო საზოგადოების პირობებში. სწორად ეს არის თავისუფლების იდეა, რომელიც ჭარბობს სამართლის სუბიექტისა და სახელმწიფოს სამართალსუბიექტობის კონცეფციაში. კელზენი საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის დამცველია და მიაჩნია, რომ სხვადასხვა ჯგუფთა მრავალფეროვნების არსებობისას, ხალხის ერთობა არ შეიძლება ემყარებოდეს სოციალურ ფსიქოლოგიას, არამედ უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციულ წარმომადგენლობას და მართლწესრიგს. დემოკრატიისა და ინდივიდუალური თავისუფლების დასაცავად აუცილებელია სახელმწიფოსა და სუბიექტის

---

<sup>104</sup> H.Kelsen, Introduction to the Problems of Legal Theory (1992), transl. of the 1st ed.(1934) of the Reine Rechtslehre: Einleitung in die Rechtswissenschaftliche Problematik, S. Paulson and B. Litschewiski Paulson(Eds.) Clarendon Press.Oxford.p.375- 377.

ახალი კონცეფციის შემუშავება. ინდივიდისა და მასების დაპირისპირების შედეგად წარმოშობილ საფრთხეს, უპირისპირდება დემოკრატიისა და ინდივიდუალური უფლება-მოვალეობების დაცვის მცდელობით განპირობებული სამართლისა და სახელმწიფოს სრულყოფა. კელზენი თავს უყრის და ერთმანეთს უთავსებს ტოლერანტობის, რელატივიზმისა და დემოკრატიის ფასეულობებს. სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმის ძირითადი მახასიათებელი არის ხალხის საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა... სახელმწიფოს ნება არანაკლებად არის გამოხატული სასამართლო გადაწყვეტილებების ინდივიდუალურ ნორმებში, ვიდრე სტატუტების ზოგად ნორმებში და თუ ერთავე, კერძო სამართლის სუბიექტური უფლება და პოლიტიკური უფლება შეიძლება გაერთიანდეს ერთი და იმავე სამართლებრივი უფლების კონცეფციაში, ეს იმიტომ, რომ მათ გააჩნიათ ერთი და იგივე – სამართალშემოქმედებითი – ფუნქცია.<sup>105</sup> ეს სამართლებრივი უფლება-მოვალეობები კანონით არის დადგენილი და სუბიექტის კონცეფცია გამოიყენება ამ ნორმათა კომპლექსური ერთობის გამოსახატად. სუბიექტში კელზენი გულისხმობს ე.წ. ათვლის წერტილს - (*Zurechnungspunkt*). ფიზიკური და იურიდიული პირის ერთ სუბიექტში გაერთიანებით, იგი გარდაიქმნება შემეცნებისათვის საჭირო ფუნქციურ კონცეფციად. ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით, სუბიექტობის კონცეფციის შემეცნების ინსტრუმენტად გამოიყენება “*durchgangspunkt des denkens*” ლეგიტიმურად მიიჩნევა “*Der Begriff der Rechtssubjektes ist ein erkenntnistheoretische Fiction der Rechtswissenschaft*”. კელზენი ამბობს: „სამართალსუბიექტობის კონცეფცია სამართალმცოდნეობის შემეცნებით თეორიული ფიქციაა.“<sup>106</sup> სახელმწიფოსა და მართლწესრიგის გაიგივებით, იგი სახელმწიფოს აბსოლუტურ კომპეტენციას საერთაშორისო სამართალს უქვემდებარებს და ამავე სამართლით ზღუდავს. ყოველი ინდივიდი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით სარგებლობს სუბიექტობით, მონაწილეობს სახელმწიფოს ნების ფორმირებაში, ე.ი. სამართალშემოქმედებაში. სახელმწიფოს საერთაშორისო

---

<sup>105</sup> Ibid. p. 46

<sup>106</sup> Kelsen, H., Zur Theorie der juristischen Fiktionen(1919), in Klecatsky and Marcic and Schambeck (Eds.), Die Wiener rechtstheoretische Schule: Schriften von Hans Kelsen, Adolf Merkl, Alfred Verdross, at (1968) s. 1216-1218.

სამართალსუბიექტობა, როგორც ღვთაებრივობის საფარი წყვეტს არსებობას. ამის ნაცვლად, სახელმწიფო იქცევა სამართლის სუბიექტად – საერთაშორისო სამართლის ქვესისტემად. ხორციელდება სუბიექტობის დემითოლოგიზაცია და საერთაშორისო სამართალსუბიექტობა მისაღები ხდება მხოლოდ როგორც სამართლებრივი კონსტრუქცია. ამით ხერხდება დუალიზმისა და სამართლის თეორიაში მასთან დაკავშირებული მითოლოგიური თუ მეტაფიზიკური ელემენტების დაძლევა.

XX საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში, საფრანგეთში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთმიმართების საკითხების შესახებ მიმდინარე დებატების, კერძოდ კი, მესამე რესპუბლიკაში საპარლამენტო დემოკრატიის კრიზისთან და რესპუბლიკის პრეზიდენტის სტატუსთან და ფუნქციებთან დაკავშირებული დავის ძირითად საფუძველს, წარმოადგენს სახელმწიფო სუბიექტობის კონცეფციის და ეროვნული სუვერენიტეტის თეორიული საკითხები. გერმანული სახელმწიფო თეორიების ეს მნიშვნელოვანი კონცეფციები, მუშავდება ფრანგი მკვლევარების მიერ და გამოიყენება მესამე რესპუბლიკის საფუძვლებისა და მისი პოლიტიკურ-ინსტიტუციური პრობლემების დასაძლევად. პრაქტიკული პოლიტიკური პრობლემებით განპირობებულმა კონსტიტუციურმა საკითხებმა, რომლებიც იწვევენ ახალგაზრდა დემოკრატიის დესტაბილიზაციას, გამოააშკარავეს, რომ პოლიტიკური ინსტიტუციურ-ორგანიზაციული მოსაზრებები, ფეხდაფეხ მისდევს სახელმწიფო სუბიექტობის თეორიებს. საფრანგეთის ისტორიის ეს პერიოდი ხასიათდება პოლიტიკურ-ინსტიტუციური დისბალანსით, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის დაპირისპირებით, რაც საბოლოოდ, საპარლამენტო აბსოლუტიზმში იკვეთება. 1875 წლის, საკონსტიტუციო კანონები, როგორც დროებითი ნორმები, მიზნად ისახავენ დროებითი კომპრომისის მიღწევას რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის. ამგვარი კომპრომისის ფონზე, შეიმჩნევა ფუნდამენტური ინდივიდუალური უფლებების უგულვებელყოფა. პარლამენტის დომინირება ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას და იწვევს ხშირ დაპირისპირებას კანონმდებელსა და აღმასრულებელს შორის. საკმარისია გავიხსენოთ ე.წ. ბულანჟესა (Boulangier Affair 1886-89) და დრეიფუსის (Dreyfus affair 1894-1906) საქმეები. გენერალ ბულანჟეს საქმე გადაიზარდა პრეზიდენტის ძალაუფლების განმტკიცების და

სენატის გაუქმების მოთხოვნით გამოწვეულ საპარლამენტო კრიზისში. დრეიფუსის საქმემ კი, განსაკუთრებით გამოამჟღავნა სახელმწიფოს მიერ განცდილი მარცხი და ამ მარცხით გამოწვეული ინდივიდუალური უფლებების გათელვა. საბოლოოდ სწორად დრეიფუსის საქმის შედეგებმა გამოაშკარავეს ინდივიდუალური უფლებების, დემოკრატიული პროცედურებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი პირობების დანერგვის აუცილებლობა. კიდევ ერთი პოლიტიკური ინციდენტი, რომელიც მოწმობს მესამე რესპუბლიკაში ხელისუფლების შტოებს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებზე, არის 1924 წლის, *Cartel des Gauches* (მემარცხენეთა კარტელის) საქმე, როდესაც უფლებამოსილების გადამეტების მოტივით, პრეზიდენტი მილერანი აიძულეს დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. ადრეული ოცდაათიანი წლების საფრანგეთის საერთაშორისო პოლიტიკური არამდგრადობა და ეკონომიკური კრიზისი აღრმავებს პოლიტიკოსებზე ზეწოლას და ხელს უშლის მათ, ადექვატურად გამოეხმაურონ სოციალურ საჭიროებებს. იმ პოლიტიკურ კრიზისს, რომელშიც საფრანგეთის დემოკრატია და ფრანგული სახელმწიფო აღმოჩნდა, თან სდევს დებატები რესპუბლიკის პოლიტიკურ-ინსტიტუციური სტრუქტურის და მისი რეფორმირების საჭიროების შესახებ. ამ პროცესში ხშირად დომინირებს ინტელექტუალური საკითხები. მეოცე საუკუნის ადრეულ ოცდაათიან წლებში, ლე ფური და ბართელემი (L. Le Fur; J.Barthelemy,) ანალიზებენ საფრანგეთის დემოკრატიის კრიზისს და დემოკრატიის გადარჩენის მიზნით, ემხრობიან აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას. ლეონ დუგუი კი, დემოკრატიისა და პირადი თავისუფლებების დაცვის იდეებით გამსჭვალული, საპირისპიროს ამტკიცებს. თუმცა, ამ დებატების ორივე მხარე თანხმდება, რომ დემოკრატიის მარცხისა და ინდივიდუალური თავისუფლებების ხელყოფის შესაჩერებლად, აუცილებელია ფუნდამენტური ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება. 1931 წელს, თავის ნაშრომში „თანამედროვე დემოკრატიის კრიზისი“ „*La crise de la democratie contemporaine*“, რომელიც წარმოადგენს კრიზისში მყოფი ევროპული დემოკრატიების შედარებით ანალიზს, ბართელემი წერს, რომ საფრანგეთის კრიზისი განპირობებულია საპარლამენტო დემოკრატიისა და ინდივიდუალიზმის დაცემით. ინდივიდუალიზმს საფრთხეს უქმნის სინდიკალიზმი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ინდივიდუალური სოციალურ-

პოლიტიკური მორალის დაკნინების ხარჯზე, ჯგუფური ინტერესებისთვის ბრძოლას.<sup>107</sup> 1934 წელს, ლუი ლე ფური თავის ნაშრომში “დემოკრატია და სახელმწიფო კრიზისი“, „*La democratie et la crise de l'Etat*“ აღნიშნავს, რომ დემოკრატიაში უპირატესი არა პოლიტიკა, არამედ სამართალია. უმრავლესობის დომინირებისაგან ინდივიდუალური მოქალაქის ავტონომიური ნების დასაცავად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მორალსა და სამართალს და არა უმრავლესობას. ლე ფურს მიაჩნია, რომ დემოკრატიისა და ინდივიდუალური ინტერესების დასაცავად საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცება, რის საუკეთესო საშუალებასაც სახელმწიფო მეთაურის პირდაპირი არჩევა წარმოადგენს. საპარლამენტო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები ითხოვენ დაუყოვნებელ ინსტიტუციურ რეაგირებას.<sup>108</sup>

ვიდრე საერთაშორისო სამართალსუბიექტობის სელის (Georges Scelle) კონცეფციას განვიხილავდეთ, მნიშვნელოვანია ლეონ დუგუის (Léon Duguit) თეორიული მოსაზრებებს გავეცნოთ, ვინაიდან ისინი გარკვეულწილად განაპირობებენ სელის მოსაზრებებს. დუგუი იმ მკვლევართაგანია, რომელიც ემხრობა ინდივიდუალური თავისუფლებებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან მოქალაქის დაცვის უზრუნველსაყოფად, კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების პროცედურას. დუგუი თვლის, რომ ფრანგული დემოკრატიისათვის ხიფათის შემცველი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა, ითხოვს ახლებურ, მეტად ფუნდამენტურ მიდგომას, ვიდრე ამას ისეთი კონვენციური თეორიები გვთავაზობენ, რომლებიც ითავისებენ სახელმწიფო-პერსონისა და მისი სუვერენიტეტის უფლების არარეალისტურ ცნებებს. რეალიზმის, ინდივიდუალიზმისა და დემოკრატიის დაცვის განზრახვით შებყრობილი დუგუი, უარყოფს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და პერსონალობის ცნებებს. მას მიაჩნია, რომ ნამდვილია მხოლოდ ინდივიდუალური გონი და ნება. სჯერა, რომ არ არსებობს ეროვნული და კოლექტიური ნება და რომ სამართლის ნამდვილი წყარო სოციალური სოლიდარობაა.<sup>109</sup> იგი აგრეთვე თვლის, რომ დემოკრატია

<sup>107</sup> J.Barthélemy, *La crise de la democratie contemporaine*(1931)p.146.

<sup>108</sup> L.Le Fur, *La democratie et la crise de l'Etat*. (1934), in *Les Grands Problemes du Droit* (1937) p.577-581.

<sup>109</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p. 209

ითხოვს ინდივიდუალურობასა და ინდივიდუალური თავისუფალი ნების ძალაუფლებისაგან და სახელმწიფოსაგან დაცვას. გარდა ამისა, დუგუი ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ერის სუვერენულ ნებას მანდატის მეშვეობით გამოხატავს პარლამენტი. მისი თვალსაზრისით, ნების დელეგირების ფიქცია უნდა ჩაანაცვლოს სოციალური სოლიდარობის ფაქტმა, რაც მმართველთა (ხელისუფალთა) მიერ ხალხის წარმომადგენლობის საფუძველია.<sup>110</sup> მიუხედავად ამისა, 1875 წლის კონსტიტუციის ფილოსოფიის მიხედვით, პალატის დეპუტატები ხალხის წარმომადგენლებად გვევლინებიან, ხოლო ერს აქვს სუვერენიტეტის უფლება, რომელსაც იგი ახორციელებს მანდატების მქონე დელეგატთა მეშვეობით. გარდა ამისა, პალატა (პარლამენტი), მის წევრთა სუბიექტობისგან დამოუკიდებლად, თავად სარგებლობს სამართალსუბიექტობით. დუგუის თქმით, იმ შემთხვევაში თუ პარლამენტის კოლექტიური სუბიექტობა მანდატების მეშვეობით, სუვერენულ ეროვნულ სუბიექტობას განასახიერებს, პარლამენტის წევრთა ინდივიდუალურობა შთაინთქმება პარლამენტის კოლექტიური სუბიექტობით და იწვევს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაქრობას<sup>111</sup>. დუგუი არაერთხელ უარყოფს სუვერენიტეტს, როგორც სუბიექტურ უფლებას. მისი მტკიცებით, სუბიექტური უფლებები არ არსებობს. ელექტორატის ინდივიდუალურ წევრებს არ აქვთ ხმის მიცემის სუბიექტური უფლება. მათ მხოლოდ ხმის მიცემის ობიექტური მოვალეობა გააჩნიათ, რაც მათ არჩევნებში მონაწილეობის კომპეტენციას ანიჭებს.<sup>112</sup> დუგუის თეორიაში, წარმომადგენლობა ეფუძნება სოლიდარობის პრინციპს. პოლიტიკური რეპრეზენტაცია დამყარებულია პარლამენტის ინდივიდუალურ წევრებსა და ელექტორატის ინდივიდუალურ წარმომადგენლებს შორის სოლიდარობაზე. სახელმწიფოს სუბიექტობის კონცეფციაზე დამკვიდრებული თეორიების საპირისპიროდ, დუგუი ინარჩუნებს დეპუტატის ინდივიდუალურობისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თეზას. მის სამართლებრივ-პოლიტიკურ

---

<sup>110</sup> L. Duguit, *L'Etat, Les Gouvernants et Les Agents*. Paris, Ancienne Librairie Thorin Et Fils. Albert Fontemoing, Editeur (1903) p. 8-9; 15-16.

<sup>111</sup> L. Duguit, *L'Etat, Les Gouvernants et Les Agents*. Paris, Ancienne Librairie Thorin Et Fils. Albert Fontemoing, Editeur (1903) p.150.

<sup>112</sup> *Ibid.* p. 127-128

თეორიაში, ინდივიდუალიზმი და რეალიზმი თანაბრად არის წარმოდგენილი. სოლიდარობის უნარი მხოლოდ ინდივიდუალურ ადამიანს გააჩნია. მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური შეგნების მქონე ინდივიდუალურ არსებას შესწევს სოციალიზაციის უნარი და საზოგადოებრივი მიზნისათვის ნებითი ქმედების განხორციელება. ინდივიდუალური ადამიანები გვევლინებიან სოციალური მსოფლიოს ერთადერთ რეალობად.<sup>113</sup> კოლექტიური შეგნება, კოლექტიური ნება და კოლექტიური პერსონალობა უბრალოდ არ არსებობს: სახელმწიფოებს, ერებს, ტომებს ან სხვა რაიმე ჯგუფებს არასდროს ექნებათ სამართალსუბიექტობა. ფაქტობრივად ამ თეორიაში სრულად არის უარყოფილი სუბიექტურ უფლებათა არსებობა. არსებობს მხოლოდ ობიექტური სამართალი და მიმართულია ინდივიდუალური ცნობიერებისა და ნებისაკენ. ამგვარ პერსპექტივაში, სამართლის ვოლუნტარისტული საფუძველი გაქარწყლებულია. სამართალი არ წარმოადგენს სუვერენული ეროვნული ნების განმკარგველ ძალას.<sup>114</sup> ობიექტური სამართალი, სოციალური სოლიდარობიდან აღმოცენებულ, ობიექტურ სოციალურ რეალობადაა მიჩნეული. იგი სოციალური სოლიდარობის “მარადიულად ცვალებადი” პროდუქტია.<sup>115</sup> სოციალური სოლიდარობით განპირობებული სამართალი, ძალაუფლების გამოვლინების სანაცვლოდ, მის შემზღვევად ძალად არის წარმოჩენილი. საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ნება შესაძლებელია შედგებოდეს მხოლოდ ხელმძღვანელთა ინდივიდუალური ნებისაგან. ხოლო ყოველი ნება, ინდივიდუალური თუ საზოგადო, ექვემდებარება სამართალს, რომლისგანაც იგი აღიჭურვება ძალითა და ვალდებულებით.<sup>116</sup> მიუხედავად იმისა, რომ დუგუი არ ეთანხმება სუბიექტური უფლებების არსებობას, იგი იცნობს სამართლის სუბიექტს. თუმცა უნდა ითქვას, რომ სუბიექტური უფლებების მატარებლის კლასიკურ მნიშვნელობას, იგი ობიექტური სამართლის წესებს დაქვემდებარებული ინდივიდის მარტივი ცნებით ანაცვლებს. იქიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ ინდივიდს შეუძლია შეგნებული, ნებითი ქმედება, ობიექტური სამართალი

---

<sup>113</sup> L. Duguit, *L'Etat, le droit objectif et la loi positive*. Paris, Ancienne Librairie Thorin Et Fils. Albert Fontemoing, Editeur (1901)p.29.

<sup>114</sup> Ibid. p. 255

<sup>115</sup> Ibid. p. 428

<sup>116</sup> L. Duguit, *L'Etat, Les Gouvernants et Les Agents*. Paris, Ancienne Librairie Thorin Et Fils. Albert Fontemoing, Editeur (1903) p.362.



მიმართულია მხოლოდ ინდივიდისადმი და მას სამართლის ექსკლუზიურ სუბიექტად წარმოაჩენს. დუგუის თვალსაზრისით, სამართლის სუბიექტის სხვაგვარი დაშვება არარეალისტური და მეტაფიზიკურია, ვინაიდან არც ცხოველებსა და არც კოლექტივებს არ შესწევთ სოციალური მიზნების მიღწევის უნარი.<sup>117</sup> როგორც ასეთი, ყოველი ადამიანი ბუნებით სამართლის სუბიექტია და სამართალსუბიექტობა ბუნებრივი რეალობა და არა ადამიანის გონებაში წარმოშობილი ფიქციაა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დუგუი თვლის, რომ მხოლოდ ცალკეული ადამიანი ფლობს სამართალსუბიექტობას, ხოლო სახელმწიფოს არც სამართალსუბიექტობა და არც სამართლებრივი უნარი არ გააჩნია. სახელმწიფო უბრალოდ არის მისი მმართველები (*gouvernants*), რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ფუნქციებს. მისი შეხედულებანი პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერდამოკიდებულებზე, უკავშირდება სამ თეორიულ ელემენტს<sup>118</sup>: 1. სახელმწიფოს სუბიექტობის და სუვერენიტეტის უარყოფას; 2. სახელმწიფოს იდეის, მისი მმართველების რეალობამდე დაყვანას და სამართლებრივ ჩარჩოში სოციალური სოლიდარობის რეალიზების ფუნქციით მათ აღჭურვას; 3. კანონისადმი თანაბრად დაქვემდებარების პირობით, მმართველთა და მართულთა ძალაუფლების ფაქტიური ელემენტით განსხვავებას. დუგუის ზემოხსენებული პოლიტიკური და ინტელექტუალური მოსაზრებები, სელის არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ახალ მიდგომად, არამედ სამართლის ამ დარგის აღორძინებად მიაჩნია.<sup>119</sup> ერთა ლიგისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებით განპირობებული საერთაშორისო სამართლის ახალი რეალობა, იბყრობს სელის ყურადღებას. იგი ხაზს უსვამს საერთაშორისო ინსტიტუციონალიზაციის შემდგომი განვითარების აუცილებლობას. ამ პერიოდის საერთაშორისო სამართლის სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სამართალი რეალურად არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს, ვინაიდან იგი მოკლებულია კანონშემოქმედებით და აღმასრულებელ მექანიზმებს. სელი არ ეთანხმება

---

<sup>117</sup> Ibid. p. 451

<sup>118</sup> L. Duguit, *L'Etat, le droit objectif et la loi positive*. Paris, Ancienne Librairie Thorin Et Fils. Albert Fontemoing, Editeur (1901)p.227-241, 266-267.

<sup>119</sup> G. Scelle, *La doctrine de L. Duguit et les fondements du droit des gens*, 1-2 Archives de Philosophie du droit et de Sociologie juridique (1932).p.84.

ამგვარ არგუმენტაციას და აცხადებს, რომ სამართალი არა განკარგულება, არამედ სოციალური სოლიდარობის პროდუქტია. გარდა ამისა, სელის მტკიცებით, საერთაშორისო სამართალი ეროვნულ მთავრობებს ანიჭებს უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, რითიც მათ საერთაშორისო კომპეტენტურობასა და ეფექტიანობას სძენს. საერთაშორისო ინსტიტუციონალიზაციის შესახებ სამართლის საკუთარ თეორიას, სელი აფუძნებს ფუნქციური დუბლირების (*dédoublement fonctionnel*) ცნობილ პრინციპზე. საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების რეალობიდან გამომდინარე, სელისათვის გლობალური სოლიდარობის გამომხატველი საერთაშორისო ნორმების არსებობის უარყოფა აბსოლუტურად შეუძლებელია. მისთვის, საერთაშორისო გლობალური საზოგადოება არ არის სახელმწიფოთაგან შემდგარი საზოგადოება. მას იგი “ანთროფომორფულ იდეას” უწოდებს.<sup>120</sup> სელის თვალსაზრისით, გლობალური საზოგადოება ინდივიდების საზოგადოებაა – (*la société humaine universelle*). იგი შედგება სხვადასხვა პოლიტიკური კოლექტივის წევრთა ინდივიდთაშორისი ურთიერთობებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულებისა და გლობალური სოლიდარობის მეშვეობით. სელის მიაჩნია, რომ შიდასახელმწიფოებრივი წესრიგის მსგავსად, სადაც კონსტიტუციური სამართლით გათვალისწინებული ინსტიტუტები და პროცედურები არეგულირებენ ძალის გამოყენებას, გლობალური საზოგადოებაც ასევე ითხოვს ფედერაციულ მოწყობას (*l'organisation federative*). არსებობს ფედერალიზაციის პროცესის ნორმატიული და ინსტიტუციური მხარე. ინსტიტუციური ფედერალიზაცია, ინსტიტუტებისა და რეგულაციების დამკვიდრების მეშვეობით საზოგადოების ტრანსფორმაციის გრძელი, რთული და კომპლექსური პროცესია. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე საერთაშორისო საზოგადოების ფედერალიზაციას ეხება. ნორმატიული ფედერალიზმი ან საერთაშორისო სამართალი, ამგვარი ტრანსფორმაციის ნორმატიული ინსტრუმენტია. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, ზოგადად მიმართულია გლობალური საზოგადოების ინდივიდუალური წევრებისადმი, ხოლო კონკრეტულად, ისინი მიმართულია მმართველებისადმი. საერთაშორისო ნორმატიული ფედერალიზმის, საერთაშორისო ინსტიტუციურ ფედერალიზმად გარდასახვისათვის, სამართლებრივმა

---

<sup>120</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. I, Introduction, le milieu intersocial(1932) p.28.

სისტემამ უნდა განსაზღვროს და განაპირობოს კომპეტენციები ფედერალურ სისტემაში. კომპეტენციების განსაზღვრისა და მათი ხელისუფალთათვის მიკუთვნებით, სისტემას ეძლევა ერთის მხრივ, ფედერალური ან გლობალური სოლიდარობის, ხოლო მეორეს მხრივ, ლოკალური, ადგილობრივი სოლიდარობის დიფერენციაციის საშუალება. სელი მიიჩნევს, რომ საზოგადოებათა და მართლწესრიგთა იერარქია, სუბორდინაციის პრინციპი, გვკარნახობს ფედერალური ან გლობალური სოლიდარობის უპირატესობას. რაც შეეხება სახელმწიფოს კონცეფციისადმი სელის დამოკიდებულებას, დუგუსის მსგავსად იგი უარყოფს სახელმწიფო სუბიექტის არსებობას. კოლექტიურ გონს და მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კოლექტივი რეალობაა, იგი ფანტაზიად მიიჩნევს<sup>121</sup>. სელი ილაშქრებს სახელმწიფოთა ექსკლუზიური ძალაუფლების წინააღმდეგ, რომელიც ყოველთვის აკნინებს საერთაშორისო სოლიდარობას. ხშირად სახელმწიფოთა პოზიტიური სამართალი დაბრკოლებას წარმოადგენს ადამიანური სოლიდარობის ბუნებრივი განვითარებასათვის, რითაც ხელს უშლის ობიექტური სამართლის აღქმასა და მიმღებლობას.<sup>122</sup> როგორც ყველა პოლიტიკური საზოგადოება, სახელმწიფო შედგება მრავალი ინტერსოციალური ჯგუფის იერარქიული ერთობისაგან.<sup>123</sup> ეს ერთობა არ არის სამართლის სუბიექტი, მას არ გააჩნია დამოუკიდებელი გონი და მისი ინდივიდუალური წევრებისაგან დამოუკიდებელი სუბიექტური ნება. რასაკვირველია სახელმწიფო არსებობს, მაგრამ არა როგორც “პერსონალური რეალობა”, არა როგორც ნამდვილი სუბიექტი, არამედ არსებობს სოციალურ-პოლიტიკური ფენომენის და მმართველთა (*gouvernants*) კოლექტიური კომპეტენციების სახით.<sup>124</sup> სელი იზიარებს დუგუსის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელისუფალთა, ლიდერთა ჯგუფია – (*L’Etat c’est un groupe de gouvernants*).<sup>125</sup> სახელმწიფო არა უბრალოდ სამართლებრივი, იურიდიული ცნება, არამედ იმ ფაქტობრივი ელემენტებისაგან შემდგარი ერთობაა, რომელთა საფუძველზე საერთაშორისო სამართალი

<sup>121</sup> G.Scelle, La doctrine de L.Duguit et les fondements du droit des gens, 1-2 Archives de Philosophie du droit et de Sociologie juridique (1932),p.85.

<sup>122</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. I, Introduction, le milieu intersocial(1932) p.34.

<sup>123</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. II, Droit Constitutionnel International(1934) p.5.

<sup>124</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. I, Introduction, le milieu intersocial(1932) p.10.

<sup>125</sup> Ibid. p.62

ცნობს ხელისუფალთა კომპეტენციებს.<sup>126</sup> ყველა კოლექტივთან შედარებით, სახელმწიფო ყველაზე მეტად ორგანიზებული და ინსტიტუციონალიზებულია. რაც შეეხება სუვერენიტეტის საკითხს, სელლი აქ რევიზიონისტების შეხედულებებს იზიარებს და უარყოფს სუვერენიტეტის ტრადიციულ კონცეფციას. მას იგი ფიქციად, ლოგიკურ შეცდომად და ობიექტური სამართლისათვის შეუთავსებელად მიაჩნია, რადგანაც „არავის და არაფერს აქვს უფლება თავისი ნება სხვებს მოახვიოს თავს.“<sup>127</sup> გარდა ამისა, სელის თვალსაზრისით, სუვერენიტეტის ტრადიციული კონცეფციის მიხედვით ხელისუფლების ქმედებანი არ ჯდება სამართლის უზენაესობის პრინციპის მოთხოვნებში, აქედან გამომდინარე კი, არადემოკრატიულია და ეწინააღმდეგება სამართალს.<sup>128</sup> სხვაგვარად თუ ვიტყვით, არ არსებობს სუვერენიტეტის სუბიექტური უფლება. მისი არსებობა სამართლის უარყოფის ტოლფასია. სელის თეორიაში სუვერენიტეტი საერთაშორისო სამართლის კუთვნილებაა. სამართლისა, რომელიც იქმნება კაცობრიობის გლობალური სოლიდარობის შედეგად და უპირატესია სამართლის ყველა სხვა დარგზე. „გლობალური საზოგადოების ობიექტური კონსტიტუციური სამართალი განსაზღვრავს კომპეტენციების განაწილებას. ეს არა სუვერენი მმართველის ამოცანა, არამედ საერთაშორისო სამართლის სოციალური ფუნქციაა.“<sup>129</sup> საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებად, სელი სახელმწიფოთა ხელისუფთ მიიჩნევს.<sup>130</sup> სელი ცნობილია თავისი მოსაზრებით იმის შესახებ, რომ მხოლოდ ინდივიდებს გააჩნიათ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა – *“Les individus seuls sont sujets de droit en droit international public”*. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციას სელი ანაცვლებს “კომპეტენციის ფლობის” კონცეფციით. კომპეტენცია ის ძალაა, რომელიც აღიარებულია, შეზღუდულია და გარანტირებულია სამართლით. ამასთან კომპეტენცია ნებითი ძალისხმევით მოქმედებას გულისხმობს, რომლის შესაძლებლობა მხოლოდ ინდივიდებს გააჩნიათ. სწორად ამით იძენენ ისინი სამართალსუბიექტობას.<sup>131</sup> სელის მტკიცებით, ყოველ ინდივიდს, განსაკუთრებით კი მმართველებს, გააჩნიათ კომპეტენცია.

---

<sup>126</sup> Ibid. p.83

<sup>127</sup> Ibid. p.13-14

<sup>128</sup> Ibid. p. 14

<sup>129</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. II, Droit Constitutionnel International (1934) p.6

<sup>130</sup> G. Scelle, Théorie et Pratique de la Fonction Exécutive en Droit International, 55 RCADI 87 (1936-1)p.91.

<sup>131</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. I, Introduction, le milieu intersocial(1932) p.9-10

საერთაშორისო სამართალსუბიექტობის - “კომპეტენციების ფლობად” ე.ი. სამართლებრივი უფლებამოსილების შესაბამის მოქმედებად გადაკეთება, ხელისუფალთა შეზღუდვის საშუალებას იძლევა და აძლიერებს ინდივიდთა პოზიციებს პირად თავისუფლებათა განმტკიცების თვალსაზრისით. ეს კი თავის მხრივ, გლობალური საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს.<sup>132</sup> სელის ამ მოსაზრების თანახმად, იმისათვის, რომ მოქმედება ლეგიტიმურად ჩაითვალოს, ხელისუფალნი და მათი წარმომადგენელნი ვალდებული არიან პატივი სცენ “სამართლის უზენაესობას და აუცილებელ ინდივიდუალურ თავისუფლებებს“ (*le domaine de la superlégalité*).<sup>133</sup> სელის მიერ ხელისუფალთა ამგვარი განმარტება, დუგუის მსგავსად არ უარყოფს საზოგადოებრივი ძალაუფლების მნიშვნელოვან როლს, იგი მხოლოდ ცდილობს შეზღუდოს ეს ძალაუფლება, ვინაიდან ეფექტიანი საზოგადოებრივი ძალაუფლება სოციალური მოწყობის საფუძველია და აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოებრივი სოლიდარობის საკეთილდღეოდ. ფაქტობრივი საზოგადოებრივი ძალაუფლების ლეგიტიმურად განხორციელება, შესაძლებელია მხოლოდ სოციალური სოლიდარობის მიზნების მისაღწევად. ხოლო ქმედითობის გაქრობის შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც აღარ ხდება საზოგადოებრივი მიზნების დაკმაყოფილება, იურიდიული სახელწოდებები თუ სახელისუფლო კომპეტენციები ქრებიან ან კარგავენ აქტუალობას. მას, ვინც სოციალური თუ საზოგადოებრივი ფუნქციების განხორციელებისას საზოგადოებრივ ძალაუფლებას განკარგავს, დაკისრებული აქვს სოციალური სოლიდარობის რეალიზების ობიექტური ვალდებულება<sup>134</sup>. სელიცა და დუგუიც უარყოფენ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის, ისევე როგორც სახელმწიფო ორგანოებისა და მათზე აგებული თეორიის ფიქციას. სელის მიაჩნია, რომ სინამდვილეში არსებობენ სახელისუფლო კომპეტენციებით აღჭურვილი ინდივიდი ხელისუფალნი. სელის თვალთახედვით, კომპეტენციების განსაზღვრა, მინიჭება და შეზღუდვა საერთაშორისო სამართლის ძირითადი ფუნქცია და მისი უზენაესობის მიზეზია. სელი უარყოფს სახელმწიფოს

<sup>132</sup> G.Scelle, La doctrine de L.Duguit et les fondements du droit des gens, 1-2 Archives de Philosophie du droit et de Sociologie juridique (1932),p.116

<sup>133</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. II, Droit Constitutionnel International (1934) p.12.

<sup>134</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. I, Introduction, le milieu intersocial(1932) p.24

სამართალსუბიექტობას და მის სუვერენობას, სანაცვლოდ იგი “კომპეტენციების მინიჭებას” გვთავაზობს. ამის შემდეგ, იგი სამართალსუბიექტობას კომპეტენციების ფლობის მდგომარეობად წარმოაჩენს. გარდა ამისა, ინდივიდუალური თავისუფლებების დოქტრინის საფუძველზე, სელი, დემოკრატიულობის პრინციპს საერთაშორისო სამართლის კონცეფციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და მას “თვითგამორკვევას” უწოდებს. ეს პრინციპი ხშირად განიმარტება როგორც კოლექტიური უფლება, თუმცა სელი არ ცნობს კოლექტიური უფლებების კონცეფციას და მას ინდივიდუალურ თავისუფლებად აღიქვამს, რომელიც კოლექტიურად ხორციელდება.<sup>135</sup> სელის მიაჩნია, რომ თვითგამორკვევად წოდებული ერთა უფლება, რეალურად, პოლიტიკური საზოგადოების ინდივიდუალური წევრების მიერ საკუთარი ხელისუფლის შერჩევის სამართლებრივად გარანტირებული კომპეტენციაა.<sup>136</sup> იქიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ ინდივიდს გააჩნია ცნობიერება და ნებელობა, მხოლოდ იგი შეიძლება აღიჭურვოს კომპეტენციით. ხელისუფალის არჩევის ინდივიდუალური თავისუფლება, თვითგამორკვევის პრინციპში გამოხატული საერთაშორისო სამართლებრივი კომპეტენციაა. ამ პრინციპის მეშვეობით, საერთაშორისო სამართალი ცნობს სამართლის სუბიექტის ინდივიდუალურ კომპეტენციას, აირჩიოს საკუთარი მმართველი და გამოხატოს თავისი პოლიტიკური შეხედულება.<sup>137</sup> დემოკრატიული პრინციპი, რომელიც მმართველთა ლეგიტიმაციისათვის მოითხოვს, რომ მათ უფლებამოსილება მართულთაგან იბოძონ, საერთაშორისო სამართლის სფეროში აისახება თვითგამორკვევის პრინციპად. მმართველთა არჩევისას ხალხის უფლება განაწილებულია პოლიტიკური საზოგადოების ინდივიდუალური წევრების კომპეტენციებს შორის და კოლექტიურად ხორციელდება. თვითგამორკვევის პრინციპი ხელისუფალთ ართმევს სუვერენიტეტს. სახელმწიფოს სუბიექტობის და სუვერენიტეტის კონცეფციები, სელის შეხედულების მიხედვით, ვერ თავსდება თვითგამორკვევის დემოკრატიულ პრინციპთან. სელის მტკიცებით, სახელმწიფოს პერსონალობის შესახებ, მითუფრო კი, საერთაშორისო სამართალსუბიექტად მისი ექსკლუზიური არსებობის შესახებ

<sup>135</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. II, Droit Constitutionnel International (1934) p.16-17

<sup>136</sup> Ibid. p.294.

<sup>137</sup> Ibid. p. 265

მოსაზრებებმა განაპირობა ინდივიდის უგულვებელყოფის აბსოლუტურად არადემოკრატიული პრინციპის დამკვიდრება. ინდივიდის ავტონომია და შეზღუდული სახელისუფლო ძალაუფლება, ორთავე კომპეტენციას წარმოადგენს და შესაბამისად, ხელისუფალნი, ისევე როგორც კერძო პირები არიან საერთაშორისო სამართლის უშუალო სუბიექტები.<sup>138</sup> საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ძველი კონცეფციის უარყოფით და ინდივიდებისათვის მისი მინიჭებით, სელიმ სცადა საერთაშორისო სამართლის კონცეფტუალური სამყაროდან ბრმა ნაციონალისტური რწმენისა და მისტიციზმის აღმოფხვრა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრაერლიც, კელზენიცა და სელიც თავისებურად ეცადნენ ეპასუხათ იმ პერიოდისათვის საერთაშორისო სამართალში (მის კლასიკურ ფორმაში) განვითარებული კრიზისისათვის. ამისათვის, სამივე მათგანმა მიმართა ინტეგრირებულ სამართლებრივ მიდგომას, რომელშიც საერთაშორისო სამართალსუბიექტობა გადამწყვეტ როლს თამაშობდა. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის გამოყენებით სამივე მათგანმა სცადა საერთაშორისო სამართლის დემისტიფიცირება. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ინდივიდისათვის მიკუთვნებით, მათ შეძლეს ინდივიდის საერთაშორისო მართლწესრიგთან დაკავშირება, რაც მათი აზრით უადრესად მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიის კრიზისთან გასამკლავებლად და ინდივიდის პოზიციის განადგურების თავიდან ასაცილებლად. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციამ შეფასებით-აღწერილობითი ფუნქცია შეიძინა, იგი იქცა ცვლილებების სამჭედლოდ. ბრაერლიც, კელზენიცა და სელიც, შეეცადნენ შეეცვალათ საერთაშორისო საზოგადოებისა და სამართლის მორალური იდენტურობა. საერთაშორისო სამართლის თანამედროვე ზნეობრივ იდენტურობას მხედველობაში უნდა მიეღო ადამიანის ინდივიდუალურობისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვა. ეს თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის რეაბილიტაციის წინაპირობა იყო. საერთაშორისო სამართალსუბიექტობა გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სამართლის არადემოკრატიული

---

<sup>138</sup> G. Scelle, Précis de Droit des Gens, Principes et Systématique, Vol. I, Introduction, le milieu intersocial(1932) p.48.

და ავტორიტარული ტენდენციებისაგან გასათავისუფლებლად და ადამიანის ინდივიდუალურობის აღიარებით, მისი მორალური იდენტურობის შესაცვლელად.

## **§2. ცივი ომი და საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია**

საერთაშორისო სამართლის ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, პერიოდი რომელიც შემდგომ განხილვას საჭიროებს, მოსდევს მეორე მსოფლიო ომის საშინელებებს და ამ ომის ორი ატომური ბომბის აფეთქებით დასრულებას. ეს პერიოდი ცნობილია ცივი ომის სახელწოდებით. იგი გაჟღენთილია ბიპოლარული სამყაროს იდეოლოგიური დაპირისპირების, გლობალურ ბირთვულ ომში გადაზრდის საშიშროებით. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით, მართებულია ცივი ომით განპირობებული საერთაშორისო რეალობის, როგორც სწავლების კონტექსტუალიზაციის საფუძვლის გაანალიზება. აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელმა იმედგაცრუებამ, კონფრონტაციამ და განხეთქილებამ თავისი კვალი დაამჩნია საერთაშორისო სამართლის მკვლევარების ნაშრომებს, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნება. ე.წ. “რეალისტმა” მკვლევარებმა თავიანთ თეორიებს საფუძვლად ძალაუფლება დაუდეს. ხოლო იმ დანარჩენებმა, რომლებსაც “იდეალისტები” ეწოდებათ, განაგრძეს საერთაშორისო სამართლის თეორიაში მორალურ-სამართლებრივი ტენდენციების ძიება და განმტკიცება. ძალისმიერი პოლიტიკისა და ადამიანის უფლებებს შორის ცვლადობის მსგავსად, ადრეული ცივი ომის პერიოდის რეალიზმსა და იდეალიზმს შორის არსებულმა სამეცნიერო პაექრობამ გზა გაუკვალა ფრიად პრაგმატულ ძირითად სწავლებებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის საერთო დამოკიდებულება სამართლის მიმართ, რომელიც მოყვა მეორე მსოფლიო ომის დასრულებას. მართალია ბარბაროსული ძალები ამ ომში დამარცხდნენ, მაგრამ მათ საკმაოდ დიდი ხანი მართეს მსოფლიო. კაცობრიობამ გამოამჟღავნა თავისი ყველაზე ბნელი თვისებები და აშკარა გახდა, რომ ადამიანური ბუნების შავბნელი მხარე ფრიად ძლიერი იყო თანამედროვე პერიოდშიც. ის მოჭარბებული ოპტიმიზმი და იდეალიზმი, რომლითაც



გაჯერებული იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის თეორიები, ბევრმა მკვლევარმა მიაბიჯა მიიჩნია.<sup>139</sup> სამართალმა, როგორც საერთაშორისო საზოგადოების სრულყოფის რაციონალურმა ინსტრუმენტმა, იმედგაცრუება გამოიწვია. რეალობა იმას მოწმობდა, რომ არა სამართალმა, არამედ ძალამ დაიცვა ადამიანის თავისუფლება, არა პაციფიზმმა, არამედ სამხედრო ძალამ დაამარცხა ნაციზმი და დაიცვა დემოკრატია. ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მკვლევართა ნაშრომების განხილვისას. თუმცა ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ნიურნბერგში სამხედრო დამნაშავეთა ინდივიდუალურად გასამართლება ის შემთხვევაა, როდესაც სწორად სამართალი წარმოადგენს ბოროტების განსჯის საშუალებას. ჰანს მორგენტაუს (H.J. Morgenthau), ჰერმ ლუტერპახტის (H. Lauterpacht), მაირს მაკდუგალისა (M.S. McDougal) და ვოლფგანგ ფრიდმანის (W.G. Friedmann) ნაშრომებში, შესწავლილია საერთაშორისო სამართალსუბიექტობის რაობა. ამ ავტორთა კვლევებში, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია არაერთხელ ხდება მსჯელობის საგანი და სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. აშკარაა, რომ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია განიცდის ცივი ომისათვის დამახასიათებელი პოლარულობისა და ამბივალენტობის ზეგავლენას. ამ პერიოდში ადამიანის უფლებები აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის იდეოლოგიური ბრძოლის, აქედან გამომდინარე კი, საერთაშორისო პოლიტიკური მიზნების მიღწევის იარაღად ყალიბდება. ახალი ტალღით გამოწვეული ადამიანის უფლებათა იდეების კოდიფიკაცია, საბოლოოდ იწვევს საერთაშორისო მართლწესრიგისა და საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციას. ამ პირობებში, საერთაშორისო სამართალი თანდათან განაგრძობს განვითარებას და განმტკიცებას. საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფცია, რომელიც მერყეობდა იდეალიზმსა და რეალიზმს შორის, ცივი ომის დასრულებამდე ყალიბდება ე.წ. ინკლუზიის კონცეფციად. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულება, აუცილებელს ხდის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას და ხელს უწყობს უახლესი საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებას. საერთო ინტერესების დაცვის მზარდი საჭიროება, განაპირობებს ისეთი

---

<sup>139</sup> G.Schwarzenberger, Power Politics: A Study of International Society 2nd ed. (1951)p.xv)

საერთაშორისო ორგანიზაციების დაფუძნებას, როგორც არის გაერო. სხვა მიზნებს შორის, გაეროს მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეულწილად შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებს, ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის გახდის საერთაშორისო საზოგადოების მსჯელობის საგნად. მეოცე საუკუნის სამოციან-სამოცდაათიან წლებში, დასავლეთში წამოწყებული საზოგადოების სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ძირითადად ხორციელდება ახალგაზრდათა სამოქალაქო მოძრაობების ძალისხმევით და მნიშვნელოვან წილად უკავშირდება ვიეტნამის ომის დასრულების მოთხოვნას, აუცილებელს ხდის გლობალური ურთიერთდამოკიდებულებებით გამოწვეული პრობლემების ახლებურ გადაწყვეტას. ეს თავის მხრივ, საერთაშორისო თემობას უბიძგებს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ნაცვლად, ფიქრი დაიწყოს თანამშრომლობაზე, რაც იმ ნორმათა ხელახლა ფორმულირებას საჭიროებს, რომლებიც ქმნიდნენ სუვერენიტეტის აღქმის თანმიმდევრული ცვალებადობის საფუძველს. ამ პერიოდში დადებული ხელშეკრულებანი მოწმობენ საერთაშორისო ნორმათა ჰუმანისტურ ორიენტაციაზე. მათ შინაარსს, ძირითადად ადამიანის ღირსება და თავისუფლება წარმოადგენს. 1960 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეა, კოლონიალიზმს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევად აცხადებს და აღიარებს „ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას“.<sup>140</sup> 1966 წელს, ფორმდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტები და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია. 1970 წლის, 24 ოქტომბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ იღებს დეკლარაციას საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად.<sup>141</sup> გარდა ამისა, ამავე წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, საერთაშორისო სამართლის გარკვეულ ნორმებს აღიარებს *erga omnes*

---

<sup>140</sup> UNGA Resolution 1514(XV), holding the Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples.

<sup>141</sup> UNGA Resolution 2625 (XXV)

სავალდებულოდ.<sup>142</sup> 1974 წლის მიწურულს, გაეროს გენერალურმა ასამბლეა აქვეყნებს სახელმწიფოთა ეკონომიკურ უფლებათა და ვალდებულებათა ქარტიას, რომლის მიზანს წარმოადგენს ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრება. იგი მეტად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის.<sup>143</sup> თუმცა შემდგომში, დასავლეთის სახელმწიფოებმა უარყვეს ქარტიის შინაარსი და არ დაუჭირეს მხარი ქარტიის ჩვეულებითი სამართლის სიბრტყეში გადატანას. სახელმწიფოთა შორის ნდობისა და მზარდი გლობალური პრობლემების გადასაჭრელად, განუზომლად დიდ როლს ასრულებს ჰელსინკის საბოლოო (ფინალური) აქტის პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. 1990 წელს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის სამიტზე “ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიის“ მიღება, ასრულებს ცივი ომის პერიოდს და ევროპის დანაწილებისა და კონფრონტაციის ერა დამთავრებულად ცხადდება.

საერთაშორისო სამართლის თეორიაში, კლასიკური და რესტორაციული სწავლებების მსგავსად, სახელმწიფოზე ორიენტირებულია ჰანს მორგენტაუს სამართლებრივი პოზიცია და ეყრდნობა ტრადიციულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართალი, არსებობას ცალკეულ ერთა სუვერენიტეტს უნდა უმაღლოდეს. მისი თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართლის ნორმათა მთავარი ამოცანა, სუვერენიტეტის სამართლებრივი გარანტიებით უზრუნველყოფაა.<sup>144</sup> მორგენტაუს მიაჩნია, რომ საერთაშორისო სამართალი ძალის სამსახურშია. მისი პრაგმატიზმი, მისი ფოკუსირება „ნამდვილზე“ და „პრაქტიკულზე“, ზოგადად ეფუძნება თანამედროვე „ცივილიზაციის კრიზისის“ შეფასებას.<sup>145</sup> კონკრეტულად კი, „დასავლეთის პოლიტიკური აზროვნების კრიზისის“ შეფასებას.<sup>146</sup> მორგენტაუს თვალსაზრისით, მხოლოდ ძლიერ სუვერენულ სახელმწიფოს ძალუძს დაიცვას ხალხის (ერის) სასიცოცხლო ინტერესი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში და

<sup>142</sup> Barcelona Traction case, Judgement of 5 February 1970, ICJ Rep. 1970. The 1969 Vienna Convention on the Law of Treaties includes a recognition of ius cogens: derogation from these norms by treaty law is prohibited.

<sup>143</sup> UNGA Resolution 3281(XXIX).

<sup>144</sup> Morgenthau, H.J. “Politics among Nations 2nd ed., (1954)p. 312.

<sup>145</sup> Morgenthau, H.J. Scintific Man vs. Power Politics; London(1947) p.12-13.

<sup>146</sup> Morgenthau, H.J. The Political Science of E.H.Carr, 1(1) World Politics (1948)p.129

უნარი შესწევს, წვლილი შეიტანოს მსოფლიო მშვიდობის განმტკიცებაში. ძალთა დაბალანსების გარეშე, სამართალი უძღვრება. ნაშრომში „ერთა შორის პოლიტიკა“ *”Politics among Nations“*, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მშვიდობას მუდმივად ემუქრება ძალაუფლებისათვის ბრძოლის საფრთხე და არსებული ნორმატიული მექანიზმები, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზნეობრივი ნორმებისა და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, გამიზნულია შეზღუდოს ამ ბრძოლის მეთოდები და მოაქციოს ისინი ცივილიზებულ ჩარჩოებში, იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს მოქმედებენ, მოკლებულია შესაძლებლობას ძალაუფლებისათვის ბრძოლა შეინარჩუნოს მშვიდობიან ჩარჩოებში.<sup>147</sup> ძალაუფლების ტერორისაგან საერთაშორისო საზოგადოებისა თუ მისი ცალკეული წევრების დასაცავად, მორგენტაუს აუცილებლობად მიაჩნია მორალისა და სამართლის მსგავსი შეზღუდვების არსებობა. თუმცა მისი თვალსაზრისით, ომის თავიდან ასაცილებლად ამგვარი ხასიათის შეზღუდვები ნაკლებად ეფექტიანია და საჭიროა ძალთა შორის ბალანსის არსებობა. მორგენტაუ თავის სამართლებრივ მოსაზრებებს უკავშირებს საერთაშორისო ურთიერთობებს. სამართალს იგი ძალისმიერ პოლიტიკას უქვემდებარებს და მასვე ანიჭებს საერთაშორისო თემობაში გადამწყვეტ როლს. მისი მტკიცებით, საერთაშორისო სამართალმა უნდა შეზღუდოს სახელმწიფოთა დაუფარავი ძალაუფლების განხორციელება. სამწუხაროდ ამ მიზანს იგი ვერ აღწევს და უბრალოდ იყენებს სუვერენული სახელმწიფოების ძალაუფლებით მოტივირებული მოქმედებების გასამართლებლად, მათთვის რაციონალური შინაარსის შესაძენად.<sup>148</sup> მორგენტაუ აცხადებს, რომ: „სამართალი მხოლოდ საბაზია, იგი გამოიყენება პოლიტიკური ქმედების ნამდვილი მიზნის შესანიღბად. ეროვნული ინტერესები განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო ურთიერთობებში“.<sup>149</sup> უწინარეს ყოვლისა, მას პოლიტიკის მხარდაჭერის იდეოლოგიური ფუნქცია გააჩნია და როგორც ასეთი, სამართალი ძირითადად აღქმულია სტატკურ სოციალურ ძალად. აქედან გამომდინარე კი, მისი ფარგლები შეზღუდულია. იგი სუსტი და არაეფექტიანია, რადგან

<sup>147</sup> Morgenthau H.J. *Politics among Nations*, New York, Knopf, 2nd ed. (1954) p.20-21

<sup>148</sup> *Ibid.* p. 80

<sup>149</sup> *Ibid.* p. 258

ექვემდებარება ნაციონალურ ინტერესებს.<sup>150</sup> მეორეს მხრივ, არ არის მიზანშეწონილი საერთაშორისო სამართლის, როგორც სამართლის სავალდებულო ნორმათა სისტემის არსებობის სრულად უარყოფა. მორგენტაუს შეხედულებით, საერთაშორისო სამართალი ისევ ვესტფალის სისტემაშია მოქცეული. იგი სუვერენულ ეროვნულ-სახელმწიფოთა თანხმობის შედეგად წარმოშობილი ნორმათა სისტემაა, რომელიც თავმოყრილია საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მისი არსებობა ორ ძირითად ფაქტობრივ ასპექტზეა დამოკიდებული. ესენია, დეცენტრალიზებული საზოგადოების წევრთა შორის ძალაუფლების დაბალანსებული განაწილება და სახელმწიფოთა შორის აუცილებელი „საზოგადოებრივი ინტერესი“. სახელმწიფოთა ძალაუფლებისადმი სწრაფვისა და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის წყურვილის შედეგად, საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაო ინტერესებისა და ფასეულობების თანხვედრა იშვიათად ხდება.<sup>151</sup> საერთაშორისო სამართლის სისუსტეს, მორგენტაუ მიაწერს მის “დეცენტრალიზებულ” ბუნებას, რაც გამოწვეულია საერთაშორისო თემობის დეცენტრალიზებული სტრუქტურით.<sup>152</sup> იგი სუვერენულ სახელმწიფოთა ერთობას განასხვავებს ადგილობრივი საზოგადოებებისაგან, სადაც სამართლებრივი ლიბერალიზმი თავისუფლად მოქმედებს. მას მიაჩნია, რომ საერთაშორისო ცხოვრება ანარქიის მდგომარეობაშია და ამის უარყოფა საერთაშორისო სამართლის არაეფექტიანობის გაგრძელების ტოლფასია. ამგვარად, იგი ასკვნის, რომ საერთაშორისო სამართალი მართალია რაციონალურად ოპერირებს, მაგრამ ამის კეთება უწევს არარაციონალურ სამყაროში.<sup>153</sup> მორგენტაუ აცხადებს, რომ სამართლის უზენაესობა მიჩნეულია გარკვეულ ჯადოსნურ პანაცეად, რომელიც შინაგანი კეთილგონიერების და სამართლიანობის მემშვეობით კურნავს დაწყლულებულ პოლიტიკურ სხეულს. დაუცველობასა და უწესრიგობას, მოწესრიგებულ საზოგადოებად გარდაქმნის და ძალადობისა თუ სისხლისღვრის ნაცვლად, სოციალური კონფლიქტის მშვიდობიან და გონივრულ მოწესრიგებას უზრუნველყოფს. ეს არის ლიბერალური ფილოსოფიის აბსტრაქტულ

---

<sup>150</sup> Ibid.p. 288

<sup>151</sup> Ibid.p. 250

<sup>152</sup> Ibid.p. 251-252

<sup>153</sup> Morgenthau H.J. Scientific Man vs. Power Politics (1947) p.107.

რაციონალიზმზე დაფუძნებული იურიდიული გონი, რომლის საფუძველზე საერთაშორისო სამართალს შეიძლება მიენიჭოს ილუზიის კვალიფიკაცია.<sup>154</sup> საერთაშორისო სამართალსუბიექტობისადმი დამოკიდებულებისას, მორგენტაუ ემხრობა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სუვერენიტეტის ურღვეობის პრინციპს. იგი სახელმწიფოებრიობის ვესტფალური კონცეფციის მომხრეა.<sup>155</sup> სახელმწიფო სამართლებრივი წესრიგია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების მხრიდან წესრიგისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად ორგანიზებული ძალადობის გამოყენების პირობებს.<sup>156</sup> მართლწესრიგის მწვერვალი დაბყრობილი აქვს არა უმაღლეს ნორმას, არამედ სუვერენს. სუვერენი, რომელიც დემოკრატიაში ძნელად გამოსარჩევია, კარნახობს წესებს, რომლებსაც სამართლის ნორმის სახე აქვთ და ითვალისწინებენ სანქციებს.<sup>157</sup> სახელმწიფო, საზოგადოების მართლწესრიგია, იგი საზოგადოების სამართლის სუბიექტია. სამართალსუბიექტობა „საზოგადოების მართლწესრიგის“ ერთ-ერთი ფუნქციაა. მაშასადამე ეროვნული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია, ერისათვის სუბიექტობის მინიჭებაა. მორგენტაუს სიტყვებით, „სახელმწიფო უზრუნველყოფს ეროვნული (სახალხო) საზოგადოებრიობის სამართლებრივ განგრძობადობას. ამრიგად, შესაძლებლობას აძლევს ინდივიდს, ერი შეიმეცნოს დროსა და სივრცეში არსებულ იმ უწყვეტ სუბიექტად, რომლის სახელითაც იგი მოქმედებს, რომელიც ითხოვს და ღებულობს მომსახურებას და ანიჭებს უპირატესობებს, რომლისადმი განიცდიან ერთგულებას“.<sup>158</sup> ამ ფუნქციების გარეშე წარმოუდგენელია საშინაო მშვიდობის მიღწევა. სახელმწიფო, ადგილობრივი მართლწესრიგია და როგორც ასეთი, იგი სამართლის სუბიექტია. მორგენტაუს თვალსაზრისით, „დამოუკიდებლობის, თანასწორობისა და ერთსულოვნების“ საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები, სუვერენიტეტის სინონიმებს წარმოადგენს<sup>159</sup>. სახელმწიფო სუვერენიტეტი, როგორც სამართლებრივი ტერმინი და როგორც უზენაესი ძალაუფლების ფაქტობრივი პოლიტიკური მდგომარეობის აღიარება იმას მოწმობს, რომ საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ძალა,

---

<sup>154</sup> Ibid.p. 100

<sup>155</sup> Morgenthau H.J. Politics among Nations, New York, Knopf, 2nd ed. (1954) p.289

<sup>156</sup> Morgenthau H.J. Politics among Nations, New York, Knopf, 2nd ed. (1954) p.475

<sup>157</sup> Ibid.p. 305-306

<sup>158</sup> Ibid.p. 475

<sup>159</sup> Ibid.p. 289-291

სახელმწიფოს თანხმობას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები დამოუკიდებელი და თანასწორად სუვერენული სახელმწიფოებია, რომლებიც ეთანხმებიან საკუთრივ შექმნილ სამართალს. მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს ხელეწიფებათ საერთაშორისო სამართლის დაწესება. მორგენტაუ სუვერენიტეტს იმ სამართლებრივ კონცეფციად მიიჩნევს, რომელიც ემყარება თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციისადმი პატივისცემის „სავალდებულო“ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმას.<sup>160</sup> სწორად ამგვარი პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის მისეული კონცეფციის ქვაკუთხედს. მორგენტაუ ძირითადად უგულებელყოფს სუვერენიტეტის კონცეფტუალურ დამოკიდებულებას საერთაშორისო სამართალსუბიექტობის თეზასთან. იგი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის არა განცალკევებულ კონცეფციას გვთავაზობს, არამედ სუვერენიტეტის ცნებით შთანთქავს მას და ხაზგასმით მიუთითებს, რომ სუვერენიტეტი სახელმწიფოს „სამართლებრივი სტატუსის“ გამომხატველი კონცეფციაა, რომელიც მოიცავს სავალდებულო საერთაშორისო უფლებებსა და ვალდებულებებს.<sup>161</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეალიზმის თეორიაში საერთაშორისო სამართალსუბიექტობა რუდიმენტს წარმოადგენს. მისი თვალთახედვით, ძალაუფლების პოლიტიკა განსაზღვრავს სამართალს, ხოლო სუვერენიტეტი, განსაზღვრავს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას. მორგენტაუს მიერ აქცენტის გადატანა ძალაუფლების ბალანსსა და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე, რომელიც პრაქტიკულად იწვევს საერთაშორისო სამართლის იგნორირებას და სუვერენიტეტის მიერ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფტუალურ შთანთქმას, ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია მსოფლიოში იმჟამინდელი პოლიტიკური მდგომარეობით.

გაეროს წესდების მიღებას, კერძოდ კი წესდების იმ ნაწილისა, რომელიც ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს ითვალისწინებს, საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი მკვლევარი ჰერშ ლუტერპახტი (Hersch Lauterpacht) ეპოქალურს უწოდებს და საერთაშორისო სამართლის ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნევს.<sup>162</sup> იგი

---

<sup>160</sup> Ibid.p. 289

<sup>161</sup> Ibid.p. 293

<sup>162</sup> H.Lauterpacht, International Law and Human Rights (1950) p.3.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის თეორიულ საკითხებს და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას. მისი თეორიული კონსტრუქცია ემყარება კელზენისეულ სამართლებრივ ეპისტემოლოგიას, რაც სამართლის ეტაპობრივი კონკრეტიზაციის დოქტრინაში გამოიხატება.<sup>163</sup> ლუტერპახტისათვის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლის წყაროები იმის მაჩვენებელია, რომ თანამედროვე პოზიტიური საერთაშორისო სამართალი ბუნებითი სამართლის ღირებულებებს შეიცავს. განსხვავება კელზენისა და ლუტერპახტის დოქტრინებს შორის ის არის, რომ ლუტერპახტი ბუნებით სამართალს გადამწყვეტ როლს ანიჭებს საერთაშორისო სამართლის ლეგიტიმაციისათვის. მისი თვალსაზრისით, სამართლის თავდაპირველი წყარო არა ჰიპოთეტური „ძირული ნორმა“ (*Grundnorm*), არამედ ეთიკური თუ მორალური პოსტულატია.<sup>164</sup> მისთვის ბუნებითი სამართალი, ზოგადად სამართლის ამოსავალი წერტილია. სხვაგვარად თუ ვიტყვით - საგანთა მიზეზია. ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ლუტერპახტი გვთავაზობს ბუნებითი სამართლის თეორიის რეკონსტრუქციას. საერთაშორისო სამართალსუბიექტობისადმი, იგი ორგავარ მიდგომას ანვითარებს. პირველი, ეს არის განვითარებადი საერთაშორისო ფედერალური თანამეგობრობის ფარგლებში სახელმწიფოთათვის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მიკუთვნების თითქმის ტრადიციული მიდგომა. მეორე შეხედულება კი, მდგომარეობს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის გამოყენებით, პოზიტიური სამართლით მართულ საერთაშორისო თანამეგობრობაში, ყოველი ინდივიდუალური ადამიანის ჩართვაში. ბევრი საერთო აქვს ლუტერპახტის კონცეფციებს, გროციუსის სწავლებასთან. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ლუტერპახტის მიერ სამართლის ფუნდამენტური საკითხების წამოწევა, სწორად გროციუსის შრომებსა და საერთაშორისო სამართლის მისეულ ტრადიციებს ემყარება. ეს ეხება გროციუსის ტრადიციული დოქტრინის ოთხ ძირითად მიმართულებას: 1) სამართლის უზანაესობისათვის სახელმწიფოთა დაქვემდებარებას; 2) საერთაშორისო სამართლის

<sup>163</sup> H. Lauterpacht, *The Function of International Law*(1933) p.346.

<sup>164</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004)p. 298.



საფუძვლად ბუნებითი სამართლის მიჩვენას; 3) ადამიანური ბუნებისა და სამართლის კონცეფციას; 4) სუბიექტების, ინდივიდებისა და სახელმწიფოების იდენტურობას. თავისი ეთიკური და პოლიტიკური შინაარსით, ლუტერპახტის სწავლება ფუნდამენტურად განსხვავდება ე.წ. რეალისტების დოქტრინებისაგან. მას მიაჩნია, რომ ვიდრე პოლიტიკა არ დაექვემდებარება სამართალს, ვიდრე ცივი ომის იდეოლოგიური უთანხმოებანი ძალის პოლიტიკის ნაცვლად, საერთაშორისო სამართლის მეშვეობით არ მოწესრიგდება, მომავალი ბუნდოვანი და არაპროგნოზირებადი იქნება. ეყრდნობა რა გროციუსის კონცეფციას, ლუტერპახტს მიაჩნია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, როგორც პოლიტიკური, ისე მორალური ერთობაა.<sup>165</sup> კაცობრიობის ზნეობრივი ერთობა ითხოვს საერთაშორისო სამართალი არა მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოთა ნებით განისაზღვრებოდეს, არამედ აგრეთვე, ბუნებითი სამართალითა და ბუნებითი სამართლიანობით. საერთაშორისო სამართლის უზენაესობა, საერთაშორისო სამართლიდან ზნეობის ამორიცხვის არდაშვების საშუალებას იძლევა. ამით, იგი სუვერენული ძალაუფლების დომინირების საპირწონე ხდება და შესაძლებელს ხდის, ძალაუფლებისათვის ბრძოლა მოექცეს საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში. ამგვარად, ლუტერპახტი ბუნებით სამართალს, პოზიტიური საერთაშორისო სამართლის კორექციისა და შევსების ფუნქციას ანიჭებს. სწორად გროციუსის მსგავს მიდგომას წარმოადგენს პოზიტივიზმისა და ბუნებითი სამართლის ამგვარი შერწყმა. ლუტერპახტის მიერ შემოთავაზებული სინთეზი, პოზიტიური საერთაშორისო სამართლის მიერ ბუნებითი სამართლის იდეათა შეთვისებას გულისხმობს. ვოლუნტარული და ბუნებითი სამართლისაგან შემდგარი საერთაშორისო სამართლის ეს ნეოგროციული კონცეფცია, თანხმობაში გამოხატული მავალდებულებელი ძალის საფუძვლად, ბუნებით სამართალს მიიჩნევს, ვინაიდან სწორად მას აღიქვამს ადამიანის სოციალური ბუნების გამოხატულებად.<sup>166</sup> ლუტერპახტი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას, სახელმწიფოს ძირითად კონცეფციად აცხადებს. მისი თვალთახედვით, საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების დაკისრებით,

<sup>165</sup> Lauterpacht, H. The Grotian Tradition of International Law, Collected Papers of Hersch Lauterpacht (1970-1978), Vol.2 p.328-29

<sup>166</sup> Ibid.p. 333

სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო იგივე მოცულობით ინარჩუნებს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოთა განსაკუთრებული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, ფედერალური ინტეგრაციის პროცესშიც შენარჩუნებულია. აქედან გამომდინარე, ლუტერპახტი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ დოქტრინას საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციის შესახებ, რომლის მიხედვით, იგი სუვერენიტეტის გამოვლინებად ითვლება.<sup>167</sup> საერთაშორისო სამართალსუბიექტობისა და სუვერენიტეტის ერთმანეთისაგან გამიჯვნით, ლუტერპახტი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები უნდა ექვემდებარებოდნენ ზემოთ ნახსენები ეთიკისა და სამართლიანობის სტანდარტებს. ამ მიმართულებით, ლუტერპახტი პროგრესს გროციუსთან დაბრუნებაში ხედავს, რომელიც შეცდომად მიიჩნევს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს სამართლიანობის მოთხოვნის სტანდარტი არ ეხება ერებსა და მათ წინამძღოლებს. ლუტერპახტს მიაჩნია, რომ სამართლიანობის არგუმენტები უმეტეს შემთხვევაში მოითხოვს სახელმწიფოს, როგორც კოლექტიური ერთობის პასუხისმგებლობისადმი დაქვემდებარებას.<sup>168</sup>

მორგენტაუს პოლიტიკურ რეალიზმზე დამყარებულ სამართლებრივ პოზიციას, რომელიც სამართალს ძალისმიერ პოლიტიკაზე მორგებულ სტატიკურ მოცემულობად აღიქვამს, აკრიტიკებს პროფესორი მაირს სმიტ მაკდუგალი (Myres Smith McDougal). იგი უარყოფს საერთაშორისო სამართლისადმი ამგვარ მიდგომას და რეალიზმის „წმინდა ძალის თეორიას“. თუმცა მაკდუგალი შორს არ დგას იმ მოსაზრებისაგან, რომ ძალთა ბალანსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო სამართლის ფუნქციონირებაში.<sup>169</sup> მისი თვალსაზრისით, სამართლის კონცეფციიდან ეფექტიანი კონტროლის კონცეფციის ამოღების შემთხვევაში, სამართალი ილუზორული გახდება. მაკდუგალი არ იზიარებს სამართლისადმი, როგორც მხოლოდ სტატიკური „წესების სისტემისადმი“ ტრადიციულ დამოკიდებულებას. მორგენტაუს საპირისპიროდ, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს

<sup>167</sup> H. Lauterpacht, *The International Protection of Human Rights*, 70 RCADI 1(1947-I) p.9

<sup>168</sup> J. E. Nijman, *The Concept of International Legal Personality*. The Hague (2004) p. 312-314 .

<sup>169</sup> Ibid.p. 325.

სამართალსა და ძალაუფლებას, მაკდუგალი ამტკიცებს, რომ სამართალი და პოლიტიკა ერთმანეთზე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.<sup>170</sup> იგი აფართოვებს სამართლის კონცეფციის ფორმალური დეფინიციის ფარგლებს და სამართალს, პოლიტიკის დინამიურ პროცესად განიხილავს. მას მიაჩნია, რომ სუვერენიტეტის ტრადიციული დოქტრინა, როგორც წესი, გამოიყენება ტოტალიტარიზმისა და ჩაურევლობის პრინციპის მომხრეების მიერ. მაკდუგალი ამბობს, რომ: „სუვერენიტეტი ფუნდამენტური, თუმცა ტექნიკური ცნებაა, რომელიც ძირითადად გამოიყენება იმ მკვლევართა მიერ, რომლებიც „თანაარსებობის“ პირობებში საერთაშორისო მდგომარეობის შენარჩუნებაში იყვნენ დაინტერესებულნი.“<sup>171</sup>

ვოლფგანგ ფრიდმანი (Wolfgang Friedmann), ნაშრომში „საერთაშორისო სამართლის ცვალებადი სტრუქტურა“ „*The Changing Structure of International Law*“, ერთმანეთისაგან განასხვავებს „თანაარსებობისა“ და „თანამშრომლობის“ საერთაშორისო სამართალს. თანაარსებობაში იგი გულისხმობს ძირითად სახელმწიფოთაშორის დიპლომატიურ ურთიერთობებს, ხოლო თანამშრომლობაში კი, ზოგადსაკაცობრიო ინტერესების მისაღწევად საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურის განვითარებას მოიაზრებს.<sup>172</sup> ჯერ კიდევ 1938 წელს, ფრიდმანი საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს და მის კრიზისულ მდგომარეობას ევროპული ცივილიზაციის დეზინტეგრაციის კონტექსტში განიხილავს.<sup>173</sup> ცივი ომის პერიოდში იგი კვლავ უბრუნდება საერთაშორისო სამართლის კრიზისის თემატიკას. მას მიაჩნია, რომ საერთაშორისო სამართლის კრიზისის გაღრმავებას ხელს უწყობს გაეროს პარალიზება და უუნარობა მაშინ, როდესაც საკითხი შესახელმწიფოებს ეხება. ფრიდმანი გვაფრთხილებს, რომ იმ შემთხვევაში თუ შესახელმწიფოთა შორის დაპირისპირება ინტენსიურ ხასითს მიიღებს და პოლიტიკური თუ სამხედრო დამაბულობა გაიზრდება, საერთაშორისო სამართლისა და გაეროს მნიშვნელობა კიდევ უფრო შემცირდება.<sup>174</sup> აშკარაა ფრიდმანის სწავლებაზე ცივი ომის

<sup>170</sup> M.S. McDougal, *International Law, Power and Policy: A Contemporary Conception*, 82 RCADI 133 (1953-I), p. 181-183.

<sup>171</sup> M.S. McDougal, *Perspectives for an International Law of Human Dignity* (1959) p.1009

<sup>172</sup> W.G. Friedmann, *The Changing Structure of International Law*(1964), p.vii

<sup>173</sup> W. Friedmann, *The Disintegration of European Civilization and the Future of International Law*, 2 *Modern L.R.* 194-214 (Dec.1938)

<sup>174</sup> W. G. Friedmann, *United States Policy and the Crisis of International Law*, 59 *AJIL* 857 (1965).

იდეოლოგიური კონფლიქტის ზემოქმედება, რაც გამოიხატება წესებზე ორიენტირებული სამართლის კონცეფციისადმი მის ფუნქციონალისტურ დამოკიდებულებაში. იგი დიდ ყურადღებას არ უთმობს სამართალსა და პოლიტიკას შორის არსებულ სხვაობას, არამედ კონცენტრირებულია საერთაშორისო საზოგადოების სტრუქტურულ მოწყობაზე. ფრიდმანი სამართალს აღიქვამს ადამიანისა და კაცობრიობის მდგომარეობის გაუმჯობესების ინსტრუმენტად არა მხოლოდ ძალის პოლიტიკის, არამედ აგრეთვე ბუნებითი სამართლის საფუძველზე. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს საერთაშორისო სამართლის ე.წ. „ჰორიზონტალურ“ და „ვერტიკალურ“ განვითარებას. მისი მტკიცებით, ჰორიზონტალურ განვითარებას მოყვა დეკოლონიზაციით გამოწვეული სუვერენიტეტთა გავრცელება, რამაც თავის მხრივ, განაპირობა საერთაშორისო თემოებაში დეკოლონიზებულ არადასავლურ სახელმწიფოთა გაერთიანება. ამგვარმა გაერთიანებამ, მათი სტატუსის შეცვლა გამოიწვია. „სამართლის ობიექტის“ ნაცვლად, ისინი საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად გადაიქცნენ. რაც შეეხება, ე.წ. ვერტიკალურ განვითარებას, ამაში ფრიდმანი საერთაშორისო სამართლებრივ პროცესში სახელმწიფოთა პარალელურად, საჯარო და კერძო დაჯგუფებების მონაწილეობის ხარჯზე საერთაშორისო სამართლის გაფართოვებას გულისხმობს.<sup>175</sup> საერთაშორისო სამართალში ამგვარი სტრუქტურული ცვლილებები, ახალი წესრიგის დამკვიდრებას მოითხოვს. ფრიდმანის თვალსაზრისით, სახელმწიფო, მისი სუვერენიტეტი და მათთან დაკავშირებული თანაცხოვრების საერთაშორისო სამართალი, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნილებებს. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება „ახალი საერთაშორისო სამართლის“ ამოქმედება, რაც გამოიხატება საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა რიცხვისა და ტიპების გაფართოებაში.<sup>176</sup> მართალია ფრიდმანი სახელმწიფოებს, საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებად მიიჩნევს, მაგრამ აქვე დასძენს, რომ არა მხოლოდ სახელმწიფოები სარგებლობენ სამართალსუბიექტობით. საერთაშორისო სამართალსუბიექტობას იგი ისეთ ფუნქციურ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწერს, როგორცაა გაერო და მისი სპეციალიზებული სააგენტოები. მათ საერთაშორისო სამართალსუბიექტობას განაპირობებს

<sup>175</sup> W. G. Friedmann, *The Changing Structure of International Law* (1964), p.64

<sup>176</sup> *Ibid.* p.62.

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებანი, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის გამოვლინებაა.<sup>177</sup> მიუხედავად ამისა, ეს ახალი ტიპის თანამშრომლობა, იწვევს ეროვნული სუვერენიტეტის ეტაპობრივ განრიდებას. საერთაშორისო თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის ფონზე, ფრიდმანი თავის არგუმენტებს ამყარებს სუბიექტთა ურთიერთდამოკიდებულების ფაქტზე და იმ გარემოებაზე, რომ საერთაშორისო სამართალი ცდილობს მოერგოს საერთაშორისო ცხოვრების ცვლილებებს. უარყოფს რა ბუნებით სამართალს, როგორც საერთაშორისო სამართლის საფუძველს, იგი ახერხებს უნივერსალობისა და მრავალფეროვნების შეჯერებას და ამგვარი საჭიროების წარმოჩენით, აღიარებს მათ კონფლიქტურობას. საერთაშორისო სამართლის მეშვეობით, იგი ცდილობს, ამ ორი ელემენტის შეხამებას.

მორგენტაუს, ლუტერპახტის, მაკდუგალისა და ფრიდმანის მიერ ცივი ომის კონტექსტში საერთაშორისო სამართალსუბიექტობისადმი დამოკიდებულების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ახერხებენ სამართლის სუბიექტების წრის გაფართოებას და საერთაშორისო ურთიერთობებში მათი ეტაპობრივი ინკლუზიის განმარტებას. თავდაპირველად, საერთაშორისო სამართალსუბიექტობა აღიქმება სუვერენულ სახელმწიფოს ატრიბუტად და უფლებათა თუ თვისებათა ერთობლიობად, რაც სუვერენიტეტის კონცეფციის ტრადიციულ განსაზღვრებას ემყარება. მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობები აღბეჭდილია ძალის პოლიტიკის დომინირებით, საერთაშორისო სამართლის სწავლება კვლავ მერყეობს იდეალიზმსა და რეალიზმს შორის. დებატები იმართება იმის შესახებ, საერთაშორისო ურთიერთობების განსამტკიცებლად რა უფრო უმჯობესია, სუვერენიტეტის გამყარება თუ საერთაშორისო მართლმსაჯულების ფარგლების გაფართოება? მართალია სუვერენიტეტი კვლავ რჩება საერთაშორისო სისტემის ქვაკუთხედად, მაგრამ საერთაშორისო სამართლის გადახალისების მცდელობა, მის მიმართ ყურადღებას ადუნებს. მზარდი სოციალური და გლობალური ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ, საერთაშორისო სამართალში ცვლილებების

---

<sup>177</sup> Ibid.p. 216-17.

განხორციელებას მოითხოვს. პრაგმატული მსოფლმხედველობა ხდება საერთაშორისო სამართლის ძირითად მიმართულებად. მაგალითად აკეჰარსტი (M. Akehurst), საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციაზე საუბრისას ასეთ განმარტებას ჯერდება: „უკანასკნელ საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, პირებმა და კომპანიებმა მოიპოვეს გარკვეული სიდიდის საერთაშორისო სამართალსუბიექტობა: მაგრამ მათი სიდიდის განსაზღვრისას, მავანი მეტად წინააღმდეგობრივ სამართლის სფეროს აწყდება.“<sup>178</sup> მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა კვლავ რჩება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს კონცეფციად, მის თეორიულ კვლევას არ ენიჭება სათანადო ყურადღება და სწორად ტერმინი „წინააღმდეგობრივი“ წარმოადგენს ამ დუმილის საპატიო მიზეზს. ამგვარად, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შესახებ დისკუსია ფუნქციური კუთხით ვითარდება. მას სწავლობენ კონკრეტულ ერთობასთან პრაქტიკული დამოკიდებულების თვალსაზრისით, რაც საერთაშორისო სამართლის თეორიისათვის, მის მნიშვნელობას საგრძნობლად ამცირებს. საერთაშორისო სამართალსუბიექტობა სხვადასხვა პოლუსებს შორის, ე.წ. ბალანსის მექანიკურ ფუნქციას ასრულებს, იქნება ეს ზესახელმწიფოთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაპირისპირება თუ რეალიზმისა და იდეალიზმის ურთიერთდამოკიდებულება. სწორად ამგვარი ბალანსის დაცვის პროცესში, საერთაშორისო სამართლის სწავლება, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონცეფციას იყენებს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სტრუქტურებში ახალი სუბიექტების დაშვების ან არდაშვების არგუმენტირებისათვის. სწორად საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ტრადიციული კონცეფცია ემსახურება საერთაშორისო სამართლის სიბრტყეში ახალი აქტორების ლეგიტიმური მონაწილეობის აღიარებას ან არაღიარებას. მსოფლიოს გლობალიზაციის თანამედროვე ფენომენი, რომელიც ე.წ. ბიპოლარული მსოფლიოს სტრუქტურების რღვევას იწვევს, უფრო მეტად აკნინებს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ცნების, როგორც სახელმწიფოზე ორიენტირებული ვესტფალური წესრიგის რაობას და მის პრაქტიკულ გამოყენებას. ცივი ომის დასრულება განსაკუთრებით

---

<sup>178</sup> M. Akehurst, *A Modern Introduction to International Law*, 6th ed. (1987,) p. 70.

მწვავედ სვამს სახელმწიფო სუვერენიტეტის განხორციელების და სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხს. გლობალური ეკონომიკისა და მზარდი პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების სამყაროში, მოსალოდნელი ხდება ტერიტორიული და პოლიტიკური სუვერენიტეტის, როგორც ორგანიზაციული თუ რეგულაციური პრინციპის შემცირება. ამის შესახებ ჰობსბაუმი (E.J. Hobsbawm) წერს, რომ „კომუნისტური რეჟიმების დაცემამ არა მხოლოდ პოლიტიკური გაურკვევლობა, არასტაბილურობა, ქაოსი და სამოქალაქო ომები გამოიწვია, არამედ გაანადგურა ორმოცი წლის მანძილზე დამკვიდრებული საერთაშორისო ურთიერთობების მასტაბილიზებელი საერთაშორისო სისტემა. თავად პოლიტიკის ისეთი ძირითადი ერთეულები, როგორცაა ტერიტორიული, სუვერენული და დამოუკიდებელი „ეროვნული სახელმწიფოები“, გარიყულნი აღმოჩნდნენ ტრანსნაციონალური ეკონომიკის და შიდასახელმწიფოებრივი სეპარატისტული რეგიონებისა თუ ეთნიკური ჯგუფების მოქმედებათა შედეგად. ზოგიერთი მათგანი, ასეთია ისტორიის ირონიულობა, ითხოვდა მინიატურული სუვერენული „ეროვნული სახელმწიფოს“ მოძველებულ და არარეალურ სტატუსს. პოლიტიკის მომავალი ბუნდოვანი, ხოლო მისი კრიზისი, ხანმოკლე მეოცე საუკუნის დასასრულს, აშკარა აღმოჩნდა“.<sup>179</sup> გლობალიზაციის პოლიტიკური მხარე, შეიძლება აღქმულ იქნას სახელმწიფოთა პოლიტიკური სტრუქტურისა და ტრადიციული საერთაშორისო თემობის რყევის გამომწვევ განვითარებად პროცესად. გლობალიზაცია პოლიტიკურ სფეროში, ფრაგმენტაციის პროცესს შეიძლება შევადაროთ. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ, იწყება ფრაგმენტაციის პროცესი მთელ რიგ სახელმწიფოებში. საკმარისია გავიხსენოთ საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია. ზოგიერთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ფორმლურად არ დაშლილა, თუმცა არსებობა განაგრძო როგორც დეზინტეგრირებულმა და შეუქმდგარმა ერთობამ. ასეთებია ავღანეთი, სომალი, ეთიოპია. არნახულად გაძლიერდა ტომობრივი თუ ეთნიკური იდეოლოგია, რომელმაც უკანონობის, არასტაბილურობის თუ დაუცველობის გამომწვევი მრავალი საშინაო კონფლიქტი გააჩადა. სახელმწიფოებრიობასთან მიახლოვებულმა ავტონომიურმა ერთობებმა აღმოაჩინეს თავიანთი ეროვნული თუ ეთნიკური

<sup>179</sup> E.J. Hobsbawm, Age of Extremes: The Short Twentieth Century 1914-1991(1994) p.10-11).

იდენტურობის წარმოჩენისა და დაცვის ისეთი ფორმები, რომლებიც ცივი ომის პერიოდში მეტწილად დაფარული იყო. ზოგიერთმა ასეთმა ერთობამ, არსებობა ტრადიციულ კოლექტიურ ორგანიზმში განაგრძო (კვებეკის მაგალითი). ხოლო ზოგიერთი გამოეყო უწინდელ სახელმწიფოს და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას შეუდგა (იჩქერია, ქურთისტანი). შიდასახელმწიფოებრივ დონეზე თვითგამორკვევის უფლების უგულებელყოფა, სახელმწიფო სტრუქტურის ფრაგმენტაციას იწვევს. თუმცა იმის მტკიცება, რომ ეს პროცესი ეროვნული სახელმწიფოს საფუძველი გახდა, მცდარი იქნება, ვინაიდან ეროვნულ თუ ეთნიკურ იდენტურობაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრიობის მოთხოვნა, ფაქტობრივად ახალ სახელმწიფო სისტემას ეყრდნობა. სხვაობა აქ მხოლოდ ერთშია - ეროვნულობიდან წარმოშობილმა ნაციონალიზმმა, იმპლავრა სახელმწიფოებრიობიდან წარმოშობილ ნაციონალიზმზე. ამ მოვლენებმა აქამდე არნახული რაოდენობის ე.წ. შიდა კონფლიქტი და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა გამოიწვია. აუცილებელი გახდა კონკრეტულ სიტუაციებში ჰუმანიტარული ჩარევა, რამაც კითხვის ქვეშ დააყენა სახელმწიფო ხელისუფლებების ლეგიტიმურობა. ამგვარად, დღის წესრიგში დადგა სუვერენიტეტის ტრანსფორმაციის საკითხი. საკმარისია ცივი ომის შემდგომი პერიოდი ამ პრიზმაში განვიხილოთ, დავინახავთ, რომ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქციის ფარგლები და სუვერენიტეტის ხარისხი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის აგრეთვე, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. სახელმწიფოები როგორც საერთაშორისო სამართლის კლასიკური სუბიექტები, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის დამყარების შედეგად ქმნიან საერთაშორისო თემობას, ხოლო სუვერენიტეტი და საერთაშორისო სამართალი, პირდაპირ უკავშირდება ერთმანეთს. სუვერენულ სუბიექტთა სახელმწიფოებად აღიარება, დამოკიდებულია უკვე არსებულ საერთაშორისო მართლწესრიგზე, ხოლო თავად მართლწესრიგი დამოკიდებულია სახელმწიფოების მიერ ვალდებულებების დადგენასა და მათ შესრულებაზე. სხვა სიტყვებით, სუბიექტი განსაზღვრავს ობიექტს და ობიექტით განისაზღვრება სუბიექტი. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულება ობიექტს, სუბიექტსა და მართლზომიერ ქმედებებს შორის წმინდა ფორმალურია და გარდაუვალია დეფინიციური ურთიერთდამოკიდებულების გამო. ზოგიერთ მკვლევარს მართებულად



მიაჩნია შემდეგნაირად დასვას საკითხი - რა მოხდება თუ ობიექტსა და სუბიექტს შორის გაქრება განსხვავება პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის ჭრილში? რას მივიღებთ ობიექტურისა და სუბიექტურის იდენტიფიკაციის შემთხვევაში? განიძარცვება თუ არა საერთაშორისო სამართალი მისი ფუძისაგან? ასეთ შემთხვევაში რა გახდება ათვლის ახალი წერტილი? არაერთგვაროვნებითა და დაუზუსტებლობით გამოწვეული საერთაშორისო სამართლის უუნარობის შემთხვევაში, რა იქნება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მედიაციის ენა, მათი საერთო დენომინატორი?

სწავლება საერთაშორისო სამართლებრივი არგუმენტაციის „დეკონსტრუქციის“ შესახებ, გვთავაზობს მოსაზრებას, რომ საერთაშორისო სამართლის უზენაესობის ნიშნში დამყარებულია ურთიერთსაწინააღმდეგო დაშვებებზე და ამგვარად, მოკლებულია საშუალებას საერთაშორისო საზოგადოების მრავალწახნაგოვანი სტრუქტურა უზრუნველყოს სასარგებლო მიდგომით. აქედან გამომდინარე, სოციალური კონფლიქტი უნდა მოწესრიგდეს პოლიტიკური თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარდაჭერილია ზოგადი პრინციპებისა და ფორმალური წესების უარყოფა.<sup>180</sup> კოსკენიემი (M. Koskenniemi) საერთაშორისო სამართლის თეორიის დეკონსტრუქციის შედეგად, გვთავაზობს ალტერნატივას, რომელიც ობიექტური სამართლიანობის დამკვიდრების ამო მოთხოვნის თავიდან არიდების მიზნით, უარყოფს თავად საგანს, ვინაიდან შეუძლებელია “ჭეშმარიტი თანხმობის” „*authentic consensus*“ ობიექტურად დადგენა. თუმცა სწორედ “ჭეშმარიტი თანხმობა” დგას ყველაზე ახლოს ობიექტურობასთან, რომლის მიღწევაც ჩვენ ძალგვიძს. მათ, ვისაც ამრწუნებთ არგუმენტები იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართალი მხოლოდ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, აკლია კონკრეტული, არის განუსაზღვრელი და ბუნდოვანი, არ გააჩნია ობიექტური და აბსოლუტური ფასეულობანი, კოსკენიემი მოკრძალებულ „კონსტრუქციულ ძალისხმევას“ სთავაზობს, რომელიც ტრადიციულ-ფორმალისტური თვალსაზრისით, მდგომარეობს სამართლებრივი დისკურსის არა წმინდა სამართლებრივ ჭრილში წარმართვის დაშვებაში, არამედ სამართლებრივი არგუმენტების

<sup>180</sup> M. Koskenniemi, The Politics of International Law, European Journal of International Law(EJIL) (1990) p. 4. .31-32; D. Georgiev , Politics or Rule of Law: Deconstruction and Legitimacy in International Law. 4 European Journal of International Law( EJIL) (1993). p.1-14.

საფუძვლად, პოლიტიკურად გამყარებული ვარაუდების გამოყენებაში.<sup>181</sup> საერთაშორისო სამართლებრივ მეცნიერებაში, პოსტმოდერნისტული დეკონსტრუქცია მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართალში არსებული წინააღმდეგობების, გაურკვევლობის, შემთხვევითობის, გაუთვალისწინებლობის და შეუსაბამობის დემონსტრირებას და იმის გამოამკარავებას, რომ სინამდვილეში პოზიტიურ საერთაშორისო სამართალს საფუძვლად არ უდევს რეალური კონსენსუსი. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის ახალ სწავლებებს არ შეუმუშავებიათ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის გარდამტეხი კონცეფცია. ჯერჯერობით არ შექმნილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტისადმი ახალი შემოქმედებითი მიდგომა. ასე მაგალითად, მოსამართლე როსალინ ჰიგინსი (R. Higgins), საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელოში „პრობლემები და პროცესი: საერთაშორისო სამართალი და ის თუ როგორ ვიყენებთ მას“ *„Problems & Process: International law and How We Use it,“* ეხება რა საერთაშორისო სამართლის გამოყენების საკითხს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს მოიხსენიებს „საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მონაწილეებად“. ჰიგინსის თვალსაზრისით, საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა დაყოფა „სუბიექტებად“ და „ობიექტებად“ მცდარია და არ გააჩნია ფუნქციური მიზანი. მისი თქმით: „ამგვარი დაყოფით, ჩვენზე სურვილით ავადგეთ ინტელექტუალური საბყრობილე და იგი ხელშეუხებელ ზღუდედ ვაქციეთ“.<sup>182</sup> ამასთან ჰიგინსი დასძენს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები, არ წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადით ფიქსირებულ ნორმებს და აქედან გამომდინარე, სრულად ეხმიანება სისტემის საჭიროებებს. უკანასკნელი პერიოდის თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ დისკურსში, სახელმწიფოს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის აღსანიშნავად, სუვერენიტეტის კონცეფცია გამოიყენება დეტალური და ღრმა განმარტების გარეშე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში, სუვერენიტეტი ფარდობითი ცნებაა, რომელიც დროთა განმავლობაში მუდმივ სახეცვლილებას განიცდის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტები, კვლავ რჩებიან საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მთავარ მონაწილეებად. სახელმწიფოთა

<sup>181</sup> M. Koskenniemi, *From Apology to Utopia, The Structure of International Legal Argument* (1989) p. 485.

<sup>182</sup> R. Higgins, *Problems & Process: International law and How We Use it*. OXFORD University Press (1994). p. 49

აღქმის თვალსაზრისით, დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობები საგრძნობლად განსხვავდება ცივი ომის დასრულების შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ატმოსფეროსაგან. ოცწლიანმა განვითარებამ, კვალი დაატყო თავად სახელმწიფოს და მისი როლის ზოგად აღქმას როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა კვლავ რჩება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ კონცეფციად. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, სამართალსუბიექტობის დოქტრინაში განვითარებულმა ახალმა მიმართულებებმა არ უნდა დაჩრდილონ სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის პირველადი და უპირატესი სუბიექტის როლი, ვინაიდან ვოლფგანგ ფრიდმანის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „სახელმწიფოები ერებსა და ტერიტორიებზე ლეგიტიმური ძალაუფლების საცავებს წარმოადგენენ. მხოლოდ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების, პრეროგატივის, იურისდიქციული ფარგლებისა და კანონშემოქმედებითი უნარების თვალსაზრისით არის შესაძლებელი, განისაზღვროს ტერიტორია და მასზე იურისდიქციის განხორციელება, ოფიციალურ ქმედებებზე პასუხისმგებლობა და ერთა შორის თანაარსებობის სხვა საკითხები. სახელმწიფოები თავიანთი კანონშემოქმედებითი ძალაუფლებისა და მონოპოლიის საფუძველზე დებენ ორმხრივ თუ მრავალმხრივ შეთანხმებებს, გადაწყვეტილებებს იღებენ ომების დაწყებისა თუ დასრულების შესახებ, განსაზღვრავენ პირთა დასჯისა თუ ექსტრადიციის საკითხებს. სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის სუბიექტის ეს ძირითადი უპირატესობა შესაძლოა დაიშრიტოს და ჩანაცვლდეს მხოლოდ მსოფლიო სახელმწიფოს მიერ ეროვნული ერთობების შთანთქმის შემთხვევაში...“.<sup>183</sup>

---

<sup>183</sup> W.G. Friedmann, *The Changing Structure of International Law* (1964) p.213-14)

## **თავი 3. სახელმწიფო - საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტი**

### **§1. სახელმწიფოს რაობა საერთაშორისო სამართალში**

საერთაშორისო სამართალი, სახელმწიფოს განიხილავს საერთაშორისო სამართლის ისტორიულად შემდგარ სუბიექტად. საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში, სახელმწიფოს ყველა თვისება უკავშირდება სუვერენიტეტს. სუვერენიტეტი სახელმწიფოს

პოლიტიკურ-სამართლებრივი თვისებაა, რომელსაც გააჩნია შიდასამართლებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართალი, სამართლის სუბიექტად არ მიიჩნევა სახელმწიფო ხელისუფლებას, არამედ მთლიანად სახელმწიფოს.<sup>184</sup> უშაკოვი (Н.А. Ушаков) მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო განსაზღვრავს საკუთარ სამართლებრივ სტატუსს და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში გამოდის სამართლის ერთიან სუბიექტად. მას მიაჩნია, რომ, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, რაც სუვერენიტეტის გამოვლინებას წარმოადგენს, ქმნის საერთაშორისო სამართლებრივ უფლებამოსილებათა ფლობის აუცილებელ პირობებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, უშუალოდ გამომდინარეობს იმ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან, რომლებიც ადგენენ სახელმწიფოთა, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს.<sup>185</sup> სახელმწიფოზე, როგორც საერთაშორისო სამართლის პირველად სუბიექტზე და მის სუვერენიტეტზე მსჯელობისას, ტუნკინი (Г. И. Тункин) განმარტავს, რომ სახელმწიფოები გვევლინებიან საერთაშორისო სამართლის სუვერენულ სუბიექტებად და რომ “სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ნიშნავს საკუთარ ტერიტორიაზე სახელმწიფოს უზენაესობას და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში დამოუკიდებლობას.”<sup>186</sup> ამ საკითხზე საუბრისას, იგი საერთაშორისო სამართლის ხელშეუვალ პრინციპს - სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპს იშველიებს. ტუნკინი დასძენს, რომ ყველა სახელმწიფოს ახასიათებს თანაბარი საერთაშორისო სამართალსუბიექტობა. მათ გააჩნიათ იურიდიული უნარი იქონიონ და განახორციელონ ყველა უფლება დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობასთან. გაეროს წესდების შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაციაში, აღნიშნულია, რომ “ყოველი სახელმწიფო

<sup>184</sup> Н.А. Ушаков. Суверенитет в современном международном праве, 1963, стр.7.

<sup>185</sup> Н.А. Ушаков. Субъекты современного международного права, стр.61-62.

<sup>186</sup> Г. И. Тункин, Международное Право .. Глава 5 Субъекты современного международного права, Москва (1982) с.

სარგებლობს სრული სუვერენიტეტისათვის შესატყვისი უფლებებით”.<sup>187</sup> განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოთა შემდეგ ძირითად უფლებამოსილებებს: 1) სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო სამართლის სხვაგვარ სუბიექტებთან დაამყარონ ურთიერთობა; 2) სხვა სახელმწიფოებთან დაამყარონ დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები და ყავდეთ წარმომადგენლობა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა წევრებიც არიან; 3) დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები ან სხვაგვარად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნაში; 4) იყვნენ საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციების წევრები და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში; 5) დაიცვან საკუთარი სამართალსუბიექტობა, ასევე გამოიყენონ სანქციები საერთაშორისო სამართლის ნორმების დამრღვევთა წინააღმდეგ. ყველა სახელმწიფოს გააჩნია თანაბარი ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, მიუხედავად განსხვავებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვაგვარი ხასიათისა. ამასთანავე, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი არ გამორიცხავს განსხვავებებს ნაწარმოებ ინდივიდუალურ უფლება-მოვალეობათა მოცულობასა და შინაარსში, რომლებიც სახელმწიფოებმა იტვირთეს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.<sup>188</sup> სახელმწიფოთა მოქმედებებში (*et facere*), ან მოქმედებებისგან თავის შეკავებაში (*non facere*) გამოიხატება მათი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. ყოველი სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი. საერთაშორისო სამართალი, აღიარებს რა სახელმწიფოთა იურიდიულ თანასწორობას, ითვალისწინებს მათ მიერ უფლებამოსილების სრულად ან ნაწილობრივ განხორციელებას, საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის ხარისხიდან გამომდინარე. მართალია სახელმწიფოები თანასწორნი არიან ტერიტორიის, მოსახლეობისა თუ გეოგრაფიული

---

<sup>187</sup> 1970 წლის 24 ოქტომბერი – „გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაციის“, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის (ბ) პუნქტი.

<sup>188</sup> Г. И. Тункин, Международное Право, Глава 5 Субъекты современного международного права, (Москва 1982) с. 85.

მდებარეობისგან დამოუკიდებლად, მათი იურიდიული თანასწორობა არ უნდა გავაიგივოთ მათ სუბიექტურ უფლებებსა და მოვალეობებთან. უფლებამოსილებანი, რომლებსაც ესა თუ ის სახელმწიფო ფლობს, ემყარება როგორც იურიდიულ, ისე ფაქტობრივ მდგომარეობას. ტუნკინის თანახმად: „იურიდიული თანასწორობიდან გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში უმეტეს სახელმწიფოებს არ შეუძლიათ სხვა სახელმწიფოთათვის სავალდებულო ნორმების დაწესება. აგრეთვე არ აქვთ უფლება საკუთარი სამართლის ნორმები თავს მოახვიონ სხვა სახელმწიფოებს“.<sup>189</sup> სახელმწიფოთა ურთიერთობების კოორდინაციის ძირითად პრინციპს წარმოადგენს პრინციპი, რომლის თანახმად, ერთერთ მხარეს საკუთარი უფლება-მოვალეობის განხორციელება შეუძლია იმ პირობით, თუ მეორე მხარეც მსგავს მოქმედებებს ახორციელებს. „საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა იურიდიული თანასწორობა არ არის აბსტრაქტული თანასწორობა. იგი სრულიადაც არ გულისხმობს ხელშეკრულებით ურთიერთობებში სახელმწიფოთა უფლებათა და მოვალეობათა აბსოლუტურ იდენტურობას. იგი აგრეთვე არ ითხოვს რეალური სინამდვილისაგან, კერძოდ კი, სახელმწიფოთა ინტერესთა და შესაძლებლობათა განსხვავებულობის ფაქტისაგან აბსტრაგირებას.“<sup>190</sup> ამგვარი ფაქტობრივი „არათანაბარი აღქმა“ შეესატყვისება სახელმწიფოთა სტატუსს საერთაშორისო ურთიერთობებში. ამრიგად, სახელმწიფოები შესაძლებელია ფლობდნენ არათანაბარ უფლებებს და ეკისრებოდეთ არათანაბარი ვალდებულებები, მაშასადამე, ქმედუნარიანობის თვალსაზრისით იყვნენ არათანაბარნი. თუმცა ეს არ ახდენს გავლენას სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეზღუდვაზე ან გაფართოებაზე, იგი ეხება მხოლოდ სამართლებრივი სტატუსის დადგენას. უშაკოვის თანახმად, „იურიდიულად სრულად კანონზომიერია, რომ გაეროს წესდება ძლევამოსილ სახელმწიფოებს - უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს - ანიჭებს დამატებით უფლებებს, რომელთა გარეშე ვერ შეძლებდნენ მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად საჭირო ვალდებულებების განხორციელებას. ეს შეესაბამება უფლება-მოვალეობათა შესატყვისობის ელემენტარულ

---

<sup>189</sup> Г.И. Тункин, О юридической природе обычных норм международного права, «Вопросы международного права» 1960, стр.14

<sup>190</sup> Н.А. Ушаков. Суверенитет в современном международном праве, стр. 173.

სამართლებრივ პრინციპს. პრინციპი, რომლის თანახმად არც ერთ სახელმწიფოს არ შეიძლება დაეკისროს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება მისი თანხმობის გარეშე, გამომდინარეობს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპიდან<sup>191</sup>.

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, სახელმწიფო წარმოადგენს ერთობას, რომელსაც გააჩნია საკუთარი ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფი განსაზღვრული ტერიტორია და მუდმივი მოსახლეობა, რომელიც ამყარებს ან უნარი შესწევს დაამყაროს ოფიციალური ურთიერთობა სხვა მსგავს ერთობასთან. საზოგადოდ არის ცნობილი, რომ სახელმწიფოებრიობის ტრადიციული განსაზღვრება საერთაშორისო სამართალში, შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან. ესენია: უწინარეს ყოვლისა მუდმივი მოსახლეობა - ხალხი, შემდეგ ტერიტორია, ხელისუფლება და ბოლოს, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარი. მართებული იქნება მოკლედ განვიხილოთ თითოეული ეს კომპონენტი.

რამდენ ადამიანს გულისხმობს პერმანენტული მოსახლეობა? მცირე ზომის სუვერენული სახელმწიფოების ზრდის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სამართალში მოსახლეობის სავალდებულო მინიმალური ზღვარი არ არის დადგენილი. ასე მაგალითად ნაურუს მოსახლეობა დაახლოებით 8.000 ადამიანს შეადგენს, ხოლო ლიხტენშტეინისა 28.000-ს. აღარაფერს ვამბობთ ვატიკანზე, რომელიც მიჩნეულია ქალაქ-სახელმწიფოდ და რომლის მოსახლეობა 300 კაცია. მოსახლეობის მოქალაქეობრივი კუთვნილების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ახალი სახელმწიფოს წარმოშობის დროს, იქ მოსახლე ადამიანები როგორ წესი, ამ სახელმწიფოს მოქალაქენი ხდებიან, მოსახლეობაზე ახალი სახელმწიფოს მოქალაქეობის გავრცელება არ წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის აუცილებელ პირობას.

მსგავსი რამ შეიძლება ითქვას სახელმწიფოს ტერიტორიის სიდიდის შეასახებაც. საერთაშორისო სამართლის არც თეორიაში და არც პრაქტიკაში არ მოიპოვება განსაზღვრული წესი, რომელიც ტერიტორიის რაიმე მინიმალურ ზღვარს აწესებდეს. ასე

---

<sup>191</sup> Н.А. Ушаков, Принципы единогласия великих держав в Организации Объединенных Наций, АН СССР 1956. стр.53.



მაგალითად, მონაკოს ტერიტორია სიდიდით 1.5. კვადრატული კილომეტრია. ტერიტორიასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი სახელმწიფოს ტერიტორია იყოს მკაფიოდ დადგენილი სახელმწიფო საზღვრით. ისტორიულად, მრავალმა სახელმწიფომ დაიწყო არსებობა საზღვრის საკითხის მოუგვარებლად. მაგალითად, არავის დაუყენებია ექვქვემ ამერიკის შეერთებული შტატების არსებობა მის მიერ საზღვრების საკითხის მოწესრიგებამდე, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. მაგალითისათვის აგრეთვე გამოდგება ისრაელი, რომლის ტერიტორიის მიჯნა დღემდე არ წარმოადგენს სტატიკურ მოცემულობას. ასე რომ, ტერიტორიულობის კონცეფცია ყოველთვის არ გულისხმობს ტერიტორიული საზღვრის ზედმიწევნით დელიმიტაციას. გაეროს წევრ სახელმწიფოდ ისრაელის მიღების მხარდასაჭერად წარმოთქმულ სიტყვაში, უშიშროების საბჭოში აშშ-ს იმჟამინდელმა წარმომადგენელმა ფილიპ ჯესაპმა (P.C. Jessup) განაცხადა, - „მიზეზი იმისა რომ ტერიტორია სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია, არის ის რომ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ტერიტორია, რათა მავანმა იგი სხეულისაგან განმარცვულ სულად არ აღიქვას. ისტორიულად, კონცეფციის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ უნდა არსებობდეს დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი, რომელზეც სახლობს მისი ხალხი და იმართება საკუთარი ხელისუფლების მიერ. ვერავინ იტყვის, რომ ისრაელის სახელმწიფო არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს“.<sup>192</sup>

რაც შეეხება სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, ხელისუფლების არსებობას და მის ეფექტიან განხორციელებას, უნდა ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოებრიობის მოპოვების თვალსაზრისით. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ ალანდის კუნძულებთან დაკავშირებული დავა. 1920 წელს, ერთა ლიგის მიერ ჩამოყალიბებულმა იურისტთა კომისიამ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ალანდის კუნძულებთან დაკავშირებული სადავო საკითხები, დაადგინა, რომ ფინეთს არ ჰქონდა მოპოვებული სახელმწიფოებრიობა ხელისუფლების ეფექტიანად განხორციელების მომენტამდე. კომისიამ განმარტა - „მნიშვნელოვანი დროის მანძილზე,

<sup>192</sup> U.N. Security Council Official Records(SCOR), 383 Mtg., Dec 2, 1948, No. 128, pp. 9-12

სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობები არ არსებობდა. შუაგულ რევოლუციასა და ანარქიაში, სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი ზოგიერთი ელემენტი, ფაქტობრივი ელემენტების ჩათვლით, არ არსებობდა მნიშვნელოვანი დროის მანძილზე. პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება მოშლილი იყო; ხელისუფლების ორგანოები ვერ ახერხებდნენ თვითდამკვიდრებას. სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. გარდა ამისა, სეიმი, რომლის კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებდა ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი, რევოლუციური პარტიის მიერ იქნა დაშლილი, ხოლო მთავრობა განდევნილ იქნა დედაქალაქიდან და ძალადობის გზით აღეკვეთა მოვალეობათა შესრულების შესაძლებლობა; შეიარაღებულ ჯგუფთა ბანაკები და პოლიცია ერთმანეთს დაუპირისპირდა. რუსეთის ჯარები, ხოლო მოგვიანებით კი გერმანიისა, მონაწილეობდნენ სამოქალაქო ომში ... აქედან გამომდინარე, რთულია განსაზღვრო, რომელ კონკრეტულ თარიღს დაფუძნდა ფინეთის რესპუბლიკა იურიდიული თვალსაზრისით, როგორც კონკრეტული სუვერენული სახელმწიფო. ერთმნიშვნელოვნად, ეს არ განხორციელებულა მდგრადი პოლიტიკური ორგანიზაციის დამყარებამდე და იქამდე, ვიდრე საჯარო ხელისუფლება საკმარისად არ გაძლიერდა მთელ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე. როგორც ჩანს, ეს მოხდა 1918 წელს, როდესაც დასრულდა სამოქალაქო ომი და უცხო ქვეყნის ჯარებმა იწყეს ქვეყნის დატოვება, რის შემდეგაც ნაბიჯ-ნაბიჯ შესაძლებელი გახდა ნორმალური პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის ჩამოყალიბება”.<sup>193</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, კროუფორდი (J.Crawford) მიუთითებს, რომ „ახალმა სახელმწიფომ, რომელიც მეტროპოლიიდან გამოყოფის შედეგად ჩამოყალიბდა, ვიდრე მას ცალსახად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოდ აღიქვამენ, უნდა უჩვენოს მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა, როგორც ფორმალური, ისე ქმედითი თვალსაზრისით. მეორეს მხრივ, უკვე არსებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას იცავს საერთაშორისო სამართალი სხვა სახელმწიფოს შეჭრისა და ანექსიისაგან ისე, რომ იგი ეფექტიანობის ნაკლებობის შემთხვევაშიც კი, აგრძელებს სამართლებრივ ერთობად არსებობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუმცა მნიშვნელობა ადარ აქვს ადრე მინიჭებულ უფლებებს და დამოუკიდებლობა განიხილება უმეტესწილად ფორმალურ

<sup>193</sup> League of Nations O.J., Spec, Supp. 4, at 8-9 (1920)

კრიტერიუმად“.<sup>194</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთის ხელისუფლების ეფექტიანობის შემთხვევისგან განსხვავებით, საერთაშორისო ურთიერთობათა უახლესი ისტორიის მაგალითები ცხადყოფენ, რომ ხელისუფლების ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართალში მკვიდრდება განსხვავებული მიდგომა. ასე მაგალითად, ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ახალი სახელმწიფოები, რომლებიც იუგოსლავიის დაშლის შედეგად წამოშობილ სახელმწიფოებად ითვლება, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქნა ცნობილი მაშინ, როდესაც ორივე ქვეყანაში არასახელისუფლო ძალები აკონტროლებდნენ ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილებს და ორივე ეს ქვეყანა სამოქალაქო ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუ გავიხსენებთ საქართველოს მაგალითს, აღმოვაჩინებთ, რომ უმეტესი ქვეყნების მიერ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იგი აღიარებულ იქნა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში მიმდინარეობდა ბრძოლები ხელისუფლებასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის, აგრეთვე შემდგომ პერიოდში, როდესაც საქართველო *de facto* ხელისუფლების მიერ იმართებოდა. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება განსახილველი ერთობის არსებობასა და სხვა სახელმწიფოების მიერ მის აღქმას. მართალია ეს უნარი სახელმწიფოების გარდა, სხვა სახის სუბიექტებსაც გააჩნიათ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სუვერენული სახელმწიფოებისათვის, ხსენებული კომპონენტი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ის უნარია, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე ქმედით ერთობად აქცევს. მის გარეშე, წარმოუდგენელია ერთობის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მსგავს ერთობასთან სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების კომპეტენცია. აქ გადამწყვეტია ურთიერთობის დამყარების კომპეტენცია და არა ამ ურთიერთობის შედეგად განხორციელებული ზემოქმედების ხარისხი. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ამგვარი უნარის ფლობას, განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ფარგლები, ვინაიდან

---

<sup>194</sup> J.Crawford, The Criteria for Statehood in International Law, 48 Brit.Y.B.I.L. (1976-77) p. 120

სრულუფლებიანი ურთიერთობის დამყარების უნარის არსი სწორად დამოუკიდებლობაში მდგომარეობს. იგი გადამწყვეტია სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით და უკავშირდება კონკრეტულ გარემოებებში სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებას. ერთობას, რომელსაც არ გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ ითვლება სრულფასოვან ძირითად სუბიექტად, ე.ი. სახელმწიფოდ. ეს უნარი მდგომარეობს სახელმწიფოს შესაძლებლობაში, თავისი კონსტიტუციური სისტემის საფუძველზე აწარმოოს საერთაშორისო ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან. ამისათვის მას უნდა გააჩნდეს პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობანი. საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარის მქონე ერთობა, რომელიც ნებაყოფლობით, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცემს სხვა სახელმწიფოს კონტროლს საკუთარ საგარეო ურთიერთობებზე, არ წყვეტს სახელმწიფოდ არსებობას. სხვა სახელმწიფოსათვის საგარეო ურთიერთობებზე კონტროლის განხორციელების უფლების გადაცემის ნათელ მაგალითს, წარმოადგენს ლიხტენშტეინის მიერ შვეიცარიისათვის ამგვარი უფლებაუნარიანობის გადაცემა. ამ გარემოების მიუხედავად, ლიხტენშტეინი მიღებულ იქნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების წევრად, რომლის წევრობის უფლება მხოლოდ სახელმწიფოებს გააჩნიათ. ე.წ. ნოტებომის საქმეში (Nottebohm Case) ლიხტენშტეინმა მონაწილეობა მიიღო დავაში გვატემალას წინააღმდეგ.<sup>195</sup> მაგალითისათვის ასევე გამოდგება ევროპის ეკონომიკური კავშირი, რომელმაც მისი მონაწილეების სახელმწიფოებრიობა ხელუხლებელი დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც უწინ მონაწილე სახელმწიფოები აკონტროლებდნენ, საერთაშორისო პასუხისმგებლობა სწორად კავშირმა იტვირთა. საინტერესოა ე.წ. „პროტექტორატის“, გნებავთ სხვა „დაცვის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს“ დამოუკიდებლობასთან და სუვერენიტეტთან დაკავშირებული თვალსაზრისი, გამოთქმული იმ სახელმწიფოთა მიერ, რომლებსაც შეთანხმების საფუძველზე გადაეცათ კონტროლი ამ უკანასკნელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე და რომლებიც მათ „დაცვას“ ახორციელებენ. საქმე ის

---

<sup>195</sup> Liechtenstein v. Guatemala, 1955 I.C.J. Rep. 4 p.374 infra.

არის, რომ ხშირად „იმპერიული ძალების“ მართლმსაჯულების ორგანოები, თავიანთ „პროტექტორატებს“ სუვერენულ სახელმწიფოებად მიიჩნევენ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე იმუნიტეტთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. ასე მაგალითად, მიუხედავად ბრიტანეთსა და კელანტანს შორის 1910 წლის, 22 ოქტომბერს, დადებული ხელშეკრულებისა, რომლის მიხედვით კელანტანს არ უნდა დაემყარებინა არავითარი ურთიერთობა უცხო სახელმწიფოსთან ბრიტანეთის მონარქის გარეშე, ბრიტანეთმა იგი სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამავდროულად, აღნიშნული ხელშეკრულება კელანტანის რაჯას სრულ ადმინისტრაციულ თავისუფლებას ანიჭებდა. ლორდთა პალატაში, ვისკონტ ფინლიმ (R. B. Finlay, 1st Viscount Finlay) განაცხადა: „მიუხედავად მისი (კელანტანის) დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა, მოცემული დოკუმენტი არ ეწინააღმდეგება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახეზეა საკმარისი ხარისხის დამოუკიდებლობა სუვერენიტეტზე პრეტენზიის განსაცხადებლად“.<sup>196</sup> აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სუვერენიტეტი, არსობრივად სახელმწიფოს ნორმატიული წესრიგის ხარისხის მაჩვენებელია და სახელმწიფოს იურისდიქციასა თუ კომპეტენციას უკავშირდება. თავად სუვერენიტეტის არსი, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შეზღუდვათა არსებობას, ვინაიდან სახელმწიფოსათვის საერთაშორისო ვალდებულების დაკისრება, იქნება ეს ხელშეკრულებისა თუ სხვა ლეგიტიმურ საფუძველზე, ავტომატურად ნიშნავს სუვერენიტეტის გარკვეულწილად შეზღუდვას. აქ მთავარია სახელმწიფო არ დაექვემდებაროს სხვა სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას. თავის მხრივ, ეს მოსაზრებაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ფედერაციული სახელმწიფოს შემთხვევაში, როდესაც ფედერაციის წევრი სახელმწიფოები, ხელშეკრულების საფუძველზე ქმნიან ფედერაციულ სახელმწიფოს და კარგავენ სახელმწიფოებრიობის ხარისხს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. დოქტრინა იმის შესახებ, რომ ისინი რჩებიან „სუვერენულ“ სახელმწიფოებად და ხდება სუვერენიტეტის მხოლოდ გაყოფა ფედერაციის წევრებსა და თავად ფედერაციას შორის,

---

<sup>196</sup>J. Crawford, *The Creation of States in International Law*, second edition, Clarendon Press, Oxford. (2006), p.77; *Duff Development Co v Government of Kelantan* (1942) AC 797, 800; T.Marks, *British Acquisition of Siamese Malaya* (1896-1909) Bangkok, White Lotus Press, 1997, p. 79-91.

უკავშირდება სუვერენიტეტის სახელმწიფო ხელისუფლების რაოდენობად აღქმას, აქედან გამომდინარე კი, დანაწილების შესაძლებლობას და არა სუვერენიტეტს, როგორც ხარისხს. რადგან ხარისხი გაყოფას არ ექვემდებარება, ის რაც იყოფა, არ გვევლინება სუვერენიტეტად, არამედ წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო კომპეტენციას. თუმცა ისიც მართალია, რომ ამ შემთხვევაში უნდა მოვერიდოთ სიტყვა სუვერენიტეტს, მითუფრო საერთაშორისო სამართლის ველში საუბრისას და მის მაგივრად, როგორც ამას პროფესორი გუგენჰაიმი (P. Guggenheim) თავის საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელოში „Lehrbuch“<sup>197</sup> გვიჩვენებს, გამოვიყენოთ ტერმინი დამოუკიდებლობა. აქ იგულისხმება დამოუკიდებლობა არა საერთაშორისო სამართლისაგან, არამედ დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოს ნებასურვილისაგან. საუბარია ე.წ. რელატიურ დამოუკიდებლობაზე, რასაც გერმანული ტერმინი „*Volkerrechtsunmittelbarkeit*“ გამოხატავს. საერთაშორისო სამართალში მიმდინარეობს პოლემიკა იმის შესახებ, თუ რომელი ერთობები შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოდ, განსაკუთრებით კი ისეთ საგანგებო პოლიტიკური ცვლილებების წარმოშობისას როგორცაა:

1. არსებული სახელმწიფოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფა ან ამგვარი მცდელობა.
2. სახელმწიფო გამგებლობის საკითხებზე უცხო სახელმწიფოს კონტროლის განხორციელება ხელშეკრულების, ძალაუფლების ცალმხრივად თავსმოხვევის თუ ძალაუფლების გადაცემის შემთხვევაში.
3. სახელმწიფოთა გაერთიანების შემთხვევებში, როდესაც მისი წევრები ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ავტონომიას.
4. ფედერაციული სახელმწიფოების შემადგენელი წევრების მიერ სახელმწიფოებრივი ატრიბუტების მოთხოვნის შემთხვევაში.
5. საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო ჩვეულების საფუძველზე სპეციალური საერთაშორისო სატატუსის მატარებელი ტერიტორიული თუ

---

<sup>197</sup> P. Guggenheim, Lehrbuch des Völkerrechts unter Berücksichtigung der internationalen und schweizerischen Praxis. 2 Bde., Verlag für Recht und Gesellschaft, Basel 1948–1951.

არატერიტორიული თანამეგობრობების მიერ გარკვეული მიზნით სახელმწიფოებრიობის მოთხოვნის შემთხვევაში.

ამგვარ ვითარებათა წარმოშობისას, წინააღმდეგობანი თავს იჩენენ ხოლმე როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. საერთაშორისო სიბრტყეში სახელმწიფოებრიობის საკითხი აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც სადავო სტატუსის მქონე ერთობა იმგვარ საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილეობის მიღების უფლებას ითხოვს, რომელშიც მხოლოდ სახელმწიფოები მონაწილეობენ. ასე მაგალითად, ერთობათა მხრიდან სახელმწიფოებრიობის საკითხის წამოჭრა, ხშირად იჩენს თავს, როდესაც საკითხი ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასა თუ მისი ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას. ასევე საკითხი ყურადღებას იზიარებს მაშინ, როდესაც ესა თუ ის ერთობა პრეტენზიას აცხადებს გახდეს მონაწილე იმ მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებისა, რომელთა ხელშემკვერელ წევრებსაც მხოლოდ სახელმწიფოები წარმოადგენენ. ორმხრივი შეთანხმებების მიზნებისათვის, ეროვნულ მთავრობებს შეუძლიათ გადაწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს ერთობა სახელმწიფოს თუ არა. ჩვეულებრივ ამგვარი დეტერმინაცია ხორციელდება ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ ერთობის სახელმწიფოდ გამოცხადებით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ერთობის სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხი, რადიკალურად განსხვავდება კონკრეტული რეჟიმის სახელმწიფოს ხელისუფლებად აღქმის საკითხისაგან. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი ხელისუფლების არსებობა სახელმწიფოებრიობის ერთერთი მთავარი კომპონენტია, ხელისუფლებას ცვალებადობა ახასიათებს და ხშირ შემთხვევებში ხელისუფლებაზე პრეტენდენტებს შორის დავები წარმოიშობება. ასეთ ვითარებაში, უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, შეუძლიათ გადაწყვიტონ, თუ რომელ მთავრობასთან დაამყარონ ურთიერთობა და მიიჩნიონ მოცემული სახელმწიფოს ხელისუფლებად. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიდგომა ყოველთვის არ შეესაბამება თავად მოცემული სახელმწიფოს ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მთავრობის მიერ ამა თუ იმ მთავრობის ცნობა, შესაძლოა პასუხობდეს არა თავად ამ სახელმწიფოს, არამედ ამლიარებელ სახელმწიფოთა მიზნებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების განსაზღვრის საკითხი, არ

გავს სახელმწიფოებრიობის განსაზღვრისა თუ აღიარების საკითხს და ცალკე შესწავლის საგანია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად, გარკვეულ ტერიტორიაზე ხელისუფლების განხორციელების პრეროგატივის ქონა, პირდაპირ უკავშირდება ამ ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრას. მაგალითად აშშ-ს შემთხვევაში, აღიარება წმინდა პოლიტიკური საკითხია, რომლის მინიჭება-არმინიჭების საკითხის გადაწყვეტა მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლების ხელშია. საქმეში კენი აშშ-ს წინააღმდეგ,<sup>198</sup> სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დაბლოკილ აქტივებზე საკუთრების უფლების განსაზღვრა, მოითხოვს სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას და რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება მართლმსაჯულებისგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს.<sup>199</sup> ეს საქმე გვევლინება აშშ-ს მართლმსაჯულების ორგანოების ხანგრძლივი პრაქტიკის ერთ-ერთ მაგალითად, რომელიც უარს აცხადებს იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს ექსკლუზიურ პოლიტიკურ საკითხებზე. ამგვარად, აშშ-ს ფედერალური სასამართლოები უარს აცხადებენ გადაწყვიტონ სამართალმემკვიდრეობასთან დაკავშირებული პოლიტიკური ხასიათის საკითხები. ასეთი დამოკიდებულება ემყარება აშშ-ს კონსტიტუციის II მუხლის, მეორე და მესამე ნაწილებს, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ანიჭებს ელჩების დანიშვნისა და უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების მიღების პრეროგატივას, რაც დადასტურებულია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე კუბის ნაციონალური ბანკი საბატინოს წინააღმდეგ<sup>200</sup> და საქმეში ნიუ იორკის ნაციონალური საქალაქო ბანკი P.R.C.-ს წინააღმდეგ<sup>201</sup>. საგულისხმოა, რომ აშშ-ს პრეზიდენტს, საკუთარი აღმასრულებელი უფლებამოსილების განხორციელებისას, აღიარების დაპირება შეუძლია გამოიყენოს მოლაპარაკების ინსტრუმენტად. აღიარება გავლენას ახდენს მხარის შესაძლებლობაზე მიმართოს აშშ-ს მართლმსაჯულების ორგანოებს საკუთარი ქონებრივი უფლებების, აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურთა კუთვნილი უფლებების დასაცავად. აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, სუვერენული სახელმწიფოს სახელით აშშ-ს

<sup>198</sup> Can v. United States, 14 F.3d (2d Cir.1994) 160

<sup>199</sup> Ibid. 162.

<sup>200</sup> Banco Nacional de Cuba v. Sabbatino, 376 U.S. (1964)) 398, 410-11

<sup>201</sup> National City Bank of New York v. P.R.C., 348 U.S. (1955)) 356, 358



სასამართლოებისათვის მიმართვის უფლება აქვს „მხოლოდ იმ მთავრობას, რომელიც აღიარებულია აშშ-ს ხელისუფლების პოლიტიკური დეპარტამენტის მიერ, როგორც უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი მთავრობა“<sup>202</sup>. სახელმწიფოს აღიარების ან არაღიარების გადაწყვეტილებას აშშ-ში მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები სდევს თან. იგი პირდაპირ უკავშირდება აშშ-ს ნებასურვილს, აღიაროს ან არ აღიაროს ხელისუფლება, რომელიც პრეტენზიას აცხადებს გარკვეული ტერიტორიისა თუ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე. აქედან გამომდინარე ლოგიკურია ის, რომ აშშ-ს სასამართლოები უარს აცხადებენ იმ საქმეთა განხილვაზე, რომლებიც არაღიარებულ მთავრობებს უკავშირდება, ვინაიდან ამგვარ საკითხთა გადაწყვეტა, ნიშნავს იმ უფლებათა შესახებ დავების მოწესრიგებას, რომლებიც აშშ-ს აღმასრულებელი ხელისუფლების თვალსაზრისით დავის მონაწილეს არ გააჩნია.<sup>203</sup> აშშ-ს კანონმდებლობით, სახელმწიფოს არ ეკისრება სხვა რომელიმე სახელმწიფოს აღიარების ვალდებულება. სავალდებულოა მხოლოდ იმ ერთობასთან სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დამყარება, რომელიც აკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნებს, თუ იგი სახელმწიფოებრიობას არ მოიპოვებს საერთაშორისო სამართლის დარღვევით. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიშობა ერთობის სახელმწიფოდ არ აღიარების ვალდებულება.<sup>204</sup> აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოთა აღიარების კატეგორია აშშ-ს საერთაშორისო სამართლებრივ პოლიტიკაში, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება მთავრობათა აღიარებას. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ აშშ-ს პრეზიდენტი, ფლობს რა სახელმწიფოთა და მთავრობათა აღიარების უფლებამოსილებას, აკონტროლებს დიპლომატიურ ურთიერთობებს. სამართლებრივი თვალსაზრისით ეს უფლებამოსილებანი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაშინ როდესაც ახალი სახელმწიფოსა თუ მთავრობის აღიარებაზე უარის თქმა, აღკვეთს აშშ-ს სასამართლოებისათვის მიმართვის საშუალებას, დიპლომატიური ურთიერთობების არქონა ამგვარ აკრძალვას არ ითვალისწინებს. ერთის მხრივ, სახელმწიფოს ლეგიტიმურობა,

<sup>202</sup> Guaranty Trust Co., 304 U.S. at 137; National Oil Corp. v. Libyan Sun Oil Co., 733 F. Supp. 800, 805 (D.Del. 1990); National Petrochemical Co. of Iran v. M/T Stolt Sheaf, 860 F. 2d 551, 553 (2d Cir. 1988)).

<sup>203</sup> Carsten Thomas Ebenroth and Matthew James Kemner, The Enduring Political Nature of Questions of State Succession and Secession and the Quest for Objective Standards. University of Pennsylvania Journal of International Economic Law, Vol.17, Num 3. Fall 1996 p.770).

<sup>204</sup> Restatement of the Foreign Relations Law of the United States(Revised 1985) Section 202

უფრო სწორად კი, მისი სუვერენული ძალაუფლების ლეგიტიმურობა, წმინდად საშინაო საქმეა. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ეს ლეგიტიმურობა შეავსოს სხვა სახელმწიფოების აღიარებამ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნაპოლეონმა კამპო ფორმიოს სამშვიდობო ხელშეკრულების წინ განაცხადა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა აღარ საჭიროებდა აღიარებას, ისევე როგორც მზე არ საჭიროებდა ამას. მისი ეს სიტყვები გადმოგვცემენ იმ მოსაზრებას, რომ არსებობის სიძლიერე თავად ატარებს აღიარების გარანტიას, მაშინაც კი, როდესაც იგი არ არის ექსპრესიულად ფორმულირებული. ოპენჰაიმის (Lassa F.L. Oppenheim) თვალსაზრისით, „ახალი სახელმწიფოს ფორმირება ფაქტობრივი საკითხია და არა სამართლებრივი“, *“The formation of a new state is...a matter of fact, and not of law”*.<sup>205</sup> ამ ლოგიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობის წარმოშობა არა ლეგიტიმურობა, არამედ ეფექტიანობაა. გარდა ოპენჰაიმისა, სხვა სამართალმცოდნეც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ “ახალი სახელმწიფოს ფორმირება ფაქტის საკითხია და არა სამართლისა”.<sup>206</sup>

ახალი სახელმწიფოები ხშირად რევოლუციის შედეგად წარმოიქმნებიან, როგორც ეს პორტუგალიისა (1640-1648) და ნიდერლანდების (1559-1648) ესპანეთისაგან გამოყოფის შედეგად მოხდა. გასარკვევი მხოლოდ ის არის, შეუძლია თუ არა ახლადწარმოქმნილ „რევოლუციურ ერთობას“ წინამორბედი სახელმწიფოს მიერ მის ცნობამდე, ისარგებლოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით. პრაქტიკა მოწმობს, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ველში, ზოგიერთი სახელმწიფო ამყარებს ურთიერთობებს გამოყოფის პროცესში მყოფ ერთობებთან, წინამორბედი სახელმწიფოების მიერ მათ აღიარებამდე. ამის ნათელი მაგალითია 1820 წელს, სამხრეთ ამერიკის ესპანეთიდან გამოყოფა. ხოლო საერთაშორისო სამართლის უახლეს ისტორიაში, მრავალი სახელმწიფოს მიერ კოსოვოს აღიარება, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ მისი გამოყოფის ლეგიტიმურობის საკითხის გადაწყვეტამდე. მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე,

<sup>205</sup> J. Crawford, *The Creation of States in International Law*, second edition, Clarendon Press, Oxford. (2006).p.3; LFL. Oppenheim, *International Law* (1st edn), vol 1, 264, § 209; (8th edn), vol 1, 544, § 209.

<sup>206</sup> JW. Jones, *The “Pure” Theory of International law*(1935)16BY 5,15-16; G, Marston, *Termination of Trusteeship* (1969) 18 ICLQ 1, 33; G, Arangio-Ruiz, *L’État dans le sens du droit des gens et la notion du droit international*(1975-6) 26 OzfoR 3, 265,284-5, 332.; WW. Willoughby, *An Examination of the Nature of the State*, (London, Macmillan 1896)195: “Sovereignty upon which all legality depends, is itself a question of fact, and not of law.”

საერთაშორისო სამართლის მკვლევარები აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ. ეს იმით იყო განპირობებული, რომ სუვერენიტეტი მის თავდაპირველ მდგომარეობაში გამოიხატებოდა უმაღლესი ძალაუფლების ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულში (*suprema potestas*), წარმოიქმნებოდა შინაგანად და არ საჭიროებდა სხვა სახელმწიფოებისა თუ ერთობების აღიარებას. ალექსანდროვიჩის (A. Alexandrowicz) თვალსაზრისით, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე, აღიარების საკითხი რაიმე ზუსტი და ფორმულიზებული თეორიის მიღმა იყო. ამ საკითხს ცალკე ადგილი არ დათმობია არც ნატურალიზმისა და არც პოზიტივიზმის კლასიკურ ნაშრომებში.<sup>207</sup> XVIII საუკუნის შუა პერიოდში, აღიარების საკითხს უფრო დეტალური ყურადღება დაეთმო. ეს მოხდა მონარქების აღიარების კონტექსტში, უფრო ზუსტად კი, არჩევითი მონარქების კონტექსტში, რაც ფაქტობრივად ხელისუფლებათა აღიარების საკითხს უფრო ითვალისწინებდა, ვიდრე სახელმწიფოთა აღიარებისა. პოზიტივიზმის თანახმად, საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების ვალდებულება დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს თანხმობაზე. საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ახალი სახელმწიფოს წარმოშობა, ახალ სამართლებრივ ვალდებულებებს წარმოშობს უკვე არსებული სახელმწიფოებისათვის. პოზიტივისტური წინაპირობა ითხოვს თანხმობას სახელმწიფოს წარმოშობისათვის ან საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ჩამოყალიბებისათვის. სახელმწიფოები ჩვეულებრივ მხარს უჭერდნენ საერთაშორისო სამართლის პოზიტივისტურ თვალთახედვას. სახელმწიფოებრიობისა და აღიარების საკითხებთან დაკავშირებით, მეცხრამეტე საუკუნეში არსებული თვალთახედვათა მოკლე მიმოხილვის შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დოქტრინები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და ძირითადად პოზიტივიზმს ემყარება. სახელმწიფოთა ფორმირებისა და არსებობის საკითხები სცილდება საერთაშორისო სამართლით დადგენილ ფარგლებს. კროუფორდი (J. Crawford) მიუთითებს,<sup>208</sup> რომ ოპენჰაიმის “საერთაშორისო

---

<sup>207</sup> A. Alexandrowicz, The Theory of Recognition. British Yearbook of International Law.– The Theory of Recognition in Fieri(1958) 34 BY 176

<sup>208</sup> J. Crawford, The Creation of States. Second Edition Clarendon Press, Oxford (2006). p.12-13

სამართალი”, ყველაზე ნათლად გადმოგვცემს ამ ურთიერთდამოკიდებული დოქტრინების შინაარსს. ყურადსაღებია შემდეგი მნიშვნელოვანი დებულებები:

1. საერთაშორისო სამართალი მიიჩნევა ცივილიზებულ ერებს შორის არსებულ სამართლად. საზოგადოების წევრებად, რომელთა სამართალსაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართალი, გვევლინებიან ევროპული სახელმწიფოები. მათ შორის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები XV საუკუნიდან იღებს სათავეს. დანარჩენი სახელმწიფოები, საერთაშორისო სამართლის თანამეგობრობაში, ამ საზოგადოების თავდაპირველი წევრების მიერ წევრიანდებიან ექსპრესიულად გამოხატული თანხმობით ან დუმლით. მაგალითისათვის ავიღოთ თურქეთი, რომლის გაწევრიანებას მოწმობს 1856 წლის 30 მარტს, პარიზში გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულება მშვიდობის დამყარების შესახებ დიდ ბრიტანეთს, ავსტრიის, საფრანგეთის, პრუსიის, რუსეთის, სარდინიისა და თურქეთს შორის, რომლის VII მუხლის თანახმად, მოკავშირე მონარქები შეთანხმდნენ ოტომანის იმპერიისათვის მიეცათ ევროპის საჯარო სამართლის სისტემაში მონაწილეობის უფლება. რადგან ერთა სამართლის საფუძველს წარმოადგენს ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის თანხმობა, მხოლოდ სახელმწიფოებრიობა არ არის საკმარისი საფუძველი ერთა ოჯახში გაწევრიანებისათვის. ამ ოჯახის წევრობა განპირობებულია იმით, რომ ეს სახელმწიფოები ამ ოჯახის თავდაპირველი წევრები იყვნენ და მათ შორის ჩვეულებითი და ხელშეკრულებითი ურთიერთობების საფუძველზე წარმოიქმნა ერთა სამართალი, ან ისინი გაწევრიანდნენ ამ ოჯახში, მისი წევრების თანხმობით.

2. როგორც ასეთები, სახელმწიფოები არ არიან აუცილებლად ერთა საზოგადოების წევრები. გამოხატული თუ ნაგულისხმები აღიარება მათ ხდის ამ საზოგადოების წევრად და ავალდებულებს საერთაშორისო სამართლის ნორმათა დაცვას. ერთა საზოგადოების არაწევრი სახელმწიფოები, არ არიან საერთაშორისო სამართლით დავალდებულნი. არც “ცივილიზებული ერები” არიან დავალდებულნი მათ მიმართ. ისინი დისკრეციულად წყვეტენ იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ფორმებს, რომლებიც არ შედიან მათ საზოგადოებაში.

3. მხოლოდ სახელმწიფოები ან სახელმწიფოებად მიჩნეული ერთობები, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებაში არიან გაწევრიანებულები, ატარებენ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და ითვლებიან საერთაშორისო სუბიექტებად. ინდივიდები და ცალკეული ჯგუფები არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს და არ გააჩნიათ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებები. რადგან ერთა სამართალი ეფუძნება ცალკეული სახელმწიფოების საერთო ნებას, და არა ცალკეულ ადამიანთა ნებასურვილს, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოები გვევლინებიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად.

4. საერთაშორისო სამართლის მავალდებულებელი ძალა (*binding force*), გამომდინარეობს აღიარებისა და ერთა საზოგადოებაში დაშვებიდან. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოები, რომლებიც დაშვებულნი არიან საერთაშორისო საზოგადოებაში, ხდებიან მათი მიღების მომენტისათვის მოქმედი საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. მართალია საერთაშორისო სამართალი არაღიარულ სახელმწიფოს არსებობას არ უარყოფს, მაგრამ მხედველობაში არ იღებს მას აღიარების მომენტამდე.

5. დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ როგორ ხდება ერთობის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ვინაიდან საერთაშორისო სამართალი კონცენტრირებულია აღიარებაზე, როგორც “ცივილიზებულ საზოგადოებაში” დაშვების დღის წესრიგზე. არაღიარებული ერთობები არ გამოხატავენ თანხმობას იკისრონ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებანი და არც აღიარებული სახელმწიფოები ესწრაფვიან ცნონ ისინი ამ ვალდებულებების მატარებლებად. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოები (*Nascent States; States in statu nascendi*) არ წარმოადგენდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს.

XIX საუკუნეში გაბატონებული დოქტრინის მიხედვით, არ არსებობს “სახელმწიფოს” განმსაზღვრელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და კრიტერიუმები. ახალი სახელმწიფოს წარმოშობისა თუ არსებობის საკითხი დამოკიდებულია უკვე არსებულ სახელმწიფოთა დისკრეციულ ნებაზე. ამ პერიოდის საერთაშორისო სამართალი გამოიხატება ფორმალურ შეუკავშირებლობაში, რაც მისი რადიკალური

დეცენტრალიზაციის გამოვლინებას წარმოადგენს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი კვლავ მეტნაკლებად დეცენტრალიზებულია მისი ძირითადი სტრუქტურის თვალსაზრისით, ჩვეულებრივ იგი მიიჩნევა ფორმალურად სრულ სამართლის სისტემად.

## §2. აღიარების ეფექტი: კონსტიტუციური და დეკლარაციული თეორიები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში, სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით ორი ძირითადი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია არსებობს. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული სახელმწიფოთა დუალისტური თეორია და პრაქტიკა, მნიშვნელოვანწილად ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებით არის განპირობებული. პირველი თეორია, რომელიც „კონსტიტუციური თეორიის“ *“Constitutive Theory”* სახელითაა ცნობილი, ითვალისწინებს აღიარების აქტის მეშვეობით ერთი სახელმწიფოს მიერ, მეორე ერთობისათვის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მინიჭებას. ამ შეხედულების თანახმად, „აღიარების აქტის“ გამოყენებით, სხვა სახელმწიფოები ახალ სახელმწიფოს აარსებენ. ასეთ შემთხვევაში, ერთობის სახელმწიფოდ აღსაქმელად საკმარისია აღიარების აქტის არსებობაში ან მის არარსებობაში დარწმუნება.

მეორე, დეკლარაციული თეორიის *“Declarative Theory”* თანახმად კი, სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია ფაქტების არსებობაზე და საერთაშორისო სამართალით დადგენილი სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებთან ამ ფაქტების შესატყვისობაზე. შესაბამისად, ამ მიდგომის თანახმად, სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელია აღიარებისგან დამოუკიდებლად.

ერთერთ ყველაზე დელიკატურ მომხრედ კონსტიტუციური მიდგომისა, გვევლინება ჰერშ ლუტერპახტი (Hersch Lauterpacht), რომელიც შემდეგნაირად აყალიბებს საკუთარ პოზიციას: „წარმოშობის მდგომარეობაში მყოფი საზოგადოების სრული საერთაშორისო სუბიექტობა ... არ ყალიბდება ავტომატურად ... ვინაიდან სუბიექტობის დადგენა ითხოვს რთული ფაქტობრივი და სამართლებრივი პირობების წინასწარ განსაზღვრას.

აუცილებელია ეს ამოცანა ვინმემ შეასრულოს. ისეთი საუკეთესო გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, როგორცაა ამ ფუნქციის მიუკერძოებელი საერთაშორისო ორგანოსათვის დაკისრება, აუცილებლობას წარმოადგენს ეს ფუნქცია უკვე არსებულმა სახელმწიფოებმა იტვირთონ. აქ საფუძვლიანი წინააღმდეგობა გამოწვეულია არა მათ მიერ ამ ფუნქციის შესრულებით, არამედ მათ მიერ ამ ფუნქციის სამართლებრივი ვალდებულების გარეშე, თვითნებურად განხორციელებით”.<sup>209</sup> სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ყოველ სამართლებრივ სისტემაში, რომელიმე კომპეტენტური ორგანო მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს სისტემის სუბიექტებს. არსებულ საერთაშორისო სისტემაში, ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფოებს, რომლებიც მოქმედებენ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. ხოლო ვინაიდან ისინი, ამ შემთხვევაში მოქმედებენ როგორც სისტემის შემადგენელი ნაწილები, მათ განსაზღვრებას საბოლოო სამართლებრივი შედეგი უნდა გააჩნდეს. მართალია ლუტერპახტი „კონსტიტუციურ თეორიას“ ემხრობა, საერთაშორისო სამართალში აღიარების შესახებ ნაშრომის შესავალ ნაწილში ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სახელმწიფოდ აღიარონ ერთობა, რომელიც სახელმწიფოებრიობის ნიშანთვისებებს აკმაყოფილებს.<sup>210</sup> აღიარება, როგორც კონსტიტუციური თეორიის უმთავრესი ელემენტი, ითვალისწინებს აღიარების სამართლებრივ ვალდებულებას, როდესაც სახეზეა სახელმწიფოებრიობის აშკარა ნიშანთვისებანი. ეს მოსაზრება ხშირად გამხდარა უთანხმოების საგანი. საქმე ის არის, რომ ამ შეხედულების კრიტიკოსები, აღიარებას სახელმწიფოს საჯარო აქტად განიხილავენ, რომელიც ფაკულტატური და პოლიტიკური ხასიათისაა და ამ თვალსაზრისით, სამართლებრივ ვალდებულებაზე საუბარი მიზანშეუწონლად მიაჩნიათ.<sup>211</sup> გარკვეული ერთობის სტატუსის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფოთა შორის დავების წარმოშობის შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ნათლად დადგენილი წესი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა ცნოს ამა თუ იმ სახელმწიფომ, ეს თუ ის ერთობა, ან სხვა

---

<sup>209</sup> H. Lauterpacht, *Recognition in International Law*, (Cambridge, Cambridge University press. 1947)p.38-9.

<sup>210</sup> H. Lauterpacht, *Recognition in International Law*, Introduction (1947).

<sup>211</sup> J. Kunz, *Critical remarks on Lauterpacht's Recognition in International Law* (1950) 44 AJIL 713; E.J.Cohn, "Review: Recognition in International law"(1948) 64 L.Q.R. 404-8.

სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე უარი განაცხადოს მის აღიარებაზე. განა ის ფაქტი, რომ ბელიზი არ იყო გვატემალას მიერ აღიარებული, მაკედონიას არ აღიარებდა საბერძნეთი (საბერძნეთი მაკედონიას გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ცნობდა მისი გაეროში გაწევრიანების მიუხედავად), ანდა, ლიხტენშტეინი არ იყო აღიარებული ჩეხოსლოვაკიისა და მისი მემკვიდრე სახელმწიფოების მიერ, იმაზე მიუთითებს, რომ ეს ერთობები არ არსებობდნენ, ან არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოებს ან და მოცემულ მომენტში არ სარგებლობდნენ სათანადო უფლებამოსილებით? იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს აღიარება განმსაზღვრელია სახელმწიფოებრიობისათვის, მაშინ რთულია წარმოვიდგინოთ უკანონო აღიარების აქტი. ასევე რთულია წარმოვიდგინოთ აღიარების აქტის გაბათილება. არადა სახელმწიფოთა პრაქტიკაში მიღებულია აღიარების გარკვეული აქტების გაბათილება. გარკვეული მოსაზრების თანახმად, ეს მართებულიც კი არის, ვინაიდან სხვაგვარად აღიარება პოტენციურად ყოველთვის შესაძლოა უცვლელი ინტერვენციის ალტერნატიულ ფორმად იქცეს. საკმარისია მაგალითად მოვიხმოთ ფრანკოს რეჟიმის აღიარება იტალიისა და გერმანიის მიერ, რომელიც *ab initio* უკანონო იყო. ასეთი ვითარების პირობებში, სახელმწიფოებრიობის ტესტი უნდა განცალკევდეს აღიარების აქტისაგან. ეს კი კონსტიტუციური პოზიციის უარყოფას ნიშნავს. კონსტიტუციური თეორიის კიდევ ერთი დაბრკოლება არის მისი რელატივიზმი. როგორც კელზენი მიუთითებს, კონსტიტუციური თეორიიდან გამომდინარე, სახელმწიფოს სამართლებრივ არსებობას ფარდობითი/რელატიური ხასიათი აქვს.<sup>212</sup> იგი სამართლებრივად არსებობს მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან მის დამოკიდებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ლუტერპახტი მისაღებად მიიჩნევს კონსტიტუციური პოზიციის პირობებში აღიარების რელატიურობას, მას "უხემ ანომალიას", "გროტესკულ სპექტაკლს" უწოდებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო სამართალზე.<sup>213</sup>

დეკლარაციული თეორიის მიხედვით, ახალი სახელმწიფოს აღიარება პოლიტიკური აქტია, რომელიც პრინციპში არ არის დამოკიდებული ახალი სახელმწიფოს, როგორც

<sup>212</sup> H. Kelsen, Recognition in International Law: Theoretical Observations (1941) 35 American Journal of International Law 605,609.

<sup>213</sup> H. Lauterpacht, recognition in International Law, (Cambridge, Cambridge University press. 1947)p.67.



საერთაშორისო სამართლის სუბიექტის არსებობაზე. კარპენტერის (J.Charpentier) ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ “სახელმწიფოებრიობა უპირისპირდება არმცნობ სახელმწიფოებს”.<sup>214</sup> როდესაც სახელმწიფოდ აღიარებულ ტერიტორიაზე მთავრობა ახორციელებს სახელისუფლო ფუნქციებს, აღიარება აღარ წარმოადგენს განმსაზღვრელ გარემოებას საერთაშორისო სუბიექტობის თვალსაზრისით. არც სამართლებრივი თვალსაზრისი და არც სახელმწიფოთა პრაქტიკა არ მეტყველებს იმაზე, რომ სხვა სახელმწიფოთა მხრიდან რიგი აღიარებითი აქტები გადამწყვეტია ერთობის სტატუსის განსაზღვრად. მაგალითად, შერეული გერმანულ-პოლონური საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების თანახმად, ”სახელმწიფოს აღიარება არ არის განმსაზღვრელი, არამედ განცხადების ხასიათს ატარებს. სახელმწიფო თავისთავად არსებობს, აღიარება კი სხვა არაფერია, თუ არა მისი არსებობის დეკლარირება“.<sup>215</sup> ალანდის კუნძულებთან დაკავშირებით, იურისტთა კომისიის მოხსენებაში, რომელიც ეხება ფინეთის აღიარებას და მისთვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭებას, ნათქვამია: ”ეს ფაქტები (საუბარია აღიარების ფაქტებზე), თავისთავად არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ფინეთი დღეის შემდეგ გახდა სუვერენული სახელმწიფო ... ომის პერიოდში ახალი სახელმწიფოს აღიარებას იგივე სამართლებრივი დატვირთვა ვერ მიენიჭება, როგორც მშვიდობიანობის დროს, განსაკუთრებით კი, მინიჭებული მეომარ მხარეთა მხრიდან ... მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე ისეთი სიტუაცია სუფევდა, რომ არ არსებობდა სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობები.“<sup>216</sup> ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ კომისიამ აღიარება არ მიიჩნია სახელმწიფოებრიობის არსებობის გადამწყვეტ მტკიცებულებად და იგი (სახელმწიფოებრიობა) დაუკავშირა გარკვეული ”პირობების” არსებობის აუცილებლობას. ეს პირობები კი იყო სათანადოდ დადგენილი საზღვრების არსებობა. საარბიტრაჟო კომისია, რომელიც შეიქმნა იუგოსლავიის საკითხზე მოწვეული სამშვიდობო კონფერენციისათვის რჩევისა და რეკომენდაციის მისაცემად, აღიარების

---

<sup>214</sup> J.Charpentier, *Le Reconnaissance international et l'évolution du droit des gens* (Paris, A pedone,1956)p.15.

<sup>215</sup> "Deutsh Continental Gas Gesellschaft v. Polish State(1929) 5 ILR 11, 13.

<sup>216</sup> League of Nations Official Journal(LNOJ), Sp Supp 4(1920), p.8

საკითხთან დაკავშირებით კატეგორიული აღმოჩნდა და 1991 წლის, 29 ნოემბერს მიღებულ პირველსავე მოსაზრებაში განმარტა, რომ "სხვა სახელმწიფოების მხრიდან აღიარების შედეგები წმინდად დეკლარაციული ხასიათისაა".<sup>217</sup> ეს თვალსაზრისი შემდგომ განცხადებებშიც დაფიქსირდა.<sup>218</sup> ბრაუნლი (Ian Brownlie) მიუთითებს, რომ "აღიარება, როგორც სახელმწიფოს საჯარო აქტი, არასავალდებულო პოლიტიკური აქტია და არ არსებობს ამ თვალსაზრისით სამართლებრივი ვალდებულება. უფრო ყურადღებით თუ დავაკვირდებით, იმ შემთხვევაში როდესაც ერთობას გააჩნია სახელმწიფოებრიობის ნიშნები, სხვა სახელმწიფოები თავს სამართლებრივი თვალსაზრისით საფრთხეში იგდებენ, სახელმწიფოთა ურთიერთობების ძირითადი ვალდებულებების უგულბელებად შექცევაში".<sup>219</sup> ხშირად მიიჩნევენ, რომ "დიდი დებატები" აღიარების ხასიათთან დაკავშირებით მხოლოდ ხლართავს საქმეს და რომ აღიარების კატეგორიზაცია დეკლარაციულ ან კონსტიტუციურ განზომილებებად შეცდომაა ზოგადი თეორიის მიხედვით. ბრაუნლის თანახმად: "აღიარების" შემთხვევაში, თეორიამ არათუ ვერ შეძლო განევრცო საგანი, არამედ წარმოშვა *tertium quid* (მესამე ფაქტორი), რომელიც ნათელ ცაზე ღრუბლად მოჩანს დამკვირვებელსა და მიწის ზედაპირის გამოსაკვლევ კონტურებს შორის. აღიარების შესახებ თეორიებმა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არათუ ვერ შეძლეს მოსაზრებათა განმტკიცება, არამედ დააშორეს იურისტები სამართლებრივი ანალიზის ჩვეული მეთოდების გამოყენებისაგან".<sup>220</sup> ზოგიერთი კონტინენტალისტი მეცნიერი, დე ვიშერის (C. de Visscher) კვალდაკვალ, მიდრეკილნი არიან აღიარება განიხილონ კონსტიტუციური და დეკლარაციული ელემენტების ნაზავად. ისინი საკითხს შემდეგნაირად სვამენ - შესაძლებელია თუ არა, რომ იმ ერთობის აღიარებაზე უარის თქმამ, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის მოთხოვნებს, უფლება მისცეს აღიარებაზე უარის მთქმელ სახელმწიფოს მოეპყრას მას, როგორც არარსებულ

---

<sup>217</sup> Opinion 1, Badinter Commission, 29 November 1991, 92 ILR 165.

<sup>218</sup> Opinions 8 and 10: 92 ILR 201 (4 July 1992).

<sup>219</sup> I. Brownlie, *Principles of Public International Law*, 6th edn, Oxford, Oxford University Press, 2003, p.89-90.

<sup>220</sup> I. Brownlie, 53 *British Yearbook of International Law (BY)* (1982) p. 197,197.

სახელმწიფოს, ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში და საერთოდ უფლებელყოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მის მიერ სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელება?<sup>221</sup> ამაზე მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი უარყოფითი პასუხი არსებობს და კატეგორიული კონსტიტუციური პოზიცია რომელიც სხვა პასუხს ითვალისწინებს – მიუღებელია. რასაკვირველია ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღიარებას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგი. იგი სახელმწიფო პრაქტიკის ინსტიტუტია, რომელსაც ძალუმს სტატუსთან დაკავშირებული გაურკვევლობის გადაწყვეტა და ახალად წარმოშობილი სიტუაციის დარეგულირება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთობის სახელმწიფოებრივი სტატუსი, პრინციპში, აღიარებისაგან დამოუკიდებელია. ამას კი, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საერთაშორისო სამართალსა და პრაქტიკაში არსებობს სახელმწიფოებრიობის რეალური კრიტერიუმები.

კონსტიტუციურ თეორიას უპირისპირდება დეკლარაციული თეორია, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ცნობას შედეგები არ მოყვება. სახელმწიფოს ან მთავრობის არსებობა წმინდად ფაქტის საკითხია, ხოლო ცნობა ამ ფაქტს მხოლოდ ადასტურებს. თუ წარმონაქმნი რეალურად აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის მოთხოვნებს, ის სახელმწიფოდ ითვლება მთელი თავისი საერთაშორისო უფლებებითა და მოვალეობებით და სხვა სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მოექცნენ მას, როგორც სახელმწიფოს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შუალედური პოზიცია დაიკავა ლუთერჰაბტმა, რომელიც კონსტიტუციური თეორიის საფუძველზე ამტკიცებს, რომ სხვა სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ცნონ ის სუბიექტი, რომელიც სახელმწიფოს კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.<sup>222</sup> აღიარების სადამფუძნებლო შედეგის მიუხედავად, სახელმწიფოთა პრაქტიკა არათანამიმდევრულია. მაშინ როდესაც სახელმწიფოს ან მთავრობის შექმნა საერთაშორისო სამართლის დარღვევით ხდება, ითვლება, რომ სახელმწიფო ან მთავრობა არ არსებობს იქამდე, ვიდრე მას არ ცნობენ. მაგალითად დასავლური სახელმწიფოები დიდი ხნის განმავლობაში არ ცნობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირის მიერ მისი დაფუძნება წარმოადგენდა იმ

<sup>221</sup> C. de Visscher, *Problèmes d'interprétation judiciaire en droit international public* (Paris, A Pedone, 1963)p.191.

<sup>222</sup> კ.მალანჩუკი, *აკვარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*, დიოგენე, (2005), გვ.102.

ვალდებულებების დარღვევას, რომლებიც საბჭოთა კავშირმა იკისრა მოკავშირეთა შორის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულებებით. დასავლეთის სახელმწიფოების მიერ 1973 წელს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოდ ცნობას, მათივე თვალსაზრისით, კონსტიტუციური შედეგი ჰქონდა. ამის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უკანონობა გაბათილდა და საერთაშორისო სამართლის მიერ უგულებელყოფილი წარმონაქმნი სახელმწიფოდ წარმოჩინდა.<sup>223</sup> მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის დაფუძნება, ძალმომრეობითი დაფუძნებაც კი, საერთაშორისო სამართლის დარღვევას არ წარმოადგენს. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ზოგადი ნორმა, რომელიც კრძალავს საკუთარი მთავრობის დამხობას ან სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლას და ახალი სახელმწიფოს შექმნას, თუ გარკვეულ ჯგუფს ეს ხელეწიფება. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოს ან მთავრობის არსებობა რეალობაა და ცნობა ან არცნობა, როგორც წესი, სამართლებრივ შედეგს არ იწვევს. მაგალითად ტინოკოს საქმეში არბიტრაჟმა დაადგინა, რომ ტინოკოს რეჟიმი რეალურად კოსტა-რიკის მთავრობა იყო, ვინაიდან ეფექტიანად აკონტროლებდა ქვეყანას. ხოლო იმ ფაქტს, რომ მას არ ცნობდა რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, მნიშვნელობა არ ჰქონდა.<sup>224</sup> მალანჩუკი ამბობს, რომ: ”დღეს უპირატესობა ენიჭება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ცნობას დეკლარაციული ხასიათი აქვს და სახელმწიფოს შექმნა არ შეუძლია. ეს შეხედულება ჩამოყალიბებულია სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ 1933 წელს, მონტევიდეოს კონვენციაში და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების მეთორმეტე მუხლში, რომელიც იუწყება: ”სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა არ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოთა მიერ მის ცნობაზე. სახელმწიფოს, ცნობამდეც აქვს უფლება დაიცვას თავისი ერთიანობა და დამოუკიდებლობა”.<sup>225</sup> ის, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა არ არის დამოკიდებული საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მონაწილეებზე, დამაგრებულია 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის

---

<sup>223</sup> Ibid, გვ 103

<sup>224</sup> Ibid, გვ 103

<sup>225</sup> Ibid, გვ 103

პრინციპების შესახებ, რომელშიც ნათქვამია: “ყოველი სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს სხვა სახელმწიფოთა სამართალსუბიექტობას”. ამასთან, დეკლარაცია ერთმანეთისაგან არ მიჯნავს უკვე არსებულ საერთაშორისო სამართლის სუბიექტ სახელმწიფოებს, ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოთაგან ან მათგან, რომლებიც შეიძლება გამოჩნდნენ საერთაშორისო ასპარეზზე. ახალი სახელმწიფოს სამართალსუბიექტობისადმი პატივისცემის გამოვლინება მდგომარეობს მის აღიარებაში. საერთაშორისო სამართლის მკვლევართა უმრავლესობა, ახალი სახელმწიფოს აღიარებას განიხილავს თავისუფალ აქტად. არსებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ მათთვის აღიარების მინიჭება ან აღიარებისგან თავის შეკავება.<sup>226</sup> ახალი სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის წარმოშობა, ერთდროული პროცესია. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, არსებულ სახელმწიფოებს არც ცალცალკე და არც კოლექტიურად არ ძალუძთ ახალი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობით აღჭურვა, რომელიც მან (ახალმა სახელმწიფომ) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შედეგად მოიპოვა.<sup>227</sup> აღიარება კი არ წარმოშობს სუბიექტობას, არამედ ქმნის აღიარებულ და ამღიარებელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის იურიდიულ ბაზას. დაუშვებელია საერთაშორისო ასპარეზზე ახალი სახელმწიფოს წარმოშობის იგნორირება, ვინაიდან მას არ შეუძლია იზოლირებულად არსებობა. “აღიარება წარმოადგენს ამღიარებელი სახელმწიფოს მხრიდან, აღიარების მომლოდინე სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, მასთან ნორმალური საერთაშორისო სამართლებრივი და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მზადყოფნის გამოხატულებას”.<sup>228</sup> აღიარება როგორც ქმედების შედეგი, გარკვეულ ფაქტობრივ სიტუაციას ანიჭებს საერთაშორისო სამართლებრივ ხასიათს, რითიც ხელს უწყობს მის საერთაშორისო იურიდიულ ფაქტად გადაქცევას.<sup>229</sup> აღიარება აქტია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახდენს გარკვეული ფაქტისა თუ სიტუაციის არსებობის კონსტატაციას, ან გამოხატავს თავის თანხმობას სხვა სახელმწიფოების თუ საერთაშორისო

---

<sup>226</sup> Ibid, გვ 108

<sup>227</sup> Ibid, გვ 109

<sup>228</sup> Ibid, გვ 109

<sup>229</sup> Н. А. Ушаков, Курс Международного Права - Том 3 Основные институты международного права стр.19

სამართლის სხვა სუბიექტების მოქმედებებთან დაკავშირებით.<sup>230</sup> აღიარების აქტის შემთხვევაში, სახელმწიფო ითვლება საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების ამდარებლად. გარდა ამისა, აღიარება როგორც ქმედების შედეგი, გარკვეულ ფაქტობრივ სიტუაციას ანიჭებს საერთაშორისო სამართლებრივ ხასიათს, რითიც ხელს უწყობს მის საერთაშორისო იურიდიულ ფაქტად გადაქცევას.<sup>231</sup> საერთაშორისო სამართალსუბიექტობის სამართლისათვის, აღიარების ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სწორად ამიტომ განიხილება იგი სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებულ საკითხთა ერთობლიობაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ იგი სპეციალურ მონოგრაფიებში განიხილება საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დარგისაგან განცალკევებით, როგორც ცალკეული იურიდიული კატეგორია. აღიარებაზე საუბარს, ტუნკინი (Г. И. Тункин.) სახელმწიფოებისა და მთავრობების აღიარების ინსტიტუტიდან იწყებს და განმარტავს, რომ იგი წარმოადგენს იმ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტების საერთაშორისო არენაზე გასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.<sup>232</sup> ცნობის იურიდიული მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას, იგი ე.წ. კონსტიტუციური თეორიის მიმოხილვით იწყებს და აღნიშნავს, რომ “საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიულ დოქტრინაში უწინ გამეფებული კონსტიტუციური თეორია, სახელმწიფოს ცნობის აქტს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ეს თეორია მიმართული იყო სოციალისტური რევოლუციის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების სუვერენიტეტის წინააღმდეგ”.<sup>233</sup> ხოლო დეკლარაციულ თეორიაზე საუბრისას, ავტორი მიუთითებს, რომ იგი წარმოიშვა კონსტიტუციური თეორიის რეაქციის შედეგად. ამ თეორიის თანახმად, აღიარება საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის წარმოშობის ფაქტის მხოლოდ დეკლარირებას ახდენს. გასათვალისწინებელია, რომ

---

<sup>230</sup> Международное право/Под ред. Н.Т. Блатовой. М. Юрид.лит.,1987. стр.83.

<sup>231</sup> Р.А. Каламкарян, Международно-правовое значение признание. стр.39

<sup>232</sup> Г. И. Тункин, Международное Право, Москва 1982. . стр.90

<sup>233</sup> Г. И. Тункин, Международное Право, Москва 1982. . стр.92

ორთავე ეს თეორია გარკვეულწილად შეზღუდულია, ვინაიდან ცნობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციული აქტით. მას გააჩნია მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა სერიოზული იურიდიული შედეგებით. აღიარების აქტი, არა მხოლოდ დეკლარირებს ახალი სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტს, არამედ ხელს უწყობს მისი საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაციას და ეხმარება იმ ძირითადი უფლებების რეალიზებაში, რომლებსაც სახელმწიფოები ფლობენ აღიარების მიუხედავად. გარდა ამისა, ახალი სახელმწიფოს, მამასადამე კი, საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის წარმოშობა, ერთდროული პროცესია და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, უკვე არსებული სახელმწიფოები, ვერც ცალ-ცალკე და ვერც საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანებულნი, ვერ აღჭურვავენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის თვისებებით ახალ სახელმწიფოს, რომელიც მას ისედაც უკვე გააჩნია ერის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების უფლების რეალიზების შედეგად. ცნობა, ეს არის აქტი, რომლითაც გამოიხატება ამღიარებლის განზრახვა სტაბილური საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები დაამყაროს საცნობ მხარესთან, რითაც იქმნება მხარეთა შორის ხელსაყრელი იურიდიული პირობები ნორმალური ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა სახის ურთიერთობების დასამყარებლად.<sup>234</sup> ტუნკინი აქვე ასახელებს თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოთა ჩამოყალიბების შემდეგ საშუალებებს:

1) სოციალური რევოლუციის შედეგად ახალი ისტორიული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამ გზით შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, ბულგარეთის, ჩეხეთსლოვაკეთის, იუგოსლავიის, კუბის და სხვა სახელმწიფოები.

2) ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლის და კოლონიური რეჟიმის ბატონობის ლიკვიდაციის შედეგად სახელმწიფოთა ჩამოყალიბება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა და დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოაყალიბა დაახლოებით 90- მდე ქვეყნის ხალხმა.

---

<sup>234</sup> Г. И. Тункин, *Международное Право*, Москва 1982. . стр.91

3) ერთ, უნიტარულ ან ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანების გზით. 1922 წლის დეკემბერში, ასე შეიქმნა ოთხი საბჭოთა რესპუბლიკის (რსფსრ- რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის, უსსრ – უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბსსრ – ბელორუსის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ასსრფ-ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის) გაერთიანებით სსრკ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. 1964 წელს, ორი სახელმწიფოს, ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანებით ჩამოყალიბდა ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა.

4) ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, არსებული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გამოყოფის გზით. მაგალითად 1965 წელს, მალაზიის ფედერაციას გამოეყო და დამოუკიდებელი სტატუსი შეიძინა სინგაპურმა. 1971 წელს, აღმოსავლეთ ბენგალის ხალხის განმანთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად პაკისტანს გამოეყო ბანგლადეში.

5) რამდენიმე ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება სახელმწიფოს დაშლისა და გაყოფის შედეგად. 1960 წელს, დასავლეთ აფრიკაში არსებობა შეწყვიტა მალის ფედერაციამ და მის ადგილზე ჩამოყალიბდა ორი სახელმწიფო – მალის რესპუბლიკა და სენეგალის რესპუბლიკა.<sup>235</sup>

ახალი სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის წარმოშობა, უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით, ერებისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის ჩათვლით. საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშ დარღვევად შეფასდა 1965 წელს, სამხრეთ როდეზიის რასისტული ხელისუფლების მიერ “სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის” გამოცხადება. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაგმო ეს ფაქტი და იგი შეაფასა როგორც “თეთრი” უმცირესობის ბატონობის უკვდავყოფის მცდელობა, რაც უხეშად არღვევდა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპს. გაეროს გენერალური ასამბლეის რეკომენდაციით, უშიშროების საბჭომ, სამხრეთ როდეზიის მიერ “დამოუკიდებლობის” გამოცხადება

---

<sup>235</sup> Г. И. Тункин, *Международное Право*, Москва 1982. стр.85



დააკვალიფიცირა „იურიდიული ძალის არ მქონე“ აქტად და მოუწოდა სახელმწიფოებს, არ ეცნოთ მისი ხელისუფლება და არ დაემყარებინათ მასთან არავითარი დიპლომატიური თუ სხვა სახის ურთიერთობა.<sup>236</sup>

უნიტარულ სახელმწიფოში, მისი ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საერთაშორისო ურთიერთობებში დამოუკიდებლად მონაწილეობის საკითხი, არ წარმოიშვება. რთულ, საკავშირო სახელმწიფოში მის შემადგენელ ნაწილებს ენიჭებათ დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხი. თუმცა ფედერაციული სახელმწიფოების უმეტესობას ახასიათებთ ისეთი მდგომარეობა, რომელშიც მისი შემადგენელი რესპუბლიკების, შტატების, მიწებისა თუ პროვინციების დამოუკიდებელი სტატუსი შემოიფარგლება საშინაო და არა საერთაშორისო ურთიერთობებით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი განიხილავს რა სსრკ რესპუბლიკებს სტატუსს, აღნიშნავს, რომ მათ გააჩნდათ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების სტატუსი. მათი არგუმენტები ემტარება 1944 წლის, პირველ თებერვალს, სსრკ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საგარეო ურთიერთობებში უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. სსრკ კონსტიტუციაში, ისევე როგორც მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში, დაფიქსირდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლება ურთიერთობა დაემყარებინათ საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, დაედოთ მათთან ხელშეკრულებები და ჰქონოდათ დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები. 1945 წელს კი, უკრაინისა და ბელორუსის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა, სხვა სახელმწიფოებთან ერთად ხელი მოაწერეს გაეროს წესდებას და გახდნენ ამ ორგანიზაციის წევრები. აღნიშნული რესპუბლიკების სახელითა და წარმომადგენლობით, ხელი მოეწერა მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას და მათი ელჩები მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში. ამგვარად, საბჭოთა ფედერაციულ სახელმწიფოში, სსრკ როგორც ერთიანი, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკები როგორც ცალკეული სახელმწიფოები, სარგებლობდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსით.<sup>237</sup> მიუხედავად ამისა,

<sup>236</sup> Г. И. Тункин, Международное Право, Москва 1982. стр.86

<sup>237</sup> Г. И. Тункин, Международное Право, Москва 1982. стр.87

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სსრკ-სა და თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას შორის ურთიერთობა, ისევე როგორც ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, არ ატარებდა საერთაშორისო სამართლებრივ ხასიათს, არამედ მოწესრიგებული იყო საბჭოთა სახელმწიფო სამართლის ნორმებით. რაც შეეხება მთავრობათა აღიარების საკითხს, ტუნკინის განმარტებით, იგი დღის წესრიგში მაშინ დგება, როდესაც სახელმწიფოში ახალი მთავრობა არაკონსტიტუციური გზით მოდის ხელისუფლებაში. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ აწესრიგებს სახელმწიფოში მიმდინარე შიდა ბრძოლას, რომელიც შედეგად იწვევს სახელმწიფო გადატრიალებასა და ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლას. ამიტომ საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლად მიიჩნევს იმ მთავრობას, რომელიც ეფექტიანად და დამოუკიდებლად ახორციელებს ხელისუფლებას მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მთავრობის აღიარება ნიშნავს, რომ ამღიარებელი სახელმწიფო ამ მთავრობას მიიჩნევს საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლად.<sup>238</sup> ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორცაა მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი - *Institut de Droit International*, 1936 წელს, თავის მეორე გამოცემაში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით წერს: „ახალი სახელმწიფოს არსებობა, მასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი შედეგით, არ განიცდის ზეგავლენას ერთი ან მეტი სახელმწიფოს მიერ მის აღიარებაზე უარის თქმით“.<sup>239</sup> მსგავსი მოსაზრება იკითხება 1933 წელს, სახელმწიფოთა უფლებათა და ვალდებულებათა შესახებ მონტევიდეოში მიღებულ ინტერამერიკული კონვენციის მე-3-ე მუხლში (ე.წ. მონტევიდეოს კონვენცია).<sup>240</sup> გარდა ამისა, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების IV თავის, მე-13-ე მუხლი (გენერალური ასამბლეის მე-19-ე სპეციალურ სესიაზე 1993 წლის, 10 ივნისს, მიღებული ე.წ. „მანაგუას ოქმის“ შედეგად განხორციელებული შესწორებების ტექსტი)<sup>241</sup> გვამცნობს:

---

<sup>238</sup> Г. И. Тункин, *Международное Право*, Москва 1982. стр.91

<sup>239</sup> 2 *Annuaire de l'Institute de Droit Int'l*. 1936. p.300

<sup>240</sup> *Montevideo Convention on the Rights and Duties of States*, December 26, 1933.

<sup>241</sup> *Charter of the Organisation of American States . As amended by the Protocol of Amendment to the Charter of the Organization of American States "Protocol of Managua"*, adopted on June 10, 1993, at the Nineteenth Special Session of

„სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა არ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოთა მიერ მის ცნობაზე. ჯერ კიდევ აღიარებამდე, სახელმწიფოს უფლება აქვს დაიცვას საკუთარი ერთიანობა და დამოუკიდებლობა ... ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოთა მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების შემთხვევაში.“ როგორც ვხედავთ, იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ერთობა სახელმწიფოს, იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად პასუხობს იგი საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც საქმე საერთაშორისო ურთიერთობებში იმ ერთობათა მონაწილეობას ეხება, რომლებსაც პრეტენზია აქვთ სახელმწიფოებრიობაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა სახელმწიფოთა მხრიდან მათ აღიარებასა თუ არაღიარებას. ყოველივე ეს, რთული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, კონსტიტუციურ და დეკლარაციულ თეორიებს შორის არსებული შინაარსობრივი უთანხმოება ნაკლებ მნიშვნელობას იძენს პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ სწორად ეს თეორიული ნაპრალი ხდება პრაქტიკაში ორმაგი მიდგომების გამოყენების საფუძველი. ასე მაგალითად, მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები კანონი აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა შესახებ, კერძოდ კი მისი 202 ნაწილი,<sup>242</sup> შინაარსობრივი თვალსაზრისით უფრო დეკლარაციული ხასიათისაა ვიდრე კონსტიტუციური. თუმცა მათ შორის პრაქტიკული სხვაობა უმნიშვნელოა, ვინაიდან თავად დეკლარაციულ თეორიაში, იმის განსაზღვრა თუ რამდენად აკმაყოფილებს ერთობა სახელმწიფოებრიობის მოთხოვნებს, პრაქტიკულად სხვა სახელმწიფოების ბენევიოლენტურ ნებაზეა დამოკიდებული. მეორეს მხრივ კი, კონსტიტუციური თეორია, კარგავს თავის გადაწყვეტ მნიშვნელობას იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ იმ ერთობათა აღიარების ვალდებულება, რომლებიც სახელმწიფოებრიობის მახასიათებლებს

---

the General Assembly.( [http://www.oas.org/dil/treaties\\_A-41\\_Charter\\_of\\_the\\_Organization\\_of\\_American\\_States.htm#ch4](http://www.oas.org/dil/treaties_A-41_Charter_of_the_Organization_of_American_States.htm#ch4)) (2015 წლის 30 ივნისი).

<sup>242</sup> Restatement of the Foreign Relations Law of the United States(Revised 1985) Section 202

აკმაყოფილებენ. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოება, რომ არც ერთ ერთობას, რომელიც აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის ნიშანთვისებებს, არ შეიძლება უარი ეთქვას თავისი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებაზე, აღიარებათა სიმწირის საფუძველზე. მისი ტერიტორია არ შეიძლება ჩაითვალოს „არავის მიწად“; დაუშვებელია მისი ნებართვის გარეშე მის საჰაერო სივრცეში ფრენა; მისი დროშის ქვეშ მცურავი ხომალდები არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო კუთვნილების არმქონედ და ა.შ.<sup>243</sup>

საინტერესოა, როგორ არის დარეგულირებული საერთაშორისო სამართალში კოლექტიური არაღიარების სამართლებრივი საკითხები და რა გავლენას ახდენს იგი ერთობის სამართალსუბიექტობაზე. კოლექტიური არაღიარების პრინციპი, ისევე როგორც აღიარებისა, გარკვეული უთანხმოების საგანს წარმოადგენს. ეს უთანხმოება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მისი ორბუნევნობის გამო. საქმე ის არის, რომ იგი სამართლებრივი და პოლიტიკური კომპონენტისგან შედგება. პოლიტიკური არაღიარება დისკრეციული ხასიათისაა და ხშირად ნომინალური გავლენის მქონეა. მეტად საყურადღებოა შედარებით ახალი ფენომენი - კოლექტიური არაღიარება სამართლებრივ საფუძველზე, რომელიც მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იღებს დასაბამს.<sup>244</sup> უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს არამალადობრივ ოკუპაციასა და სამხედრო მუქარას, გამოხატულს ე.წ. „სტიმსონის დოქტრინაში“, რომელიც ეხებოდა იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციას. სტიმსონის განცხადება, თავის მხრივ ეყრდნობა 1928 წლის, 27 აგვისტოს პარიზის შეთანხმებას, რომელიც „ბრიან-კელოგის პაქტის“ სახელითაა ცნობილი და რომელიც სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი დავებისა თუ სხვა სახის უთანხმოებების მოსაგვარებლად ომის გამოყენების აკრძალვას ისახავს მიზნად. კოლექტიური არაღიარების გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია აგრეთვე, როდეზიისა და ნამიბიის შემთხვევა. ასევე ჩრდილოეთ კვიპროსისა და ქუვეითის მაგალითები. გარდა ამისა, არსებობს სხვა შემთხვევებიც, რომლებსაც არ მოჰყოლიათ გაეროს ოფიციალური რეზოლუციები. მაგალითად

<sup>243</sup> N. Mugerwa, Subjects of International Law, in Manual of Public International Law, (Sorensen ed. 1968)p. 169.

<sup>244</sup> RH. Sharp, Duties of Non-Recognition in Practice 1775-1934 (Geneva, Geneva Research Center, 1934);

I. Brownlie, International Law and the Use of Force by States (Oxford, Clarendon Press, 1963. p. 410-23.

ადმოსავლეთ ტიმორში შექმნილი ვითარება. სამხრეთ როდეზიაში შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ კი დამოუკიდებლობის გამოცხადება, გაეროს უშიშროების საბჭოს 1965 წლის, 217 რეზოლუციის თანახმად, „აჯანყებად“ შეფასდა, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. რეზოლუციის მე-3-ე პუნქტი, დამოუკიდებლობის დეკლარაციას იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს. მის მე-6-ე პუნქტში, უშიშროების საბჭო ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს, არ აღიარონ უკანონო ხელისუფლება და არ დაამყარონ მასთან დიპლომატიური თუ სხვა რაიმე სახის ურთიერთობა, ხოლო დოკუმენტის მე-8-ე ნაწილში, საბჭო მიმართავს სახელმწიფოებს „თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუწყობს ან წაახალისებს უკანონო რეჟიმს. კერძოდ კი, უარი თქვან იარაღის, აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალის მიწოდებაზე, აგრეთვე ყველაფერი იღონონ სამხრეთ როდეზიასთან ეკონომიკური კავშირების გასაწყვეტად, ნავთობპროდუქტებზე ემბარგოს დაწესების ჩათვლით“. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს 1968 წლის, 253 რეზოლუციას, იგი პრემიულაში გაერთიანებულ სამეფოს მოუწოდებს, თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა მისცეს სამხრეთ როდეზიის ხალხს. ეს მოწოდება პირდაპირ კავშირშია გენერალური ასამბლეის 1960 წლის, 14 დეკემბრის ე.წ. „დეკოლონიზაციის“ 1514 რეზოლუციასთან. ამ რეზოლუციებიდან ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაეროს ორგანოები კომპეტენტურნი არიან განსაზღვრონ არალიარების დოქტრინის შინაარსი. ამ მოსაზრების მართებულობას ამყარებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს თვალსაზრისი ნამიბიის საქმეზე, რომლის მიხედვით „ნებადართულ ქმედებათა ზუსტი განსაზღვრა, ... იმ საკითხებს განეკუთვნება, რომლებიც წესდების საფუძველზე მოქმედ, გაეროს შესაბამისი პოლიტიკური ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენს“.<sup>245</sup> კომპეტენციის საკითხის გარკვევის შემდეგ, მეტად საინტერესოა თავად არალიარების ვალდებულების შინაარსისა და მისი გავრცელების ფარგლების დადგენა. ეფუძნება თუ არა არალიარების ვალდებულება სამართლებრივი თვალსაზრისით, სხვადასხვა რეზოლუციის შინაარსს და აქედან გამომდინარე, არის თუ არა იგი გამოსადეგი სხვა მსგავს შემთხვევებში? თუ თავად რეზოლუციების ტექსტში გადმოცემული არალიარების რაობა, ზოგადი

<sup>245</sup> Namibia Opinion, ICJ Rep. 1971, p.55

საერთაშორისო სამართლის დოქტრინიდან გამომდინარეობს? აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ორი განსხვავებული შემთხვევა. პირველი ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთობა აკმაყოფილებს სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ყველა ფორმალურ კრიტერიუმს, არ ხდება მისი აღიარება და სახელმწიფოს არსებობა განიხილება აღიარების საკითხისაგან დამოუკიდებლად. მეორე შემთხვევა კი, გულისხმობს საერთაშორისო სამართლის თანახმად უკანონო და დაუსაბუთებელი ვითარების კოლექტიურ არაღიარებას, რასაც სახელმწიფოს დამოუკიდებლობის არაღიარება (მანჯურის, სამხრეთ როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის ბანტუსტანების შემთხვევები), ან გარკვეულ ტერიტორიაზე აღიარებული სახელმწიფოს ადმინისტრაციის, კოლექტიური არაღიარება მოსდევს (ნამიბიის შემთხვევა). არაღიარება როგორც წესი, არ გამორიცხავს მოცემულ ერთობასთან არაოფიციალური ურთიერთობების დამყარებას, თუმცა სამხრეთ როდეზიის შემთხვევაში, არაღიარება მიზნად ისახავდა მასთან ნებისმიერი სახის ურთიერთობის დამყარების აკრძალვას, რომელსაც შეეძლო ეგულისხმა როდეზიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოაზრება. აკრძალვა იმით არის ნაკარნახევი, რომ ნებისმიერ ასეთ ურთიერთობას, შეუძლია იმგვარი დაუსაბუთებელი ვითარების დაკანონება, რომელიც ეწინააღმდეგება თვითგამორკვევის ფუნდამენტურ უფლებას და აქედან გამომდინარე ab initio იურიდიული ძალის არმქონედ ითვლება. მსგავსი მოტივი ედო საფუძვლად, საერთაშორისო თემობის მიერ მანჯურისთან ისეთი ურთიერთობის აკრძალვას, რომელსაც პოტენციურად შეეძლო ეს ერთობა და მისი ხელისუფლება წარმოეჩინა სახელმწიფოდ და მის მთავრობად.<sup>246</sup> რაც შეეხება ნამიბიის საქმეს, სასამართლომ დაადგინა არაღიარების ვალდებულების ის ფარგლები, რომელიც მოიცავდა უშიშროების საბჭოს 1970 წლის 276-ე რეზოლუციის, მე-2-ე პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებასთან დადებულ შეთანხმებებს. ამ დებულების თანახმად, უშიშროების საბჭო აცხადებს, რომ: „ნამიბიაში, სამხრეთ აფრიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა უფლებამოსილების უწყვეტი განხორციელება უკანონოა და აქედან გამომდინარე, სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიერ მანდატის ამოწურვის შემდეგ, ნამიბიის სახელით თუ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა აქტი

---

<sup>246</sup> Vera Gowlland-Debbas, *Collective Responses to Illegal Acts in International Law* (1990) p.297

უკანონო და დაუსაბუთებელია.<sup>247</sup> არაღიარების ვალდებულების დოქტრინის შინაარსი, ამ სამი მსგავსი შემთხვევიდან, ყველაზე უფრო ნათლად განმარტებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ნამიბიის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ მოსაზრებაში. სასამართლო განმარტავს, რომ „წევრებს (საუბარია გაეროს წევრ სახელმწიფოებზე) არა მხოლოდ ევალებოდათ თავი შეეკავებინათ სამხრეთ აფრიკაში, მათ შორის ნამიბიის ტერიტორიაზე მათ იურისდიქციაში შემავალი დიპლომატიური თუ სპეციალური მისიების გაგზავნისაგან, არამედ უარი უნდა ეთქვათ ნამიბიაში საკონსულოს წარმომადგენლების გაგზავნაზე, ხოლო უკვე არსებული საკონსულოს წარმომადგენლები უნდა გამოეწვიათ. გარდა ამისა, მათ ევალებოდათ ნათლად და მკაფიოდ განემარტათ სამხრეთ აფრიკის ხელისუფალთათვის, რომ სამხრეთ აფრიკასთან დიპლომატიური თუ საკონსულო ურთიერთობების შენარჩუნება, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა მისი იურისდიქციის ცნობას ნამიბიაში“.<sup>248</sup> საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებისათვის, 41-ე მუხლის, მეორე პუნქტში გვამცნობს, რომ არცერთი სახელმწიფო არ ცნობს მართლზომიერად, საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოქმნილ მდგომარეობას.<sup>249</sup> არაღიარების ვალდებულების ამგვარმა ფორმულირებამ ასახვა ჰპოვა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სარეკომენდაციო მოსაზრებაში, რომელიც ეხებოდა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აღმართვას.<sup>250</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ისრაელის მიერ გარკვეული *erga omnes* ვალდებულებების დარღვევას, მათ შორის, პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების პატივისცემის ვალდებულების უფლებებელყოფას. აგრეთვე, შეიარაღებულ კონფლიქტებში ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ადამიანის პატივისცემისა და ჰუმანურობის ელემენტარული

<sup>247</sup> Vera Gowlland-Debbas, *Collective Responses to Illegal Acts in International Law* (1990) p.297-8

<sup>248</sup> *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South-West Africa) Notwithstanding Security Council Resolution 276(1970) Advisory Opinion of 21 June 1971*, p.80.

<sup>249</sup> *General Assembly Resolution 56/83 (2001)*, 12 December 2001, Annex.

<sup>250</sup> *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory*, ICJ Reports 2004.)

გამოვლინებისადმი პატივისცემის ვალდებულების ზოგიერთი წესის დარღვევას. სასამართლოს თვალსაზრისით, ყველა სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ ცნოს კედლის მშენებლობის შედეგად შექმნილი მდგომარეობა. ამ საქმეში სასამართლომ დაადასტურა, რომ ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენების მუქარის შედეგად მოპოვებული ტერიტორიების „კანონიერად არცნობის ვალდებულება“, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის გამოვლინებაა.<sup>251</sup> ეს დასკვნა გამყარებულია მთელი რიგი დეკლარაციებითა თუ საერთაშორისო სამართლის სხვა ინსტრუმენტებით. ესეთია მაგალითად 1949 წლის დეკლარაციის პროექტი სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლის მე-11-ე მუხლის თანახმად, „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს სხვა სახელმწიფოს მიერ მოპოვებული ტერიტორიების კანონიერად ცნობისაგან, რომელიც მოყვა ძალის გამოყენებისა თუ ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვის უგულებელყოფას“.<sup>252</sup> სახელმწიფოთა ვალდებულება, კანონიერად არ ეცნოთ აგრესიისა ან ძალის გამოყენების მუქარის შედეგად ტერიტორიის მოპოვება ან ოკუპაცია, გათვალისწინებულია აგრეთვე გაეროს წესდების თანახმად სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების 1970 წლის დეკლარაციაში, 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ, 1974 წლის აგრესიის განსაზღვრებაში, 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტში. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენების მუქარის უარყოფის პრინციპის ეფექტიანობის გაზრდის შესახებ 1987 წლის დეკლარაციაში. მიუხედავად „არადიარების ვალდებულების“ ნორმატიული ფორმულირებისა, ბოლომდე არ არის ნათელი მისი შინაარსი. აგრეთვე არადამაჯერებელია ამ საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკა. მართალია, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, მეათე საგანგებო სესიაზე ცნო სასამართლოს მიერ გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის „არადიარების ვალდებულების“ დაკისრების მართებულება, არ დაუკონკრეტებია მისი

---

<sup>251</sup> Wall in the Occupied Palestinian Territory, ICJ Reports 2004, para.87.

<sup>252</sup> ILC Yb. 1949, pp.286-290, p.288



შინაარსი.<sup>253</sup> საქმე ის არის, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არაღიარების ვალდებულება გავლენას არ ახდენს მესამე სახელმწიფოების ისრაელთან ურთიერთობაზე. კერძოდ, არცერთ სახელმწიფოს არ უთქვამს უარი ისრაელის ხელისუფლებასთან საქმიან ურთიერთობებზე პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. აგრეთვე არ შეუწყვეტია ისრაელისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა, მიმართული გამყოფი კედლის აღმართვისა და შენარჩუნებისათვის. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, რას გულისხმობს „არაღიარების“ ვალდებულება? რა უნდა მოიმოქმედონ მესამე სახელმწიფოებმა იმისათვის, რათა თავიდან აიცილონ უკანონოდ მიჩნეული აქტისა და მისი შედეგების აღიარება? თავად „კანონიერად არცნობის“ ფორმულირების ავტორი - ჰანს ბლიქსი (H. Blix) განმარტავს, რომ ტერიტორიის ძალისმიერი მოპოვების კანონიერების ფორმალური, გნებავთ ოფიციალური აღიარება დაუშვებელია. ეს შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, გაეროს კოლექტიური ქმედების არარსებობის შემთხვევაში თავად განსაზღვრონ თუ რა პრაქტიკული ხასიათის თანამშრომლობა დაამყარონ სახელმწიფოსთან, მის მიერ შექმნილი მდგომარეობის ოფიციალურად არაღიარების გარეშე. არაღიარების ვალდებულებისადმი ამგვარ, ოდენ ფორმალურ მიდგომას, არ იზიარებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. სასამართლოსათვის არაღიარების ვალდებულება გამორიცხავს არა მხოლოდ შექმნილი მდგომარეობის კანონიერად მიჩნევას ოფიციალური თვალსაზრისით, არამედ, აგრეთვე გამორიცხავს ნებისმიერ მოქმედებასა თუ გარიგებას, რომელიც შესაძლოა „გულისხმობდეს“ შექმნილი ვითარების კანონიერების აღიარებას.<sup>254</sup> უილემ რიპჰაგენმა (W. Riphagen) საერთაშორისო სამართლის კომისიაში მუშაობის პერიოდში, საერთაშორისო პასუხისმგებლობის შინაარსის ფორმებისა და ხარისხის შესახებ წინასწარ მოხსენებაში, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად შექმნილი ვითარების არაღიარება, მიაკუთვნა ამგვარი ქმედებით გამოწვეულ უკუქმედების ნაირსახეობას. რიპჰაგენს ბუნებრივად მიაჩნია ის, რომ თუ საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წესის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია კანონიერად ცნოს მეორე სახელმწიფოს მიერ შექმნილი ფაქტობრივი ვითარება, რომელიც სამართლებრივი შედეგებს

<sup>253</sup> General Assembly Resolution ES-10/15, 20 July 2004, para.3

<sup>254</sup> Namibia, ICJ Reports 1971, p.16

იწვევს, მაშინ „არადიარება“, როგორც საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული უკუქმედება, ითვალისწინებს შექნილი ვითარებით განპირობებული ზემოხსენებული შედეგების ცნობის ვალდებულებაზე უარის თქმას.<sup>255</sup> საგულისხმოა, რომ საერთაშორისო სამართლის დარღვევით წარმოშობილ სახელმწიფოს არადიარებასთან დაკავშირებით ამგვარი მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც თან სდევს სახელმწიფოს ჩამოყალიბებას *ipso jure* უნდა გაბათილდეს. კერძოდ კი, ახალ სახელმწიფოს უარი უნდა ეთქვას იმ კომპეტენციებითა და პრივილეგიებით სარგებლობაზე, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოებს განეკუთვნება. ასეთ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოებრიობის თანდაყოლილი უფლებები, ე.ი. უფლებები, რომლებიც სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს ზოგადი საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სახელმწიფოდ ყოფნის ფაქტიდან გამომდინარე და სახელმწიფოთაშორისი დამატებითი ურთიერთობების შედეგად წარმოშობილი უფლებები. მხოლოდ პირველი კატეგორიის უფლებები შეიძლება გახდეს არადიარების ვალდებულების ობიექტი. მეორე შემთხვევა, შეიძლება თავიდან იქნას აცილებული უკანონოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფოსათვის დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმის ვალდებულებით. გენოციდის, აგრესიის, ძალის უკანონო გამოყენების თუ თვითგამორკვევის უფლების უგულებელყოფის შედეგად სახელმწიფოებში დამყარებული ხელისუფლებები, საერთაშორისო სამართალში მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ითვლებოდნენ ლეგიტიმურ მთავრობებად.<sup>256</sup> თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, არადიარების ვალდებულების განხორციელება დაკავშირებულია დროში განვრცობილ გარკვეულ სირთულეებთან. ასე მაგალითად, როდესაც არადიარება 15 წელი გრძელდებოდა, სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიისა, 20 წელიწადი, ხოლო ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკის არადიარება რა ხანია 20 წლის ზღვარს გასცდა და ეს რესპუბლიკა დღემდე არ არის აღიარებული საერთაშორისო თემობის მიერ. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ბალტიის ქვეყნების

<sup>255</sup> ILC Yb.1980/II, p.117,para.54

<sup>256</sup> Cf. Report of the International Law Commission on the Work of its 48th Session, GAOR, 51st Session, Supp. No 10 (A/51/10), 1996,pp.169-170.

გაწევრიანების არცნობის შესახებ, რომელიც 51 წელიწადი გრძელდებოდა. ამ შემთხვევებში კოლექტიური არალიარება დასრულდა *status quo ante* დამყარების შემდეგ. 2001 წელს, საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ გაკეთებული კომენტარები, რომელიც არამართლზომიერი საერთაშორისო ქმედებებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის დაწესების საკითხებს ითვალისწინებს, *jus cogens* ნორმის დარღვევით გამოწვეულ შედეგებზე სახელმწიფოთა კოლექტიური რეაგირების აუცილებლობაზე მიუთითებს.<sup>257</sup> ამგვარი კოლექტიური რეაგირების კოორდინაცია, პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს გაეროს კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით.<sup>258</sup> თუმცა, ეს არ არის არალიარების ვალდებულების წარმოშობის წინაპირობა, ვინაიდან უმეტესწილად, არალიარების მოწოდებანი ფორმულირებულია გაეროს გენერალური ასამბლეის არასავალდებულო რეზოლუციებსა და უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებებში, რომლებიც მოკლებულნი არიან საშუალებას, ფუნდამენტურად განსაზღვრონ როგორც სერიოზული დარღვევის არსებობა, ისე წარმოშვან ვითარების „კანონიერად არ აღიარების“ ვალდებულება. არამართლზომიერი საერთაშორისო ქმედებებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის კოდექსის პროექტის 41-ე მუხლში, საუბარია სერიოზული დარღვევების კონკრეტულ შედეგებზე და არა გაეროს რეზოლუციების კონკრეტულ შედეგებზე. აქედან გამომდინარე, „არალიარების“ ვალდებულება თითოეული სახელმწიფოსათვის დამოუკიდებლად წარმოიშვება მაშინ, როდესაც იგი გადაწყვეტს, რომ ადგილი ჰქონდა *jus cogens* ვალდებულების სერიოზულ დარღვევას. არადა მეორეს მხრივ, ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ზემოხსენებული ვითარების აღმოსაფხვრელად სამართლებრივი თანამშრომლობის ვალდებულება. ასე მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, 2004 წლის, 26 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, უპირატესობა მიანიჭა “თანამშრომლობის” და არა „არალიარების“ ვალდებულებას.<sup>259</sup> კერძოდ კი, სასამართლომ დაადგინა, რომ ნათლად

<sup>257</sup> Responsibility of States for Internationally Wrongful Acts 2001, annex to General Assembly resolution 56/83 of 12 December 2001, and corrected by document A/56/49(Vol. I)/Corr.4.

<sup>258</sup> Cf. Report of the International Law Commission on the Work of its 48th Session, GAOR, 51st Session, Supp. No 10 (A/51/10), 1996, pp.169-170.

<sup>259</sup> Order of the German Federal Constitution Court of 26 October 2004, 2 BvR 955/00, Deutsches Verwaltungsblatt 2005, 175-183.

ჩამოყალიბებული ფაქტობრივი ვითარებისა და განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების არსებობისას, შეთანხმების მისაღწევად სახელმწიფოებს ეკისრებათ მხოლოდ თანამშრომლობის ვალდებულება. თანამშრომლობის ვალდებულების გამოიხატება მის შესაძლებლობაში, წარმოშვას ისეთი ვითარება, რომელიც პრაქტიკული თვალსაზრისით, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, შეამცირებს იმპერატიულ ნორმათა დარღვევის ალბათობას. ამგვარი დასკვნის გამოტანისას, სასამართლო დაეყრდნო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ „ნამიბიის საქმეზე“ მიღებულ გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელში გამოთქმული იყო მოსაზრება, სახელმწიფოთა მხრიდან ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის მოქმედებათა უკანონოდ აღიარების შესახებ, ძირითად მიზანს წარმოადგენდა ვითარების აღმოფხვრა ან მშვიდობიანი მოგვარება. ძალის უკანონო გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის თუ *jus cogens* ნორმათა სხვა მნიშვნელოვანი დარღვევის შედეგად წარმოშობილი ვითარების კანონიერად არაღიარების ვალდებულებასთან დაკავშირებით, კიდევ სხვა მრავალი საჭირობოტო სამართლებრივ-პოლიტიკური საკითხი რჩება გადასაჭრელი. ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ თავად ვალდებულებას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მის კონკრეტულ შინაარსს. დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ ვალდებულების შესატყვისი წესები, სრულად არ ქცეულა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის შემადგენელ ნაწილად. კონკრეტული ვითარების კანონიერების არაღიარების ვალდებულება უტოლდება აქტიური თავშეკავების ვალდებულებას. მისი მიზანია, უარყოს საერთაშორისო სამართლის ნორმათა სერიოზული დარღვევის შედეგად წარმოშობილი ვითარების სამართლებრივი შედეგი. ამგვარად, არაღიარების ვალდებულება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ისეთი ფაქტობრივი ვითარების არსებობისას, რომელიც სამართლებრივი მოთხოვნის ფორმას ღებულობს. იქნება ეს სახელმწიფოებრიობა, ტერიტორიული სუვერენიტეტი, სახელისუფლო უფლებამოსილება თუ სხვა და რომელთა მიზანია ჰქონდეთ *erga omnes* შედეგი. ასეთ შემთხვევებში, არაღიარების ვალდებულება პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს და შეიძლება გამოდგეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მძლავრ სანქციად.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იბყრობს და უკავშირდება სახელმწიფოებრიობას, არის სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ეფექტიანობის, გნებავთ ქმედუნარიანობის საკითხი. მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებრიობა ფაქტობრივი საკითხია, მხარდაჭერას იძენს სახელმწიფოებრიობის ეფექტიანობასთან გაიგივებით.<sup>260</sup> ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ორი შესაძლო მდგომარეობა: 1. *a priori* არ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოებრიობის რაიმე კრიტერიუმი ეფექტიანობისაგან დამოუკიდებლად; 2. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ამგვარი კრიტერიუმი დღემდე არ არსებულა.<sup>261</sup> თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ყოფილა ისეთი ეფექტიანი ერთობები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოებს. მაგალითად, როდეზია, ტაივანი და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. პირიქითაც მომხდარა, არაეფექტიანი ერთობები არსებულ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ. მაგალითად, 1936-40 წლამდე უკანონოდ ანექსირებული ეთიოპია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები, გვინეა ბისაუ პორტუგალიის მიერ აღიარებამდე და ქუვეითი 1990-91 წლებში. ამგვარად ის მოსაზრება, რომ სახელმწიფოებრიობა აუცილებლად უნდა უტოლდებოდეს ეფექტიანობას, ამ პრაქტიკული მაგალითების მიხედვით არ შეესაბამება სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ფუნდამენტური პრინციპების არსებობა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც გამონაკლისი ეფექტიანობის დომინირების პრინციპიდან. კარპენტერისგან (J. Charpentier) განსხვავებით, ამგვარ პოზიციას წინასწარმეტყველებს ლუტერჰახტი, მისი თქმით: „საერთაშორისო სამართალი უფლებათა და ვალდებულებათა წყაროდ ისეთ ფაქტებსა და ვითარებებს მიიჩნევს, რომლებიც არ არის საერთაშორისო სამართლით აკრძალული და უკანონოდ მიჩნეულ ქმედებათა შედეგი ... ეს დებულება იმავე პრინციპის გამოძახილია, რომლის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის დარღვევის შედეგად დამდგარი უტყუარი

<sup>260</sup> J. Charpentier, *Le reconnaissance international et l'evolution du droit des gens*(Paris, A Pedone, 1956) p.127

<sup>261</sup> J. Crawford, *The Creation of States. Second Edition* Clarendon Press, Oxford (2006). p.97

ფაქტები, ავტომატურად ვერ მოექცევა ერთა სამართლის ფარგლებში.<sup>262</sup> ამ დებულებისა და საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის გარდა, იმპერატიული ნორმების გათვალისწინება ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციაში, დამატებით ცხადყოფს, რომ ეფექტიანობის პრინციპი არ წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის განსაზღვრის ერთადერთ ელემენტს. ასე მაგალითად, ხელშეკრულების შედეგად სახელმწიფოს ჩამოყალიბება, თუ იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას, ვენის კონვენციის 53 და 64 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე ბათილად და არალეგიტიმურად ითვლება. რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის საერთაშორისო სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღიარებას, უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების მეოთხე მუხლი. იგი განსაზღვრავს გაეროს წევრად სახელმწიფოს მიღების მთავარ პირობებს - „1. ორგანიზაციის წევრად მიღება ღიაა ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსათვის, რომლებიც თავის თავზე აიღებენ ამ წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და რომლებსაც, ორგანიზაციის აზრით, შეუძლიათ და სურთ ამ ვალდებულებების შესრულება. 2. ნებისმიერი ასეთი სახელმწიფოს მიღება ორგანიზაციის წევრად ხდება გენერალური ასამბლეის დადგენილებით, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.“ როგორც ვხედავთ, ამ ნორმის განხორციელების შესაძლებლობის თვალსაზრისით, ქმედუნარიანობა გამოიხატება სუბიექტის მშვიდობისმოყვარეობაში და იმ ვალდებულებათა ტვირთვაში, რომლებიც გაწერილია თავად სახელმწიფოთა მიერ შედგენილ აღნიშნულ დოკუმენტში და რომლის შესაძლებლობა და სურვილიც გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის მქონე სუბიექტებს. სწორად ეს არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ქმედუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. გაეროს წესდების ამ ნორმაში გამოსჭვივის იურისპრუდენციის თვალსაზრისი სუბიექტის ქმედუნარიანობის რაობის შესახებ. კერძოდ კი, „მშვიდობისმოყვარეობა“, როგორც - ნებისყოფის სიმწიფე; „იმ ვალდებულებათა ტვირთვა, რომლებიც გაწერილია თავად სახელმწიფოთა მიერ შედგენილ ამ დოკუმენტში“, როგორც - პასუხიმგებლობა და „შესაძლებლობა და სურვილი“, როგორც - მომწიფებული აზროვნება. ქმედუნარიანობა დამოკიდებულია სწორად ამ თვისებებზე. აქ სამართლის

---

<sup>262</sup> Lauterpacht, E, Recognition in International Law(Cambridge University Press, 1947, p 409

კონკრეტული ნორმა მიმართულია იმისადმი, „ვისაც თავისი ობიექტური თვისებების მთლიანობით შეუძლია პოზიტიური სამართლის ნორმის ნამდვილი განმახორციელებელი იყოს“.<sup>263</sup> ამიტომ კანონმდებელ სახელმწიფოებს, სხვა არაფერი დარჩენიათ თუ არა იმის აღიარება, რომ მუხლში ნახსენები ყველა თვისება თუ შესაძლებლობა არის სუბიექტის დამახასიათებელი მომენტი. აქ გასათვალისწინებელია, რომ „თუ ჩვენ ნორმის შინაარსს მიზნად ვაღიარებთ, მაშინ განმახორციელებლის (სუბიექტის) შესაძლებლობა მხოლოდ საშუალებად იქნება აღიარებული, ვინაიდან განხორციელების იდეა ყოველთვის საშუალების ცენტრშია მოცემული და საშუალებას კი ყოველთვის მიზნის ბეჭედი აზის. თვით მიზანში არის მოცემული ეიდეტური მიმართება რაღაცისკენ, როგორც საშუალებისკენ, შესაძლებლობისკენ“.<sup>264</sup> ასე რომ, რამდენადაც სუბიექტი სწორად ნორმის განმახორციელებელია, იურიდიული ნორმის მიერ ნაგულისხმევ სუბიექტში ყოველთვის ნაგულისხმევია ქმედუნარიანობა ნამდვილი იურიდიული მნიშვნელობით. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გაეროს წევრად მიღება დაშვებულია მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ქმედუნარიანობით სრულად აღჭურვილი სუბიექტებისათვის, რომელთა თანასწორუფლებიან სახელმწიფოებად არაღიარება საღ აზრს არის მოკლებული. შესაბამისად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სახელმწიფოს აღიარება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში, ფუნქციურად ჩაანაცვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებამ.

### **§3. ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციების ურთიერთმიმართება**

ჩვენი კვლევის მიზნებისათვის, ვფიქრობთ უნდა განვიხილოთ სახელმწიფოებრიობისა და ერთა თვითგამორკვევის კონცეფციების ურთიერთდამოკიდებულება. საჭიროა პასუხი გავცეთ კითხვას - რამდენად შეესატყვისება თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებს? მეორე მსოფლიო ომის

<sup>263</sup> გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა. ტფილისი უნივერსიტეტის გამოცემა, გვ23.

<sup>264</sup> გ. ნანეიშვილი, იურიდიული სუბიექტი. ტფ. სახ. უნივერსიტეტი (მოამბე VIII)

დასრულების შემდეგ, ეს საკითხი მწვავე დავის საგანს წარმოადგენდა, ვინაიდან თვითგამორკვევა როგორც იურიდიული უფლება და სამართლებრივი პრინციპი, მსოფლიო პოლიტიკურ გეოგრაფიას მნიშვნელოვან ცვლილებებს უქადდა. თვითგამორკვევა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამონაკლისს იმ ტრადიციული შეხედულებიდან, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს ჩამოყალიბება ფაქტობრივი და არა სამართლებრივი საკითხია.<sup>265</sup> გაეროს წესდებაში, ტერმინი თვითგამორკვევა ორჯერ არის ნახსენები. წესდების 1(2) მუხლში, სადაც გაეროს მიზნებსა და პრინციპებზეა საუბარი და 55-ე მუხლში, სადაც ლაპარაკია ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობაზე. თუმცა გაეროს გენერალური ასამბლეა, თავის რეზოლუციებში უფრო დეტალურად განმარტავს თვითგამორკვევის პრინციპის შინაარსს. მაგალითად, 1952 წლის, 5 თებერვლის რეზოლუცია N 545(VI) ითვალისწინებს, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებში, რომლებიც საბოლოოდ 1966 წელს იქნა მიღებული, უნდა შესულიყო დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდა „ყველა ერის უფლებას თვითგამორკვევაზე“. პაქტების საერთო პირველი მუხლი, არათუ ითვალისწინებს „ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას“, არამედ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს თვითგამორკვევის უფლების განხორციელების ხელშეწყობასა და პატივისცემას. 1960 წლის, 14 დეკემბერს მიღებული გენერალური ასამბლეის N 1514 (XV) რეზოლუციის, მე-2-ე დებულება, რომელიც კოლონიური ქვეყნებისა და ერებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას დეკლარირებს, გვამცნობს: „ყველა ხალხს გააჩნია თვითგამორკვევის უფლება; ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ილტვიან ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარებისაკენ“. გაეროს წესდების თანახმად, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაციის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: „გაეროს წესდებაში

<sup>265</sup> J. Crawford, *The Creation of States*. Second Edition Clarendon Press, Oxford (2006). p.109-111.

<sup>265</sup> Declaration on Principles of International Law Concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with the Charter of the United Nations, G.A. res. 2625, Annex, 25 UN GAOR, Supp. (No. 28), U.N. Doc. A/5217 at (1970) p.121



ასახული ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, ყველა ხალხს აქვს უფლება, გარეშე ჩარევისგან დამოუკიდებლად, თავისუფლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გეზი და ყველა სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ამ უფლებას წესდების დებულებათა შესაბამისად<sup>266</sup>. ცხადია, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, მეტწილად სარეკომენდაციო ხასიათისაა და პირდაპირ არ წარმოშობს სახელმწიფოთა ვალდებულებებს. თუმცა ჩვენს მიერ ციტირებული რეზოლუციები, არ გვევლინება წესდების ტექსტის ოდენ ინტერპრეტაციად, არამედ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ და საყოველთაო პრინციპების დეკლარირებას. შინაარსობრივად, ისინი არათუ რეზოლუციის ფარგლებს, არამედ თავად გაეროს წესდების ტერმინოლოგიურ ფარგლებსაც ცდება. ასეთ შემთხვევაში, თვითგამორკვევის უფლება, თავისი უფლებრივი ხასიათით შესაძლოა სუვერენიტეტის ანალოგადაც კი მივიჩნიოთ. 1945 წლის შემდგომ პერიოდში, ერთა თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე, არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დასკვნა იქნა ფორმულირებული კონკრეტულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად იმ ტერიტორიების საკითხი, რომლებზეც თვითგამორკვევის ფარგლები ვრცელდება, სამართლის სფეროს დარად, პოლიკის სფეროსაც განეკუთვნება. პრაქტიკაში, ამ პრინციპის გამოყენებას განსაკუთრებული ყურადღება იმ ტერიტორიებზე ეთმობა, რომლებზეც იგი აღიარების ან ხელშეკრულების საფუძველზე ვრცელდება. ამგვარი პრაქტიკის შედეგად, ერთა თვითგამორკვევის პრინციპმა იდუმალეებით მოცული პრინციპის რეპუტაცია შეიძინა. ამას დაემატა თვითგამორკვევის პრინციპისადმი სამანდატო და სამეურვეო ტერიტორიების სისტემებით განპირობებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულება (ერთა ლიგის წესდების 22-ე მუხლი და გაეროს წესდების მე-9-ე და მე-13-ე თავები), ვინაიდან ისინი ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიებზე. კერძოდ კი, 1919-23 და 1947 წლების საზავო ხელშეკრულებების საფუძველზე, დამარცხებული სახელმწიფოებიდან გამოყოფილ

ზოგიერთ ტერიტორიაზე (იტალიის ტერიტორიებთან დაკავშირებით). რაც შეეხება გაეროს წესდების მე-11-ე თავით გათვალისწინებულ არათვითმართვად ტერიტორიებს, რომლებსაც წარმოადგენს ის ტერიტორიები, რომელთა ხალხსაც ჯერ არ მიუღწევიათ სრული თვითმმართველობისათვის, უნდა ითქვას, რომ იგი პრაქტიკულად დაექვემდებარა პროგრესულ ინტერპრეტაციას, პროცესს, რომელიც არაერთხელ იქნა მხარდაჭერილი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ.<sup>267</sup> ამან ხელი შეუწყო თვითგამორკვევის „წმიდათაწმინდა მოვალეობის“ კონცეფციის განვრცობასა და მის დამკვიდრებას ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელთა ხალხს არ მიუღწია სრულფასოვანი თვითმმართველობისათვის.<sup>268</sup> ზემოთქმულიდან გამომდინარე, დეკოლონიზაციის პროცესთან მიმართებით, თვითგამორკვევის პრინციპი საიმედოდ დამკვიდრდა საერთაშორისო სამართალში, როგორც ეს აღნიშნულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სარეკომენდაციო მოსაზრებაში ნამიბიის საქმეზე,<sup>269</sup> რომელმაც გაეროს წესდების შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის განვითარების შედეგად, თვითგამორკვევის პრინციპი ყველა არათვითმმართველ ტერიტორიას მიუსადაგა. ერთა თვითგამორკვევის უფლება, ხშირად გამოიყენება მხარეთა შორის კონკრეტული დავებისა და საკითხების გადაწყვეტის კრიტერიუმად. ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპზე საუბრისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ე.წ. „წინდახედულების კლაუზულა“, „*safeguard clause*“, რომელიც მოცემულია „გაეროს წესდების თანახმად სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაციის“ მე-5-ე პრინციპის, მე-7-ე აბზაცში და გვამცნობს, რომ „ზემოაღნიშნულ აბზაცებში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც ისეთი უფლებამოსილების მინიჭება ან ისეთი ქმედებისაკენ მოწოდება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაანაწევრებს ან დაასუსტებს იმ სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან პოლიტიკურ ერთობას, რომელიც ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად, მოქმედებს ისე, როგორც ეს

<sup>267</sup> Namibia Opinion, ICJ Rep 1971 p 16,31(para52); Wall Opinion, ICJ Rep 2004 p136,171(para88)

<sup>268</sup> South-West Africa (International Status) Case 1950 I.C.J. Rep. 128 p.132

<sup>269</sup> Namibia Opinion, ICJ Rep 1971 p 6, 31

ზემოთ არის აღწერილი და ამგვარად, წარმოდგენილია მოცემულ ტერიტორიაზე მთელი ხალხის ნების გამომხატველი ხელისუფლების მიერ, ყოველგვარი რასობრივი, აღმსარებლობითი და კანის ფერის მიხედვით განსხვავების გარეშე." მსგავსი შინაარსის დებულება გვხვდება 1993 წელს, ვენაში გამართული გაეროს ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში.<sup>270</sup> საქმე ის არის, რომ ამ ფორმულის მიხედვით, სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება მის ტერიტორიაზე განსახლებული მთელი ხალხის ინტერესებს წარმოადგენს რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე, აკმაყოფილებს თვითგამორკვევის პრინციპს მთელ ხალხთან დამოკიდებულებაში და უფლებამოსილია დაიცვას ტერიტორიული მთლიანობა. კასეზეს (A. Cassese) სიტყვებს თუ დავესესხებით, „ამგვარი სახელმწიფოს ხალხი, თვითგამორკვევის უფლებას განახორციელებს სახელმწიფოს მართვაში თანასწორუფლებიანი მონაწილეობის საფუძველზე“.<sup>271</sup> ლოგიკური იქნება თუ ვიკითხავთ, ვრცელდება თუ არა „წინდახედულების კლაუზულა“ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებაზე ე.წ. „თავდაცვით გამოყოფის“ „*remedial secession*“ შემთხვევაში? მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო არ მოქმედებს ხალხთა თანასწორი თვითგამორკვევის უფლებათა პრინციპის შესაბამისად. ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ხალხის ჩაგვრისა და შევიწროვების განსაკუთრებულ შემთხვევებში, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს „თავდაცვით გამოყოფას“, როგორც თვითგამორკვევის უფლების განხორციელების ნაირსახეობას და რომ ამგვარ უფლებას, ირიბად, თავად „მეგობრულ ურთიერთობათა შესახებ ვენის დეკლარაციაში“ მოცემული „წინდახედულების კლაუზულა“ გულისხმობს. როგორც ზემოთ ვნახეთ, „წინდახედულების კლაუზულა“ სახელმწიფოსათვის აწესებს ვალდებულებას, იმოქმედოს წარმომადგენლობითი ხელისუფლების მეშვეობით დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მართვას ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის მოთხოვნათა შესაბამისად. გასარკვევია თუ რა ხასიათისა და ხარისხის დისკრიმინაციამ შეიძლება წარმოშვას სახელმწიფოდან

<sup>270</sup> United Nations World Conference on Human Rights, Vienna Declaration and Programme of Action, 25 June 1993, (1993) 32 ILM 1661,1665.

<sup>271</sup> A. Cassese, Self-determination of Peoples: A Legal Reappraisal (Cambridge, Cambridge University Press, 1995)p.109

გამოყოფის უფლება. შესაძლებელია თუ არა, გამოყოფის უფლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლებას ჯერ კიდევ შეუძლია შეაჩეროს დისკრიმინაცია? განსაკუთრებით კი, იმ პირობებში, როდესაც ხელმისაწვდომია ამისათვის აუცილებელი სამართლებრივი საშუალებები. საერთაშორისო სამართალში, „თავდაცვითი გამოყოფის“ დოქტრინის მიზანშეწონილება შეიძლება განაპირობოს ფუნდამენტურ უფლებათა ისეთმა დარღვევამ, რომელმაც გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის ფიზიკური განადგურება შეიძლება გამოიწვიოს. ადამიანის უფლებათა ისეთი დარღვევები, როგორც არის გენოციდი, აპართეიდი, წამება და მონობა, რომელთა გამოყენება აკრძალულია *jus cogens* ნორმებით, შეიძლება ჩაითვალოს ერთა თუ ხალხთა „თავდაცვითი გამოყოფის“ საფუძველად, როგორც *ultima ratio* (უკიდურესი გამოსავალი) გადაწყვეტილება. გამოყოფის ნებისმიერი უფლება უნდა განიმარტოს მკაცრად ზედმიწევნით. თვითგამორკვევის საფუძველზე სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფა, როდესაც არ ამოწურულა ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება ე.წ. „შიდა თვითგამორკვევის“ უფლების გამოყენების ჩათვლით, რაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სახის ავტონომიების შექმნას გულისხმობს, უნდა ჩაითვალოს „წინდახედულების კლაუზულის“ შინაარსის საწინააღმდეგო ქმედებად. მაგალითად, 1999 წლის, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1244 რეზოლუცია, ითვალისწინებს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში, კოსოვოს მკვიდრთათვის „მყარი ავტონომიისა და მნიშვნელოვანი თვითგამორკვევის საშუალებებით სარგებლობის“ მინიჭებას. აგრეთვე, ფართომასშტაბიანი უფლებების დარღვევის აღკვეთას და მათი უწინდელი მდგომარეობის აღდგენას, ლტოლვილთა დაბრუნებასა და შეიარაღებული ძალების კოსოვოდან გამოყვანას. სახელმწიფოდან მისი გარკვეული ტერიტორიის გამოყოფა უნდა წარმოადგენდეს *ultima ratio* საშუალებას, როდესაც შეუძლებელია შიდასახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის უფლების განხორციელების საშუალებათა გამოყენება. იმისათვის, რომ დადგინდეს ამოიწურა თუ არა შიდასახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის საშუალებანი, უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი ფაქტორები. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ამგვარ საშუალებათა არსებობა და ხელმისაწვდომობა. მხედველობაში გვაქვს კონსტიტუციური პროცესის წარმოების ისეთი მექანიზმები, როგორცაა კონსტიტუციური შესწორება, რეფერენდუმი, უმცირესობათა შესახებ

სპეციალური კანონების მიღება ან მათი უფლებების არსებულ კანონმდებლობაში გათვალისწინება. აგრეთვე სასამართლო საშუალებების თუ დავათა გადაწყვეტის სხვა მექანიზმების ხელმისაწვდომობა. ხსენებულ საშუალებათა არსებობისა და ხელმისაწვდომობის დადგენის შემდეგ, უნდა განისაზღვროს მათი ეფექტიანობა. მაგალითად, საომარ მოქმედებათა შეწყვეტა იმის გარანტიის გარეშე, რომ ხელახლა აღარ ექნება ადგილი ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიან დარღვევას, არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიან და ადექვატურ დაცვის საშუალებად. აუცილებელია მართლმსაჯულების გარდამავალი მექანიზმების დაწესება და ამოქმედება პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში კონფლიქტის შედეგად დარღვეული უფლებების აღსადგენად. „თავდაცვითი გამოყოფის“ თეორიის შესაბამისად, ლეგიტიმურად ვერ იქნება მიჩნეული გამოყოფა, რომელიც განხორციელებულია მსგავსი საშუალებების გამოყენების გვერდის ავლით ან მათი გამოყენებით მიღწეული შედეგების გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან თვითგამორკვევის ალტერნატიული ფორმების არსებობა, ლოგიკურად გამორიცხავს უკიდურეს ზომად „თავდაცვითი გამოყოფის“ მართებულობას. ასეთ შემთხვევაში, გამოყოფა თვითგამორკვევის შინაარსის საწინააღმდეგო მოქმედებად აღიქმება, რადგან „თავდაცვითი გამოყოფის“ დოქტრინა ემყარება *ubi jus ibi remedium* (სადაც უფლება, იქაც მისაგებელი) პრინციპს. აღსანიშნავია, რომ „თავდაცვითი გამოყოფის“ დოქტრინა აკადემიურ წრეებში დავის საგანს წარმოადგენს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეცნიერთა შორის არ არსებობს კონსენსუსი საერთაშორისო სამართალში მისი სამართლებრივი სტატუსის შესახებ. ერთნი მიიჩნევენ, რომ იგი განვითარების სტადიაში იმყოფება და წარმოადგენს *de lege feranda* სამართალს, მეორენი კი თვლიან, რომ იგი პოზიტიური საერთაშორისო სამართალით დადგენილი უფლებაა და *lex lata*-დ გვევლინება. ამ საკითხთან დაკავშირებით, კანადის უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც კვებეკის გამოყოფის საქმეზე მიიღო, აღნიშნა, რომ „გაურკვეველი რჩება საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა „თავდაცვითი გამოყოფა“ საერთაშორისო სამართალით დადგენილ სტანდარტს“. <sup>272</sup> იმისათვის რომ ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში „თავდაცვითი გამოყოფის“ სამართლებრივი სტატუსი დავადგინოთ, აუცილებელია

---

<sup>272</sup> Reference re Secession of Quebec S.C.R. 217 (Supreme Court of Canada 1998), para.135

აღმოვაჩინოთ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ემპირიული საფუძველი. საჭიროა განვიხილოთ ინსტიტუციური პრაქტიკა და იმ სახელმწიფოთა პრაქტიკა და *opinio juris*, რომელიც „თავდაცვით გამოყოფას“ *lex lata* ნორმად მიიჩნევს. ზოგიერთი მკვლევარი ამ საკითხის განხილვისას, სახელმწიფოთა პრაქტიკასა და *opinio juris* ორ ნაწილად ყოფს, ინსტიტუციურ პრაქტიკას კოსოვოს გამოყოფამდე და 2008 წელს, კოსოვოს გამოყოფის პრეცედენტის შემდგომ პერიოდად.<sup>273</sup> საქმე ის არის, რომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების შემდეგ, რაც არაერთმა სახელმწიფომ ლეგიტიმურად ცნო, გაეროს გენერალური ასამბლეის 2008 წლის, 8 ოქტომბრის, რეზოლუციის საფუძველზე,<sup>274</sup> ინიცირებულ იქნა საკონსულტაციო წარმოება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, სადაც არაერთმა სახელმწიფომ გამოხატა საკუთარი *opinio juris* თვითგამორკვევის უფლებისა და „თავდაცვითი გამოყოფის“ საკითხის შესახებ. საერთაშორისო სამართალში ამ პროცესმა ახალი ხედვების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. კოსოვოს მსგავსი საქმე, რომელიც ინტერესს იწვევს, არის საქმე - კატანგას სახალხო კონგრესი ზაირის წინააღმდეგ. ეს საქმე წარმოადგენს „თავდაცვითი გამოყოფის“ დოქტრინის საერთაშორისო ინსტიტუციური პრაქტიკის მაგალითს. 1992 წელს, კატანგას სახალხო კონგრესის პრეზიდენტმა, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-20-ე მუხლის, პირველ პუნქტზე დაყრდნობით, განცხადებით მიმართა ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკულ კომისიას, რომელშიც ითხოვდა კატანგას ხალხის დამოუკიდებლობისათვის სწრაფვის მხარდაჭერას და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე ზაირისაგან გამოყოფის ცნობას (ამ დროისათვის სახელმწიფო კონგო უკვე ზაირად იწოდებოდა). ამასთან დაკავშირებით, აფრიკულმა კომისიამ *inter alia* დაადგინა, რომ „ადამიანის უფლებათა ისეთი დარღვევების კონკრეტული მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, რომლებმაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ზაირის ტერიტორიული მთლიანობა, აგრეთვე იმ მტკიცებულებათა ვერ აღმოჩენის საფუძველზე, რომლებიც მიუთითებენ აფრიკული ქარტიის მე-13-ე მუხლის,

---

<sup>273</sup> I. Vezbergeite, Remedial Secession as an Exercise of the Right to Self-Determination of Peoples, CEU, Budapest, Hungary (2011), p.54

<sup>274</sup> UN General Assembly Resolution A/Res/63/3, 8 October 2008

პირველი პუნქტით გარანტირებულ მართვა-გამგეობაში კატანგელთა მონაწილეობის არდაშვებას, კომისიას მიაჩნია, რომ კატანგა ვალდებულია თვითგამორკვევის ისეთი ფორმა აირჩიოს, რომელიც შეესაბამება ზაირის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას<sup>275</sup> ამ გადაწყვეტილების *a contrario* არგუმენტზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ კომისიის დასკვნა ემყარება „თავდაცვითი გამოყოფის“ დოქტრინას. ნათელია აგრეთვე ისიც, რომ კატანგელთა შიდასახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის უფლების ხელყოფის დადასტურების შემთხვევაში, კომისიას შესაძლებლად მიაჩნდა კატანგის ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების იმგვარი ფორმით სარგებლობის აღიარება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა ზაირის ტერიტორიულ მთლიანობასთან.

ტერიტორიული მთლიანობის ცნება, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში პირდაპირი გავლენა აქვს ხალხის თვითგამორკვევის უფლების განხორციელებასა და სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სრულ ქმედუნარიანობაზე, მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტშია განმარტებული. ეს არის გაეროს წესდების 2(4) მუხლი, რომელიც იუწყება, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის, მუქარის ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით.“ აგრეთვე, 1975 წლის, 1 აგვისტოს მიღებული ჰელსინკის ფინალური აქტი, რომლის ერთერთი მთავარი მოთხოვნაა, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა და ტერიტორიული მთლიანობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების და ძალის გამოყენების მუქარის დაუშვებლობა (იხ.მუხლი 4). თუმცა აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორთავე ეს დოკუმენტი, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე ვრცელდება. ხოლო რაც შეეხება უკანასკნელს, უნდა ითქვას, რომ იგი უპირობოდ არ უჭერს მხარს ტერიტორიულ მთლიანობის აბსოლუტურ შენარჩუნებას, არამედ მათი ცვლილების ძალისმიერ მეთოდებს აცხადებს არასამართლებრივად. ამაში ვრწმუნდებით ჰელსინკის

---

<sup>275</sup> Katanga People's Congress v. Zaire African Commission on Human and Peoples' Rights, Comm. No. 75/92 (1995)

საბოლოო აქტის პირველი თავის, მეორე აბზაცის კითხვისას, რომელიც უშვებს სახელმწიფო საზღვრების ცვლილებას „საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვიდობიანი გზით და ხელშეკრულების საფუძველზე“. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, ტრადიციულად გადაჯაჭვულია ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვის ფუნდამენტურ პრინციპზე. ერთი შეხედვით, იგი უპირისპირდება საერთაშორისო სამართლის მეორე პრინციპს - ხალხის თვითგამორკვევის პრინციპს. თუმცა როგორც ზოგადი პრინციპი, ხალხის თვითგამორკვევის უფლება, ხორციელდება არსებული სახელმწიფოს ფარგლებში, ამ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით. ტრადიციული თეორიის მიხედვით, ცალმხრივად გამოყოფის უფლება, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, წარმოიშობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მკაცრად დადგენილი პირობების არსებობისას. კვებეკის საქმეზე, კანადის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „გამოყოფა შესაძლებელია როგორც უკიდურესი აუცილებლობის საშუალება, მაშინ, როდესაც ხალხის შიდასახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის უფლება ხელმიუწვდომელია“.<sup>276</sup> აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფაქტობრივად, სახელმწიფოთა პრაქტიკა უგულვებელყოფს ტერიტორიული მთლიანობის მოტივით ხალხის თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვას. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ბანგლადეშის პაკისტანისგან დამოუკიდებლობის აღიარება, სინგაპურისა და მალაზიისაგან და ბელიზისა გვატემალისაგან. კოსოვოს მაგალითზე დაყრდნობით, თავად მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და გამოყოფის მკაფიო აკრძალვა, რომელიც ემყარება ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.<sup>277</sup> 2008 წლის, 17 თებერვალს, კოსოვომ მიიღო სერბეთისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი. კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირებამ, ხელახლა გაამძაფრა საერთაშორისო საზოგადოების დავა სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფის შესახებ და როგორც ცნობილია 2008 წლის, 8 ოქტომბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 63/3 რეზოლუციით,

<sup>276</sup> Supreme Court of Canada Reference re Secession of Quebec(1998) 2 SCR.

<sup>277</sup> ICJ, Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence in Respect of Kosovo (Advisory Opinion) General List No. 141,22 July 2010.



საკითხის სამართლებრივი განმარტების მიზნით, საქმე წარიმართა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვიდრე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო თავის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას მიიღებდა, 2010 წლის, 22 ივლისისათვის, კოსოვოს დამოუკიდებლობა გაეროს წევრმა 69 სახელმწიფომ აღიარა. სასამართლოს წინაშე დასმული კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული - შეესაბამება თუ არა კოსოვოს თვითმმართველობის დროებითი დაწესებულებების მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს? ამ საკითხთან დაკავშირებით, სერბეთის სამართლებრივი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ საერთაშორისო სამართალი უზრუნველყოფს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, რომელიც ემყარება სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და სუვერენიტეტის პრინციპებს. ამ პოზიციას იზიარებდნენ სხვა სახელმწიფოებიც, რომელთა შორის იყო რუსეთი, ესპანეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, კვიპროსი და სხვანი. სერბეთის განცხადებით, სწორად “ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვა წარმოადგენდა ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის განჭვრეტისა და მდგრადობის მთავარ საფუძველს”.<sup>278</sup> საპირისპირო პოზიცია გამოხატა აშშ-მ, რომლის თანახმადაც „დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება არ არღვევს ტერიტორიული მთლიანობის ზოგად პრინციპს, იმდენად რამდენადაც, ეს პრინციპი სხვა სიბრტყეში მოქმედებს, იგი სახელმწიფოებს ავალდებულებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას და არ არეგულირებს სახელმწიფოს შიგნით არსებული ჯგუფების მოქმედებას, ხელს არ უშლის მათ გამოყოფას ან მათ მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას.“<sup>279</sup> გერმანიამ და ნიდერლანდებმა, რომლებიც თავდაცვითი გამოყოფის უფლების მხარდამჭერები არიან, გამოზომილი პოზიცია დაიკავეს და განსაზღვრეს გარემოებანი, რომლებიც საერთაშორისო სამართალში წარმოშობს გამოყოფის უფლებას. გერმანიის წერილობითი პოზიციის მიხედვით, „არავინ ამტკიცებს, რომ ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც რამენაირად განსხვავებულია უმრავლესობისაგან აქვს გამოყოფის უფლება ... რაც

<sup>278</sup> Serbia CR 2009/24 hearing of 1 December 2009, paragraph 4, p.63

<sup>279</sup> United States of America CR 2009/30 hearing of 8 December 2009, paragraph 20, p.30

ამკარა საფრთხეს შეუქმნის საერთაშორისო მშვიდობას და საშუალებას მისცემს ნებისმიერი ტიპისა და სიდიდის ჯგუფს, იქნება იგი ავტონომიური თუ არა, გამოეყოს საკუთარ დედასამშობლოს.<sup>280</sup> ამას გერმანია გამოყოფის ლიბერალურ, გნებავთ ფართო უფლებას უწოდებს და როგორც ვხედავთ, მიუღებლად მიიჩნევს. გერმანიის პოზიციის თანახმად, საერთაშორისო სამართალი სრულად არც გამორიცხავს და არც ანიჭებს ნებისმიერ ჯგუფს გამოყოფის ლიბერალურ უფლებას. მართალია „თვითგამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის შიგნით“, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, თვითგამორკვევის უფლებამ შეიძლება მოახდინოს „გამყოფის ლეგიტიმაცია“ მაშინ, როდესაც ეს „შიდასახელმწიფოებრივ თვითგამორკვევის უფლებაზე განგრძობად და უხემ უარზე თავის დაღწევის უკანასკნელი და ერთადერთი საშუალებაა“.<sup>281</sup> ასეთ შემთხვევაში, გამოყოფის აქტი საფრთხეს არ უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. გარდა ამისა, გერმანია მიუთითებს იმ ორი პირობის არსებობის აუცილებლობაზე, რომელიც გამოყოფის უფლების განხორციელების შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს. ესენია 1) გრძელვადიანი და განსაკუთრებით მძიმე უარი შიდა თვითგამორკვევის უფლებაზე; 2) *Ultima ratio* გამოყოფა თვითგამორკვევის განხორციელების უკანასკნელი საშუალებაა. გერმანიისა და ნიდერლანდების ეს პოზიცია ასახავს „თავდაცვითი გამოყოფის“ კლასიკურ დოქტრინას. რუსეთის ფედერაცია იმ აზრს ავითარებს, რომ „წინდახედულების კლავიშის“ განმარტება, შესაძლებლობას იძლევა გამოყოფა მისაღებად ჩაითვალოს კონკრეტული პირობების არსებობის შემთხვევაში. “ეს პირობები უნდა შემოიფარგლოს ისეთი ექსტრემალური ვითარებით, როგორცაა არსებული სახელმწიფოს მხრიდან შეიარაღებული თავდასხმა, რაც საფრთხეს უქმნის მოცემული ხალხის არსებობას“.<sup>282</sup> აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაცია სრულად არ გამორიცხავს გამოყოფის ფორმით განხორციელებულ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობას. იგი მხოლოდ მიუთითებს იმ განსაკუთრებული პირობის არსებობაზე, რომელიც მდგომარეობს ძალის გამოყენებით ხალხის არსებობისათვის საფრთხის შექმნაში. პროფესორი აბი-სააბის მოსაზრების თანახმად, „შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ გამოყოფა არღვევს

---

<sup>280</sup> Written Statement of Germany, p.34

<sup>281</sup> Ibid.34

<sup>282</sup> Written Statement of Russian Federation, para 88

სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, ვინაიდან ეს პრინციპი ვრცელდება მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებზე, ე.ი. ვრცელდება სხვა სახელმწიფოებზე, რომლებიც ვალდებულნი არიან პატივი სცენ ამ მთლიანობას და არ ხელყონ თავიანთი მეზობლების ტერიტორია“.<sup>283</sup> საგულისხმოა, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო კოსოვოს საქმის განხილვისას, ხაზს უსვამს საერთაშორისო სამართალში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის არსებით მნიშვნელობას და განმარტავს მის საგნობრივ ფარგლებს ორი დოკუმენტის გამოყენებით. ესენია: გაეროს გენერალური ასამბლეის 2625 რეზოლუცია - „დეკლარაცია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ და ჰელსინკის ფინალური აქტი, რომელთა საფუძველზე სასამართლო ადგენს, რომ „ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ფარგლები მოიცავს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სფეროს“.<sup>284</sup> სასამართლოს ამგვარი ინტერპრეტაცია, აგრეთვე ემყარება ტრადიციულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართალი ნეიტრალური რჩება გამოყოფის მიმართ.<sup>285</sup> სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო სამართლის პრინციპი მოქმედებს გარკვეულ ვითარებაში და გარკვეულ სუბიექტთა მიმართ, მაგრამ არა აბსოლუტური და შეუზღუდავი ფორმით, რაც ხელს უშლის სხვა სუბიექტებს საერთაშორისო სამართლით აღიარებული სხვა უფლებებით სარგებლობაში. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ „დამოუკიდებლობის გამოცხადების უკანონობა არა მის ცალმხრივ ხასიათში მდგომარეობს, არამედ მის შესაძლო კავშირში ძალის უკანონო გამოყენებასა თუ ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმათა სხვა, კერძოდ კი, იმპერატიული ხასიათის ნორმების ამკარა დარღვევაში.“<sup>286</sup> ამგვარად, დამოუკიდებლობის გამოცხადება, დაკავშირებული ძალის არგამოყენების პრინციპის დარღვევასთან, მიიჩნევა უკანონოდ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი მოქმედებს სახელმწიფოთაშორისი

<sup>283</sup> G. Abi-Saab, *Secession: International Law Perspectives*; Cambridge University Press, (2006) p.474.

<sup>284</sup> Kosovo AO, *supra* note 5, paragraph 80.

<sup>285</sup> I.U. Libarona, *Territorial integrity and self-determination: The approach of the International Court of Justice in the Advisory Opinion on Kosovo*. REAF, num.16, October 2012, p. 112.

<sup>286</sup> Kosovo AO, *supra* note 5, paragraph 81

ურთიერთობების სფეროში, ხოლო ძალის არგამოყენების პრინციპი, რომელიც პროცედურული შინაარსისაა, უკავშირდება ყველა სახის სუბიექტს, არასახელმწიფო აქტორთა ჩათვლით. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ძალის არგამოყენება *jus cogens* ნორმას წარმოადგენს და სწორად ამიტომ ვრცელდება იგი შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებზეც. კიდევ ერთ მაგალითს იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო ვერ ხედავს წინააღმდეგობას ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპსა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის პროცესს შორის, წარმოადგენს მისი 1999 წლის, 1272 რეზოლუცია აღმოსავლეთ ტიმორთან დაკავშირებით, რომელშიც იგი ღიად მიესალმება ტიმორელი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას, გამოხატულს ახალი სახელმწიფოს წარმოშობაში. ამ რეზოლუციაში ხაზგასმულია ინდონეზიის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა, როგორც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი არ ეხება სახელმწიფოსა და თვითგამორკვევის მაძიებელი ერთობის ურთიერთობებს. დამოუკიდებლობის დეკლარაციები განეკუთვნებიან შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების სფეროს. ისინი საერთაშორისო სამართლებრივ მნიშვნელობას იძენენ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოდან გამოყოფა ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ცალკეული ხასიათის ისეთი დარღვევებით, როგორცაა ძალის უკანონო გამოყენება, საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა (კვიპროსის მაგალითი) ან რასობრივი დისკრიმინაცია (სამხრეთ როდეზიის მაგალითი).<sup>287</sup> სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპსა და ხალხის თვითგამორკვევის უფლებას შორის არ დგას საერთაშორისო სამართლებრივი დილემა. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსათვის საკითხის განსახილველად გადაცემა იმის გარკვევას ემსახურებოდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა 2008 წლის, 17 თებერვლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია საერთაშორისო სამართალს.<sup>288</sup> არსებობდა ამ საკითხის გადაჭრის ორი გზა: ერთი

<sup>287</sup> I.U. Libarona, Territorial integrity and self-determination: The approach of the International Court of Justice in the Advisory Opinion on Kosovo. REAF, num.16, October 2012, p. 116.

<sup>288</sup> Resolution 63/3 of the General Assembly, 8 October 2008. A/RES/63/3 Sixty-third session

მდგომარეობდა იმის გარკვევაში, მოიძებნებოდა თუ არა საერთაშორისო სამართალში დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლებამოსილების მიმნიჭებელი პოზიტიური წესი. ხოლო მეორე, იმის გარკვევას ემსახურებოდა, თუ რა წესები არსებობდა საერთაშორისო სამართალში, რომლებიც კრძალავდნენ დამოუკიდებლობის დეკლარირებას. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მეორე სტრატეგია აირჩია. გასათვალისწინებელია, რომ როგორც ამას მოსამართლე ბრუნო სიმა (B. Simma) აღნიშნავს, ყოველთვის არსებობს დიდი სხვაობა არ აკრძალვასა და ნების დართვას შორის. მისი მოსაზრებით, სასამართლოს შეეძლო განეხილა საკითხი იმის შესახებ, საერთაშორისო სამართალი განგებ ნეიტრალურია თუ სდუმს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. აგრეთვე მას შეეძლო გაერკვია, ამკრძალავ არჩევანთა დიაპაზონი, რომლებიც გამომდინარეობენ ნებართვისა და აკრძალვის ორმაგი მნიშვნელობიდან, რაც თავის მხრივ, დათმენის კონცეფციას ემყარება. მოსამართლე სიმას აღელვებს ის გარემოება, რომ საკითხისადმი სასამართლოს მიდგომის შეზღუდულობა და დიაპაზონის სივიწროვე, შესაძლოა წარმოადგენდეს მის სისუსტეს ჩაწვდეს ნიუანსებს, რომლებითაც გაჯერებულია საერთაშორისო სამართალი. გარდა ამისა, ის გარემოება რომ, საერთაშორისო მართლწესრიგი შესაძლოა შეგნებულად დუმდეს ან ნეიტრალურ პოზიციას ამჟღავნებდეს კონკრეტული ფაქტის ან ქმედების მიმართ, არ უკავშირდება გაურკვეველ - *non liquet* მდგომარეობას, გათანაბრებულს მართლმსაჯულების ორგანოთა უუნარობასთან აზრი გამოთქვან სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, განპირობებულს თავად კანონთა ბუნდოვანებით. გარკვეული საკითხისადმი საერთაშორისო სამართლის ნეიტრალობა იმაზე მეტყველებს, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს ჯერ-ჯერობით დაურეგულირებელი სფეროები, რომლებიც შესაძლოა არც არასდროს დარეგულირდეს. მოსამართლე სიმას თანახმად, „აღარ იქნება ამაზე მეტად ფართო კონცეფტუალური პრობლემა დაკავშირებული საერთაშორისო მართლწესრიგის თანმიმდევრულობასთან“. აქედან გამომდინარე, „სასამართლოს უფრო ფართოდ უნდა განეხილა მის წინაშე დასმული საკითხი და არ შემოფარგლულიყო მექანიკური იურისპრუდენციის განხორციელებით, რაც აკნინებს მისი რეკომენდაციული მოსაზრების ხარისხს“.<sup>289</sup> როგორც ვხედავთ,

<sup>289</sup> Declaration of Judge Simma, paragraph 9,10.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აირჩია ფორმალური მიდგომა და გვერდზე გადადო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორცაა კავშირი თვითგამორკვევის უფლებასა და გამოყოფის უფლების საერთაშორისო მახასიათებლებს შორის. აგრეთვე მას არ უმსჯელია ე.წ. ლოტუსის პრინციპის შესახებ, რომლის თანახმად, სუვერენული სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ სურვილისამებრ ნებისმიერი სახით, თუ ეს აშკარად არ არის აკრძალული.<sup>290</sup> ლოტუსის პრინციპი ის მიდგომაა, რომელიც ყოველთვის იცავს სუვერენული სახელმწიფოს ინტერესებს. კოსოვოს განმარტებითი მოსაზრება ხაზს უსვამს იმას, რომ „სავსებით შესაძლებელია ისეთი კონკრეტული აქტი როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადებაა, არ არღვევდეს საერთაშორისო სამართალს, მის მიერ მინიჭებული უფლების სავალდებულო განხორციელების გარეშე“.<sup>291</sup> იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი, უწინარეს ყოვლისა შემოიფარგლება სახელმწიფოთა სფეროთი და თუ საერთაშორისო სამართალი არ კრძალავს გამოყოფას, მაშინ რა როლს თამაშობს და რა მნიშვნელობა ენიჭება თვითგამორკვევის პრინციპს? მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო დუმს ამასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სასამართლო არ განიხილავს საკითხს იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა გარკვეული სახელმწიფოების მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების მხარდაჭერა, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულებისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის ვალდებულების დარღვევას. თავად სასამართლო არ მიიჩნევს კონკრეტულ დამოუკიდებლობის გამოცხადებას გამოყოფის აქტად, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დეკლარაციაში კოსოვო გამოცხადებულია დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ. აგრეთვე გაურკვეველია რა სამართლებრივი ბაზა ედო საფუძვლად იმ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებს, რომლებმაც სცნეს კოსოვოს დამოუკიდებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე, მაშინ როდესაც თავად სასამართლო, დამოუკიდებლობის დეკლარაციას არ უთანაბრებს გამოყოფას. ტომას ფრანკის (T.M. Frank) განცხადების მიხედვით: „შეცდომა იქნება თუ ვიტყვით, რომ არ არსებობს გამოყოფის

---

<sup>290</sup> Lotus Case. Permanent Court of Justice, SS Lotus Case (France v. Turkey), PCIJ Rep. (1927) Series A No 10.

<sup>291</sup> Kosovo AO, supra note 5, at 56.

უფლება, თუ ამით ვინმე შეეცდება შექმნას შთაბეჭდილება თითქოს ყველა სახის გამოყოფა აკრძალულია საერთაშორისო სამართლით“.<sup>292</sup> სიმართლეს წარმოადგენს ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა დიდი სიფრთხილით ეკიდება გამოყოფის მცდელობებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს აშკარა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი თვალსაზრისით, საერთაშორისო სისტემა არც ახალისებს და არც გმობს ამგვარ მცდელობებს, არამედ ნეიტრალური რჩება მათ მიმართ. აქედან გამომდინარე, გამოყოფა როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, დამოუკიდებლობის გამოცხადება, პირველ რიგში ფაქტობრივი ხასიათის საკითხია, რომელიც სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში (განსაზღვრული ტერიტორია; ხალხი და სხვა) ქმნის ახალი სახელმწიფოს, ე.ი. საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის წარმოშობის წინაპირობას. როდესაც ერთობა თავის დედა სახელმწიფოს გამოყოფა და ახალ სახელმწიფოდ საერთაშორისო ცნობის მოპოვებას ცდილობს, დაისმის სამართლებრივი ხასიათის კითხვა, აკმაყოფილებს კი ეს ერთობა სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებს? თუ ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციას მოვიშველიებთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ერთობა სახელმწიფოებრიობის მოთხოვნას პასუხობს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ ოთხ ძირითად კრიტერიუმს: აქვს განსაზღვრული ტერიტორია, მუდმივი მოსახლეობა, ხელისუფლება და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარი.<sup>293</sup> რაც შეეხება დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო აღნიშნავს, რომ ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება, ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე. სასამართლო დასძენს: „ზოგადი საერთაშორისო სამართალი არ შეიცავს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაბამის აკრძალვას. აქედან გამომდინარე, იგი ადგენს, რომ 2008 წლის, 17 თებერვალს, დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ეწინააღმდეგება

<sup>292</sup> Thomas M. Frank “Experts Report”, reproduced in A.F Bayefsky(ed), Self-determination in International Law: Quebec and Lessons Learned(The Hague: Kluwer Law, 2000)p.335

<sup>293</sup> Montevideo Convention on the Rights and Duties of States, December 26, 1933. Article 3.

ზოგად საერთაშორისო სამართალს<sup>294</sup> სხვა სიტყვებით, საერთაშორისო სამართალი ნეიტრალური რჩება არასახელმწიფო წარმონაქმნის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების მიმართ. ამ კონკრეტულ საქმეში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ზემოაღნიშნულ დასკვნამდე მივიდა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისა და თავდაცვითი გამოყოფის საკითხების განხილვის გარეშე. სასამართლო აცხადებს, რომ „არ არის აუცილებელი მოცემულ საქმეში ამ საკითხების გადაჭრა. გენერალურმა ასამბლეამ თხოვნით მიმართა სასამართლოს გამოეხატა მოსაზრება მხოლოდ იმის შესახებ, არის თუ არა დამოუკიდებლობის გამოცხადება საერთაშორისო სამართლის თანმხვედრი. თუმცა, დავა თვითგამორკვევის უფლების ფარგლებისა და „თავდაცვითი გამოყოფის“ უფლების არსებობის შესახებ, ეხება სახელმწიფოდან გამოყოფის უფლებას“.<sup>295</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მთლიანად არ არიდებს თავს თვითგამორკვევის შესახებ დისკუსიას და მიუთითებს: „მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, თვითგამორკვევის შესახებ საერთაშორისო სამართალი იმგვარად განვითარდა, რომ წარმოშვა დამოუკიდებლობის უფლება არათვითმმართველი ტერიტორიების ხალხთა და უცხო სახელმწიფოთა მიერ დამორჩილებული, დაქვემდებარებული და ექსპლოატირებული ერებისათვის“.<sup>296</sup> მიუხედავად ამისა, ეს დებულება აგრეთვე ხაზს უსვამს ამ კონტექსტის მიღმა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაძლებლობას, რაც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არ არსებობს საერთაშორისო სამართალში აშკარად გამოხატული წესი, რომელიც კრძალავს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. გარდა ამისა, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აწესებს გამოყოფის პროცედურულ მოთხოვნებს, რომლებიც მდგომარეობს ძალის არ გამოყენების მოთხოვნასა და დემოკრატიული პროცესის წარმართვის მოთხოვნაში, რაც თავის მხრივ, გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის ყველა ეფექტიანი საშუალების ამოწურვის შემთხვევაში გარე თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას. ეს სტანდარტი საფუძვლად დაედო კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ე.წ.

<sup>294</sup> Kosovo AO, *supra* note 5, at paragraph 84.

<sup>295</sup> Kosovo AO, *supra* note 5, at paragraph 83.

<sup>296</sup> Kosovo AO, *supra* note 5, at paragraph 79.



კვებეკის საქმეზე, რომელმაც განაცხადა, რომ „როდესაც ხალხს საშინაო ასპარეზზე ერთმევა თვითგამორკვევის ქმედითი გამოყენების უფლება, იგი უფლებამოსილია ეს განახორციელოს გამოყოფის გზით, როგორც უკანასკნელი საშუალება“.<sup>297</sup> აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, საქმეში, რომელიც ეხებოდა ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის სამართლებრივ შედეგებს, პირველად მიუთითა, რომ თვითგამორკვევის უფლება დეკოლონიზაციის კონტექსტის მიღმა მოქმედებს. იგი მოიცავს ხალხის უფლებას, თავისუფლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი.<sup>298</sup> გარდა ამისა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღმოსავლეთ ტიმორის საქმეში,<sup>299</sup> დაადასტურა ხალხთა თვითგამორკვევის უფლების *erga omnes* ხასიათი და ამ დასკვნის გასამყარებლად მოიხმო სასამართლოს იურისპრუდენცია. კერძოდ, საქმე სახელმწიფოთათვის უშიშროების საბჭოს 276 რეზოლუციის მიუხედავად, ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის ხანგრძლივი ყოფნის სამართლებრივი შედეგების შესახებ<sup>300</sup> და დასავლეთ საჰარის საქმე.<sup>301</sup> ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ შეუძლებელია თვითგამორკვევის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებათა მიღებისას, არ იქნას გაანალიზებული და გათვალისწინებული ყოველი საქმის სპეციფიკური ვითარება, რაც დღესდღეობით, დოქტრინალურ თეორიებზე უფრო ეფექტიანი ჩანს თვითგამორკვევის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას.

კოსოვოს საქმის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ რომ იგი შეიცავს რიგ მნიშვნელოვან დებულებებს. სახელდობრ:

1. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ერთერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც უწინარეს ყოვლისა მოქმედებს სახელმწიფოთაშორის ასპარეზზე. იგი არ ვრცელდება ინდივიდებზე ან ხალხზე, არამედ

<sup>297</sup> Supreme Court of Canada Re Secession of Quebec, supra note 11, paragraph 134.

<sup>298</sup> ICJ Advisory Opinion of 9 July 2004, on the Legal Consequences of the Construction of Wall in the Occupied Palestinian Territory. Paragraph 88, p.39 and paragraph 122, p. 184.

<sup>299</sup> East Timor (Portugal V. Australia) Judgement of 30 June 1995, p. 102, paragraph 29

<sup>300</sup> Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), Advisory Opinion, ICJ Reports 1971, pp.31-32, paras.52-53

<sup>301</sup> Western Sahara, Advisory Opinion, ICJ. Reports 1975,pp.31-33, paras. 54-59.

მხოლოდ სახელმწიფოთა ურთიერთობებზე. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საგარეო მოქმედების ხასიათისაა და არ გააჩნია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

2. საერთაშორისო სამართალი არ ანიჭებს გარკვეულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხს სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფის უფლებამოსილებას. თუმცა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ გულისხმობს დამოუკიდებლობის გამოცხადების აკრძალვას. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ცალმხრივი გამოყოფის აკრძალვა.
3. ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი არ წარმოადგენს სახელმწიფოს პერმანენტობის გარანტიას იმ სახით, როგორც იგი მოცემულ მომენტში არსებობს, არამედ გვევლინება დაცვის საშუალებად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და აქედან გამომდინარე, არ ვრცელდება სახელმწიფოს შიგნით არსებულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მოძრაობებზე.
4. მართალია ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ძალის არ გამოყენების პრინციპი, რომელიც პროცედურული შინაარსისაა, ვრცელდება ნებისმიერი სახის სუბიექტზე, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივ სუბიექტებზე, ე.წ. არასახელმწიფო აქტორებზე. ამრიგად, ცალმხრივად გამოყოფის აკრძალვა, სახელმწიფოთათვის გულისხმობს აკრძალვას, ცნონ ამგვარი უკანონო ვითარების შედეგად შექმნილი ერთობები.
5. კოსოვოს სარეკომენდაციო გადაწყვეტილებამ დაადასტურა ტრადიციული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართალი ნეიტრალური რჩება გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით. გამოყოფა, როგორც ასეთი არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად ან უკანონოდ. გამოყოფა არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო სამართალით. თუმცა საერთაშორისო სამართალმა შეიძლება დაარეგულიროს დამოუკიდებლობის გამოცხადების კონკრეტული ფაქტი, თუ იგი დაკავშირებულია ძალის უკანონო გამოყენებასთან ან არღვევს სხვა იმპერატიულ ნორმას. გამოყოფის ეფექტიანობისათვის მხოლოდ მშვიდობიანი და დემოკრატიული საშუალებები არის მისაღები და ძალის გამოყენება, უკანონობად მიიჩნევა და იკრძალება.
6. საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს გამოყოფის უფლებას თვითგამორკვევის კონტექსტის მიღმა, მეორეს მხრივ კი, საერთაშორისო სამართალი ზოგადად არც

გამოყოფას კრძალავს და არც სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, თვითგამორკვევა არ მოიცავს გამოყოფას, ხოლო გამოყოფის უფლება, შეიძლება ყოველთვის არ იყოს დაკავშირებული თვითგამორკვევის შინაარსთან.

7. საერთაშორისო თანამეგობრობაში არ არსებობს თანხმობა გამოყოფის პოზიტიური უფლების არსებობის საკითხთან დაკავშირებით.
8. საერთაშორისო სამართლის სფეროში შექმნილი არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლობის გამოცხადების ლეგიტიმურობა, რომელიც არ არღვევს იმპერატიულ ნორმებს, უწინარეს ყოვლისა დამოუკიდებელია მოცემულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა ნების დემოკრატიულად გამოხატვაზე, აგრეთვე ყოველი საქმის კონკრეტულ გარემოებებზე.

თავდაცვითი გამოყოფის თეორიასთან დაკავშირებით, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი თვითგამორკვევის სამართლის პროგრესული გამოვლინებაა, რომლის სტატუსი საერთაშორისო სამართალში არ არის ბოლომდე გარკვეული. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი *de lege lata*-ს წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთნი მიიჩნევენ, რომ იგი *de lege ferenda*-ს განეკუთვნება. თუმცა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, ინსტიტუტმა რომელსაც სამართლის ინტერპრეტირების უფლებამოსილება აქვს, უარი თქვა ემსჯელა თავდაცვითი გამოყოფის უფლებაზე ან თვითგამორკვევის უფლებაზე პოსტკოლონიურ კონტექსტში. რაც შეეხება სახელმწიფოთა *opinio juris*-ს, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთა პოზიციები თანაბრად არის გაყოფილი. სახელმწიფოთა ნაწილი თავდაცვითი გამოყოფის დოქტრინას არსებულ სამართლად მიიჩნევს, ხოლო ნაწილი კი უარზეა აღიაროს გამოყოფის უფლება საერთაშორისო სამართლის შემადგენელ ნაწილად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საერთაშორისო სამართალში ახალი ჩვეულების ჩამოყალიბების პროცესის მოწმენი ვართ. წესისა, რომელიც თავდაცვით გამოყოფას ხალხთა თვითგამორკვევის უფლების გამოვლინებად მიიჩნევს.<sup>302</sup> თუმცა ვიდრე იგი ფორმირების

---

<sup>302</sup> I. Vezbergaitė, Remedial Secession as an Exercise of the Right to Self-Determination of Peoples. CEU Legal Studies Department. Budapest, Hungary (2011), p.73.

სტადიაშია, თვითგამორკვევის უფლებასთან მიმართებაში, საერთაშორისო სამართალი ვერ გვთავაზობს ნათლად გამოხატულ პოზიციას და საკითხისადმი დუალისტურ პოზიციას ინარჩუნებს.

#### **§4. სახელმწიფოდან სუბიექტთა გამოყოფა როგორც ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მეთოდი**

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართალი პირდაპირ არ არეგულირებს შემადგენელ სუბიექტთა სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხს. მას იგი ირიბად აწესრიგებს სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის სამართლის, სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი კრიტერიუმებისა და მესამე სახელმწიფოთა მხრიდან აღიარების ლეგალურობის მოთხოვნების მეშვეობით. მარჩელო კოენის (M. Kohen) მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოდან სუბიექტის გამოყოფა, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ნაირსახეობაა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც „არსებული სახელმწიფოდან, მისი თანხმობის გარეშე, ტერიტორიისა და მოსახლეობის ნაწილის გამოყოფის მეშვეობით, ახალი დამოუკიდებელი ერთობის ჩამოყალიბება“.<sup>303</sup> თუმცა ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალმემკვიდრეობა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წინააღმდეგობრივი შინაარსის მქონე დარგია. ეს ეხება როგორც ამ დარგის თეორიულ შემადგენელს, ისე სახელმწიფოთა პრაქტიკას, რომელიც ფრიად არაერთგვაროვანია. აგრეთვე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა უფრო პოლიტიკური პროცესია, ვიდრე სამართლებრივი. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ხშირად, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობასთან დაკავშირებული ერთმანეთის იდენტური საკითხები, საერთაშორისო თემობის მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება. ავიღოთ თუნდაც სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ე.წ. ახალ სახელმწიფოთა ლეგიტიმურობისადმი

---

<sup>303</sup> Marcelo Kohen, *Secession: International Law Perspectives* (Cambridge and New York: Cambridge University Press, 2006) p. 3.

მიდგომის საკითხი. სამართალმემკვიდრეობის დარგში, სამართლებრივი შეხედულებანი ემყარება მკაფიო პოლიტიკურ პერცეფციებს. სწორად სამართალმემკვიდრეობის წინაპირობები განსაზღვრავს იმ სამართლებრივ მოდელს, რომელიც განაპირობებს წინამორბედი სახელმწიფოს მიერ, მემკვიდრე სახელმწიფოსათვის უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის მასშტაბსა და ფორმას. ერთი შეხედვით, შეიძლება დაისვას კითხვა - რა კავშირშია სახელმწიფოთა აღიარების საკითხის განხილვა სამართალმემკვიდრეობის სამართალთან? საქმე ის არის რომ, ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა საერთაშორისო სამართალმემკვიდრეობის საფუძველია. ხოლო ახალი სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის წარმოშობის საკითხი, თითქმის ყოველთვის უკავშირდება სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ამ სახელმწიფოს აღიარებას, იმისდა მიუხედავად, რომ თავად სახელმწიფოთა საერთაშორისო ცნობის სამართლებრივი განმარტება, როგორც ზემოთ ვნახეთ, გარკვეულ სამართლებრივ წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული. როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფოთა წარმოშობის საკითხებში, ცნობას სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ მხოლოდ კონსტიტუციური თეორიის წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ თუ სახელმწიფოთაშორის პრაქტიკას დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ ცნობის გარეშე, ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოები ხშირად წყვეტენ არსებობას. ასევე ხშირ შემთხვევაში, ცნობის გზით შესაძლებელი ხდება სახელმწიფოებმა შეიძინონ სამართლებრივი შინაარსი. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ განსხვავებულ ვითარებათა არსებობისას, სახელმწიფოებმა აღიარების მეშვეობით შეიძინონ ერთგვაროვანი სამართლებრივი სტატუსი, ან პირიქით, ერთგვაროვანი ვითარების არსებობისას, აღქმულ იქნან სხვადასხვაგვარი სტატუსის მქონე ერთობებად. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში დეკლარაციულ მოძღვრებას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, პრაქტიკული თვალსაზრისით, სახელმწიფოები ძირითადად ეყრდნობიან ცნობის კონსტიტუციურ თეორიას. ასე მაგალითად, აშშ თავის საგარეო პოლიტიკაში ემხრობა სახელმწიფოებრიობის წარმოშობის კონსტიტუციურ თეორიას და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს უფლებანი და მოვალეობანი წარმოიშვება მხოლოდ აღიარების მეშვეობით. რაც შეეხება კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებს, ისინი ემხრობიან სახელმწიფოთა წარმოშობის დეკლარაციულ

თეორიას და ვთვლიან, რომ სახელმწიფოებრიობა სამართლებრივი სტატუსია და არ არის დამოკიდებული ცნობაზე. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა თავად ევროკავშირის სამართლებრივი დამოკიდებულება იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით. იმის გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნების მიერ ამ უდავო ფაქტების აღიარება, განხორციელებული ჩვეულებრივი განცხადების ფორმით, ვერ უზრუნველყოფდა შექმნილ სიტუაციაზე ევროკავშირის მიერ სათანადო გავლენის მოხდენას, ევროკავშირმა 1991 წლის, 16 დეკემბერს, ბრიუსელში ჩატარებულ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღო „აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ახალი სახელმწიფოების აღიარების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ დეკლარაცია“.<sup>304</sup> აგრეთვე მიიღო „იუგოსლავიის შესახებ დეკლარაცია“.<sup>305</sup> ამ ორმა დოკუმენტმა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ახალი სახელმწიფოების ფართომასშტაბიან აღიარებაზე და საგრძნობლად გარდაქმნა თავად აღიარების წესები. გარდა ამისა, როგორც თავად დეკლარაციის სახელწოდებიდან ჩანს, წვლილი შეიტანა სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის სამართალში, აღიარა რა ეს სახელმწიფოები „ახალ სახელმწიფოებად“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პოლიტიკური ხასიათის მქონე დოკუმენტმა, გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია სახელმწიფოთა შემდგომ ლეგიტიმაციაზე, შესაბამისად კი, მათ სამართლებრივ სტატუსზე. დეკლარაციის მეშვეობით სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, სამართლებრივი თვალსაზრისით სადავო საკითხს წარმოადგენს. თავად დეკლარაციაში კი, განცხადებულია, რომ იგი ეყრდნობა ჰელსინკის ფინალურ აქტსა და პარიზის ქარტიას. ეს სახელმწიფოები (ევროპის კავშირის სახელმწიფოები) მზადყოფნას გამოთქვამენ, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ჩვეული სტანდარტებისა და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ცნონ ის ახალი სახელმწიფოები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ დემოკრატიულ საფუძველზე, რომლებმაც იტვირთეს შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებანი და რომლებმაც მშვიდობის დამყარებისა და

<sup>304</sup> Declaration on the Guidelines on the Recognition of the New States in Eastern Europe and in the Soviet Union (16 December 1991)

<sup>305</sup> Declaration on Yugoslavia (Extraordinary EPC Ministerial Meeting, Brussels, 16 December 1991)

მოლაპარაკებების პროცესში კეთილსინდისიერი მონაწილეობის მიღების მზადყოფნა გამოთქვეს. დეკლარაციაში ჩამოთვლილ იმ მოთხოვნათა შორის, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს „ახალი სახელმწიფო“, უპირველეს ყოვლისა ნახსენებია გაეროს წესდების, ჰელსინკის ფინალური აქტისა და პარიზის ქარტიის მოთხოვნათა პატივისცემა, განსაკუთრებით კი, იმ დებულებათა, რომლებიც ითვალისწინებენ სამართლის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას. ამ ჩამონათვალს მოსდევს ეთნიკური და ეროვნული ჯგუფებისა და უმცირესობებისათვის გარანტიების უზრუნველყოფა, საზღვრების ურღვეობისა და მათი მშვიდობიანი შეცვლის პრინციპებისადმი ერთგულება, განიარაღებისა და ბირთვული მასალების გაუვრცელებლობისა, აგრეთვე რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მოთხოვნები. დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია, რომ კავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები არ აღიარებენ აგრესიის შედეგად წარმოქმნილ ერთობებს. დასასრულს, დეკლარაცია გვამცნობს, რომ სწორად ამ პრინციპებისადმი ერთგულება გახდება კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მხრიდან ახალი სახელმწიფოების ცნობისა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საფუძველი. ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ლუტერპახტის მოსაზრების მართებულებას იმის შესახებ, რომ „სახელმწიფოთა ცნობა წარმოადგენს არა სამართლის, არამედ პოლიტიკის საკითხს“.<sup>306</sup> აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებული დოკუმენტი, სახელმწიფოთა აღიარების საერთაშორისო პრაქტიკის ჩვეული სტანდარტის შენარჩუნების პარალელურად, აწესებს აღიარებისათვის საჭირო ახალ მოთხოვნებს, რომლებიც თავის მხრივ უნდა პასუხობდეს სახელმწიფოებრიობის ტრადიციულ კრიტერიუმებს. უნდა ითქვას, რომ „იუგოსლავიის დეკლარაციაში“ აღიარებისათვის საჭირო დამატებითი კრიტერიუმები იქნა მიღებული, მათ შორის არბიტრაჟისთვის მიმართვის კრიტერიუმი. იუგოსლავიის რესპუბლიკებს, აღიარების მისაღებად 1991 წლის, 23 დეკემბრისათვის, საარბიტრაჟო კომისიისათვის უნდა მიემართათ, რომელიც გადაწყვეტილებას 1992 წლის, 15 იანვრისათვის მიიღებდა. აღიარების პრაქტიკაში ამგვარ პროცედურას პრეცედენტი არ ჰქონია.

---

<sup>306</sup> H. Lauterpacht, Recognition in International Law (Reissue, Cambridge University Press 1947) p.1.

1978 წლის, „ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ“ ვენის კონვენციისა და 1983 წლის, „სახელმწიფო საკუთრებასთან, სახელმწიფო არქივებთან და სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ“ ვენის კონვენციების შესაბამისად (ამ უკანასკნელ დოკუმენტს საქართველო შეუერთდა 1993 წლის 9 ივნისს. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე“), სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა განიმარტება, როგორც „გარკვეული ტერიტორიის საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებლობის ტარებაში ერთი სახელმწიფოს შეცვლა სხვა სახელმწიფოთი“. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო საჯარო სამართალში, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა ვრცელდება „ტერიტორიაზე“. სახელმწიფოს მოსახლეობის ცვალებადობა, ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ცვლილება, სამართალმემკვიდრეობაზე თითქმის არ ახდენს გავლენას.<sup>307</sup> სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ტერიტორიაზე გავრცელების მიდგომა, აგრეთვე გაზიარებულ იქნა ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისიის (ზადინტერის კომისია) მიერ, რომლის მოსაზრების თანახმადაც - „სამართალმემკვიდრეობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სახელმწიფო ტერიტორიის ცვლილებას“.<sup>308</sup> სამართალმემკვიდრეობისადმი ტერიტორიული მიდგომა, ორ ქვეჯგუფად შეგვიძლია დავყოთ - სრულ და ნაწილობრივ სამართალმემკვიდრეობად. სრული სამართალმემკვიდრეობის პირობებში, წინამორბედი სახელმწიფო წყვეტს არსებობას როგორც სამართლის სუბიექტი და მის ადგილზე წარმოიქმნება რამდენიმე სახელმწიფო. აგრეთვე მაშინ, როდესაც ხდება სხვა სახელმწიფოს მიერ მისი სრული ანექსია ან იგი ხდება ფედერაციის წევრი სახელმწიფო. ნაწილობრივ სამართალმემკვიდრეობაზე კი, ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც წინამორბედი სახელმწიფო განაგრძობს არსებობას და მხოლოდ მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი გამოეყოფა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ

<sup>307</sup> Carsten Thomas Ebernoth, Staatsensukzession und Internationales Privatrecht, in BERICHTE DER DEUTSCHEN GESSELLSCHAFT FÜR VÖLKERRECHT, Band 35, Karlsruhe 1996, Einleitung, 2, Teil A.I.1a

<sup>308</sup> Conference on Yugoslavia, Arbitration Committee, Opinion No.1(Nov. 29, 1991) in 2 The International Conference on the Former Yugoslavia, Official Papers 1259 (B.G. Ramcharan ed.,1997). reprinted in 31 I.L.M. 1494 (1992).



ჩამოსაყალიბებლად ან სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში გასაერთიანებლად. ამას გარდა, სამართალმემკვიდრეობისადმი ტერიტორიული მიდგომის მიხედვით, არსებობს აგრეთვე სამართალმემკვიდრეობის სამართლის სხვა ისეთი ფორმები, როგორცაა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის ტერიტორიის გადაცემა, დეკოლონიზაცია, სახელმწიფოთა გაერთიანება, რევერსია, დაშლა ან გაყოფა. საერთაშორისო სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციები და საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმები ადგენენ, რომ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა არ ეხება ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს და იმ უფლებებსა თუ ვალდებულებებს, რომლებიც დადგენილია ხელშეკრულებით და ეხება სასაზღვრო რეჟიმს. გარდა ამისა, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ უნდა ითქვას, რომ სამართლებრივ მეცნიერებაში არსებობს განსხვავებული თეორიები იმის შესახებ, თუ რა უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელი ხდება მემკვიდრე სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის შედეგად. ამ თეორიათაგან, ვფიქრობთ ყურადღება უნდა გავამახვილოთ *tabula rasa* მიდგომა და უნივერსალური სამართალმემკვიდრეობის მიდგომაზე, აგრეთვე კონტინუიტეტის თეორიზე. პირველ შემთხვევაში, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს არ გადაეცემა წინამორბედი სახელმწიფოს ვალდებულებები. ამგვარი მიდგომა გამოიყენა ბრიტანულ-ამერიკულმა სარჩელთა კომისიამ (British-US Claims Commission) ორ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ე.წ. ბრაუნის საქმეში<sup>309</sup> და ე.წ. ჰავაის სარჩელთა საქმეში, რომელიც ეხებოდა 1898 წელს აშშ-ს მიერ ჰავაის ანექსიას.<sup>310</sup> *Tabula rasa* მიდგომა შეესატყვისება საერთაშორისო სამართალში არსებულ „პოზიტივისტურ მიმდინარეობას“ და ძირითადად ორ არგუმენტს ეყრდნობა.<sup>311</sup> პირველი გახლავთ ის, რომ ვინაიდან სახელმწიფოები პასუხს არ აგებენ სხვა სახელმწიფოთა ქმედებებზე, მემკვიდრე სახელმწიფო, უბრალო განმარტებით არ არის პასუხისმგებელი წინამორბედი სახელმწიფოს ქმედებებზე. ამ არგუმენტის თანახმად, ყველა სახის ვალდებულება თუ პასუხისმგებლობა ქრება ახლი სახელმწიფოს წარმოშობის მომენტში სამართალმემკვიდრეობის და არა

<sup>309</sup> R.E. Brown case (US v Great Britain)(1923) RIAA 6, 120, 129

<sup>310</sup> F.H. Redward and Others case (Great Britain v. US), RIAA 6, 157 (Hawaiian Claims)

<sup>311</sup> Jan Klabbbers, *Cat on a Hot Tin Roof: The World Court, State Succession and the Gabchikovo-Nagymaros Case*, 11 Leiden J. Int'l L. 345,349(1998).

კონტინუიტეტის შემთხვევაში.<sup>312</sup> თუმცა დუმბერი მიუთითებს, რომ შესაძლოა მემკვიდრე სახელმწიფოს ვალდებულების საკითხი დადგეს წინამორბედი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. მეორე არგუმენტი *tabula rasa* მიდგომის სასარგებლოდ, ემყარება რომის კერძო სამართლის დოქტრინას *action personalis moritur cum persona* (პირის ქმედება მასთან ერთად წყვეტს არსებობას). რომის მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით *ex delicto* (დელიქტური) ქმედების შედეგად წარმოშობილი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა მისი ჩამდენის მემკვიდრეს. სამართალმემკვიდრეობის უნივერსალური მიდგომა, რომელიც *tabula rasa* მიდგომის საპირისპირო პოზიციას გამოხატავს და სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს აკისრებს წინამორბედი სახელმწიფოს ვალდებულებებს, აგრეთვე ემყარება რომის მემკვიდრეობით სამართალს, რომლის მიხედვით, საჯარო თუ კერძო საკუთრების მემკვიდრეობითობისას, მემკვიდრე და მამკვიდრებელი ერთიდაიმავე პირად მოიაზრება. თუმცა უნდა ითქვას, რომ უნივერსალური სამართალმემკვიდრეობის თეორიის კონცეფტუალურ საფუძველს, არა მხოლოდ რომის სამართალი, არამედ აგრეთვე აბსოლუტიზმის სახელმწიფოს თეორია ქმნის, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ტერიტორია განიხილება სუვერენის საკუთრებად და მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მემკვიდრეობის სამართლის საფუძველზე, საკუთრება გადადის მემკვიდრე სუვერენზე.<sup>313</sup> თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოთა კონტინუიტეტის (*Continuity of States*) მაგალითს წარმოადგებს რუსეთის ფედერაციის მიერ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების ტვირთვა, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობა. კონტინუიტეტის მიმართ საერთაშორისო სამართლის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების და სახელმწიფოთა ცნობისას პოლიტიკური ელემენტების სიჭარბის ნათელ მაგალითს, წარმოადგენს იუგოსლავიის ფედერაციის შემთხვევა. საქმე ის არის, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ასამბლეის მიერ 1992 წლის, 27 აპრილს, გამოქვეყნდა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია სადაც ნათქვამია,

<sup>312</sup> Patrik Dumberry, *The Controversial Issue of State Succession to International Responsibility Revisited in Light of Recent State Practice*, 49 *Germ. Y.B. Int'l L.* 413, 416 (2006).

<sup>313</sup> დ. პატარაია, *სამართალმემკვიდრეობა საერთაშორისო სამართალში და საქარველო თბილისი 2002*. გვ. 137

რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა „გარდაიქმნა“ იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკად, სახელმწიფოდ რომელიც შედგებოდა ორი რესპუბლიკის - სერბიისა და მონტენეგროსაგან. იგი „პატივს სცემდა იუგოსლავიის სამართალსუბიექტობის განგრძობითობას და ვალდებულებას იღებდა, ეტვირთა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყველა საერთაშორისო უფლება და მოვალეობა, საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი წევრობის ჩათვლით“. აგრეთვე პასუხისმგებლობას იღებდა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომელიც დადო ან რომელსაც შეუერთდა იუგოსლავია.<sup>314</sup> საქმე ის არის, რომ მაისის ბოლოს, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 757 რეზოლუცია, რომლის პრეამბულის დებულების თანახმად, „იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის განცხადება, გაეროში ავტომატურად განეგრძო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის წევრობა, საზოგადოდ არ იქნა მიღებული“.<sup>315</sup> ამასთან დაკავშირებით, ბადინტერის კომისიამ დაასკვნა, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის (გაყოფის) პროცესი დასრულებული იყო და იგი როგორც სახელმწიფო აღარ არსებობდა. ვერც ერთი სამართალმემკვიდრე სახელმწიფო ვერ გააგრძელებდა საერთაშორისო ორგანიზაციებში მის წევრობას და რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა (სერბია და მონტენეგრო) წარმოადგენდა არა იუგოსლავიის კონტინუიტეტს, არამედ ახალ სახელმწიფოს.<sup>316</sup> მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გაეროს წევრობის შენარჩუნება არ არის გადაწყვეტი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, იგი მართებული მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად იზიარებენ სხვა სახელმწიფოები, ამ სახელმწიფოს ხედვასა და დამოკიდებულებას საკუთარ სახელმწიფოებრიობასთან და კონტინუიტეტთან დაკავშირებით. პრეცედენტული თვალსაზრისით, მსგავს მოვლენას აგრეთვე ადგილი ჰქონდა 1965 წელს, სინგაპურის მალაიზიისაგან გამოყოფის დროს, როდესაც მალაიზიამ შეინარჩუნა თავისი საერთაშორისო

---

<sup>314</sup> Vladislav Jovanovic, Fordham International Law Journal Volume 21, Issue 5 (1997) Article 2 The Status of the Federal Republic of Yugoslavia in the United Nations; UN Document S/23877 of 5 May 1992.

<sup>315</sup> S/RES/757 (1992) of 30 May 1992

<sup>316</sup> Conference on Yugoslavia Arbitration Commission: Opinions on Questions Arising from the Dissolution of Yugoslavia (January 11 and July 4, 1992) 31 I.L.M. 1488(1992) Opinions 8,9,10.

სამართლებრივი იდენტურობა და გაეროს წევრობა, ხოლო სინგაპური ახალ წევრად იქნა მიღებული ორგანიზაციაში. 1947 წელს, პაკისტანი გაეროში გაწევრიანდა ბრიტანული ინდოეთის დანაწევრების შემდეგ. თუმცა ამ შემთხვევაში, დასადგენია, დაყოფამდე თავად რამდენად წარმოადგენდა ბრიტანული ინდოეთი, საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს. ამ საკითხთან დაკავშირებით, აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ საქმეში მურარკა ბუკრაკ ბროსის წინააღმდეგ<sup>317</sup> მიიჩნია, რომ ელჩების გაცვლა, წარმოადგენდა „სულ მცირე de facto აღიარების ნიშანს, თუ მეტს არა. ყველა განზრახვისა და მიზნისათვის ეს აქტები შეადგენდა ინდოეთის დროებითი მთავრობის სრულ ცნობას მაშინ, როდესაც ინდოეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული კავშირები განიცდიდა კვდომას“.<sup>318</sup> ბანგლადეშის პაკისტანისაგან გამოყოფის შემდეგ კი, დარჩენილი ტერიტორია, რომელსაც შეადგენდა დასავლეთ პაკისტანი, კონტინუატორ სახელმწიფოდ იქნა მიჩნეული. 1972 წელს, 28 სახელმწიფომ ცნო ბანგლადეშის დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც 1974 წელს, იგი როგორც დამოუკიდებელი და ახალი ერთობა გახდა გაეროს წევრი.<sup>319</sup> უფრო ადრეული პერიოდის მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ თურქეთის შემთხვევა, რომელიც 1918 წლიდან, მიიჩნევა ოტომანთა იმპერიის კონტინუიტეტად.<sup>320</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, რუსეთის ფედერაცია მოგვევლინა საბჭოთა კავშირის „გამგრძელებლად“, იტვირთა რა საბჭოთა კავშირის ყველა უფლება და ვალდებულება გაეროს წესდების თანახმად, მათ შორის ფინანსური ვალდებულებანი.<sup>321</sup> 1991 წლის, 21 დეკემბერს, ალმა-ათაში დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მოქმედება შეწყვიტა 1922 წლის, 29 დეკემბრის ხელშეკრულებამ საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების შესახებ, მამასადამე კი, არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა. დეკემბრის დასრულებამდე, რიგი ქვეყნების (ფინეთი, ჩილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი) ოფიციალურ განცხადებებში, რუსეთის ფედერაციის მიმართებაში

<sup>317</sup> Murarka v. Bachrack Bros., 215 F.2d 547, 553 (2d Cir. 1954).

<sup>318</sup> Murarka v Buckrack Bros (1953) 20 ILR 53

<sup>319</sup> SC Res 351(1974); GA Res 3203 (1974)

<sup>320</sup> Ottoman Debt Arbitration(1925) 3 ILR 42 ; Roselius&Co v. Karsten & Turkish Republic (1926) 3 ILR 35.

<sup>321</sup> (UN Doc 1991/Russia, Appendix, 24 December 1991, 31 ILM 138).

გამოიყენებოდა ტერმინი „გამგრძელებელი სახელმწიფო“ *“Государство – продолжатель”*.<sup>322</sup> მომდევნო პერიოდში, რუსეთის ფედერაციის ამგვარ საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს დათანხმდა სახელმწიფოთა უმრავლესობა და იგი აღიარა ოფიციალური აქტების მიღებისა თუ მდუმარე თანხმობის საშუალებით. „განგრძობითობის“ კონცეფცია, შედარებით ახალია საერთაშორისო სამართლებრივ მეცნიერებაში. იგი პოლიტიკურად გამოსადეგი და პრაქტიკული თვალსაზრისით, მოქნილი აღმოჩნდა მოცემულ ისტორიულ პერიოდში რუსეთთან მიმართებით, თუმცა მთელი რიგი დოქტრინალური ხასიათის კითხვები წარმოშვა.

## §5. სახელმწიფოს კონტინუიტეტი

სახელმწიფოს „კონტინუიტეტი“, როგორც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს წარმოშობილი კონცეფცია, სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონტექსტში, ფართოდ იქნა გამოყენებული საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში. სახელმწიფოს კონტინუიტეტში იგულისხმება სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის იდენტურობა და უწყვეტობა, მის ტერიტორიაზე თუ მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ხელისუფლების ცვლის პირობებში. ფუნდამენტურ განსხვავება სახელმწიფოთა კონტინუიტეტსა და სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში, ერთი და იგივე სახელმწიფო აგრძელებს არსებობას, მოსახლეობის, ტერიტორიისა თუ ხელისუფლების ცვლის მიუხედავად. ხოლო მეორე შემთხვევაში, საუბარია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული სუვერენიტეტის ჩანაცვლებაზე. აქედან გამომდინარე, კონტინუიტეტი გამორიცხავს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შეწყვეტას.<sup>323</sup> შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული რეფერენდუმის სამართლებრივი შედეგების ანალიზში, პროფესორები ჯეიმს კროუფორდი (J. Crawford) და ალან ბოილი (A. Boyle) განმარტავენ რომ სახელმწიფო კონტინუიტეტსა და სახელმწიფო

<sup>322</sup> Дипломатический вестник 1992, № 1, с. 27-28; 19; 24.

<sup>323</sup> П. Кремнев, О новых понятиях и категориях правопреемства государств: теоретико-практические вопросы. Журнал международного права и международных отношений 2010 - №1. С. 3).

სამართალმემკვიდრეობას შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს. „ტერმინი „სახელმწიფო კონტინუიტეტი“ გამოხატავს შემთხვევას, როდესაც ერთი და იგივე სახელმწიფო განაგრძობს არსებობას ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების მიუხედავად. კონტინუიტეტის ძირითადი არსი მდგომარეობს სახელმწიფოს მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პრაქტიკულად იგივე ტერიტორიული შემადგენლობის და იგივე სტრუქტურისა თუ მმართველობის სისტემის შენარჩუნებაში. ხოლო „ტერმინით სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობა“ აღინიშნება გარკვეულ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის შეცვლით გამოწვეული სამართლებრივ საკითხთა კომპლექსი“.<sup>324</sup> მოჯორიანის განმარტებით: „საერთაშორისო სამართლის სუბიექტების იდენტურობასა და უწყვეტობაში, იგულისხმება სახელმწიფოს ფაქტობრივ უწყვეტობაზე დაფუძნებული სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობის უწყვეტობა“.<sup>325</sup> სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის „წყვეტის“ პირობებში, კონტინუიტეტი გამოირიცხება. ზახაროვა მიიჩნევს, რომ ტერმინები „კონტინუიტეტი“ და „იდენტურობა“ საერთაშორისო სამართალეზრივ ლიტერატურაში გამოიყენება თანასწორი მნიშვნელობის ცნებებად.<sup>326</sup> იდენტურობა ყოველთვის „იგივეობას“ არ ასახავს, ხშირად იგი გამოხატავს „მსგავსებას“. სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის სამართალი, არ არის მოწოდებული დაარეგულიროს სუვერენიტეტის შეცვლის ან სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხები. იგი ემყარება დაშვებას, რომ ეს პროცესი საერთაშორისო სამართლის თანახმად ხორციელდება, თუმცა მოქმედებს იმისდა მიუხედავად, თუ როგორ ხორციელდება სუვერენიტეტის ცვლა. იგი მიზნად ისახავს, მოაწესრიგოს სუვერენიტეტის შეცვლის შედეგები სახელმწიფოთა ხელშეკრულებების, სახელმწიფო საკუთრები, სახელმწიფო არქივების და სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობასთან დაკავშირებით. აგრეთვე მოწოდებულია დაარეგულიროს ფიზიკურ პირთა მოქალაქეობასთან თუ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული სამართალმემკვიდრეობის

<sup>324</sup> Professor James Crawford SC; Professor Alan Boyle. Opinion: Referendum on the Independence of Scotland - International Law Aspects.(December 10. 2012) p.71

<sup>325</sup> Л. А. Моджорян. Идентичность, непрерывность и правопреемство субъектов международного права. Советское государство и право 1958. №9. С. 61-70.

<sup>326</sup> Н.В. Захарова Правопреемство государств. 1973. С.49-61, 118.

საჭირბოროტო საკითხები. სამართალმემკვიდრეობის საკითხები გათვალისწინებულია მრავალმხრივ სამშვიდობო ხელშეკრულებებში. მაგალითად, 1919 წლის სენჟერმენის ხელშეკრულება, ითვალისწინებს ავსტრო-უნგრეთის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოების პასუხისმგებლობას სახელმწიფო ვალების მიმართ.<sup>327</sup> ამ საკითხს აგრეთვე არეგულირებს ცალმხრივი დეკლარაციები. მაგალითად, როდესაც ეგვიპტე და სირია გაერთიანდა არაბულ რესპუბლიკად, მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გაეროს გენერალურ მდივანს შეატყობინა, რომ „ეგვიპტისა თუ სირიის მიერ დადებული ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, ინარჩუნებს ვალიდურობას ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ რეგიონულ ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად“.<sup>328</sup>

კონტინუიტეტი, მაშასადამე სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უწყვეტობა, როგორც წესი, არ ასოცირდება პრობლემურ საკითხებთან იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული ხალხის სახელმწიფოებრიობა ხანგრძლივ მანძილზე არსებობს. თუ ესპანეთის მაგალითს მოვიშველიებთ, დავრწმუნდებით, რომ ფილიპ მეორის დროინდელი, ფრანკოს პერიოდის და დღევანდელი ესპანეთის მონარქია, საერთაშორისო სამართლის ერთი და იგივე სუბიექტია.<sup>329</sup> შესაძლებელია შეიცვალოს სახელმწიფოს პოლიტიკა, მისი სტრუქტურა და ა.შ. მაგრამ როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე, საერთაშორისო სამართლით მასზე გავრცელებული უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელი, იგი განაგრძობს არსებობას. კონტინუიტეტის პრობლემა შეიძლება დადგეს ზოგიერთ საგანგებო ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო როგორც სოციალური ორგანიზმი, დროებით იღუპება ტერიტორიის ოკუპაციის, მისი შემადგენელი ნაწილების გამოყოფის და მათ ტერიტორიებზე ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შედეგად. საზოგადოებაში მომხდარი სოციალური რყევები, მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების ნგრევა, თავისთავად არ იწვევს

<sup>327</sup> Treaty of Saint-Germain-en-Laye. 10 September 1919, 226 CTS 8, Art 203.

<sup>328</sup> International Law Commission Ybk 1958/II,77.

<sup>329</sup> С.В. Черниченко, Континuitет, идентичность и правопреемство государств. Рос. Ежегодник международного права. 1996-97ю СПб., 1998. С. 9-44.)

სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაქრობას. კონტინუიტეტი (განგძობითობა), იდენტურობისგან განსხვავებით, არ შეიძლება იყოს ნაწილობრივი, იგი ან არსებობს, ან არა. არ შეიძლება იყო რომელიმე სახელმწიფოს ნაწილობრივ სამართალმემკვიდრე და ნაწილობრივ გამგრძელებელი. არ შეიძლება იყო საკუთარი თავის მემკვიდრე. მამკვიდრებელი და მემკვიდრე სხვადასხვა პირია.<sup>330</sup> აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არ არსებობს ავტომატური სამართალმემკვიდრეობა. სამართალმემკვიდრე სახელმწიფო, პრინციპში თავად წყვეტს, წინამორბედი სახელმწიფოს რომელი საერთაშორისო ვალდებულება იკისროს და რომელზე განაცხადოს უარი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი სახელშეკრულებო ვალდებულება, დაკავშირებული სახელმწიფო საზღვართან, აგრეთვე განსაკუთრებულ ტერიტორიულ რეჟიმთან. ავტომატიზმი, დიდწილად მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობის სფეროში ტერიტორიასთან, მოსახლეობასთან და არქივებთან მიმართებაში. თუმცა საერთაშორისო სამართალში არსებობს ისეთი მაგალითი, როგორცაა რუსეთის კონტინუიტეტის შემთხვევა, როდესაც ერთი სახელმწიფო ითვლება იმ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის იდენტურ და კონტინუატორ სახელმწიფოდ, რომელმაც უკვე შეწყვიტა არსებობა. საქმე ისაა, რომ რუსეთი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის თვალსაზრისით, იგივე სუბიექტია რაც საბჭოთა კავშირი. არადა, თავად ეს ობიექტური ფაქტი, წინააღმდეგობაში მოდის ბელოვეჟის 1991 წლის, 8 დეკემბრის შეთანხმებასთან,<sup>331</sup> რომლის თანახმად საბჭოთა კავშირი წყვეტს თავის არსებობას, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საქმე გვაქვს საერთაშორისო სამართლის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების უტილიტარულ დამოკიდებულებასთან, რაც ნაკარნახევია საერთაშორისო სამართლის ძლევამოსილ აქტორთა რეალური პოლიტიკის მყისიერი ინტერესებით. საქმე ის არის, რომ იმ შემთხვევაში თუ რუსეთი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე გახდებოდა, ვერ მიიღებდა გაეროს წევრობას ავტომატური

<sup>330</sup> С.В. Черниченко, Является ли Россия продолжателем или правопреемником СССР?

<http://www.whiteworld.ru/rubriki/000122/000/01062806.htm>.2015 წლის 1 ივლისი

<sup>331</sup>Соглашение о создании Содружества Независимых Государств (СНГ), подписанного главами Российской Федерацией (РСФСР), Республики Беларусь и Украины[2] 8 декабря 1991 года;



მემკვიდრეობით ბელორუსისა და უკრაინის მსგავსად, ვინაიდან რსფსრ არ ყოფილა გაეროს წევრი სახელმწიფო. გაეროს მოუწევდა ორგანიზაციაში, ისევე როგორც მის უშიშროების საბჭოში, რუსეთის ხელახლა მიღება. ამისათვის კი საჭირო იქნებოდა გაეროს წესდებაში ცვლილების შეტანა, რაც იურიდიულ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. გაეროს წესდების 108 მუხლის თანახმად, ამ ცვლილებების განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიეღო უშიშროების საბჭოს ყველა წევრს, მათ შორის კი, საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც არსებობა შეწყვეტილი ჰქონდა. გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთმა გააგრძელა საბჭოთა კავშირის წევრობა, როგორც საერთაშორისო სამართლის იგივე სუბიექტმა, რომელმაც შეიცვალა სახელი და გარკვეული ტერიტორიული ფარგლები. აქედან გამომდინარე კი, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში იგი ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე.

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა იუგოსლავიის კონტინუიტეტთან დაკავშირებით. 1991 წლამდე, იუგოსლავია ექვსი მოკავშირე რესპუბლიკისაგან შედგებოდა. 1991 წლის, 25 ივნისს, სლოვენიამ, ხოლო 26 ივნისს, ხორვატიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. კარს მომდგარი ომის პირობებში 1991 წლის, 25 სექტემბერს, მაკედონიამ და 1992 წლის, 3 მარტს, ბოსნია-ჰერცეგოვინამ ასევე გამოაცხადა საკუთარი დამოუკიდებლობა.<sup>332</sup> ორმა დარჩენილმა რესპუბლიკამ, სერბიამ და მონტენეგრომ, როგორც უკვე აღინიშნა მიიღო იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია და 1992 წლის, 27 აპრილს, მიიღო დეკლარაცია იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონტინუიტეტის შესახებ. საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენდა თუ არა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონტინუიტეტს, 2000 წლამდე სადავო რჩებოდა. საქმე ის არის, რომ ამ პერიოდამდე, იუგოსლავიის ფედერაცია გაეროში სარგებლობდა *sui generis* მდგომარეობით და როგორც ეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, ამგვარ მდგომარეობას, შედეგად არ სდევდა გაეროს სრულუფლებიანი წევრობა.<sup>333</sup> ეს კი, თავის მხრივ იმის

<sup>332</sup> J. Lampe, *Yugoslavia as History: Twice There was a Country* (2000)p. 364

<sup>333</sup> *Legality of the Use of Force (Serbia and Montenegro v Belgium)*, ICJ Rep 2004 279,310.

მანიშნებელი იყო, რომ იუგოსლავიის ფედერაცია ვერ განაგრძობდა იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წევრობას გაეროში. ყოველივე ამის შედეგად, 1992-2000 წლების პერიოდში, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატუსი გაეროში იყო გაურკვეველი. 2000 წელს, მოლაპარაკებების შედეგად, იუგოსლავიის ფედერაცია გაწევრიანდა გაეროში, ხოლო 2001 წლის, 29 ივნისის „სამართალმემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით“ შეთანხმების საფუძველზე, უარი თქვა კონტინუიტეტის აღიარების მოთხოვნაზე, რაც გამოიხატებოდა სუვერენული თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, სხვა ოთხ რესპუბლიკასთან ერთად, ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობის აღიარებაში.<sup>334</sup> შედეგად, 2003 წელს, იუგოსლავიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ სახელწოდება შეიცვალა და იქცა სერბიისა და მონტენეგროს კავშირად.

ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტობის მიმართ, მესამე სახელმწიფოთა დამოკიდებულება ნათლად გვიჩვენებს, ერთმანეთის მსგავსი სიტუაციების საერთაშორისო სამართლებრივი შეფასების კონტრასტულობას. ეს განპირობებულია გადაწყვეტილების მიღებათა პირადი თუ ჯგუფური პერცეფციებით. საქმე ის არის, რომ თავად ამ სახელმწიფოთა დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობებში სუბიექტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, განპირობებულია არაერთგვაროვანი სუბიექტური მიზნებით, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს ანალოგიის მქონე მოვლენების არათანაბარ შეფასებას. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც ძნელია ზღვარი გავავლოთ წინამორბედი სახელმწიფოს დაშლასა და მისი შემადგენელი ნაწილების იმგვარად გამოყოფას შორის, რომელიც ძირითად ბირთვს ხელუხლებლად ტოვებს, სუბიექტის სახელმწიფოებრიობრივი სტატუსის შესახებ სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია მესამე სახელმწიფოთა ბენევიოლენტურ ნებაზე, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ერისა და სახელმწიფოს სუვერენული ნების გამოხატულებასთან.

---

<sup>334</sup> Yugoslav Agreement on Succession Issues(2001) <http://www.dipublico.com.ar/16818/yugoslav-agreement-on-succession-issues-2001>.

არსებობს კონტინუიტეტის სხვა მაგალითებიც. სირიისა და ეგვიპტის გაერთიანების შედეგად, 1958 წელს, ჩამოყალიბებული გაერთიანებული არაბეთის რესპუბლიკა, რომელმაც ორივე წევრი სახელმწიფოს ვალდებულებანი იტვირთა. 1961 წელს, სირია გამოვიდა ამ ერთობის შემადგენლობიდან, ხოლო ეგვიპტემ ამ სახელმწიფოს სახელწოდება რამდენიმე წლით, კერძოდ კი 1971 წლამდე შეინარჩუნა და განაგრძო გაეროს წევრობა. თავის მხრივ, სირიამაც განაგრძო გაეროში წევრობა, ფორმალურად ხელახლა გაწევრიანების გარეშე. არც ერთ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს პროტესტი იმ ანომალიური შემთხვევის გამო, რაც გამოიხატა სირიის რევერსიაში თავის უწინდელ სტატუსთან. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ბალტიის ქვეყნების (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) პოზიცია საბჭოთა კავშირიდან გამოყოფასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ხსენებულმა რესპუბლიკებმა განაცხადეს 1940 წლამდე არსებული სტატუსის შენარჩუნების შესახებ და საკუთარი თავი, უწინდელი ერთობების იდენტურ სუბიექტებად მიიჩნიეს. საერთაშორისო სამართლის რიგმა სუბიექტებმა გარკვეული თვალსაზრისით გაიზიარეს მათი პოზიცია. ასე მაგალითად, 1991 წლის 27 აგვისტოს, ევროპის კავშირმა განაცხადა, რომ „მხურვალედ მიესალმება ბალტიის ქვეყნების სუვერენიტეტის აღდგენასა და დამოუკიდებლობას, რომელიც მათ, 1940 წელს დაკარგეს.“<sup>335</sup> მოგვიანებით, გაერთიანებულმა სამეფომ დაადასტურა, რომ „*de jure* არასდროს უცვნიან 1940 წელს ბალტიის სახელმწიფოების ანექსია, მიუხედავად იმისა, რომ 1940-1991 წლებში, ისინი *de facto* საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ.“<sup>336</sup> ეს განცხადებები მოწმობენ, რომ ბალტიის ქვეყნების ფორმალური სამართლებრივი იდენტურობა, 1940 -1991 წლების პერიოდში, შენარჩუნებული იყო. აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფოების ეფექტიანი კონტროლი უსამართლობით აღიბეჭდებოდა. ამ გარემოებამ, მიუხედავად უკანონო, მაგრამ ეფექტიანი და ხანგრძლივი - 50 წლიანი ანექსიისა, განაპირობა კონტინუიტეტის პრეზუმფციის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით, კროუფორდი (J.Crawford) და ბოილი (A.Boyle) კოსკეინემის შემდეგ ციტატაზე მიუთითებენ - “მიუხედავად ეფექტიანი ფლობისა, ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, ეჭვქვეშ

<sup>335</sup> Declaration at Brussels EC Extraordinary Ministerial Meeting, 27 August 1991,(1991) 62 BYIL 558; EC Declaration Recognizing Baltics` Independence. <http://www.apnewsarchive.com/1991/EC-Declaration-Recognizing-Baltics-Independence/id-1e2755ffa2f1153aa93d33d7920bcb7c>.

<sup>336</sup> Statement of Parliamentary Under-Secretary of State, FCO, 581 HL Deb col 1187, 21 July 1997.

დადგეს სამართალმემკვიდრეობის წესების გამოყენების ნამდვილობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამგვარი ფლობა არ იწვევს სახელმწიფოებრიობისა თუ სუვერენიტეტის კანონიერ გადაცემას, ვინაიდან არ პასუხობს სახელმწიფოებრიობის მოპოვების დადგენილ კრიტერიუმებს.<sup>337</sup> ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მიუხედავად ბალტიის ქვეყნების იდენტურობის დადგენისა, ამ გარემოებას პრაქტიკული შედეგები საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არ მოჰყოლია. ამის ძირითად მიზეზად სახელდება საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიის ქვეყნების ეფექტიანი შთანთქმა და ის გარემოება, რომ მათ მთავრობებს არ გაუგრძელებიათ არსებობა დევნილობაში.<sup>338</sup> ლეტოს (M. Lehto) მიაჩნია, რომ კონტინუიტეტის პრაქტიკული გამოუსადეგარობა განპირობებულია ხანდაზმულობის (*desuetude*) დოქტრინით, რომლის თანახმად, 1940 წლამდე, ბალტიის ქვეყნების მიერ დადებული ყველა შეთანხმება გაბათილებულად ითვლებოდა.<sup>339</sup> 1991 წლის, 17 სექტემბერს, ბალტიის ქვეყნები, გაეროს ახალი წევრების სტატუსით შეუერთდნენ, იმ მარტივი მიზეზით, რომ 1940 წელს გაერო ჯერ კიდევ არ არსებობდა. რუსეთის პოზიციის თანახმად, ბალტიის ქვეყნების საბჭოთა კავშირში გაერთიანება, აღიარებულ იქნა იალტისა და პოცდამის კონფერენციების, აგრეთვე ჰელსინკის აქტების მიერ. ამ არგუმენტის შესაბამისად, ყველა უწინდელი ხელშეკრულება ძალადაკარგულად ითვლებოდა. მათ შორის, 1920 წლის, 2 თებერვლის ტარტუს ხელშეკრულება ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის, რომლითაც რუსეთმა უპირობოდ *de jure* ცნო ესტონეთის რესპუბლიკა. ბალტიის სახელმწიფოების სამართლებრივი სტატუსის შესახებ ორი განსხვავებული თეზის არსებობა, ემყარება ერთმანეთისგან განსხვავებულ ორ სამართლებრივ პრინციპს - *ex injuria jus non oritur* (სამართალი ვერ გაჩდება უსამართლო ქმედების შედეგად) და *ex factis jus oritur* (ფაქტები განსაზღვრავენ სამართალს). ერთის მხრივ, ბალტიის ქვეყნების ანექსია უკანონოა და მათი კონტინუიტეტის აღიარება, საბჭოთა კავშირში გაწევრიანების უკანონოდ ცნობის შედეგია. ხოლო მეორეს მხრივ, ორმოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოებრიობის

<sup>337</sup> Professor J.Crawford SC; Professor A.Boyle. Opinion: Referendum on the Independence of Scotland - International Law Aspects.(December 10. 2012) p.89.

<sup>338</sup> Grant TD, United States practice relating to the Baltic States, 1940-2000.(2001) 1 Baltic YBIL 23, 41-9.

<sup>339</sup> Lehto M, Succession of States in the former Soviet Union: Arrangements concerning the bilateral treaties of Finland and the USSR (1993) 4 Finnish YBIL 194, 214-17.

*de facto* კონსტიტუციური წყვეტა მართლაც განხორციელდა და *ex factis jus oritur* პრინციპის საფუძველზე, განაპირობა საერთაშორისო ურთიერთობების განსხვავებულ რეალობაში მათი მოქცევა. რაც შეეხება ლიტვის რესპუბლიკას, სახელმწიფოთა უმეტესობის მიერ, მისი კონტინუიტეტი და იდენტურობა აღიარებულია 1990 წლის, 11 მარტის, კონსტიტუციური აქტის საფუძველზე. პირველი ქვეყანა, რომელმაც ლიტვის რესპუბლიკა სახელმწიფოს *de jure* კონტინუიტეტის საფუძველზე აღიარა, იყო ისლანდია. 1991 წლის, 11 თებერვალს, ისლანდიის ალტინგმა (პარლამენტმა) მიიღო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებდა ისლანდიის მთავრობის მიერ 1922 წელს, ლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების ნამდვილობას. ლიტვის კონტინუიტეტი და იდენტურობა ცნო ყველა სახელმწიფომ, რომელსაც უკანონოდ მიაჩნდა მისი ანექსია. ლიტვის იდენტურობის მიმართ დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება, არაერთხელ იქნა დადასტურებული და გამყარებული სხვადასხვა ხელშეკრულებებით. ასე მაგალითად, ლიტვასა და საფრანგეთს შორის „თანხმობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ 1992 წელს დადებული ხელშეკრულების პრეამბულაში, მხარეები ადასტურებენ ერთმანეთთან ურთიერთობებისა და თანამშრომლობისაკენ მისწრაფებას „მეგობრობის იმგვარი სულისკვეთებით, რომელიც არსებობდა 1918-1940 წლებში“.<sup>340</sup> საყურადღებოა აგრეთვე 1998 წლის, აშშ-ს, ესტონეთის რესპუბლიკას, ლატვიის რესპუბლიკას და ლიტვის რესპუბლიკას შორის პარტნიორობის ქარტია, სადაც მხარეები ყურადღებას ამახვილებენ „იმ მეგობრულ ურთიერთობებზე, რომლებიც უწყვეტად იქნა შენარჩუნებული...1922 წლიდან მოყოლებული“. აშშ ასევე ადასტურებს, რომ „არასდროს უცვნიან ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა კავშირში ძალდატანებით გაერთიანება 1940 წელს და მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, მათ სახელმწიფოებრიობას უწყვეტად განიხილავს“.<sup>341</sup> 1991 წლის, 26 აგვისტოს, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მიესალმა ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელმაც აღმოფხვრა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საიდუმლო ოქმების შედეგად წარმოშობილი უსამართლობა. 1991 წლის, 27 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს რესპუბლიკა აღიარებდა

<sup>340</sup> Valstybės žinios, 1994, Nr. 68, 1288.

<sup>341</sup> Lithuanian Foreign Policy Review, 1999, No. 3., pp.197-204.

ლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, 1990 წლის, 11 მარტის ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე.<sup>342</sup> საგულისხმოა, რომ 1991 წლის, 6 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა ეცნო ლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა „საბჭოთა კავშირში ლიტვის რესპუბლიკის გაწევრიანების მომენტამდე არსებული კონკრეტული ისტორიული და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით“.<sup>343</sup> გარდა ამისა, რუსეთმა აღიარა ლიტვის რესპუბლიკის იდენტურობა და განგრძობითობა. რუსეთსა და ლიტვას შორის 1991 წლის, 29 ივლისის, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების პრეამბულაში, ორივე მხარე აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირმა უნდა აღმოფხვრას 1940 წლის ანექსიის შედეგები, რომლებიც არღვევს ლიტვის სუვერენიტეტს. ამ ხელშეკრულების პირველსავე მუხლში, რუსეთი აღიარებს ლიტვის რესპუბლიკას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და სუვერენულ სახელმწიფოდ, როგორც ეს განსაზღვრულია 1990 წლის, 11 მარტის სახელმწიფო სტატუსის შესახებ ძირითად აქტებში. მეორეს მხრივ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგჯერ აცხადებენ, რომ ლიტვასა და ბალტიის დანარჩენ რესპუბლიკებს, განიხილავენ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებად, მაშასადამე კი, საბჭოთა კავშირის ლეგიტიმურ შემადგენელ ნაწილად. მაგალითად, 2000 წლის, 9 ივნისს, ასეთი პოზიცია გამოხატა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საბჭოთა კავშირის ოკუპაციის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ ლიტვის კანონპროექტთან დაკავშირებულ განცხადებაში. ამგვარი განცხადებები, პირდაპირ ეწინააღმდეგება 1991 წლის, ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ რუსეთის ოფიციალურ პოზიციას. იგი აგრეთვე შეუთავსებელია ესტოპელის პრინციპთან - *allegans contraria non audiendus est*, რომლის თანახმად, მხარეები ერთხელ გამოხატული პოზიციის ერთგულნი უნდა დარჩნენ.<sup>344</sup> გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში

<sup>342</sup> Baltic Yearbook of International Law, Volume 1, 2001. Editor-in-Chief: Ineta Ziemele. Kluwer Law International (2002), p.14.

<sup>343</sup> Baltic Yearbook of International Law, Volume 1, 2001. Editor-in-Chief: Ineta Ziemele. Kluwer Law International (2002), p.14; The 6 September 1991 Decision on the Recognition of the independence of the republic of Lithuania. A copy of this document was obtained from the Archive of the Seimas of the republic of Lithuania.

<sup>344</sup> Temple of Preah Vihear (Cambodia v Thailand. Merits 1962 ICJ; I. MacGibbon, Estoppel in international Law (1958) 7 International and Comparative Law Quarterly 458, 468.

ლიტვის გაწევრიანების ნებისმიერი აღიარება, ვერ მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოში, ვინაიდან არალეგალური ვითარების აღიარება არ სძენს მას კანონიერებას.<sup>345</sup> სახელმწიფოთა კონტინუიტეტის შემთხვევაში, დღის წესრიგში დგას რესტიტუციის საკითხი. ლიტვის შემთხვევაშიც ასეა. ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენა, შეუძლებელს ხდიდა დამდგარიყო *restitutio in integrum* (სრული რესტიტუცია), მაშასადამე კი, იმ ვითარების აღდგენა, რა ვითარებაშიც ლიტვის რესპუბლიკა 50 წლის წინანდელ პერიოდში, 1940 წლამდე არსებობდა. ეს ობიექტურადაც შეუძლებელია. გარდა ამისა, სამართლის „*ad impossible nemo tenetur*“ („სამართალი არ მოითხოვს შეუძლებელს“) ზოგად პრინციპზე დაყრდნობით, მსგავს შემთხვევებში ამის არც აუცილებლობა არსებობს. ამგვარად, ლიტვის რესპუბლიკის კონტინუიტეტი და იდენტობა მოდიფიცირებულ იქნა განვლილი 50 წლის განმავლობაში (1940-1990 წლები) მოქმედი სამართლის ნორმებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად. ასეთი მოდიფიკაციები გარდაუვალია საერთაშორისო სამართლის ფარგლებში სამართლიანობისა და ეფექტიანობის მისაღწევად. ასე მაგალითად, დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტში, ლიტვის რესპუბლიკა ვერ უგულებელყოფდა საზღვართა ურღვეობის პრინციპს. აქედან გამომდინარე, ლიტვის სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტი იუწყება, რომ „ლიტვის სახელმწიფო გამოხატავს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისადმი ერთგულებას, ცნობს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე 1975 წელს მიღებულ, ჰელსინკის ფინალური აქტით გათვალისწინებულ საზღვრების ურღვეობის პრინციპს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა, სამოქალაქო უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებათა დაცვას“.<sup>346</sup> შეუძლებელი იყო ლიტვას უგულებელყო სახელმწიფოში შექმნილი ფაქტობრივი ვითარება. სწორად ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ვერ მოხერხდა მსოფლიო ომებს შორის პერიოდის ლიტვაში მოქმედი კანონმდებლობის ხელახლა ამოქმედება (გარდა 1938 წლის კონსტიტუციისა) და ძალაში დარჩა, იმ დროისათვის ლიტვაში მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა, რომელიც არ

<sup>345</sup> V.Vadapalas, *Tarptautinė teisė bendroji dalis*, Vilnius Eugrimas, 1998, p.223

<sup>346</sup> 11 March 1990 Law on Reinstatement of the 12 May 1938 Constitution and the 11 March 1990 Law on the Temporary Fundamental Law of the Republic of Lithuania.

ეწინააღმდეგებოდა ლიტვის რესპუბლიკის დროებით ძირითად კანონს. უფრო მეტიც, თავად 1938 წლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენისთანავე შეჩერდა მისი მოქმედება, რათა მომხდარიყო მისი დებულებების ჰარმონიზება „შეცვლილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სოციალურ ურთიერთობებთან“.<sup>347</sup> საბოლოოდ 1938 წლის კონსტიტუციამ, ძალა დაკარგა 1992 წელს, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ხოლო 1997 წლის 13 ნოემბერს, ლიტვის რესპუბლიკის სეიმმა მიიღო კანონი, 1990 წლის, 11 მარტს მიღებული და ძალაში მყოფი ყველა სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ. ამ კანონმა გააუქმა საბჭოთა პერიოდში მიღებული თითქმის ყველა სამართლებრივი აქტი, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, რომელთა მოქმედება თავისდროზე იქნა შენარჩუნებული.

საერთაშორისო თემობამ, მიიღო ლიტვის კონტინუიტეტისა და იდენტურობის მოდიფიცირებული კონცეფცია. ასე მაგალითად, „ბალტიის სახელმწიფოთა მიერ ორმოცდაათი წლის წინ დადებული ხელშეკრულებათა უმეტესობა ხანდაზმულად გამოცხადდა“.<sup>348</sup> ამგვარად, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ლიტვამ ძველის აღდგენის ნაცვლად, ახალი ხელშეკრულებები გააფორმა. პროფესორი იან ბრაუნლი (I. Brownlie) ამტკიცებს, რომ „სახელმწიფოს კონტინუიტეტისა და იდენტურობის შემთხვევაში, სავალდებულოა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინება, სამართლის მოქმედი პრინციპებისა და კეთილგონიერი პოლიტიკის კარნახით განპირობებულ გადაწყვეტილებათა მიღება, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივად შეპირობებული სახელმწიფოთა უწყვეტობით“.<sup>349</sup> ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენას, მის კონტინუიტეტსა და იდენტურობას, საერთაშორისო სამართალსუბიექტობის სამართლისათვის დიდი პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს. ლიტვის რესპუბლიკა არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ვინაიდან უკანასკნელს არ მოუპოვებია სუვერენული უფლებები ლიტვის ტერიტორიაზე, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა კი მოითხოვს, ერთი სუბიექტის ტერიტორიაზე

<sup>347</sup> 11 March 1990 Law on the Temporary Fundamental Law of the Republic of Lithuania.

<sup>348</sup> R. Müllerson, *International Law, Rights and Politics Development in Eastern Europe and the CIS*, London, Routledge, 1994, p. 146.

<sup>349</sup> I. Brownlie, *Principles of Public International Law*, Oxford, Clarendon Press, 1990, p.83



სუვერენიტეტის ჩანაცვლებას, მეორე სუბიექტის სუვერენიტეტით. 1940 წელს, ლიტვის ანექსიის უკანონობიდან გამომდინარე, ლიტვის რესპუბლიკას არ დაუკარგავს თავისი სუვერენული უფლებები და იურიდიული სტატუსი საკუთარი ტერიტორიის მიმართ. აქედან გამომდინარე, ლიტვის რესპუბლიკამ, მხოლოდ აღადგინა ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც ოკუპაციის პერიოდში ჩამოერთვა. მაშასადამე, შეუძლებელი იყო ლიტვის რესპუბლიკას პასუხი ეგო საბჭოთა ვალებისა თუ საბჭოთა კავშირის მიერ სხვა სახელმწიფოებისათვის მიყენებული ზიანისათვის. ეს პოზიცია ნათლად გამოიხატა 1992 წლის, 16 მარტს, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის პრეზიდენტების მიერ, ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოს შეხვედრაზე: „ბალტიის სახელმწიფოები არ არიან საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოები და არ აგებენ პასუხს საბჭოთა კავშირის ობიექტებზე და საგარეო ვალების დაფარვაზე.“<sup>350</sup> ლიტვის რესპუბლიკისა და ბალტიის სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენა, შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის უნიკალურ ფენომენად. საერთაშორისო სამართლის პრინციპებმა და ნორმებმა შესაძლებელი გახადა ლიტვის რესპუბლიკის კონტინუიტეტისა და იდენტობის 50 წლის მანძილზე შენარჩუნება, რაც საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიზნის მიღწევას - საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლიანობის დამკვიდრებას ემსახურებოდა. არსებობს სახელმწიფოს კონტინუიტეტის მტკიცების კატეგორია, რომელიც მე-20-ე საუკუნეში უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელმწიფოებრიობის გაგრძელებაზე მიუთითებს. ასე მაგალითად, ხორვატიისა და მაკედონიის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მათ მიერ მიღებულ კონსტიტუციებში გაცხადებულია იმ ერთობათა კონტინუიტეტის შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდნენ იუგოსლავიის ფედერაციის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა დათანხმდა ამ განცხადებათა შინაარსს, სანაცვლოდ კი, ხორვატიამ და მაკედონიამ სცნეს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის კავშირი სერბეთის სახელმწიფოსთან, რომელიც თავის მხრივ, აღიარებული

---

<sup>350</sup> D. Žalimas, Legal Issues on the Continuity of the Republic of Lithuania, p.22.  
[http://www2.hawaii.edu/~hslp/journal/vol2/Zalima\(HJLP\).pdf](http://www2.hawaii.edu/~hslp/journal/vol2/Zalima(HJLP).pdf). 1 ივლისი 2015წ.

იყო 1878 წლის, ბერლინის კონგრესის მიერ.<sup>351</sup> იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ხორვატიის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ შეთანხმების, მე-5-ე მუხლში ნათქვამია: „იმ ისტორიული ფაქტიდან გამომდინარე, რომ სერბეთი და მონტენეგრო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არსებობდნენ იუგოსლავიის შექმნამდე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იუგოსლავიამ განაგრძო ამ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, ხორვატიის რესპუბლიკა მიუთითებს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტინუიტეტის არსებობაზე. წარსულში ხორვატიის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მრავალი ფორმის არსებობის ისტორიული ფაქტიდან გამომდინარე, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, მიუთითებს ხორვატიის სახელმწიფოებრიობის კონტინუიტეტის არსებობაზე“.<sup>352</sup> მსგავსი შინაარსისაა, იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მაკედონიის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გარმავეებისა და ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ 1996 წლის 8 აპრილის შეთანხმება, კერძოდ მისი მე-4-ე მუხლი, იმ განსხვავებით, რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, მაკედონიის სახელმწიფო კონტინუიტეტის აღიარებისას, ეყრდნობა „მაკედონიის განთავისუფლების ანტიფაშისტური სახალხო კრების ყრილობის მიერ, მაკედონიის რესპუბლიკის სახელმწიფოდ დაფუძნების და იუგოსლავიის ფედერაციასთან მიერთების ისტორიულ ფაქტს, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ 1991 წლის რეფერენდუმით, მაკედონიის ხალხმა მშვიდობიანი გზით გადაწყვიტა მაკედონიის რესპუბლიკა დაეფუძნებინა სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“.<sup>353</sup> ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს განცხადებები არ წარმოშობენ მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს. ისინი მიჯნავენ სამართალმემკვიდრეობის საკითხებს, კონტინუიტეტის შესახებ განცხადებებისგან.<sup>354</sup> მათი მტკიცებით, კონტინუიტეტი, რომელსაც ეს სახელმწიფოები ვითომდა აღიარებენ, უფრო მეტად ეროვნული ან ისტორიული იდენტურობის საკითხს

<sup>351</sup> Agreement on the Regulation of Relations and Promotion of Cooperation between the Republic of Macedonia and the Federal Republic of Yugoslavia, 8 Apr.1996,S/1996/291.

<sup>352</sup> Agreement on Normalization of Relations between the Federal Republic of Yugoslavia and the Republic of Croatia, 29 August 1996, A/51/318, S/1996/706

<sup>353</sup> Agreement on the Regulation of Relations and Promotion of Cooperation between the Republic of Macedonia and the Federal Republic of Yugoslavia, 8 April 1996, S/1996/291).

<sup>354</sup> M. Sahović, 'La reconnaissance mutuelle entre les républicues de l'ex-Yougoslavie' (1996) 42 AFDI 228, 231-2.

წარმოადგენს, ვიდრე საერთაშორისო სამართლისა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ეს მტკიცებაც ინტერპრეტაციის საგანი შეიძლება გახდეს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა კუნცის (J.Kunz) მოსაზრება სახელმწიფოთა იდენტურობასთან დაკავშირებით. მისი თქმით: „სახელმწიფოთა იდენტურობის საკითხი, არა სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის საკითხის, არამედ სახელმწიფოთა გაქრობის საკითხის ანტითეზას წარმოადგენს“.<sup>355</sup> ამ მოსაზრებას აგრეთვე იზიარებს კრავენი (C.R. Craven) და მიუთითებს, რომ „კონტინუიტეტის შემთხვევაშიც კი შეიძლება წამოიჭრას სამართალმემკვიდრეობის გარკვეული საკითხები“.<sup>356</sup> აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ სახელმწიფოებრიობის შეწყვეტისა და სახელმწიფოს იდენტურობის ცვლის პირობები. მაგალითად, იუგოსლავიის შემთხვევაში, საკითხი ეხებოდა არა იმას, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა იყო თუ არა სახელმწიფო? არამედ წარმოადგენდა თუ არა იგი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის იდენტურ, თუ მისგან განსხვავებულ ერთობას? სხვაობა აქ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: მაშინ როდესაც, სახელმწიფოებრიობის და სუბიექტობის კონცეფციები, ითვალისწინებს განსაზღვრული საერთო ატრიბუტებისა და თვისებების ფლობას, მაშასადამე კი, საერთაშორისო სამართლით მინიჭებული კომპეტენციებით სარგებლობას, იდენტურობის კონცეფცია პირიქით, ემყარება სხვაობის ცნებას. „იდენტურობა“ გულისხმობს, რომ ცალკეულ სახელმწიფოებს, გვევლინებიან რა გარკვეულ სოციალურ თუ სამართლებრივ ერთობათა წევრებად, იმავდროულად გააჩნიათ ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშნები. იდენტურობა გულისხმობს სუბიექტობას, მაგრამ დამოკიდებულია სუბიექტის ბუნების თავისებურებაზე, რაც ვერ აისახება სახელმწიფოებრიობის ტრადიციულ კრიტერიუმებზე. „სუბიექტობა“ როგორც კომპეტენტურობა ერთ მხარეს ექცევა და ნათელი ხდება, რომ ხშირ შემთხვევაში, საკითხი ეხება არა უბრალოდ სახელმწიფოს არსებობის, არამედ იდენტურობისა და კონტინუიტეტის ხარისხის განსაზღვრას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყურადღება მახვილდება არა სამართალმემკვიდრეობის - ერთი სუბიექტიდან უფლებების

---

<sup>355</sup> J.Kunz. The Changing Law of Nations(1964), p. 288.

<sup>356</sup> Matthew C.R. Craven. The Problem of State Succession and the Identity of States under International Law. European Journal of International Law 9 (1998), p.158.

და მოვალეობების მეორეზე გადასვლის „გარე“ პირობებზე და წესებზე, არამედ აქცენტი გადადის იდენტურობის მატერიალური (სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკური ან სამართლებრივი) ელემენტების ხარისხზე, რომელსაც მოსდევს კონტინუიტეტი. ამგვარი მიდგომა, შესაძლებლობას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მეთოდოლოგიური პრობლემები, რომელიც სახელმწიფოთა მხრიდან „თანხმობის“ აშკარა დანაკლისის შემთხვევაში წარმოიშვება.

საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში გავრცელებული კონტინუიტეტის განსაზღვრების თანახმად, სახელმწიფოს სამართალსუბიექტობა იდენტურია ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი ცვლილებების მიუხედავად. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო, რომელიც აცხადებს კონტინუიტეტის შესახებ, არ წარმოადგენს ახალ სახელმწიფოს კარდინალური პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის შიდასახელმწიფოებრივი ცვლილებების მიუხედავად და ამგვარი იდენტურობის საფუძველზე, სრულად ინარჩუნებს კონტინუიტეტის შესახებ განცხადების მომენტში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონტინუიტეტის პრაქტიკული შემთხვევები მოწმობს, რომ ეს პროცესი იშვიათად ჯდება თეორიული დეფინიციის ვიწრო ჩარჩოებში. XX საუკუნის შუა პერიოდში, ესაიანი (A.A. Esayan) აღნიშნავდა, რომ „საერთაშორისო სამართალსუბიექტობის წყაროს წარმოადგენს მოცემული ხალხის სახელმწიფოებრიობა, ვინაიდან სუვერენული სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გვევლინება არა იმიტომ, რომ მის სათავეში ესა თუ ის საზოგადოებრივი კლასია მოქცეული, არამედ იმიტომ, რომ სახეზეა საზოგადოების მყარი პოლიტიკური ორგანიზაცია. სწორად, მოცემული ხალხის სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის, მამასადამე კი, მყარი პოლიტიკური ორგანიზაციულობის ფაქტიდან გამომდინარეობს ამ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის უწყვეტობის პრინციპი, რაც თავის მხრივ, მეტყველებს სოციალური გამოვლინების მიუხედავად, სუვერენული სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტობაზე. თუ რევოლუციის შემდეგ შენარჩუნებულია ეროვნული სახელმწიფოებრიობა, მაშინ სახეზე გვაქვს მოცემული საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტის უწყვეტობა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საზოგადოების კლასობრივ-

სოციალური წყობის ცვლა, და პირიქით, საერთაშორისო სამართალსუბიექტობა წყდება მაშინ, როდესაც არსებობას ასრულებს ნაციონალური სახელმწიფოებრიობა საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით“.<sup>357</sup> პროფესორ ჩერნიჩენკოს (С.В. Черниченко) მტკიცების თანახმად, „სახელმწიფოს კონტინუიტეტი და სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა ერთმანეთისაგან განსხვავებული მოვლენებია. სახელმწიფოს კონტინუიტეტი - არის მისი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არსებობის უწყვეტობა, სოციალურ ორგანიზმად მისი დროებითი გაქრობის შემთხვევაშიც კი (მაგალითად ტერიტორიის დროებითი ოკუპაციის შედეგად, როგორც ეს მოხდა პოლონეთის შემთხვევაში 1939-1945 წლებში). სამართალმემკვიდრეობა - არის სამართლის ერთი სუბიექტის უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა მეორე სუბიექტზე. ჩერნიჩენკო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში, არ არსებობს თანხმობა რევოლუციით გამოწვეული სოციალური ცვლილებების შედეგად საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის წარმოშობასთან დაკავშირებით - „დავის საგანია, რევოლუციით გამოწვეული სოციალური ცვლილებების შედეგად, საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი წარმოიქმნება, თუ მოცემული ხალხის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გათვალისწინებით, არ ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცვლა“?<sup>358</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის თვალსაზრისით, ბოლშევიკური რუსეთი იზიარებდა კონტინუიტეტის თეორიას და ახორციელებდა მას პრაქტიკაში. მართალია სოციალისტური რევოლუციის შემდგომ პერიოდში, თავდაპირველად რუსეთმა უარი განაცხადა ცარისტული რუსეთის ხელშეკრულებებზე, მაგრამ ეს განცხადებები არა კონტინუიტეტის არარსებობას, არამედ *clausula rebus sic stantibus* (გარემოებათა ფუნდამენტური ცვლით განპირობებული საგანგებო პირობა) პრინციპს ემყარებოდა და უკავშირდებოდა რუსეთის იმპერიის ვალებზე უარის განცხადებას. ასე მაგალითად, 1918 წლის, 28 იანვრის საბჭოთა დეკრეტი ადგენდა, რომ “ყველა უცხოური სესხი რაიმე რეზერვაციის ან გამონაკლისის გარეშე

<sup>357</sup> Есаян А.А. Некоторые вопросы правосубъектности и правопреемства в теории международного права. 1963. С. 22-23.).

<sup>358</sup> Международное право. Учебник. 3-издание/Отв.ред.проф. Ковалёв А.А., д.ю.н., проф. Черниченко С.В. М. 2008.С. 177.

ანულირებულია”.<sup>359</sup> თუმცა ამგვარი პოზიცია მალევე იქნა უკუგდებული და 1919 წლის, 4 თებერვლის საბჭოთა რუსეთის პასუხი მოკავშირეთა შეთავაზებაზე, კუნძულ პრინციპოზე გაემართათ კონფერენცია რუსეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, შეიცავდა რუსეთის დავალიანების აღიარებას.<sup>360</sup> გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ „*clausula*“-ს პრინციპი გამოიყენება მხოლოდ ერთი და იგივე სუბიექტის არსებობისას, ვინაიდან განსხვავებულ სუბიექტებს არ ესაჭიროებათ და სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობაც არ აქვთ მოიხმონ იგი. აქედან გამომდინარე, მცდარია მოსაზრება, იმის შესახებ, რომ, საბჭოთა რუსეთი უარყოფდა სახელმწიფოს კონტინუიტეტის პრინციპს რევოლუციის საფუძველზე. დებულებას, რომლის თანახმად, ქვეყანაში მომხდარი რევოლუციური გარდაქმნები არ ცვლის სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას, აგრეთვე ადასტურებენ რიგი ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებანი. 1919 წელს, რუსული რუბლის საქმეში (Russian Roubles Case) იაპონიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „არ ენიჭება მნიშვნელობა რუსეთში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რუსეთს, საერთაშორისო ასპარეზზე არ შეუწყვეტია არსებობა“.<sup>361</sup> 1923 წლის, 2 ოქტომბერს, საქმეში რუსეთის მთავრობა, ლეჰაი ველის რკინიგზის წინააღმდეგ, ნიუ იორკის საოლქო სასამართლომ დაასკვნა, რომ „ნამდვილ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფო და ეს რუსეთის სახელმწიფო კვლავაც არსებობს და სიმართლეს შეესაბამება ის, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით იგი წარმოადგენს განგრძობით ერთობას“.<sup>362</sup> 1923 წლის, 7 იანვარს, ამსტერდამის საოლქო სასამართლომ ჰოლანდიასა და რუსეთს შორის სამოქალაქო პროცედურების შესახებ ჰააგის 1905 წლის, 17 ივლისის კონვენციის მოქმედების ძალის დადასტურებისას აღნიშნა, რომ „საერთაშორისო საჯარო სამართლის დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილებები, გავლენას არ ახდენს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, ვიდრე იგი არსებობს როგორც სახელმწიფო და აქედან

<sup>359</sup> Krystyna Marek, *Identity and Continuity of States in Public International Law*. Geneve 1968. p.34; quoted by Korovin, *Soviet Treaties and International Law*, A.J. 1928. p. 763.

<sup>360</sup>E. Lagarde, *La Reconnaissance des Soviets*, p.27

<sup>361</sup> Krystyna Marek, *Identity and Continuity of States in Public International Law*. Geneve 1968. p.41.

<sup>362</sup> *Russian Government v. Lehigh Valley Railroad Co.* 8 August, 1927.

გამომდინარე, როგორც საერთაშორისო სუბიექტი უცვლელი რჩება. ეს არის საბჭოთა კავშირის შემთხვევა, რომელიც უნდა განიხილებოდეს როგორც სუვერენული ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც გაცილებით მეტ ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე უწინდელი რუსეთის იმპერია“.<sup>363</sup> ჯერ კიდევ 1871 წლის, 16 თებერვალს, ხომალდ საფრონის საქმეზე, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ნაპოლეონი „არიელის“ მფლობელი იყო არა როგორც ინდივიდი, არამედ როგორც საფრანგეთის სუვერენი. მისი გადაყენების შემდეგ სუვერენიტეტი არ შეცვლილა, არამედ შეიცვალა პირები რომლებიც მას ფლობენ. ... ამ პირთა ცვლა, არ იწვევს ეროვნული სუვერენიტეტით გათვალისწინებულ უფლებათა მოქმედების შეწყვეტას“.<sup>364</sup> 1932 წლის, 28 ნოემბერს, საქმეში ძმები ლაზარდები და კომპანია, შპს მიდლანდ ბანკის წინააღმდეგ, ლორდთა პალატამ ბრძანა: „ტერიტორიული იურისდიქცია იმისა, რასაც 1917 წლამდე რუსეთის იმპერია წარმოადგენდა, ახლა სბჭოთა რესპუბლიკების კავშირია. მმართველობის სისტემის შიდასახელმწიფოებრივი ცვლა, მაშინ როდესაც ახალი ხელისუფლება აღიარებულია ამ სახელმწიფოს მიერ, არ ახდენს გავლენას რუსეთის საგარეო სტატუსზე მის საერთაშორისო სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს იდენტურობა შენარჩუნებულია საერთაშორისო მიზნებისათვის: მონარქიის რესპუბლიკით შეცვლა, არ იწვევს ხელშეკრულებებისა და კონვენციების გაუქმებას“.<sup>365</sup> საერთაშორისო სამართლის თეორია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არ განსხვავდება სახელმწიფოთა პრაქტიკისაგან. ელინგის თანახმად, სახელმწიფოს იდენტურობის განგრძობითობა ტერიტორიული თუ რევოლუციური ცვლილებების შემთხვევაში, შეიძლება აიხსნას მხოლოდ გაერთიანების თეორიის თანახმად (*Verbandstheorie*). გაერთიანების არსებობა, არ არის დამოკიდებული არც მის წევრთა რაოდენობაზე და არც ძალაუფლების ხარისხზე. მისი საკონსტიტუციო ცვლილება გამოიხატება ფორმაში და არა შინაარსში. ამგვარად გაერთიანება იდენტური რჩება იქამდე, ვიდრე მისი ელემენტები განაგრძობენ არსებობას და მისი მიზნები სრულდება.<sup>366</sup> კელზენის განმარტებით, ანცილოტი, მაგალითად ეყრდნობა

<sup>363</sup> Krystyna Marek, *Identity and Continuity of States in Public International Law*. Geneva 1968. p.42.

<sup>364</sup> *The Sapphire*, 78 U.S. 164,169 (1870).

<sup>365</sup> HOUSE OF LORDS, *Lazard Brothers and Co. v. Midland Bank Ltd.* 2 A.C. 307,337. Also reported at: [1933] A.C. 289

<sup>366</sup> Krystyna Marek, *Identity and Continuity of States in Public International Law*. Geneva 1968. p.45.

სახელმწიფოს უცვლელ ელემენტებს - ტერიტორიასა და მოსახლეობას, რომლებსაც მისი თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართალი აღიქვამს პოსტრევოლუციური სახელმწიფოს იდენტურობის საფუძვლად.<sup>367</sup> კელზენი, იდენტურობის წესის განმარტებისას, აგრეთვე ეყრდნობა სახელმწიფოს მატერიალურ ელემენტებს.<sup>368</sup> ფერდროსი თავის მხრივ, ამ ფენომენს სახელმწიფოსა და მოსახლეობის იდენტიფიცირებით ხსნის და მიაჩნია, რომ რევოლუციის შემდგომ, სახელმწიფო იდენტურობას ინარჩუნებს მოსახლეობასთან გაიგივების საფუძველზე.<sup>369</sup>

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სამართალი იცნობს გამონაკლისს, რევოლუციის პირობებში სუბიექტის იდენტურობის შენარჩუნების პრინციპიდან. ეს გამონაკლისი არის ცრუ რევოლუცია. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი სახელმწიფოში განხორციელებულ რევოლუციას არ განიხილავს იდენტურობისა და კონტინუიტეტის შეწყვეტის საფუძვლად, აუცილებელია ნათლად და ამომწურავად დადგინდეს რევოლუციური ვითარება მართლაც რევოლუციაა თუ სხვა რამ. რევოლუცია თავისთავად სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ფენომენია. მხოლოდ ამ პირობით ითვლება იგი სამართლებრივ აქტად საერთაშორისო სამართალში, რომელიც გავლენას არ ახდენს კონტინუიტეტზე. რევოლუციური ფენომენი გამოსარიცხია იმ შემთხვევაში თუ იგი არა სახელმწიფოებრივი ვითარების პროდუქტი, არამედ გარეშე ფაქტორების შედეგია. დიდი შეცდომა იქნება ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო სამართალი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს რევოლუციასა და ინტერვენციას. ინტერვენცია, განხორციელებული სხვა ქვეყანაში რევოლუციის ჩასახშობად, ისევე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, როგორც ინტერვენცია, რომელიც მიზნად ისახავს უცხო სახელმწიფოში რევოლუციის გაღვივებას. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი დადგენილი წესის თანახმად, მესამე სახელმწიფოებს ეკისრებათ ინტერვენციისგან თავის შეკავების და უცხო სახელმწიფოში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩაურევლობის ვალდებულება. ნებისმიერი ასეთი ჩარევა უკანონო აქტია.<sup>370</sup> ეს პრინციპი ასახულია გაეროს წესდების მე-2-ე მუხლის, მე-7-ე პუნქტში,

<sup>367</sup> Ibid.46.

<sup>368</sup> H. Kelzen, *Das Problem der Souveränität und die Theorie des Völkerrechts*, Tübingen, 1920 . p. 238.

<sup>369</sup> A. Ferdross, *Völkerrecht*. Springer, 1955.p.79.

<sup>370</sup> H. Lauterpacht, *International Law and Human Rights*, New York, 1950,pp.167-172.



აგრეთვე სამოქალაქო ომის მდგომარეობაში ვალდებულებებისა და უფლებების შესახებ, 1928 წლის ჰავანის ინტერამერიკული კონვენციის პირველ მუხლში. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი რევოლუცია, რომელიც მიმდინარეობს უცხო გავლენით, აუცილებელია შემოწმდეს ნამდვილობაზე, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით. ამგვარი აუცილებლობა განპირობებულია ისტორიული გამოცდილებით. საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ისტორიაში, ცრუ რევოლუციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს რუსეთ - ფინეთის 1939-1940 ომი და ე.წ. კუუსინენის ეპიზოდი. მას შემდეგ რაც ფინეთმა უარი განაცხადა საბჭოთა მოთხოვნების შესრულებაზე, საბჭოთა კავშირი შეიჭრა ფინეთში. ამავდროულად კი, საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაში, ჩამოყალიბდა „ფინეთის სახალხო მთავრობა“ ოტო კუუსინენის მეთაურობით. ეს წარმონაქმნი მოწოდებული იყო ფინური რევოლუციის წარმოდგენა გაეთამაშებინა და დაპირისპირებოდა ჰელსინკის მთავრობას. იგი არა მხოლოდ შეუერთდა საბჭოთა მოთხოვნებს, არამედ თავად მოითხოვა საბჭოეთის სამხედრო დახმარება „ჰელსინკის ხროვასთან“ საბრძოლველად. საპასუხოდ, საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ აღიარა თითქოსდა რევოლუციური მთავრობა და „დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან“ და დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. აქედან გამომდინარე კი, „დახმარების ხელი გაუწოდა“ მეგობრულ მთავრობას და ფორმალურად თავი დააღწია ფინეთთან ომის პირობებში მოქცევას.<sup>371</sup> ამ ფიქციის საშუალებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ თავიდან აიცილა შვედეთის მიერ ფინეთის ინტერესების დაცვა რუსეთში და უარყო ამერიკის შემოთავაზება მშვიდობის დამყარებაში მედიატორის ფუნქცია ეტვირთა.<sup>372</sup> საბოლოოდ ფინეთის ცრუ რევოლუცია დაკვალიფიცირდა ფიქციად და ერთა ლიგის მიერ უარყოფილ იქნა მისი დასაბუთებულობა. ერთა ლიგის ასამბლეამ აგრესიად შეაფასა საბჭოთა კავშირის ქმედებები და დაადანაშაულა იგი ერთა ლიგის წესდების მე-12-ე მუხლისა და პარიზის პაქტის (ბრიან კელოგის პაქტის) დარღვევაში. ამას შედეგად მოყვა საბჭოთა კავშირის ერთა ლიგიდან გაძევება.<sup>373</sup> ეს ის

<sup>371</sup> D.J. Dallin, *Soviet Russia's Foreign Policy*, pp 126-128.

<sup>372</sup> A.N. Makarov. *Der sowjetrussisch-finnische Konflikt*. Ztscht.f..a.off.R.u. V.-r., 1940-1941, p.294.

<sup>373</sup> Report and Resolution adopted By the Assembly of the League of Nations Dated December 14th. 1939. The Development of Finnish-Soviet Relations during the autumn 1939 in the light of official documents. Helsinki 1940.

შემთხვევაა, როდესაც საერთაშორისო თემობამ, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო გარედან ინსპირირებული ცრუ რევოლუციის საპასუხოდ. გასათვალისწინებელია, რომ ამის შემდგომ, საბჭოთა კავშირმა საკუთარი ქმედებით თავად აღიარა ხსენებული „რევოლუციის“ ფიქტიური ხასიათი, 1940 წლის 12 მარტს, გააფორმა რა ფინეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება. ქვეყანასთან, რომელთანაც როგორც ამტკიცებდა, არასდროს ყოფილა საომარ მდგომარეობაში. მსგავსი ვითარება შეიქმნა 1920 წელს, როდესაც პოლონეთის „რევოლუციური“ ხელისუფლება დამყარდა წითელი არმიის მეშვეობით პოლონეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შემდგომი სამშვიდობო მოლაპარაკებების და რიგის სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგად, ეს ხელისუფლებაც ისევე გაუჩინარდა, როგორც დამყარდა. პრინციპი, რომელზე დაყრდნობითაც იმოქმედა ერთა ლიგამ ფინეთთან დაკავშირებით, მხედველობაში გვაქვს ცრუ რევოლუციის კანონიერების უარყოფა და შენიღბულ აგრესიად მისი დაკვალიფიცირება, სრულ თანხვედრაშია ზოგად საერთაშორისო სამართალთან.

არსებობს სხვა მაგალითიც. წითელი არმიის მიერ 1920 წლის, 2 დეკემბერს სომხეთის ანექსია, 1923 წელს, ქაიროს შერეულმა ტრიბუნალმა საქმეში აჩიკიანი ათენის ბანკის წინააღმდეგ (*Achikian v. Bank of Athens*), შეაფასა როგორც სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის შეწყვეტა, ვინაიდან დაადგინა, რომ ამ მოვლენას არაფერი ჰქონდა საერთო სომხეთში განხორციელებულ „რევოლუციასთან“. სასამართლოს შეფასების თანახმად, „საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ინსტიტუტებისა და მმართველობის ფორმათა ცვლა ზემოქმედებას არ ახდენს სახელმწიფოს იდენტურობაზე, მისი საერთაშორისო სუვერენიტეტისა თუ საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით. ეს პრინციპი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, სახელმწიფო ინარჩუნებს ძალას დაიცვას საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთობის ხასიათი“.<sup>374</sup> აქედან გამომდინარე, როდესაც რევოლუციური მოძრაობა ინსპირირებულია და მხარდაჭერილია უცხო სახელმწიფოს მიერ, როდესაც წარმოსახვით რევოლუციას ახორციელებენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები, არაფერი რომ აღარ ვთქვათ მის

<sup>374</sup> K. Marek, *Identity and Continuity of States in Public International Law*. Geneva 1968. p.46.

ოფიციალურ ორგანოებზე, ან როდესაც იგი ხორციელდება სამხედრო ოკუპაციის მხარდაჭერით, საქმე ინტერვენციასთან გვაქვს და არა რევოლუციასთან. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ არავითარი იდენტურობა არ შეიძლება არსებობდეს ცრუ რევოლუციის შედეგად შექმნილ მარიონეტულ სახელმწიფოსა და მანამდე არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის. საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოს სამართლებრივი არსებობის, მისი წარმოშობის, გაქრობის და გარდაქმნის სამართლებრივი კვლევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრიმატის პოზიციიდან. ამ თეორიული დაშვების ემპირიულ დადასტურებას წარმოადგენს ზემოთ განხილული საკითხი რევოლუციური ერთობის კონტინუიტეტის შესახებ, რომელსაც მივყავართ იმ გარდაუვალ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო სამართლის ნამდვილობა არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სამართალზე. ფერდროსი (A. Verdross) რევოლუციური ერთობის იდენტურობას და კონტინუიტეტს მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის პრიმატულობის თეორიის საფუძვლად.<sup>375</sup> ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის თანახმად, ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია არ ახდენს გავლენას სახელმწიფოს იდენტურობასა და კონტინუიტეტზე. პროფესორი გუგენჰეიმი (P. Guggenheim) ერთმანეთისგან განასხვავებს სამი ტიპის სამხედრო ოკუპაციას. ესენია: 1) სამხედრო ოკუპაცია *sensu stricto*; 2) ოკუპაცია რომელიც მოსდევს დაზავებას; 3) სამხედრო ოკუპაცია *sui generis*.<sup>376</sup> სახელმწიფოს იდენტურობისა და კონტინუიტეტის საკითხი წამოიჭრება *sensu stricto* სამხედრო ოკუპაციის პირობებში. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, კონტინუიტეტის საკითხი დგას ტერიტორიის სრულად ოკუპაციის შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს დამორჩილებას. 1899 წლის, 29 ივლისის და 1907 წლის, 18 ოქტომბრის ჰააგის კონვენცია სახმელეთო ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ, არის უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ომის წარმოების კანონებსა და ჩვეულებებს, მათ შორის კი ოკუპაციის წესებს არეგულირებებს. იგი ძალაშია 1910 წლის, 26 იანვრიდან. მან ავტომატურად შეიძინა სახელმწიფოთათვის სავალდებულო ძალა, დოკუმენტის მე-2-ე მუხლის მიუხედავად,

<sup>375</sup> A. Verdross, Die Verfassung der Völkerrechtsgemeinschaft, Berlin, Springer, 1926. p. 16-17.

<sup>376</sup> P. Guggenheim, Lehrbuch des Völkerrechts. Vol. II, Basel 1950 p 926.

ვინაიდან მოგვევლინა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმების დეკლარაციად. ამ გარემოებას დოკუმენტის პრემბულის დებულებაც ადასტურებს: „ვიდრე ომის კანონთა უფრო სრულყოფილი კრებული გამოიცემოდეს, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ განაცხადონ, რომ იმ შემთხვევებში რომლებსაც არ აწესრიგებს მათ მიერ დადგენილი რეგულაციები, მოსახლეობა და მებრძოლები რჩებიან ერთა სამართლის პრინციპების უზენაესობის დაცვის ქვეშ, ვინაიდან გამომდინარეობენ ცივილიზებულ ხალხთა ჩვეულებებიდან, ადამიანურობის კანონებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მოთხოვნებიდან.“ (ე.წ. მარტენსის კლაუზულა). ამ დებულებიდან აგრეთვე ჩანს, რომ ჰააგის კონვენციები, არსებული სავალდებულო ჩვეულებითი სამართლის ნორმების არასრულ კოდიფიკაციას წარმოადგენს.<sup>377</sup> ჰააგის კონვენციები და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც ავსებენ მათ, იცავენ *sensu stricto* ოკუპირებული სახელმწიფოს კონტინუიტეტს, (1907 წლის ჰააგის მეოთხე კონვენციის 43-ე, 48-ე, 55-ე მუხლი). გარდა ამისა, ოკუპირებულად თვლიან ტერიტორიას „...რომელიც იმყოფება მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ეფექტიანი კონტროლის ქვეშ...“ (1907 წლის, ჰააგის მეოთხე კონვენციის 42-ე მუხლი).

ერთმანეთისგან შინაარსობრივად ასევე უნდა განვასხვავოთ *de facto* რეჟიმი და *de facto* სახელმწიფო. უკანასკნელი გეოგრაფიული და პოლიტიკური ერთობაა, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ყველა მახასიათებელი გააჩნია, მაგრამ მოცემულ მომენტში ვერ ახერხებს მნიშვნელოვანი ხარისხის აღიარების მიღებას და საერთაშორისო საზოგადოების თვალში, სრული ლეგიტიმაცია არ გააჩნია.<sup>378</sup> ამგვარი ერთობები მისწრაფვიან სრული კონსტიტუციური დამოუკიდებლობისაკენ და სუვერენულ სახელმწიფოდ საყოველთაო აღიარებისაკენ. რაც შეეხება *de facto* რეჟიმს, იგი მისწრაფვის საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ იქნეს უკვე არსებული სახელმწიფოს ოფიციალურ ხელისუფლებად. “მაშინ როდესაც *de facto* სახელმწიფო იღვწის წინამორბედი

<sup>377</sup> O.M. Uhler, Der völkerrechtliche Schutz der Bevölkerung eines besetzten Gebiets gegen Maßnahmen der Okkupationsmacht unter besonderer Berücksichtigung der Genfer Zivilkonvention vom.12 August 1949. Zürich (1950) s.18.

<sup>378</sup> S. Pegg, International Society and the De Facto State (Ashgate 1998) 26.

სახელმწიფოსგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა თუ აღდგენისათვის, *De Facto* რეჟიმის მიზანია აღიარების მიღება სახელმწიფო ტერიტორიების შენარჩუნების პირობებში”.<sup>379</sup> თუმცა, ხშირად აღიარების მიღების სანაცვლოდ, ამგვარი რეჟიმი თანახმაა მსხვერპლად გაიღოს როგორც სახელმწიფოს სტატუსი, ისე მისი ტერიტორიული ფარგლები. ოკუპირებული სახელმწიფოს კონტინუიტეტის პრინციპი ვერ განისაზღვრება, სანამ თავიდან არ ავიცილებთ აღრევას, სამხედრო ოკუპაციასა და პოლიტიკური მიზნებით გამოწვეული *de facto* რეჟიმის დამყარებას შორის. ამგვარ გაურკვეველობას ადგილი ჰქონდა ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ, ეთიოპიის *de facto* ხელისუფლებად, იტალიის მთავრობის აღიარებისას, მაშინ როდესაც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ეს მთავრობა წარმოადგენდა ოკუპანტ მხარეს. სამხედრო ოკუპაციის ამგვარი ასიმილაცია *de facto* ხელისუფლებასთან, დადასტურდა საქმეში ეთიოპიის ბანკი, ეგვიპტისა და ლიგურის ეროვნული ბანკების წინააღმდეგ.<sup>380</sup> ეს წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება გახდა საერთაშორისო სამართლის მკვლევართა მკაცრი კრიტიკის საგანი, ვინაიდან *de facto* ხელისუფლება შედეგია შიდასახელმწიფოებრივი დისპუტისა თუ სამოქალაქო ომისა, მაშინ როდესაც, სამხედრო ოკუპაცია საერთაშორისო კონფლიქტის შედეგია. *de facto* ხელისუფლებას, განზრახული აქვს *de jure* ხელისუფლების დამხობა სუვერენიტეტის დაუფლების მიზნით, მაშინ როდესაც ოკუპაცია საბოლოოდ მშვიდობის დამყარებით მთავრდება და ოკუპირებული სახელმწიფოს სუვერენიტეტს უცვლელს ტოვებს. სამხედრო ოკუპაცია შეიძლება გაგრძელდეს მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში *de facto* რეჟიმის საფარქვეშ და გაქრობით დაემუქროს არსებული საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სუვერენულ არსებობას ან შეაჩეროს იგი სუბიექტის გარკვეულ ტერიტორიაზე. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს იაპონიის მმართველობის ქვეშ ჩამოყალიბებული მარიონეტული „მანჯურიის სახელმწიფო“, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, შეფასდა 1928 წლის კელოგ-ბრიანის პარიზის პაქტის დარღვევად და ბიძგი მისცა სტიმსონის დოქტრინის (*Stimson doctrine*) მიღებას, რომელიც ეწინააღმდეგება ძალის გამოყენების

---

<sup>379</sup> J. van Essen, *De Facto Regimes in International Law*. Merkourios 2012 – International and European Security Law – Vol.28/74. p. 33.

<sup>380</sup> *Bank of Ethiopia v. National Bank of Egypt and Liguori*

შედეგად საერთაშორისო ტერიტორიული ცვლილებების და *de facto* ვითარებების აღიარებას. XX საუკუნის ოცდაათიანი წლების შემდეგ დამკვიდრებული სახელმწიფოთა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ძალის უკანონო გამოყენების შედეგად განხორციელებული სახელმწიფო ტერიტორიის ანექსია, არ იწვევს სახელმწიფოს გაქრობას საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამყარდება თუ მართებულად მივიჩნევთ, რომ თანამედროვე ესტონეთი, ლიტვა და ლატვია იგივე იდენტურობის მქონე სახელმწიფოებია, რომლებიც 1940 წელს, საბჭოთა კავშირის მიერ იქნა ანექსირებული.<sup>381</sup> ყურადსაღებია სირიის იდენტურობისა და კონტინუიტეტის მაგალითი, იგი ცხადყოფს ნებაყოფლობით გამქრალი სახელმწიფოს იგივე სახელმწიფოდ კვლავწარმოშობის, მაშასადამე კი, აღდგენის შესაძლებლობას. სირიის გაეროს წევრად ხელახალი აღორძინება, ემყარება 1961 წელს, მის გამოყოფას გაერთიანებული არაბეთის რესპუბლიკიდან, ყოველგვარი კვლავ გაწევრიანების საჭიროების გარეშე. ამ თვალსაზრისით, ასევე აღსანიშნავია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაგალითი, რომელიც 1877 წელს, სახელმწიფოებრიობის გაუქმების მიუხედავად, მიიჩნევა 1881 წლის შემდგომ, კვლავ წარმოშობილი სახელმწიფოს იდენტურ ერთობად. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ იარსება 1852-1877 და 1881-1900 წლების პერიოდში.<sup>382</sup> იდენტურობის საკითხი უფრო მეტ ლოგიკურობას იძენს, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოთა უკანონო, მაგრამ ეფექტიან ანექსიას. ამგვარ შემთხვევებში სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივი იდენტურობის შენარჩუნება, მესამე სახელმწიფოთა მიერ ამ ერთობათა გაქრობის *De Facto* აღიარების მიუხედავად, ხდება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასეთია ეთიოპიის, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის მაგალითები.

---

<sup>381</sup> J. Crawford, *The Creation of States in International Law*. Clarendon Press, Oxford. Second Edition, 2006 p.689.

<sup>382</sup> 1881 წლის, 3 აგვისტოს პრეტორიის კონვენციის მე-10-ე მუხლი და 1884 წლის 27 თებერვლის ლონდონის კონვენციის მე-10-ე და მე-8-ე მუხლები

## თავი 4. საქართველო - საერთაშორისო სამართლის სუბიექტი

### §1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მას შემდეგ რაც XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთმა დაარღვია 1783 წელს, ერეკლე მეორესთან გაფორმებული ხელშეკრულება (ე.წ. გიორგიევსკის ტრაქტატი), მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ოკუპაცია და ანექსია. 1801 წლის, 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტის საფუძველზე,<sup>383</sup> ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა საქართველოს სახელმწიფოებრიობამ და მისმა საერთაშორისო სამართალსუბიექტობამ. საქართველოს სახელმწიფოებრიობა თავიდან იქნა მოპოვებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ. 1918 წელს, 26 მაისს, ამიერკავკასიის სეიმისა და რესპუბლიკის დაშლილად გამოცხადების შემდეგ, თბილისში, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლის ყვითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა. საღამოს 17 საათსა და 10 წუთზე, ნოე ჟორდანიამ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომლის პირველსავე მუხლში განცხადებულია: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. დოკუმენტის მე-3-ე მუხლის თანახმად, „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალური სახელმწიფოა“. მე-5-ე მუხლი აცხადებს, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.“<sup>384</sup> ამ დღიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაზე, როგორც ახალ სახელმწიფოზე, მაშასადამე კი საერთაშორისო სამართლის ახალ სუბიექტზე,

<sup>383</sup> რუსეთის იმპერატორალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტი, ქართლ-კახეთის სამეფოს (1762-1801 წწ.) გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების აქტი.

<sup>384</sup> საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წლის, 26 მაისი

პირდაპირ გავრცელებას იწყებს თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართალი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ დღეში, 1918 წლის, 28 მაისს, გერმანიის იმპერიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გემზე SS Minna Horn ფორმდება ფოთის ორმხრივი ხელშეკრულება - დროებითი შეთანხმება, რომლის ძალითაც საქართველომ მიიღო გერმანიის მფარველობა და ფაქტობრივი აღიარება.

ვფიქრობთ, მართებული იქნება თუ საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შესახებ მსჯელობას დავიწყებთ ფრანც ფონ ლისტის (F.von Liszt) სამართლებრივი დასკვნით,<sup>385</sup> ვინაიდან ეს ნაშრომი წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სამართლებრივ კვლევას, რომელიც საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას ეხება. ეს დასკვნა, ლისტმა გერმანიის მთავრობისა და საქართველოს დელეგაციის შეკვეთით მოამზადა 1918 წელს.<sup>386</sup> განიხილავს რა საქართველოს რესპუბლიკის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის აღიარების საკითხს, ლისტი მიუთითებს, რომ “გერმანიის იმპერიამ და მისმა მოკავშირეებმა, საქართველო როგორც *de facto* არსებული სახელმწიფო უკვე აღიარეს, რის შესახებაც სახელმწიფო მდივანმა კულმანმა, რაიხსტაგის ა.წ. 24 ივნისის სხდომაზე გარკვევით განაცხადა” - „*Das Deutsche Reich und seine Verbündeten haben vielmehr die Anerkennung Georgiens als eines de facto bestehenden Staates bereits vollzogen, wie das der Staatssekretär v. Kühlmann in der Sitzung des Reichstages vom 24. Juni d.J. ausdrücklich ausgesprochen hat (179. Sitzung, Seite 5609 c)*“.<sup>387</sup> აქედანვე ვგებულობთ გერმანიის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ნოტების გაცვლის შესახებ. ლისტი ხაზგამით მიუთითებს, რომ ეჭვგარეშეა გერმანიის მზადყოფნა ფორმალურადაც აღიაროს საქართველო. ამის დასტურად იგი ასახელებს ჯერ კიდევ მაისში, ბათუმის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და *de jure* აღიარების შეყოვნების მიზეზად, ასახელებს ახლად აღმოცენებული სახელმწიფოების აღიარების ფორმების მოდალობას და ამ ფორმების საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების საჭიროებას. ამგვარივეა გერმანიის

<sup>385</sup> Professor von Liszt, Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. (Ein Gutachten) – Berlin 1918.

<sup>386</sup> David Paitchadze. The Resistance Movement and the Issue of Restoration of Statehood in Georgia in 1801-1914.

European Union Foreign Affairs Journal eQuarterly for European Foreign, Foreign Trade, Development, Security Policy, EU-Third Country Relations and Regional Integration (EUFAJ) N° 02 – 2014 ISSN 2190-6122. p.34.

<sup>387</sup> Professor von Liszt, Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. (Ein Gutachten) – Berlin 1918. s.6.



დამოკიდებულება ლიტვისა და ესტონეთის მიმართაც. ლისტი დასძენს, რომ რუსეთის თანხმობა ამ საკითხთან დაკავშირებით დანამდვილებით მოსალოდნელია.<sup>388</sup> საგულისხმოა, რომ ხსენებული სამართლებრივი დასკვნა, ლისტმა მოამზადა 1918 წლის, 8 აგვისტოს, ხოლო 1918 წლის, 27 აგვისტოს, ბრესტის 1918 წლის, 3-7 მარტის ზავის რუსეთ-გერმანიის დამატებითი ხელშეკრულების მე-13-ე მუხლის საფუძველზე, „რუსეთი ეთანხმება გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას“.<sup>389</sup> გარდა ამისა, ამ დოკუმენტის საიდუმლო ოქმის მე-8-ე მუხლის თანახმად, რუსეთი იღებს ვალდებულებას არ გადაკვეთოს საქართველოს საზღვარი.<sup>390</sup> ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ამ პერიოდისათვის რუსეთი იმპლიციტურად აღიარებს მისგან დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობას.

თავის ნაშრომში ლისტი შემდეგ დასკვებამდე მიდის:<sup>391</sup>

- 1.) საქართველო დღეს უკვე თვითმყოფადი და სრულად დამოუკიდებელი, მამასადამე სუვერენული, სახელმწიფოა და როგორც ასეთს, მას აქვს სხვა სახელმწიფოებისგან საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების მოთხოვნის უფლება.
- 2.) საქართველოს რესპუბლიკა აღიარებულია გერმანიის იმპერიისა და მისი მოკავშირეების მიერ, როგორც სახელმწიფოთა გაერთიანების *de facto* არსებული ახალი წევრი, რაც უკვე ნაგულისხმევი მოქმედებებით დასტურდება .
- 3.) ფორმალური აღიარება არ დგას შორს სამართლებრივისგან და არ არის შეშფოთების მიზეზი. ეს აგრეთვე არ არის „არამეგობრული აქტი“ რუსეთის წინააღმდეგ, ვინაიდან ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება „გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირების ჩათვლით“ პირდაპირ და ხმამაღლა იქნა განცხადებული. (იგულისხმება 1917 წლის ივნისის და ოქტომბრის საბჭოების ყრილობის დადგენილება „ხალხთა თავისუფალი

<sup>388</sup> Id. s.7

<sup>389</sup> Supplementary Russian-German Treaty, August 27, 1918. XX Memorandum Appendix.(Izvestia, Sept.3,1918).

<sup>390</sup> Secret protocol to the German-Soviet Supplementary Treaties of 27 August 1918: Note from Joffe to the German Foreign Minister. (Europäische Gespräche, 1926,III,p.151.

<sup>391</sup> Professor von Liszt, Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. (Ein Gutachten) – Berlin 1918. s.4; 8.

თვითგამორკვევის“ განუყოფელი უფლების შესახებ, რომელიც განმტკიცებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 2/15 ნოემბრის განკარგულებით).

მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და იურიდიული ინსტიტუტების სტაბილურობისა, დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე დასავლეთის სახელმწიფოები, უწევდნენ რა ანგარიშს რუსეთის მიერ დაკავებულ პოზიციას, თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენდა არგენტინა, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 1919 წლის 13 სექტემბერს ცნო. 1920 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს უარი ეთქვა ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე შემდეგი ფორმულირებით - „კომისია ურჩევს კრებას შეატყობინოს საქართველოს მთავრობას: a) რომ მისი შუამდგომლობა განხილულ იქნა თანაგრძნობით (*avec faveur – with sympathy*), მაგრამ მდგომარეობა კრებას ნებას არ აძლევს გამოიტანოს საბოლოო დადგენილება. b) რომ კრების შემდგომი გადაწყვეტილებების მოლოდინში ამ სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის საერთო მნიშვნელობის ტექნიკურ ორგანიზაციებში“.<sup>392</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოებრიობა არ იყო ერთა ლიგის წევრობის წინაპირობა.<sup>393</sup> მაგალითად, ლიგის ისეთი წევრი, როგორც იყო ინდოეთი 1919 წელს, არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და განეკუთვნებოდა დიდი ბრიტანეთის მფლობელობას. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სომხეთსა და უკრაინას, რომლებიც გამოეყვნენ რუსეთის იმპერიას, ერთა ლიგის წევრობაზე უარი არა სახელმწიფოებრიობის შეუძღვარების, არამედ სტაბილურობისა და მუდმივობის ნაკლოვანების მიზეზით ეთქვა.<sup>394</sup> უფრო კონკრეტულად კი, როგორც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა, სახალხო განათლების მინისტრმა ფიშერმა განაცხადა: “სიძნელედ რჩება საქართველოს დაცვა გარეშე თავდასხმებისაგან. უნდა ანგარიში გაეწიოს ამ ქვეყნის „მდგომარეობის“ სახიფათობას. ამიტომ არ არის საფუძველი საქართველოს უპირატესობა

<sup>392</sup> გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი(2003) გვ. 175?

<sup>393</sup> ერთა ლიგის წესდება, მუხლი 1(2).

<sup>394</sup> J, Crawford, *The Creation of States in International Law*, 2006, p. 177; MW, Graham, *The League of Nations and Recognition of States*, Berkeley, University of California Press, 1935, p.26-32.

მიენიჭოს ბალტიის ქვეყნების წინაშე“.<sup>395</sup> გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლიგის წევრობაზე განცხადებულ კანდიდატურათა გასარჩევად, შედგა საერთო კრების განსაკუთრებული, 36 პირისგან დაკომპლექტებული V კომისია. საკითხი საქართველოს შესახებ გადაეცა ე.წ. III ქვეკომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ნორვეგიელი არქტიკის მკვლევარი - ფრიტიოფ ნანსენი. აღნიშნულ ქვეკომისიას უნდა შეესწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებდა კანდიდატი სახელმწიფო შემდეგ კრიტერიუმებს :

ა) ლიგაში მიღების შუამდგომლობის ფორმალური კანონიერება;

ბ) ცნობილია თუ არა *de jure/de facto* შუამდგომლობის აღმმკრელი მთავრობა და სახელდობრ, რომელი სახელმწიფოს მიერ;

გ) არის თუ არა კანდიდატი მტკიცე მთავრობისა და გარკვეული საზღვრების მქონე ერი; მდებარეობა და მოსახლეობა;

დ) აქვს თუ არა სახელმწიფოს თავისუფალი მართვა-გამგეობა;

ე) როგორია მისი განწყობა, თანახმად აქტებისა და დეკლარაციებისა, საერთაშორისო მოვალეობებისადმი...

ნანსენის ქვეკომიტეტის დასკვნა კეთილგანწყობილი აღმოჩნდა საქართველოს კანდიდატურის მიმართ. სხვა დადებით ტენდენციებთან ერთად, რესპუბლიკის მთავრობა სტაბილურად იქნა მიჩნეული. ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის განცხადებათა განხილვა გადავადებულ იქნა მათ მიერ პერმანენტულობის დემონსტრირების მომენტამდე. საქართველოს საკითხის განხილვაც მომავალი წლისათვის გადაიდო. საბოლოოდ ბალტიის ქვეყნები ლიგაში გაწევრიანდნენ მის მეორე ასამბლეაზე 1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერს. რაც შეეხება ალბანეთს, რომელმაც ლიგაში გაწევრიანების მოთხოვნა წამოაყენა, იგი მიიღეს ლიგის წევრად მიუხედავად დაუდგენელი საზღვრებისა და ხელისუფლების

---

<sup>395</sup> გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი(2003) გვ. 178.

არასტაბილურობისა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკური მიზეზებით. კერძოდ კი, ალბანეთში იუგოსლავიის შეჭრით და ამით გამოწვეული თანმდევი შედეგებით.<sup>396</sup> საგულისხმოა, რომ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ პერიოდში, ერთა ლიგა ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობას და მისი დევნილი ხელისუფლების ლეგიტიმურობას.<sup>397</sup> გარდა ამისა, ქართული ლეგაცია პარიზში 1933 წლის ივლისამდე არსებობდა. იგი გაუქმდა 1932 წლის, 29 ნოემბერს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტის დადების საფუძველზე. ამ პაქტის თანახმად, ხელმომწერ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ გაეჩერებინათ თავის ტერიტორიაზე რაიმე ორგანიზაცია წინააღმდეგი მეორისა.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის, 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების ძალით, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის *de jure* აღიარების შემდეგ, ვითარება არსებითად შეიცვალა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა *de jure* ცნეს: თურქეთმა (1918 წლის 3 ივნისი), გერმანიამ (1920 წლის 24 სექტემბერი), ბელგიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ (1921 წლის 27 იანვარი), პოლონეთმა (1921 წლის 28 იანვარი), ავსტრიამ (1921 წლის 17 თებერვალი), რუმინეთმა (1921 წლის 18 თებერვალი), ჰაიტიმ (1921 წლის 9 მარტი), მექსიკამ (1921 წლის 14 აპრილი), ლუქსემბურგმა (1921 წლის 23 თებერვალი) და სხვა. მოსკოვის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და ძირითადი ნაწილისაგან (სულ 16 მუხლი). პრეამბულაში მითითებულია ხელშეკრულების დადების ძირითადი მიზანი - „საერთო მისწრაფება ორი ქვეყნის ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ“, დასახელებულია აგრეთვე ხელმომწერი მხარეების უფლებამოსილი პირები. ძირითადი ნაწილის პირველი მუხლის თანახმად, „გამოდის რა, რუსეთის სოციალისტური ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველი პირობის გარეშე ცნობს საქართველოს

<sup>396</sup> J, Crawford, *The Creation of States in International Law*, 2006, p. 512

<sup>397</sup> League of Nations. Records of 3 rd Assembly, Minutes of the 6 th Committee (political questions). Geneva 1922, pp.38-41 and annex 12; “Documents...” pp. 25-33 and League of Nations Records of the 3 rd Assembly Plenary Meeting. Vol. I, pp. 201-203 – Geneva, 1922.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ“.<sup>398</sup> მეორე მუხლით, რუსეთი „ვალდებულია, არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში“. მესამე მუხლში მოცემულია საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიების გამმიჯნავი ხაზი, რომლის თანახმად, სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის მდინარე ფსოზე. ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ საზღვრების ზუსტად გავლება და მისი მონიშვნა რუკებზე (ე.ი. დელიმიტაცია) უნდა მოეხდინა ორმხრივ შერეულ კომისიას. მეოთხე მუხლით, რუსეთი თანახმობას გამოხატავდა, ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, საქართველოს შემადგენლობაში ელიარებინა ყოფილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ყველა ნაწილი - ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები, აგრეთვე ყოფილ კავკასიის სამეფისნაცვლოში ადრე შემავალი ტერიტორიები, რომლებიც საქართველოს მომავალში შემოუერთდებოდა. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლებით რეგულირდებოდა დიპლომატიური, სამხედრო-პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები; საქართველოსა და რუსეთს შორის მყარდებოდა ნორმალური დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები; მხარეები პატივისცემით უნდა მოპყრობოდნენ ერთმანეთის სახელმწიფო ღერბს და დროშას; ერთმანეთის ტერიტორიაზე არ უნდა დაშვებულიყო მტრული ორგანიზაციების საქმიანობა; სპეციალური შეთანხმებით უნდა მომხდარიყო რუსეთში მცხოვრები ქართველებისა და ქართული წარმოშობის მქონე პირების ოპტაცია (მოქალაქეობის არჩევა). წესდებოდა ვაჭრობის ხელშემწყობი რეჟიმი და უზაჟო სტატუსი სატრანზიტო საქონლისათვის (ამ პრინციპის რეალიზებისათვის ხელი მოეწერებოდა სპეციალურ შეთანხმებას); უნდა მოგვარებულიყო სხვადასხვა საჯარო სამოქალაქო-სამართლებრივი და კერძო სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები, მათ შორის რუსეთის ცენტრალური არქივებიდან საქართველოსთვის საჭირო დოკუმენტების გამოვლენა-დაბრუნება და სხვ. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება არ საჭიროებდა განსაკუთრებულ სარატიფიკაციო პროცედურებს და ძალაში შედიოდა მასზე ხელმოწერისთანავე.

---

<sup>398</sup> ა. სურგულაძე; ვ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია.საკითხავი წიგნი 1783-1990. თბილისი (1992) გვ.338.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება „იწონებს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ მთავრობის პოლიტიკას, კმაყოფილებას გამოსთქვამს რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარების გამო და დარწმუნებულია, რომ მთავრობა განაგრძობს სათანადო ზომების მიღებას რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მისი საზღვრების დასაცავად“.<sup>399</sup> 7 მაისის დოკუმენტის საფუძველზე, ხელი მოეწერა საქართველო-რუსეთის სავაჭრო შეთანხმებას (1920 წლის 14 ნოემბერს), მოქალაქეთა ოპტაციის შესახებ (1920 წლის 9 დეკემბერს) და სხვა ორმხრივ დოკუმენტებს. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, რადგან მოხდა თავად რუსეთის, როგორც ყოფილი მეტროპოლიის, მხრიდან, დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება. ეს დოკუმენტი საქართველოს დიპლომატიის უახლეს ისტორიაში, შეიძლება ითქვას, პირველი ჩარჩო-ხელშეკრულებათა, რომელშიც კონკრეტულადაა მოცემული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტი უცხოეთის სახელმწიფოს მიერ და იმავდროულად მკაფიოდაა დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრები. ეს ხელშეკრულება ფორმალურად მოქმედებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივად დამყარების (ოკუპაციის) შემდეგაც. ქართველმა ბოლშევიკებმა, ვიდრე საქართველო ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციასა და შემდეგ სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდოდა, რუსეთთან, საბაჟოები და სასაზღვრო-გამშვები პუნქტები სწორედ 7 მაისის დოკუმენტის მესამე მუხლში მოცემული საზღვრის თანახმად დააწესეს. ძირითადად იგივე საზღვარი დარჩა 1922 წლის შემდეგაც, როცა საქართველო უკვე ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოექცა (ოღონდ საზღვარმა უკვე მოკავშირე რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრის სტატუსი მიიღო).

1921 წლის 11-16 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარები შემოიჭრა საქართველოში.<sup>400</sup> ინტერვენცია განხორციელდა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების

<sup>399</sup> გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი(2003) გვ. 198.

<sup>400</sup> სარგის კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 გამომცემლობა „ნეკერი“ 1997. გვ.261.

დებულებების უხეში დარღვევით და რაიმე *Casus belli*-ს არსებობის გარეშე. მიუხედავად ამისა, მე-11-ე წითელი არმიის პოლიტგანყოფილებამ, საქართველოში შემოჭრის მიზეზად დაასახელა 1920 წლის, 7 მაისის საზავო ხელშეკრულების შეუსრულებლობა, კერძოდ კი გენერალ ვრანგელის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხარდაჭერა.<sup>401</sup> ლევ ტროცკი (L. Trotzki), ნაშრომში „*Zwischen Imperialismus und Revolution, Die Grundfragen der Revolution an dem Einzelbeispiel Georgiens*“ („იმპერიალიზმსა და რევოლუციას შორის, რევოლუციის ძირითადი საკითხები საქართველოს ცალკეულ მაგალითზე“), მიუთითებს, რომ საქართველოს რესპუბლიკა თავიდანვე წარმოადგენდა კომუნიზმთან ბრძოლის ფუნდამენტს. გარდა ამისა, მისივე ნარკვევიდან ჩანს, რომ 1919 წლის მიწურულს, საბჭოთა რუსეთმა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შესთავაზა სამხედრო კავშირი, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ამასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიას დამფუძნებელი კრებისადმი 1920 წლის, 14 იანვრის, თავის ცნობილ მიმართვაში აღუნიშნავს, რომ ასეთი კავშირი ევროპასთან ურთიერთობების გაწყვეტის ტოლფასი იქნებოდა და რომ საქართველოსა და რუსეთის გზები უკვე გაყოფილი იყო, „ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, ხოლო რუსეთისა აზიისაკენ... მე აღმოსავლეთის ფანატიკოსებს, დასავლეთის იმპერიალისტებს ვამჯობინებ“.<sup>402</sup> 1921 წლის, 21 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ქვეყნის კონსტიტუცია. 22 თებერვალს, საბჭოთა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ, ქემალისტური თურქეთის სახით ახალი მოკავშირე გამოუჩნდა, რომელმაც ულტიმატუმი წარუდგინა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა ქართული ჯარების ქალაქ არტაანიდან (არდაგანი) და ართვინიდან გაყვანა. 16 მარტს, თურქეთის ძალები შევიდნენ ბათუმში და განაცხადეს, რომ ანგორას დიდ ეროვნულ სათათბიროს ქალაქ ბათუმისა და მისი რაიონის თურქეთთან შეერთება გადაეწყვიტა. მათ სცადეს ძალის გამოყენებით ქალაქის დაკავება. 21 მარტს

---

<sup>401</sup> L. Trotzki, *Zwischen Imperialismus und Revolution, Die Grundfragen der Revolution an dem Einzelbeispiel Georgiens*. II Aufgabe, Hamburg 1923, s. 72-73.

<sup>402</sup> L. Trotzki, *Zwischen Imperialismus und Revolution, Die Grundfragen der Revolution an dem Einzelbeispiel Georgiens*. II Aufgabe, Hamburg 1923, s. 67-68

„ღამით ქართველმა ნაწილებმა ყოველი მხრივ შეუტყეს ოსმალთა ჯარებს, დაამარცხეს ისინი და განაიარაღეს ... ქალაქ ბათუმი ამგვარად გადარჩენილ იქნა“.<sup>403</sup>

საქართველოს მთავრობის მემორანდუმში უცხო სახელმწიფოების მთავრობებისადმი, საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის შესახებ ნათქვამია: 1) ქართველი ხალხის ნება-სურვილით დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილება გაანადგურა არა ქვეყნის შიგნით არსებულმა ხალხის უმცირესობამ, არამედ უხეშმა გარე ძალამ და დემოკრატიული რესპუბლიკა შეცვალა საბჭოთა რუსეთის წეს-წყობილების თარგზე გამოჭრილმა მმართველობამ; 2) ქართველი ხალხი თავის კანონიერ მთავრობასთან შეკავშირებულ-დარაზმული გმირულად ებრძოდა მტერს და დანებდა მას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურა წინააღმდეგობის გაწევის ყველა შესაძლებლობა; 3) ბოლშევიკების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც იძულებულია დატოვოს მშობლიური მიწა, ინარჩუნებს დამფუძნებელი კრების მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, განაგრძობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და იცავს თავისი ხალხის ინტერესებს ძლევამოსილ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.<sup>404</sup> 1921 წლის საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად, განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, რომელიც მიმდინარეობდა იმ პერიოდში საქართველოსათვის უკვე მოქმედი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების, განსაკუთრებით კი, სახმელეთო ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ ჰააგის 1907 წლის მეოთხე კონვენციის 42-ე, 43-ე, 45-ე, 46-ე, 48-ე, 55-ე და 56-ე მუხლების უხეში დარღვევით. 1921 წლის, 25 თებერვალს, წითელმა არმიამ დაიკავა თბილისი. სახელმწიფო ხელისუფლების ხელში აღების შესახებ საქართველოს ე.წ. „რევკომის“ 26 თებერვლის ბრძანებით, „სოციალისტური საბჭოთა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი შევიდა რა ... დედაქალაქში, მთელი სისრულით თავის ხელში ღებულობს

<sup>403</sup> სარგის კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 გამომცემლობა „ნეკერი“ 1997. გვ.267

<sup>404</sup> ა. სურგულაძე; პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი 1783-1990. თბილისი (1992) გვ.404-405



სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას...<sup>405</sup> 1921 წლის, 24 მარტს „რევკომმა“ დეკრეტის საფუძველზე უკანონოდ დაითხოვა საქართველოს დამფუძნებელი კრება. თუმცა საქართველოს ოკუპაცია ამით არ დამთავრებულა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყანა მხოლოდ 1921 წლის, 19 მარტს, დატოვა და დევნილობაში განაგრძო მოქმედება. 1921 წლის, 21 მაისს, გაფორმდა რუსეთ-საქართველოს „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება“. ეს მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, რევკომის მიერ ფაქტობრივი მართვის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს დაპყრობისა და ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ არ იყო შეკრებილი საქართველოს საბჭოების ყრილობა. ხოლო თავად საქართველოს რევკომი, ჩამოყალიბდა რკპ(ბ) კავშიურის მიერ 1921 წლის, 16 თებერვალს, წითელი არმიის საქართველოს ტერიტორიაზე წინსვლის კვალდაკვალ და შესაბამისად, არავითარი ლეგიტიმური უფლებამოსილება არ გააჩნდა. 1921 წლის, 21 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ 1990 წლის, 20 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებით უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა, ოკუპირებული საქართველოს საბჭოთა რუსეთთან გაერთიანების პირველ ეტაპს წარმოადგენდა.

1922 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი დამყარების ზუსტად ერთი წლისთავზე, გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა. საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა 1922 წლის, 2 მარტს. 3 მარტს ყრილობამ აირჩია საქართველოს სსრ ცაკი, რომელმაც თავის პირველ სესიაზე, 7 მარტს, შექმნა საქართველოს სსრ მთავრობა - სახალხო კომისართა საბჭო. მანამდე კი საქართველოს რესპუბლიკაში, რევკომების დეკრეტებისა და სხვა აქტების სახით, ერთი წლის მანძილზე მოქმედებდა საბჭოთა დაუწერელი კონსტიტუცია. საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია შედგებოდა 23 თავისა და 134 მუხლისაგან. კონსტიტუციის პირველივე მუხლი იურიდიულად აფორმებდა, ამტკიცებდა ქვეყნის ფაქტობრივ მდგომარეობას, სახელმწიფოს ახალ ტიპს - პროლეტარიატის

---

<sup>405</sup> საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978) თბილისი 1983, გვ 17

დიქტატურის არსებობას. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისას გამოიყენეს საბჭოთა რუსეთის არსებობის 3-4 წლის გამოცდილება, აგრეთვე, პირველი (1918 წლის) საბჭოთა კონსტიტუციის, უკრაინისა და ბელორუსიის სოციალისტური რესპუბლიკების გამოცდილება და მათი კონსტიტუციებით დადგენილი პრინციპები. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ კონსტიტუციის მე-5-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, არც თვითონ განავრცელებს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე.“ ამ დებულებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში რევოლუცია განხორციელდა და საქმე გვექონდა ხელისუფლების ცვლასთან, სახელმწიფო ჯერ კიდევ ინარჩუნებს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას. გარდა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დებულებისა, ამის მტკიცება შესაძლებელი იქნებოდა იმითაც, რომ 1922 წლის 12 მარტს, ამიერკავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის გაფორმების უფლებამოსილება, მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს გააჩნდათ. გარდა ამისა, 1922 წლის, 16 აპრილს, გერმანიასა და რსფსრ-ს შორის გაფორმდა რაპალოს ხელშეკრულება, რომლითაც ორთავე მხარემ უარი თქვა ბრესტის ზავის პირობებზე. ამავე წლის 5 ნოემბერს, მხარეთა შორის დაიდო რაპალოს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება, რომლის 1 მუხლის შესაბამისად, გერმანია აღიარებდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა (სხვა რესპუბლიკებთან ერთად) და რსფსრ-ს მოკავშირეობას. მართალია ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, გერმანია საქართველოს „რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოდ“ აღიარებს, რაც იმას მოწმობს, რომ ხელშეკრულების ძალით გერმანია აღიარებს საქართველოს გასაბჭოებას, ე.ი. რევოლუციური გზით საქართველოში ხელისუფლების შეცვლას, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად რაპალოს ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს სსრ-ს ამიერკავკასიის სფსრ-ში გაწევრიანებამდე და საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი კიდევ ერთხელ ადასტურებდა საქართველოს

საერთაშორისო სამართალსუბიექტობის არსებობას, ვინაიდან როგორც ზემოთ ვნახეთ,<sup>406</sup> საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში გავრცელებული კონტინუიტეტის განსაზღვრების თანახმად, სახელმწიფოს სამართალსუბიექტობა იდენტურია ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი ცვლილებების მიუხედავად. 1922 წლის, 13 დეკემბერს, ბაქოში, ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა დეკლარაცია და ხელშეკრულება ა/კ სფსრ შექმნის შესახებ და ამავე დღეს მიიღო მისი პირველი კონსტიტუცია. 1922 წლის დეკემბერში, საქართველოს სსრ, ა/კ სფსრ-ს მეშვეობით შევიდა - სსრ კავშირში, ამ უკანასკნელის შექმნის შესახებ 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>407</sup> გასათვალისწინებელია, რომ ამგვარად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არა მხოლოდ გაწევრიანდა სსრკ-ში, არამედ როგორც ა/კ სფსრ-ს წევრი სუბიექტი, რსფსრ-ს, უკრაინის სსრ-ს და ბელორუსიის სსრ-სთან ერთად იქცა საბჭოთა კავშირის დამფუძნებლად.

თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საერთაშორისო კონფლიქტის შედეგად გახდა სამხედრო ოკუპაციის მსხვერპლი. არავითარ რევოლუციას საქართველოში ადგილი არ ჰქონია. გარდა ზემოთქმულისა, ამ ფაქტს აგრეთვე ადასტურებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1921 წლის, 26 იანვრის დადგენილება, რომელმაც მოიწონა ვლადიმერ ლენინის წინადადება საქართველოს საქმეებში „სამხედრო ჩარევის“ თაობაზე (ე.წ. ჩიჩერინის ხაზი).<sup>408</sup> მზადება დაეწყო საქართველოსთან ომისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ წინადადებას ხორცი შეასხა იოსებ სტალინის 1921 წლის, 28 იანვრის დეკრეტმა საქართველოში სამხედრო ჩარევის, ოკუპაციისა და 16 თებერვალს, თბილისზე შეტევის დაწყების შესახებ, რომლის ადრესატი იყო სერგო

---

<sup>406</sup> აქვე, გვ 150.

<sup>407</sup> საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978) თბილისი 1983, გვ 7-8.

<sup>408</sup> ფ.ლომაშვილი, საქართველოს ისტორია 1918-1991, „განათლება“, თბილისი (1999) გვ.57.

ორჯონიკიძე.<sup>409</sup> 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ისე გამოცხადდა, რომ საქართველოში საბჭოები არ არსებობდა.<sup>410</sup>

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სამხედრო ოკუპაციის შემდეგ, წინ ელოდა ფაქტობრივი ანექსია და ამ ანექსიის დაკანონების მცდელობა. საქართველოს სსსრკ-ში უკანონო გაწვევრიანებამ შედეგად გამოიღო მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ფაქტობრივი შეწყვეტა. თავად ანექსიის პროცესი ხანგრძლივი აღმოჩნდა და შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო სახით 1936 წელს, სსრკ კონსტიტუციის დამტკიცებით ჩამოყალიბდა. ანექსიის პროცესის, 1936 წელს დასრულების განმაპირობებელ ძირითად მიზეზად, შეიძლება დასახელდეს ამ პერიოდისათვის საფრანგეთში საქართველოს ლეგაციის გაუქმება, რასაც ადგილი ჰქონდა 1933 წელს. საქმე ის არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უკანასკნელ დაბრკოლებას წარმოადგენდა საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის გაუქმების გზაზე. ლეგაციის გაუქმებით არსებობა შეწყვეტა სახელმწიფოს, მაშასადამე კი, საერთაშორისო სამართალის სუბიექტის უკანასკნელმა კომპონენტმა - სახელმწიფოს ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოებრივი სუბიექტის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებდა. 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, არ მოუწერა რა ხელი კაპიტულაციასაზე საბჭოთა რუსეთს, *de jure* შეუნარჩუნა არსებობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რითაც იურიდიული საფუძველი გამოაცალა საქართველოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით დამყარებული წყობის კანონიერ არსებობას. საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ოფიციალურ განცხადებებში, მოხსენიებით ბარათებსა თუ მემორანდუმებში, 1921 წლის თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით, საბჭოთა რუსეთის მთავრობას ბრალი ედება იმაში, რომ მან უხეშად დაარღვია დამოუკიდებელი და სუვერენული რესპუბლიკის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსი, უგულვებელყო მის

<sup>409</sup> ფ.ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, „გამომცემლობა განათლება“ თბილისი (2000) გვ.148-149

<sup>410</sup> ფ.ლომაშვილი, საქართველოს ისტორია 1918-1991, „განათლება“, თბილისი (1999) გვ.76. (ფილიპე მახარაძის 1921 წლის, 6 დეკემბრის, მოხსენებითი ბარათი ვლადიმერ ლენინისადმი, „საქართველოში მუშაობის შესახებ“).

მიერვე დადებული ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი და დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება. ეს მოხდა რაიმე სერიოზული მიზეზის არსებობის გარეშე, ომის გამოუცხადებლად. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დამხობასა და საქართველოს ფაქტობრივ ანექსიას მოჰყვა ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების უგულვებელყოფა, მას თავს მოახვიეს ისეთი პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, ეკონომიკური სისტემა, რომელიც უცხო იყო მისთვის. უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია განხორციელდა ფინეთის ცრუ რევოლუციის მსგავსი სცენარით (რუსეთ - ფინეთის 1939-1940 ომი და ე.წ. კუუსინენის ეპიზოდი), როდესაც საბჭოთა კავშირი შეიჭრა ფინეთში, ამავდროულად კი „ფინეთის სახალხო მთავრობა“ ოტო კუუსინენის მეთაურობით ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაში. სამწუხაროდ, პრაგმატული პოლიტიკური მოსაზრებების გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებული ანალოგიური ქმედებების შემთხვევაში, საერთაშორისო თემობის მხრიდან არ მოჰყოლია შესატყვისი ქმედითი რეაქცია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ იდენტურ ვითარებას შორის ის არის, რომ რუსეთ-ფინეთის ომი განხორციელდა პარიზის პაქტის მიღების შემდეგ, რამაც საფუძველი დაუდო საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპის საყოველთაო აღიარებას. აგრეთვე ის, რომ ამ ომის შედეგად ვერ მოხერხდა ფინეთის სრული ანექსია.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რევოლუციური მოძრაობა ინსპირირებული და მხარდაჭერილი იყო უცხო სახელმწიფოს მიერ, წარმოსახვით რევოლუციას, სამხედრო ინტერვენციის მხარდაჭერით ახორციელებდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები და ოფიციალურ ორგანოები, საქმე გვაქვს ოკუპაციასთან და არა რევოლუციასთან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის მომენტისათვის, სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო პრინციპი, ცივილიზებულ ერთა შორის მოქმედი ჩვეულებითი სამართლის

პრინციპების გარდა, ასახული იყო ხელშეკრულებით საერთაშორისო სამართალში. კერძოდ 1920 წლის, 7 მაისის, რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებაში, 1921 წლის, 18 მარტის, რიგის სამშვიდობო ხელშეკრულების მე-5-ე მუხლში, აგრეთვე 1921 წლის, 26 თებერვლის რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულების მე-4-ე მუხლში. გარდა ამისა, 1919 წლის, 5 ოქტომბერს, ლენინმა საჯაროდ გასცა გარანტია, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან უცხო სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.<sup>411</sup> აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოკუპაციითა და მისი ფაქტობრივი ანექსიით, ხელყოფილ იქნა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ 1790 წლის, 22-27 მაისის დეკრეტით გამოცხადებული საზღვრების ურღვეობის პრინციპი და რაც მთავარია, თავად ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ სამშვიდობო დეკრეტით გამოცხადებული მოწოდება ყველა ერისა და ხელისუფლებისადმი, მოლაპარაკება დაეწყოთ ანექსიისგან თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული მსოფლიოს ჩამოყალიბების შესახებ. ეს მოწოდება ითვალისწინებდა უცხო ტერიტორიების ძალისმიერი მიტაცების პოლიტიკაზე უარის თქმას.<sup>412</sup> ასევე საგულისხმოა, რომ ამ პერიოდისათვის, ვერსალის 1919 წლის, 28 ივნისის ხელშეკრულების 231-ე მუხლი, უკვე ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას აგრესიული ომის წარმართვისათვის. ხელშეკრულების სწორად ამ მუხლმა შემოიტანა აგრესიის კონცეფცია საერთაშორისო პოზიტიურ სამართალში. გარდა ამისა, ვერსალის ხელშეკრულების 227-ე მუხლი, აწესებდა პასუხისმგებლობას ხელშეკრულებათა სიწმინდის შეზღავანისათვის. ამ მუხლში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპზე. დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის, 7 მაისის საზავო ხელშეკრულების დარღვევით განხორციელებული სამხედრო ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი, *pacta sunt servanda* პრინციპის დარღვევას.

<sup>411</sup> В.И. Ленин, Полн.собр.соч. Т.35. С.13-14.

<sup>412</sup> В.И. Ленин Полн.собр.соч. Т.35. С.13-14.

ლუი ლე ფური (L.le Fur), განიხილავს რა საქართველოს ოკუპაციის საკითხს, წერს: „...არიან იურისტები, რომლებიც უარყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობას (საუბარია 1801-1918 წლებში არსებულ მდგომარეობაზე. ჩანართი ნ. თოფურიძე). ამ იურიდიულ არგუმენტაციას ისინი უპირდაპირებენ „ფაქტის ნორმატივულ ძალას“ (*normative kraft des faktischen*); ფაქტი ჰქმნის და სპობს უფლებასო. ის ფაქტი, რომ რუსეთმა, ერთ საუკუნეზე მეტია, დაიპყრო საქართველო და მფარველობაში ყოფილი სამეფო გადააქცია რუსეთის გუბერნიებად, - საკმაოა იმისათვის, რომ დაუკარგოს ძალა წინანდელ ხელშეკრულებებს და შექმნას ახალი იურიდიული მდგომარეობაო. ეს ნიშნავს ვადის გადასულობის ცნების შეტანას საერთაშორისო უფლებაში. ხოლო ჩვენ არ გვინდა აქ ვიდავოთ ამ საკითხზე და რაც უნდა მოსაზრებანი იქნეს წარმოდგენილი ამის თაობაზე, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ პოზიტივურ საერთაშორისო უფლებას ვადის გადასულობის (ფლობელობის ხანგრძლივობის) ცნება არასოდეს დაუმუშავებია“.<sup>413</sup> ლე ფური დასძენს, რომ არიან ავტორები, რომელთაც სურთ საერთაშორისო სამართალში დაამკვიდრონ ხანგრძლივი მფლობელობის საფუძველზე ტერიტორიის შექმნის კონცეფცია, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო სამართლის საერთო ინსტიტუტი, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალს არ მოეპოვება ხანგრძლივი მფლობელობის შესახებ არავითარი გარკვეული წესი, თუ როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული. მისი მტკიცებით, ამგვარი დაშვების აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ მფლობელობა იყოს მშვიდობიანი და შეუწყვეტელი, რომელიც გულისხმობს პრაქტიკულად შემოერთებული ხალხის დათანხმებას, სულ მცირე დუმილში გამოხატულს. ხოლო არამშვიდობიანი მფლობელობა, რომელიც მხოლოდ ძალას ემყარება, მნიშვნელობას უკარგავს დროს.<sup>414</sup> ამ პოზიციის გასამყარებლად, ავტორი იშველიებს ელინეკის მოსაზრებას, რომლის თანახმად „უნდა კარგად გავარჩიოთ თვალსაზრისი პოლიტიკური და თვალსაზრისი იურიდიული. იურიდიულ დამოუკიდებლობას შეუძლია სრული თანაარსებობა მეტად ფართო პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან. ამ განსხვავებას, პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდი

<sup>413</sup> Louis le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება(თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933) გვ13).

<sup>414</sup> Ibid.გვ.15.

მნიშვნელობა აქვს: როცა სახელმწიფო იურიდიულად დამოუკიდებელია, რაც უნდა ძლიერი იყოს მისი ფაქტიური დამოკიდებულება, იგი სუვერენულია და შეუძლია მოითხოვოს ყველა ის უფლება, რომელიც მას ეკუთვნის საერთაშორისო სამართლით“.<sup>415</sup> ლე ფურის თვალსაზრისით, მიუხედავად ფაქტიური მდგომარეობისა, საქართველომ შეინარჩუნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს იურიდიული სტატუსი, რითიც მოიპოვა სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივი აღდგენის და სამართალსუბიექტობის გაგრძელების უფლება. ამ შემთხვევაში კი, საკითხი დგას არა ახალი სახელმწიფოს შექმნისა, არამედ წინათ არსებული სახელმწიფოს აღდგენისა, რასაც ელინეკი მართებულად უწოდებს „საერთაშორისო სამართალსუბიექტობის აღდგენას“ „*Das Wiederaufleben einer Völkerrechtlichen Persönlichkeit*“.<sup>416</sup> ზემოხსენებულ ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს შემთხვევაში, 1918 წლამდე მდგომარეობით, საქმე გვაქვს უკვე წინათ არსებულ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენასთან (საუბარია 1801 წლამდე არსებულ სახელმწიფოზე). მისი არსებობის განგრძობა, ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფოს იმ ორი არსებითი ელემენტის მუდმივობით, რომელთაც წარმოადგენს ტერიტორია და მოსახლეობა. სრულიად სუვერენული სახელმწიფოს შესადგენად საქართველოს აკლდა სახელმწიფოს მესამე მთავარი ელემენტი - სუვერენული მმართველობა. საქართველოში რუსული ხელისუფლების დამხობამ და საქართველოს მთავრობის მოწყობამ, შეავსეს ეს ნაკლი და ამ რიგად საქართველოს აღდგენა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, გახდა შესრულებული ფაქტი. ლე ფურს აქ მოჰყავს პოლონეთის, ირლანდიის და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრიობის აღდგენის ანალოგიური მაგალითები. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ თავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ, 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში, არ არის განცხადებული 1801 წლამდე არსებული სახელმწიფოს კონტინუიტეტი. რაც შეეხება 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს სამხედრო ოკუპაციას და ოკუპაციის

---

<sup>415</sup> G.Iellinek, L'Etat modern et son droit, ნაწ.2, Theorie juridique de l'Etat, გვ.507. Louis le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება(თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933) გვ16)

<sup>416</sup> ელინეკი, სახელმწიფოს საზოგადო თეორია, ნაწ.1. გვ 440; Louis le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება (თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933) გვ17).



შემდგომ პერიოდს, ლე ფური დაასკვნის, რომ საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობა „შემოსეულ სახელმწიფოსი, საქართველოს მიმართ წარმოადგენს წმინდა ფაქტის მდგომარეობას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძალადობის ფაქტის მდგომარეობას, რომელიც დაგმობილია თანამედროვე საერთაშორისო უფლებებით. საქართველოს დამოუკიდებლობა უფლებრივად განაგრძობს არსებობას; იგი მოწოდებულია, გაცოცხლდეს კვლავ, როგორც კი მოისპობა ის დაბრკოლება ფაქტიური, რომელიც წინ ელობება.“<sup>417</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის მომენტისათვის, წარმოადგენდა სრულფასოვან საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, როგორც დეკლარაციული, ისე კონსტიტუციური თეორიების მიხედვით და მასზე ვრცელდებოდა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები

## **§2. იდენტურობა და კონტინუიტეტი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის**

1990 წლის, 9 მარტს, საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე XIII სესიაზე, მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: “საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს...; საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის

---

<sup>417</sup> Louis le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება(თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933) გვ31.

საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის; 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ; ... დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია“. ამრიგად, 1921 წელს განხორციელებული კომუნისტური აგრესიის გზით, ხელისუფლებაში მოსულთა სამართალმემკვიდრის - საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ, საქართველოში ძალით დამყარებული თითქმის 70 წლიანი მმართველობა გამოცხადდა უკანონოდ. ეს აისახა კიდევ 1990 წლის, 20 ივნისის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებაში, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: „ ... აღნიშნავს რა, რომ ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება (რევოლუციური კომიტეტები), ხოლო შემდეგ შეზღუდული, ვიწრო კლასობრივ საწყისებზე აგებული საბჭოები - არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სხვა სამართლებრივი დაწესებულებებით...“<sup>418</sup>

1990 წლის, 20 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები - რევოლუციური კომიტეტები და საბჭოები, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს. უკანონოდ და ბათილად გამოაცხადა ყველა აქტი, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ინსტიტუტებს. საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ აღიარა მრავალპარტიული არჩევნები და მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა, დაკანონებული იქნებოდა არა როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფორმალური გამგრძელებელი, არამედ როგორც

---

<sup>418</sup> გაზეთი „კომუნისტი“-1990 წელი, 10 მარტი, N57.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის, 28 ოქტომბერს. ყოველივე აღნიშნული, გახდა საქართველოში ახალი, კანონიერი, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების სამართლებრივი და იურიდიული საფუძველი. 1990 წლის, 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის პირველი მოწვევის, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირველი სესია. პირველივე სესიაზე, მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“. ამ კანონით, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები, ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

1. პრემიულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წლებში), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, საქართველოს სსრ რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“....

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“.

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი“.

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტის შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში - ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ - ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი“.

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე - დროშის სიგრძის 2/5“...

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია...<sup>419</sup>

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შეუდგა მუშაობას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით ყოფნის პერიოდში დანერგილი სისტემის აღმოსაფხვრელად:

- შეიქმნა: საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია (1990 წ. 15 ნოემბერი);
- მიღებულ იქნა კანონი - „რეფერენდუმის შესახებ“ (1991 წ. 29 იანვარი)
- საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერებულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება (1990 წ. 15 ნოემბერი);
- მიღებულ იქნა დადგენილება: „შინაგან ჯარში - ეროვნულ გვარდიაში გაწვევის დროებითი დებულებების შესახებ“ (1991 წ. 29 იანვარი);

1991 წლის, 31 მარტს, საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი - საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. რეფერენდუმის ერთადერთი კითხვა იყო: „გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის, 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმზე დასმული ეს კითხვა, თავისი ფორმულირებით სვამს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საქართველოს რესპუბლიკის იდენტურობისა და მისი კონტინუიტეტის საკითხს. 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს მოსახლეობამ, საყოველთაო რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის, 26 მაისის აქტის საფუძველზე, რითიც პირდაპირ გამომჟღავნდა საქართველოს ხალხის ნება აღედგინა

<sup>419</sup> გაზეთი „ახალი საქართველო“-1990.-15 ნოემბერი.- N2-3 (21011).-გვ. 2.

უკანონოდ ხელყოფილი სახელმწიფოებრიობა. 1991 წლის 5 აპრილს, გამოქვეყნდა 31 მარტს გამართული რეფერენდუმის შემაჯამებელი შედეგები, რომლის მიხედვით:

- ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოში შეადგენდა: 3 657 477;
- რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა: 3 302 572 (90,3 %);
- საკითხის დადებითად გადაწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა („დიახ“): 3 266 265, რაც შეადგენს რეფერენდუმის მონაწილეთა 98,9 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3 %-ს;
- საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა („არა“): 17 400, რაც შეადგენს რეფერენდუმში მონაწილეთა 0,53 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 0,48 %-ს.

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს, 12:30 სთ-ზე თბილისში, მთავრობის სასახლეში მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ნათქვამია: „...საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია...“

გარდა ამისა, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით გამოცხადებულ იქნა, რომ „საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და



აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება...”

ყველაზე ყურადსაღები კი ამ დეკლარაციაში ის არის, რომ იგი ეყრდნობა 1991 წლის, 31 მარტს, რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინოს 1918 წლის, 26 მაისის აქტის საფუძველზე. ეს ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა, თავისი სუვერენული ნების გამოხატულებით, საკუთარი სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ახდენს მასთან იდენტიფიცირებას სახელმწიფო კონტინუიტეტის საფუძველზე.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ აგრეთვე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“ (1991 წლის 9 სექტემბერი), რომელსაც მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ“, რომელშიც ვკითხულობთ: „ვინაიდან 1921 წ. თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა წითელი არმიის შეიარაღებული აგრესიის ძალის მეოხებით, რომელიც დღემდე იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ემორჩილება მხოლოდ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

- 1) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად.
- 2) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან საქართველოს ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.
- 3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგან მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში“.<sup>420</sup>

<sup>420</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991.17 სექტემბერი. – N180 (200). გვ.2.

მიღებულ იქნა აგრეთვე საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ“ (1991 წლის 5 სექტემბერი); „სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს წილის შესახებ“; „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“; „საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ“ კანონები (1991 წლის 15 სექტემბერი) და სხვა.

ამავე პერიოდში საქართველოს უზენაესი საბჭო იღებს დადგენილებებს „ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ“; ჰელსინკის: „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტთან“ და ვენის: „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან“ საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ (1991 წლის 15 სექტემბერი).

1991 წლის, 9 აპრილის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან იდენტურობისა და მისი კონტინუიტეტის საფუძველზე აღიდგინა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა და მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი. აღიარა საერთაშორისო სამართლის პრიმატი და დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ, დაიქვემდებარა მთელი ქვეყნის მუნიციპალური და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის შეიარაღებული ძალები, რითაც დააწესა კონტროლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აიღო სრული პასუხისმგებლობა სახელმწიფო მართვაზე. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩებოდა გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებდა საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების ყველაზე მტკიცე გარანტია იქნებოდა. ამ მომენტისათვის, საქართველოს

რესპუბლიკა ფორმალურად ჯერ კიდევ რჩება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ქვეყანაში მოქმედებს 1978 წლის კონსტიტუცია, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის, 14 ნოემბერს, მასში განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით. საქართველოს რესპუბლიკა უკვე რეალურად სარგებლობს უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარების უფლებამოსილებით, რასაც მას ფორმალურად, 1977 წლის, სსრკ კონსტიტუციის მე-80-ე მუხლი და 1978 წლის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28-ე მუხლიც ანიჭებდა.

1991 წლის დეკემბერს, იწყება საბჭოთა კავშირის ფორმალური დაშლის პროცესი. 1991 წლის 8 დეკემბერს, ბელორუსიაში, კერძოდ კი ბელოვეჟში (ვისკული), სამი საკავშირო რესპუბლიკის (რსფსრ, ბსსრ, უსსრ) მეთაურებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ. მის პრეამბულაში დაფიქსირებული იყო, რომ საბჭოთა კავშირი (სსრკ), როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი წყვეტდა არსებობას. რუსეთის ფედერაციის მიერ, ეს შეთანხმება რატიფიცირებულ იქნა 1991 წლის, 12 დეკემბერს, ფედერაციის უმაღლესი საბჭოს მიერ, დადგენილებით N2014-I. რის შემდეგაც რსფსრ-ს უმაღლესმა საბჭომ იქვე მიიღო დადგენილება, საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის, 30 დეკემბრის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ. თუმცა ზოგიერთი იურისტი მიიჩნევს, რომ ამ დადგენილებას იმთავითვე არ ჰქონდა იურიდიულ მნიშვნელობა, ვინაიდან თავად ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა ჯერ კიდევ 1924 წელს, გახდა რა საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი.<sup>421</sup> საინტერესოა, რომ ამ დღეს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, ჯეიმს ბეიკერ მესამემ, პრინსტონის უნივერსიტეტში, ალექსანრედ ჰოლში, წარმოთქვა თავისი ცნობილი საზეიმო სიტყვა საბჭოთა კავშირის დაშლასთან, ცივი ომის დასრულებასა და პოსტსაბჭოთა პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.<sup>422</sup> თავის სიტყვაში, სახელმწიფო მდივანი, მიმდინარე პროცესებს „რუსეთში მიმდინარე რევოლუციად“ აფასებს. ბეიკერის ზემოხსენებულ მიმართვაში, საქართველოს რესპუბლიკის

<sup>421</sup> (E. A. Лукьянова, Российская государственность и конституционное законодательство в России (1917—1993).

<sup>422</sup> <https://blogs.princeton.edu/reelmudd/2011/03/james-baker-about-post-soviet-policy-1991/> (2015 წლის, 22

ივლისის მდგომარეობით.)

ხელისუფლება და მისი მოქმედებები შეფასდა როგორც ავტორიტარული, რაც გამორიცხავდა მასთან აშშ-სა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა თანამშრომლობას.<sup>423</sup> 1991 წლის, 21 დეკემბერს, ბელოვეჟის შეთანხმებას შეუერთდა აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი. მათ, ალმა-ათაში რუსეთთან, ბელორუსეთსა და უკრაინასთან ერთად ხელი მოაწერეს დეკლარაციას დსთ-ს მიზნებისა და პრინციპების შესახებ. ზოგიერთი იურისტი სწორად ამ დღეს მიიჩნევს საბჭოთა კავშირის დაშლის თარიღად.<sup>424</sup> თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ფორმალურად, საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ხელისუფლების ორგანოებმა, არსებობა შეწყვიტეს 1991 წლის, 25-26 დეკემბერს. ამავე დღეს დაეშვა საბჭოთა კავშირის დროშა.

საქართველოს რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირის დაშლის გაფორმების ზემოხსენებულ პროცესებსა და დსთ-ს შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია. ეს ფაქტობრივი გარემოება პირდაპირ უკავშირდება 1991 წლის, 22 დეკემბერს, თბილისში სამხედრო გადატრიალებისა და საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყებას. რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოს რესპუბლიკის იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, უარი განაცხადა შეერთებოდა ალმა-ათის 1991 წლის, 21 დეკემბრის დეკლარაციას დსთ-ს მიზნებისა და პრინციპების შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა, ემიჯნებოდა „რუსეთში მიმდინარე რევოლუციას“ და ამ სახით საბჭოთა კავშირის დემონტაჟში მონაწილეობის მიღებას. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამგრძელებელი სახელმწიფოს ხელისუფლებას, თავიდანვე განზრახული ჰქონდა ჩაეტარებინა თანასწორუფლებიანი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე ახალ სახელმწიფოებთან,<sup>425</sup> რაც დაემყარებოდა არსებული საზღვრების ხელშეუხებლობის - *Uti possidetis juris* პრინციპს, მეგობრობისა და

---

<sup>423</sup> <https://blogs.princeton.edu/reelmudd/2011/03/james-baker-about-post-soviet-policy-1991/> (2015 წლის, 22 ივლისის მდგომარეობით. 27.03-27.16).

<sup>424</sup> П.П. Кремнев. Диссертация - Образование и прекращение существования СССР как субъекта Международного Права. 2000г.

<sup>425</sup> საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს. (გაზ. საქართველოს რესპუბლიკა. 1991, 11 ივნისი.-N 114 (134)-1გვ.

კეთილმეზობლობის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. იგი უარს აცხადებდა საერთაშორისო სამართლის ასპარეზზე გამოსულიყო საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე „ახალ სახელმწიფოდ“. ბელოვეჟში და ალმა-ათაში მიღებული დოკუმენტები რესპუბლიკებს სწორად საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე „ახალი სახელმწიფოების“ სტატუსს სთავაზობდა.<sup>426</sup>

1991 წლის, 22 დეკემბერს, დილის 8 საათზე თბილისში დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხი. 1992 წლის, 2 იანვარს, სამხედრო გადატრიალების ლიდერებმა ჩამოაყალიბეს დროებითი არაკონსტიტუციური ორგანო, რომელსაც უწოდეს „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო“. სამხედრო საბჭომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება.<sup>427</sup> 1992 წლის, 21 თებერვალს, სამხედრო საბჭომ გამოსცა დეკლარაცია,<sup>428</sup> რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს პრეზიდენტი გამოცხადდა საქართველოს სსრ სამართალმემკვიდრეებად და პრეზიდენტს ბრალი დაედო ავტორიტარულ მმართველობასა და ხელისუფლების უზურპაციაში. ამავე დეკლარაციით, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამხედრო საბჭომ აღდგენილად გამოაცხადა 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და 1992 წლის შემოდგომაზე დანიშნა საპარლამენტო არჩევნები. როგორც ვხედავთ, 1991 წლის ბოლოს „...არაკონსტიტუციური გზით ხდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ვადამდე ადრე ფაქტობრივი შეწყვეტა, იქმნება სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა. გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია და მის საფუძველზე მიღებული ზოგიერთი კანონი

---

<sup>426</sup> იხ. დსთ-ს შექმნის შესახებ 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების მე-12-ე მუხლი (<http://www.rusarchives.ru/statehood/10-12-soglashenie-sng.shtml>) და ალმა-ათას 1991 წლის 21 დეკემბრის დეკლარაციის ბოლოსწინა აზვაცი ( <http://gaidar-arc.ru/file/bulletin-1/DEFAULT/org.stretto.plugins.bulletin.core.Article/file/2880> ). (ბმულები 2015 წლის 23 ივლისის მდგომარეობით).

<sup>427</sup> საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. თბილისი, 1992 წლის 2 იანვარი. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N1 1991, 1992 წლის 8 იანვარი.)

<sup>428</sup> საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია .1992 წლის 21 თებერვალი. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N 36, 1992 წლის 25 თებერვალი).

ძალადაკარგულად ცხადდება, ხოლო 1992 წლის, 21 თებერვალს, სამხედრო საბჭო იღებს დეკლარაციას საქართველოს 1921 წლის, 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე<sup>429</sup> 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუცია თავისი შინაარსის მიხედვით, იურიდიული თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად სრულყოფილი იყო, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების მოცემულ ეტაპზე არსებული სინამდვილისათვის უკვე შეუსაბამო ნორმატიულ აქტს წარმოადგენდა, რაც აშკარად გამომჟღავნდა აღნიშნულ პერიოდში“<sup>430</sup> ამ მოსაზრებას შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ხსენებული კონსტიტუციის მოქმედების ამგვარად აღდგენა, აშკარა უკანონობით იყო აღბეჭდილი. 1992 წლის, 10 მარტს, სამხედრო საბჭომ ხელისუფლება გადააბარა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, რომელშიც პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა გაერთიანდა. საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე, თავდაპირველად სამხედრო, შემდეგ კი სახელმწიფო საბჭოს სახით, დამყარდა de facto ხელისუფლება. 22 დეკემბრის საომარ მოქმედებებში, ნათლად გამოიკვეთა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალთა მონაწილეობა. 1921 წლის, აშკარა და დაუფარავი ოკუპაციისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები, ამჟამად ირიბი ფორმით მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებებში, რაც გამოიხატებოდა მეამბოხეთა შეიარაღებით მომარაგებასა და სამხედრო ინსტრუქტორებით დახმარებაში. კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს 1921 წლისა და 1991 წლის მოვლენებს ის არის, რომ 1991 წელს, გამოიკვეთა სამხედრო გადატრიალების მხარდაჭერა რესპუბლიკის მოქალაქეთა ნაწილის მხრიდან, რაც განპირობებული იყო ხელისუფლების მოქმედებებით ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნაწილის უკმაყოფილებით.

1991 წლის, 25 დეკემბრამდე (საბჭოთა კავშირის ფორმალურად დაშლის თარიღი), საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა რამდენიმე საერთაშორისო სამართლის

<sup>429</sup> კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2005.(საავტორო კოლექტივი: ა. დემეტრაშვილი, მ. კვაჭაძე, კ. კუბლაშვილი, დ. ლოსაბერიძე, ზ. რუხაძე, ვ. ხმალაძე, ზ. ჯიბლაშვილი). გვ. 69.

<sup>430</sup> პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2002 წ. გვ. 54

სუბიექტმა, ესენია - რუმინეთი,(1991 წლის 27 აგვისტო), თურქეთი (1991 წლის 16 დეკემბერი), მონღოლეთი, ლიტვა (1991 წლის 20 დეკემბერი), უკრაინა (1991 წლის 12 დეკემბერი). 25 დეკემბრის შემდეგ, სახელმწიფოთა მხრიდან აღიარებების მიღების პროცესი შეუქცევადი გახდა. თუმცა საგულისხმოა, რომ სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, გაეროში საქართველოს გაწევრიანება მოხდა ყველაზე გვიან, 1992 წლის ივლისში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ყველაზე ადრე გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შესახებ არსებობს გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ამ მხრივ, „შესაძლო თეორიული მოდელები რამდენიმე ვარიანტზე დადის. 1. საქართველო ბალტიის ქვეყნების მსგავსად, არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად სსრკ-ში, ის იდენტურია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (1918-1921 წლები) და სამართლებრივი თვალსაზრისით სახეზეა კონტინუიტეტი მასთან; 2. საქართველო გამოეყო სსრკ-ს, საბჭოთა კავშირის გაყოფამდე. ის წარმოადგენს სსრკ-ს სამართალმემკვიდრეს, მაგრამ როგორც გამოყოფილი სახელმწიფო; 3. საქართველო არის სსრკ-ს ისეთივე სამართალმემკვიდრე, როგორც სხვა 11 პოსტსაბჭოთა სახელმწიფო. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ქართული სახელმწიფოებრიობა აღდგა მხოლოდ სსრკ-ს გაყოფის შემდეგ.“<sup>431</sup> მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ თეორიული ვარიანტების განსახილველად, აუცილებლობად მიიჩნევენ თავად საქართველოს სახელმწიფოს შიდასამართლებრივი აქტების, საერთაშორისო შეთანხმებების, მაშასადამე საქართველოს სახელმწიფოებრივი ნების, მეორე მხრივ კი საერთაშორისო ცნობისა და პრაქტიკის გაანალიზებას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და თეორიის კონტექსტში, ვფიქრობთ, ზედაპირულად წარმოაჩინენ 1918-21 წლების თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას და არასრულად აანალიზებენ იმჟამად მოქმედ სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობების მომწესრიგებელ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. გარდა ამისა, უგულებელყოფენ 1991 წლის, 9 აპრილის დეკლარაციაში გაცხადებულ საქართველოს

---

<sup>431</sup> დ. პატარაია, „სამართალმემკვიდრეობა საერთაშორისო სამართალში და საქართველო“ თბილისი (2002) გვ.205.



მოსახლეობის სუვერენულ ნებას, 1918 წლის, 26 მაისის აქტის საფუძველზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. ასე მაგალითად, 1921 წლის, 21 მაისს გაფორმებული რუსეთ-საქართველოს „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულებას“ რომელიც დაიდო, ფორმალურ-იურიდიული უფლებამოსილების არმქონე რევკომის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივი მართვის პერიოდში, განიხილავენ „რუსეთის მხრიდან საქართველოს სამართლებრივი ანექსიის“ საფუძველად.<sup>432</sup> მიუთითებენ რა, იმ პერიოდის საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენების გზით ტერიტორიის შექმნის იურიდიული ძალის ბათილობის არასებობაზე და ომის პირდაპირი და საყოველთაო აკრძალვის არ არსებობაზე, მხედველობიდან ეპარებათ ვერსალის 1919 წლის, 28 ივნისის ხელშეკრულების 231-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას აგრესიული ომის წარმართვისათვის. ყურადღების მიღმა რჩებათ აგრეთვე ის გარემოება, რომ სწორად ამ მუხლმა შემოიტანა აგრესიის კონცეფცია საერთაშორისო პოზიტიურ სამართალში. ამ საკითხთან დაკავშირებით, კონი (S.L. Cohn) ავითარებს შემდეგ მოსაზრებას: „აგრესია და დაპყრობა საერთაშორისო მასშტაბით აიკრძალა ერთა ლიგის წესდების მიღების მომენტიდან. ამ აკრძალვას დამატებითი ძალა მიანიჭა კელოგ-ბრიანის ხელშეკრულებამ და გაეროს წესდებამ“.<sup>433</sup> გარდა ამისა საგულისხმოა, რომ ნიურნბერგის პროცესის მთავარი ბრალმდებელი ჯეკსონი, თავის შესავალ საბრალდებო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „1920 წლისათვის აგრესიული ომები უკანონოდ იყო გამოცხადებული“.<sup>434</sup> თავისი პოზიციის გასამყარებლად, რუსეთის მხრიდან საქართველოს სამართლებრივი ანექსიის აღიარების მომხრენი, იშველიებენ 1920 წლის 7 მაისს, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის მიერ, 1990 წელს გამოტანილ დასკვნას, სადაც ნათქვამია: „ოცინი წლების საერთაშორისო სამართალი ჯერ კიდევ შეიცავდა „ომის უფლებას“, როგორც საერთაშორისო დავის გადაწყვეტის უკიდურეს

---

<sup>432</sup> Ibid. გვ 210.

<sup>433</sup> Sherman L. Cohn, Ex Injuria Jus Non Oritur: A Principle Misapplied. 3 Santa Clara Lawyer 23 (1962) p.35.

<sup>434</sup> Нюрнбергский Процесс, Сборник Материалов, Том I. Издание Третье, Исправленное, Москва (1955) стр.144.

საშუალებას, ოღონდ მოითხოვდა ომის „სამართლიანი მიზეზებით“ მოტივირებას. ერთა ლიგის წესდებაც კი, არ კრძალავდა წევრი სახელმწიფოების მიერ ომის დაწყებას, თუ ამოიწურებოდა დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებანი და დაიცავდნენ გარკვეულ სამთვიან ვადას ომის ოფიციალურ გამოცხადებამდე (რაც სავალდებულო იყო). ამავე დროს საერთაშორისო სამართალი ეფუძნებოდა სუვერენული სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას და კრძალავდა „უსამართლო ჩარევას“ სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, რაც სინამდვილეში რჩებოდა მხოლოდ კეთილ სურვილებად, რომლებიც ხშირად მიმართავდნენ პატარა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში შეიარაღებულ ჩარევას (ინტერვენციას)“. არადა, ციტირებული ტექსტიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ აგრესიული, თავდასხმითი ომი და სხვა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა ამ პერიოდის საერთაშორისო სამართალში უკვე აკრძალული იყო. ხოლო დაპყრობითი ომის შედეგების *de jure* აღიარება - დაუშვებელი. რაც შეეხება ტექსტის იმ ნაწილს, რომელიც აცხადებს, რომ საერთაშორისო სამართლის ეს დებულებანი „სინამდვილეში მხოლოდ კეთილ სურვილებად რჩებოდა, როდესაც საქმე დიდ სახელმწიფოებს ეხებოდა, რომლებიც ხშირად მიმართავდნენ პატარა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში შეიარაღებულ ჩარევას (ინტერვენციას)“, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ამგვარი გამრუდებული პრაქტიკა, მიუხედავად მისი ფაქტობრივი შედეგებისა, ეწინააღმდეგებოდა იმჟამინდელ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის პერიოდში, საერთაშორისო სამართალში არ არსებობდა წესი, რომელიც მის სუვერენიტეტს ოკუპანტს მიანიჭებდა. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და ემიგრაციაში განაგრძობდა მოღვაწეობას დამპყრობლისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად. რაც შეეხება მოწინააღმდეგის სრული დამორჩილების, ე.წ. „*Debellatio*“-ს საფუძველზე სახელმწიფოს ანექსიას, საგულისხმოა, რომ ასეთი შემთხვევა გულისხმობს როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სცენარს. ფაქტობრივი თვალსაზრისით, ამ მოვლენისას ადგილი აქვს კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის ომში სრულ დამარცხებას, მისი სახელმწიფო ინსტიტუტების დეზინტეგრაციას და მისი და მისი

მოკავშირეების მხრიდან წინააღმდეგობის შეწყვეტას.<sup>435</sup> აღსანიშნავია, რომ პირველი ორი კომპონენტის პირობებში არსებობის მიუხედავად, რესპუბლიკის ხელისუფლებას არც ერთი წუთი არ შეუწყვეტია წინააღმდეგობა, იქნებოდა ეს საერთაშორისო ფორუმებისა და დიპლომატიის, თუ შეიარაღებული ამბოხებების გამოყენება. მეტად მნიშვნელოვანია *Debellatio*-ს სამართლებრივი დოქტრინის არარელევანტობის მომხრის, ვოლფ ჰაინტშელ ფონ ჰაინეგის (W.H. von Heinegg) თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს დოქტრინა უფლებელყოფილ უნდა იქნეს ტერიტორიაზე სამართლებრივი უფლების მოპოვების თვალსაზრისით - „ძალის არავითარი გამოყენება, სამართლიანი თუ უსამართლო, აღარ მიიჩნევა უცხო ტერიტორიის ან სხვა სახელმწიფოს გაქრობის ლეგიტიმურ საშუალებად. აქედან გამომდინარე, ტოტალური გამარჯვების შემთხვევაშიც კი, უპირატესობა მიენიჭება დამარცხებული სახელმწიფოს განგრძობითი არსებობის პრეზუმფციას“.<sup>436</sup> ჰელერის (K.J. Heller) მტკიცების თანახმად, ჰანს კელზენი და ალვინ ფრიმანი მიიჩნევენ, რომ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიში, მაკონტროლებელი საბჭოს მიერ გერმანიაზე აბსოლუტური სუვერენიტეტის განხორციელება, გამართლებული იყო *Debellatio* დოქტრინის საფუძველზე.<sup>437</sup> თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა შეხვდა 1947 წლის, ე.წ. მოსამართლეთა საქმის მიმდინარეობისას (The Justice Case), სადაც მოსამართლე ბლერმა უმრავლესობისაგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა - „არ არსებობს წესი, რომელიც, მიუხედავად გერმანიის შეიარაღებული ძალების უპირობო კაპიტულაციისა, გერმანიის სუვერენიტეტს მიანიჭებს მოკავშირე ოკუპანტებს, ან რომელიმე მათგანს, მათ მიერ კონტროლირებულ რომელიმე ოკუპაციურ ზონაში“.<sup>438</sup> საგულისხმოა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად გერმანიის სრული კაპიტულაციისა და მისი მთლიანად დამორჩილებისა,

<sup>435</sup> E. Benvenisti, *The International Law of Occupation*, Princeton, Princeton University Press, 2004 p.92

<sup>436</sup> W. Heintschel von Heinegg, *The Rule of Law in Conflict and Post-Conflict Situations: Factors in War to Peace Transitions*, 27 Harv. J.L & Pub. Pol’y (2004) p. 862.

<sup>437</sup> K.J.Heller, *The Nuremberg Military Tribunals and the Origins of International Criminal Law*. Oxford University Press, New York (2011) p.115.

<sup>438</sup> *Trials of War Criminals before the Nuernberg Military Tribunals*, Volume III “The Justice Case”. Washington (1951). Separate opinion by Judge Blair, p.1182-83.

საერთაშორისო სამართალი გერმანიის სახელმწიფოს იდენტურობასა და კონტინუიტეტს კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს.

ასევე არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს ანექსია იურიდიული თვალსაზრისით დასრულდა 1922 წლის, 30 დეკემბერს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფორმირებით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გასაბჭოების ეს იძულებითი აქტი არ უცვნია უცხო სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილს. ასე მაგალითად, საფრანგეთმა არ სცნო საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ. როდესაც დაისვა სსრ კავშირის ცნობის საკითხი, დიდმა ბრიტანეთმა თავის ნოტაში, რომლითაც ცნობდა საბჭოთა კავშირს, შემდეგი განსაზღვრება შეიტანა: „ბრიტანეთის მთავრობა ცნობს ს.ს.რ. კავშირს, როგორც *de jure* მთავრობას ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, სადაც ცნობენ მის ხელისუფლებას“. ეს რეზერვი გარკვევით გულისხმობდა საქართველოს.<sup>439</sup> საფრანგეთის ნოტაში კი, რომლითაც აღიარებულ იქნა საბჭოთა კავშირი, ნათქვამია, რომ საფრანგეთი საბჭოთა კავშირს ცნობს „როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიების მთავრობას, სადაც მისი ხელისუფლება მიღებულია მკვიდრთა მიერ“. ამ ნოტაში გარდა ამ რეზერვისა, არის კიდევ უფრო გარკვეული პირობა საქართველოსა და ბესარაბიის შესახებ, რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირის ეს ცნობა „ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას“. ეს რომ ასეა, დასტურდება აგრეთვე 1922 წელს, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ჰერიოს გამოსვლით - „საქართველოს სუვერენობა გადაჭრით იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, იგი იცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულებით რუსეთმაც. ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს კეთილ ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას“. პუანკარემ, ამაზე ფრიად ნათელი პასუხი გასცა: „პატივცემულმა ჰერიომ თვითონ გამოთქვა მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ამ უკანასკნელს ყავს თავისი წარმომადგენელი პარიზში და მისთვის ღიაა ჩვენი საგარეო

---

<sup>439</sup> Louis le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება(თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933) გვ24; ერთა ლიგის 1924 წლის 25 სექტემბრის მეხუთე ყრილობაზე ბრიტანეთის იმპერიის წარმომადგენლის მაკდონალდისა და კანადის წარმომადგენლის ჯილბერტ მურეის განცხადებანი - Journal offic. De la S.D.N., Actes de la cinquième Assem., 163-164

საქმეთა სამინისტროს კარი“.<sup>440</sup> გარდა ამისა, რუსეთის წარმომადგენელი ორჯერ შეეცადა დაშვებული ყოფილიყო საერთაშორისო კონფერენციაზე, როგორც საქართველოს დელეგატი, მაგრამ ორჯერვე უშედეგოდ. პირველად ეს მოხდა გენუის კონფერენციაზე 1922 წელს. მეორე მცდელობას ადგილი ჰქონდა ლოზანის კონფერენციაზე 1922-23 წლებში. რუსეთის დელეგაციის მოთხოვნით, საქართველო და უკრაინა შეტანილ იქნა კონფერენციის ოქმებში, მაგრამ კონფერენციის მთავარი მდივნის, მასილის მიერ, კონფერენციის თავმჯდომარეებთან შეთანხმებით განმარტებულ იქნა, რომ ეს დაშვება არ უნდა იქნეს მიჩნეული ისე, თითქოს უკრაინა და საქართველო წესიერად არიან წარმოდგენილნი კონფერენციაზე.<sup>441</sup> გარდა ამისა, ამავე კონფერენციაზე, „ლონდონის, პარიზის და რომის მთავრობათა მოთხოვნით, სრუტეების შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა მხოლოდ რუსეთის სახელით. აღსანიშნავია ისიც, რომ სრუტეების შეთანხმებამ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების წინადადებით საკონტროლო კომისიაში ერთი ადგილი შეინახა საქართველოსთვის, როგორც შავი ზღვის აუზის სანაპირო სახელმწიფოსათვის.“<sup>442</sup>

„საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ 1990 წლის, 9 მარტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილების და „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ 1990 წლის, 9 მარტის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე “საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის, 20 ივნისის დადგენილების შინაარსთან დაკავშირებით, ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ ამ დოკუმენტებში, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო 1921 წლის მოვლენებს აფასებს რა „ფაქტობრივ ანექსიად“, იყენებს პოლიტიკური დატვირთვის ცნებას, ხოლო „ანექსიის სამართლებრივ ცნება არ არის მოცემული. შესაბამისად არაა მოცემული ოკუპაცია და „ფაქტობრივი ანექსიის“ სამართლებრივი შედეგები, არ არის შეფასებული

<sup>440</sup> Louis le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება (თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933) გვ25; Journ. Offic. 1922 წ.აპრილის 2. გვ. 1357, 1359-1360.

<sup>441</sup> Louis le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება (თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933) გვ25; მასილის წერილი რუსთა დელეგაციის მდივნის საბანინის მიმართ მოტავსებულია ლოზანის კონფერენციის პროტოკოლებში.

<sup>442</sup> სრუტეების შეთანხმება. მუხლი 12 „II. Convention Relating to the Regime of the Straits “.24 July 1923; <http://www.mfa.gov.tr/ii-convention-relating-to-the-regime-of-the-straits.en.mfa> - 11 ივნისი, 1915წ.).

მომენტი, როდესაც საქართველოს სამართლებრივი ანექსია განხორციელდა და შედეგად ჩვენმა ქვეყანამ, როგორც სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა...<sup>443</sup> აგრეთვე გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „არ უნდა იყოს მართებული საუბარი სახელმწიფოებრიობის „აღდგენაზე“, ვინაიდან სახელმწიფოებრიობა თუ არ შეწყვეტილა, მისი არც აღდგენაა შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი ანექსია არ განხორციელდებულა. ეს აქტი, წარმოადგენდა წმინდა ფაქტის, უფრო სწორად კი, ძალადობის ფაქტის მდგომარეობას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მიუხედავად სამხედრო ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიისა, იურიდიულად განაგრძობდა არსებობას. სწორად ამიტომ მოხდა ხსენებულ დოკუმენტებსა და 1991 წლის, 9 აპრილის, „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში“ მომხდარის „ფაქტობრივ ანექსიად“ შეფასება და არ განისაზღვრა სამართლებრივი ანექსიის ცნება. არაფორმალური მდგომარეობის შეფასება მოხდა სწორედაც რომ მართებულად, მისი ფაქტობრივი ხასიათის შესაბამისად. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი ხაზს უსვამს რა გარემოებას, რომლის თანახმად „...სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა...“, იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, უფლებრივად განაგრძობს არსებობას მას შემდეგ, რაც 1918 წლის, 26 მაისს, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ასპარეზზე იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით გამოვიდა როგორც ახალი სახელმწიფო და რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლება მოიპოვა ქართველმა ხალხმა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ. აქცენტი კეთდება არა სახელმწიფოებრიობაზე, არამედ დამოუკიდებლობაზე. არა სამართალსუბიექტობაზე, არამედ სუბიექტუნარიანობაზე. ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ფაქტობრივ ანექსიაზე და საბჭოთა კავშირში მის არასამართლებრივ ინკორპორირებაზე. ხაზი ესმევა იმ სამართლებრივ ბაზისს, რომლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკა აპირებს

---

<sup>443</sup> დ. პატარაია, „სამართალმემკვიდრეობა საერთაშორისო სამართალში და საქართველო“ თბილისი (2002) გვ.216.

საერთაშორისო თემობასთან ურთიერთობებში შესვლას და რომელთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებასაც იგი ახდენს 1991 წლის, 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებულ რეფერენდუმში საქართველოს ხალხის მიერ განცხადებული ნებასურვილით შეპირობებული.

საქართველოს 1995 წლის, 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში, სხვა მიზნებთან ერთად, საქართველოს მოქალაქეთა ნების გამოვლინებად დასახელებულია სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების ურყევი ნება. ეს ნება ისევ და ისევ ემყარება 1991 წლის, 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებულ რეფერენდუმს და 1991 წლის, 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.<sup>444</sup> ეს ობიექტურად იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო „საქართველო“, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე საკუთარ არსებობას უკავშირებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის არსებობას, მასთან იდენტურობასა და მის კონტინუიტეტს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტის მეორე მუხლშივე ჩნდება ჩანაწერი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრეამბულასა და მის პირველ მუხლში გაცხადებული დებულებების შინაარსს. საქმე ის არის, რომ მეორე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ადგენს სახელმწიფოს ტერიტორიულ ფარგლებს, მას უკავშირებს საბჭოთა კავშირის დაშლის თარიღს - 1991 წლის, 21 დეკემბერს. ზოგადსამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფოს ტერიტორიის რაიმე ისტორიულ თარიღთან დაკავშირება მიზანშეუწონელია, განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც, აღნიშნულ თარიღთან პირდაპირ დაკავშირებულ მოვლენებში სახელმწიფო არ მონაწილეობს. კონსტიტუციის ეს ჩანაწერი ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს სახელმწიფოს დსთ-ში გაწევრიანების შედეგებიდან და თავისი შინაარსით უკავშირდება არა სახელმწიფოს იდენტურობისა და კონტინუიტეტის კონცეფციას, არამედ „ახალი სახელმწიფოს“ - „საქართველოს“ პარადიგმისათვის საფუძვლების ჩაყრის მცდელობას. ამგვარად, კონსტიტუციის მეორე მუხლი კოლიზიაშია საქართველოს მოსახლეობის მიერ 1991 წლის, 31 მარტს, რეფერენდუმზე გამოთქმულ

---

<sup>444</sup> საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხლი 1.

ნებასთან და წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს ძირითადი კანონის წინმსწრებ დებულებებთან. აგრეთვე უგულებელყოფს ამავე კონსტიტუციის მე-5-ე მუხლის, მეორე პუნქტის დებულებით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის თანახმად, „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. დარღვეულია სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთადერთი მატარებლისადმი, საქართველოს ხალხისადმი პატივისცემის ვალდებულება. ნიველირებულია მისი ნათლად გამოხატული ნება. მაშასადამე, უგულებელყოფილია სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი შემადგენელი კომპონენტი, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ნებისმიერი რესპუბლიკური კონსტიტუცია. გარდა ამისა, დარღვეულია მორალისა და სამართლიანობის თანმიმდევრული უწყვეტობის სისტემა. საქართველოს მოსახლეობის მიერ არაერთგზის გამოხატული ნების რაიმე ფორმით უგულებელყოფას, იერიში მიაქვს სახელმწიფოს საშინაო თავისუფლებაზე, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ სახელმწიფო იყოს საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი (კანტი გვ22). ეჭვქვეშ დგება როგორც ხალხის კოლექტიურ ნებაში განპირობებული სახელმწიფოს ნება, რომელიც ახდენს სახელმწიფოს სამართლებრივი სუბიექტობის ფორმირებას (ფონ გირკე და ელინეკი. გვ 25), ისე მოქალაქეთა ინდივიდუალური ნებისაგან შემდგარი მართლწესრიგი, რომელიც ერთობლიობაში, სახელმწიფო ნებად ფორმირდება (კელზენი 37). მოსახლეობის ნების უზურპაციის პირობებში, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ეროვნული (სახალხო) საზოგადოებრიობის სამართლებრივ განგრძობადობას. ამრიგად, შესაძლებლობას ართმევს ინდივიდს, სახელმწიფო შეიმეცნოს დროსა და სივრცეში მოქმედ იმ უწყვეტ სუბიექტად, რომლის სახელითაც იგი მოქმედებს, რომლისადმი განიცდის ერთგულებას და რის გარეშეც წარმოუდგენელია საშინაო მშვიდობის მიღწევა (მორგენტაუ 59-60).

როგორც უკვე ვნახეთ, საერთაშორისო სამართალში საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა ერთობა სახელმწიფოს, რადიკალურად განსხვავდება საკითხისგან, არის თუ არა კონკრეტული რეჟიმი ამ სახელმწიფოს ხელისუფლება. ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლებაზე პრეტენდენტებს შორის დავა წარმოიშვება, უცხო სახელმწიფოთა მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები ირჩევენ, თუ რომელ



მთავრობასთან დაამყარონ ურთიერთობა და მიიჩნიონ მოცემული სახელმწიფოს ხელისუფლებად. ხშირ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მთავრობის მიერ ამა თუ იმ მთავრობის ცნობა, შესაძლოა პასუხობდეს არა თავად ამ სახელმწიფოს, არამედ მაღიარებელ სახელმწიფოთა ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების განსაზღვრის საკითხი, როგორც ზემოთ ითქვა, არ ჰგავს სახელმწიფოებრიობის განსაზღვრისა თუ აღიარების საკითხს და ცალკე შესწავლის საგანია. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოთა აღიარების მეშვეობით ხელისუფლების განხორციელების პრეროგატივის მინიჭება ხელისუფლებაზე პრეტენდენტი de facto მხარისათვის, განაპირობა რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთის სახელმწიფოებს (მეტწილად აშშ-ს) შორის მიღწეულმა პოლიტიკურმა კონსენსუსმა, აგრეთვე ძლევამოსილ სახელმწიფოთა შორის დამკვიდრებულმა რეალპოლიტიკურმა პრაგმატიზმმა. ამ სახელმწიფოთა აღმასრულებელმა ხელისუფლებებმა, საქართველოს რესპუბლიკაში აღიარეს ის ხელისუფლება, რომელმაც უარი თქვა საქართველოს სახელმწიფოებრივი კონტინუიტეტის ფორმულაზე და მხარი დაუჭირა სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მიზმას „ახალი სახელმწიფოს“ პარადიგმასთან, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგების, მამასადამე კი პოსტიმპერიული ლეგიტიმიზმის ფარგლებში სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მოქცევას ისახავდა მიზნად. საქართველოს რესპუბლიკის კონტინუიტეტის არაღიარებამ და სახელმწიფო გადატრიალებაზე მოწინავე სახელმწიფოთა მხრიდან თვალის დახუჭვამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად საქართველოს რესპუბლიკის, როგორც საბჭოთა კავშირის გაყოფის/დაშლის შედეგად წარმოშობილი „ახალი სახელმწიფოს“ ცნობას. აშშ-ს მიერ საქართველოს რესპუბლიკის მიმართ ამგვარი პოლიტიკის გატარება, ბუნებრივად გამომდინარეობდა მისი საგარეო ურთიერთობების დოქტრინიდან, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოთა აღიარების კატეგორია აშშ-ს საერთაშორისო სამართლებრივ პოლიტიკაში მნიშვნელოვანწილად უკავშირდება მთავრობების აღიარებას. როგორც ზემოთ ვიხილეთ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა 1991 წლის, 12 დეკემბერს, პირდაპირ განაცხადა რომ საქართველო და მისი ავტორიტარული ხელისუფლება არ ჯდებოდა „რუსეთში მიმდინარე რევოლუციის“, მამასადამე კი საბჭოთა

კავშირის დაშლის საერთო სქემაში. როგორც პროფესორი პოტერი აღნიშნავს, „სახელმწიფოთა ცნობის საკითხის გადაწყვეტისას, აშშ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოთა ხელისუფლებების ხასიათს“.<sup>445</sup> რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, კერძოდ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში მის მიერ საბჭოთა კავშირის ადგილის დაკავებას, გარკვეულწილად ასევე უკავშირდება საქართველოს რესპუბლიკის „ახალ სახელმწიფოდ“ მოაზრების აუცილებლობას და ამ საკითხებზე (სახელმწიფოებრივი სტატუსისა და საბჭოთა კავშირის განგრძობითობის საკითხებზე) მის იმჟამინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვისაგან თავის არიდების აუცილებლობას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს რუსეთის ფედერაციის მხრიდან, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია, რაც გამოიხატა საქართველოში განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებაში მისი შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობაში. გარდა ამისა საგულისხმოა, რომ რუსეთის პრეზიდენტის 1991 წლის, 24 დეკემბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც მან გაეროს გენერალურ მდივანს ამცნო, რომ გაეროს უშიშროების საბჭოსა და სხვა ორგანოებში საბჭოთა კავშირის წევრობას განაგრძობდა რუსეთის ფედერაცია, რასაც მხარს უჭერდა დსთ-ს 11 წევრი სახელმწიფო,<sup>446</sup> სინამდვილეს არ შეესაბამება. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში ედვინ უილიამსონი (E.D. Williamson), 1992 წლის, 1 აპრილს, საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოებისადმი წარდგენილ მოხსენებაში, რომელიც ეხება „სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის და ფედერაციულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების“ საკითხებს, აცხადებდა, რომ რუსეთი მიჩნეულ უნდა ყოფილიყო არა „ახალ სახელმწიფოდ“, არამედ უნდა განეგრძო საბჭოთა კავშირის წევრობა გაეროს უშიშროების საბჭოში და სხვა ორგანოებში. ამას იგი უკავშირებდა რამდენიმე არგუმენტს. მათ შორის კი, ყოფილი თერთმეტი რესპუბლიკის მიერ ალმა-ათას დელკარაციაში გამოთქმულ სურვილსა და

---

<sup>445</sup> Д.И. Бараташвили, Американские Теории Международного Права. Москва (1956) стр. 43; “American Journal of International Law” 1955, N2, p.234.

<sup>446</sup> [www.un.org/ru/members/](http://www.un.org/ru/members/) (2015 წლის 28 ივლისის მდგომარეობით)

მხარდაჭერას, რუსეთს დაეკავებინა საბჭოთა კავშირის ადგილი უშიშროების საბჭოში.<sup>447</sup> აქ ყურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზე, რომ ამ მომენტისათვის შეუძლებელი იყო თერთმეტ ყოფილ რესპუბლიკას მხარი დაეჭირა რუსეთისათვის, ვინაიდან ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა, როგორც ეს უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, არ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დემონტაჟის პროცესში. ზემოთქმულიდან გამომდინარე საფიქრალია, რომ 1991 წლის, 22 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების დაწყება, მიზნად ისახავდა იმ არასასურველი ხელისუფლების ჩამოშორებას, რომელიც უარს აცხადებდა მონაწილეობა მიეღო იმ მომენტისათვის გლობალური ინტერესებით განპირობებულ პროცესში - საბჭოთა კავშირის დემონტაჟში, იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი განხორციელდა. აგრეთვე არ თანხმდებოდა „ახალი სახელმწიფოს“ სტატუსით გაწევრიანებას დსთ-ში, სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციაში, რომელიც ჩამოყალიბდა თავისებურ ლოკალურ საერთაშორისო სისტემად, რომლის ფარგლებში უნდა მომხდარიყო სახელმწიფოთა და რეჟიმთა დამატებითი ლეგიტიმაცია, რომლებიც განიცდიდნენ ლეგიტიმურობის დეფიციტს. სახელმწიფოებისა, რომლებსაც ერთმანეთი ესაჭიროებათ საკუთარი არსებობის უფლების დასადასტურებლად. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა არ არის განპირობებული საბჭოთა კავშირის გაყოფით. როგორც უკვე ვიხილეთ, იგი განხორციელებულია ხალხის თვითგამორკვევისა (1918-1921 წლები) და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლების რეალიზების შედეგად (1990-1991 წლები). საქართველოს რესპუბლიკა ფლობს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ყველა თვისებას, წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტურ და კონტინუატორ სახელმწიფოს, სრულად პასუხობს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საერთაშორისო სტანდარტებს და არ საჭიროებს დამატებით ლეგიტიმაციას. რაც შეეხება, სახელმწიფო „საქართველოს“, ის იმავე სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს, რადაც საქართველოს რესპუბლიკა. მას მხოლოდ სახელწოდება აქვს შეცვლილი, ხოლო უკანასკნელ დეკადაში შეიცვალა სახელმწიფოს ატრიბუტიკაც - დროშა, ჰიმნი, ღერბი. მხოლოდ ასე, და

---

<sup>447</sup> Edwin D. Williamson, Legal Adviser U.S. Department of State. American Society of International Law, Panel on “State Succession and Relations With Federal States”. Gold Room -Rayburn House Office Building, Washington D.C. April 1, 1992

არა სხვაგვარად წარმოადგენს იგი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს და შესწევს უნარი უზრუნველყოს სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულება, საკუთარი ხალხის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სახელმწიფოებრივი ლეგიტიმურობა და საერთაშორისო სამართალსუბიექტობა მოკლებული იქნება ისეთ უმთავრეს საფუძველს, როგორცაა საკუთარი ხალხის ნებასურვილი და დაემყარება მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური მოსაზრებებით განპირობებულ შეხედულებებს. აზრთა ამ ლოგიკური წყობიდან გამომდინარე, საქართველოში სამართლის უზენაესობის დასამკვიდრებლად, სავალდებულოა მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობა განისაზღვრებოდეს იდენტურობისა და კონტინუიტეტის საფუძველზე და არა სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის პირობების საფუძველზე. საქართველოს რესპუბლიკის სამართალსუბიექტობის საერთაშორისო სამართლებრივი აღიარება საბჭოთა კავშირის გაყოფის (დაშლის) შედეგად წარმოშობილ „ახალ სახელმწიფოდ“, ნიშნავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და საქართველოს რესპუბლიკასთან სახელმწიფო „საქართველოს“ სამართლებრივი მემკვიდრეობის არსებობის უარყოფას, 1921 წლის ოკუპაციისა და ანექსიის უკანონობით აღბეჭდილი ფაქტის უგულებელყოფას, აგრეთვე 1991 წლის, 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შედეგებისა და სახელმწიფოებრივი იდენტურობისა და სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის უარყოფას. თავის მხრივ, საქართველოსთან მიმართებით, ეს ნიშნავს სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალში უპირატესობის მინიჭებას არა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უზენაესობისათვის, რომლის მიზანია სახელმწიფოთა შორის სამართლიანობის დამკვიდრება, არამედ არჩევანის შეჩერებას პოლიტიკური თუ სხვა კონტექსტით განპირობებული ინტერესების კარნახზე. იმ მარტივი მიზეზის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა მოითხოვს ერთი სუბიექტის ტერიტორიაზე სუვერენიტეტის ჩანაცვლებას, მეორე სუბიექტის სუვერენიტეტით, საქართველოს რესპუბლიკა, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტური სახელმწიფო, ლიტვის რესპუბლიკის მსგავსად არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ვინაიდან უკანასკნელს არ მოუპოვებია სუვერენული

უფლებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 1921 წელს, საქართველოს ანექსიის უკანონობიდან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ დაუკარგავს თავისი სუვერენული უფლებები და იურიდიული სტატუსი საკუთარი ტერიტორიის მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკამ მხოლოდ აღადგინა ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პერიოდში ჩამოერთვა. ლიტვის რესპუბლიკისა და ბალტიის სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენის პრეცედენტიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალი შესაძლებლობას იძლევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის იდენტურობისა და კონტინუიტეტის შენარჩუნება, აღიარებულ იქნეს საერთაშორისო თემობის მიერ, რაც თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიზნის - სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და სამართლიანობის დამკვიდრების მიღწევას ემსახურება.

## დასკვნა

1. საერთაშორისო სამართალში, ზნეობრივი იდეალიზმისა და პოლიტიკური პრაგმატიზმის შეპირისპირების შედეგად წარმოშობილი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის პრაგმატული კონცეფცია უკავშირდება სახელმწიფოს სუვერენობის ხარისხს, რომელიც საერთაშორისო სამართალში ერთობის არსებობაზე მიუთითებს. მისი უმთავრესი დანიშნულებაა, სამართლიანობისაკენ სწრაფვის ვალდებულებისა და საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის უფლების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირება.
2. საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართალსუბიექტობა წარმოადგენს პირობითი სუვერენიტეტის პოლიტიკური კატეგორიის სამართლებრივ ანალოგს. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ცნება “*persona jura gentium*” – “საერთაშორისო სამართლის სუბიექტი” პირველად გამოიყენა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა. “საერთაშორისო სამართლის სუბიექტის” ცნების წარმოშობა, მოხდა იმპერიული და ევროპული ინტერსუვერენული საზოგადოებისათვის “მორალური იდენტიფიცირებისა” და უნივერსალური სამართლიანობისაკენ გზის გაკვალვის პროცესში.

3. საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის პირველად სუბიექტებად გვევლინებიან სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო სამართლის მთავარი მონაწილეები. საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში, სახელმწიფო განსაზღვრავს საკუთარ სამართლებრივ სტატუსს და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში გამოდის სამართლის ერთიან სუბიექტად.
  
4. სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა არ არის დამოკიდებული საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მონაწილეებზე. სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა წარმოადგენს არა სამართლის, არამედ პოლიტიკის საკითხს. ერთობის სახელმწიფოებრივი სტატუსი, აღიარებისაგან დამოუკიდებელია, ვინაიდან საერთაშორისო სამართალში არსებობს სახელმწიფოებრიობის რეალური კრიტერიუმები. არსებულ სახელმწიფოებს არც ცალცალკე და არც კოლექტიურად, არ ძალუძთ ახალი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობით აღჭურვა, რომელიც მან თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგად მოიპოვა. საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოს აღიარება არ წარმოშობს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას, არამედ ქმნის აღიარებულ და მღიარებულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის იურიდიულ ბაზას. აღიარება გარკვეულ ფაქტობრივ სიტუაციას ანიჭებს საერთაშორისო სამართლებრივ ხასიათს, რითაც ხელს უწყობს მის საერთაშორისო იურიდიულ ფაქტად გადაქცევას. ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენების მუქარის შედეგად, აგრეთვე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სხვა აკრძალული საფუძვლით ტერიტორიების მოპოვებისა და მათზე სახელმწიფოების ჩამოყალიბების მცდელობის უკანონობად აღიარება, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებაა. არც ერთ ერთობას, რომელიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის ნიშანთვისებებს, არ შეიძლება უარი ეთქვას თავისი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებაზე, აღიარებათა სიმწირის საფუძველზე. გაეროს წევრად მიღება, დაშვებულია მხოლოდ საერთაშორისო

სამართლებრივი ქმედუნარიანობით სრულად აღჭურვილი სუბიექტებისათვის, რომელთა თანასწორუფლებიან სახელმწიფოებად არადიარება საღ აზრს არის მოკლებული.

5. ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი არ წარმოადგენს სახელმწიფოს მუდმივობის გარანტს. იგი გვევლინება დაცვის საშუალებად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, იგი არ ვრცელდება სახელმწიფოს შიგნით არსებულ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მოძრაობებზე. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპსა და ხალხის თვითგამორკვევის უფლებას შორის, არ დგას საერთაშორისო სამართლებრივი დილემა. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, ტრადიციულად გადაჯაჭვულია ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვის ფუნდამენტურ პრინციპთან. სახელმწიფოთა პრაქტიკა უგულებელყოფს ტერიტორიული მთლიანობის მოტივით ხალხის თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვას. ზოგადი საერთაშორისო სამართალი, არ შეიცავს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაბამის აკრძალვას. სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება, არ ეწინააღმდეგება ზოგად საერთაშორისო სამართალს. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საგარეო მოქმედების ხასიათისაა და არ გააჩნია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. საერთაშორისო სამართალი არ ანიჭებს გარკვეულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხს, სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფის უფლებამოსილებას. თუმცა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ გულისხმობს დამოუკიდებლობის გამოცხადების აკრძალვას. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ცალმხრივი გამოყოფის აკრძალვა. საერთაშორისო სამართალი ნეიტრალური რჩება გამოყოფის საკითხის მიმართ. საერთაშორისო სამართლის სუბიექტიდან ერთობის გამოყოფა, როგორც ასეთი, არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად ან უკანონოდ. გამოყოფა არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო სამართალით, თუმცა საერთაშორისო სამართალმა შეიძლება დაარეგულიროს დამოუკიდებლობის გამოცხადების კონკრეტული ფაქტი, თუ იგი დაკავშირებულია ძალის უკანონო გამოყენებასთან ან



არღვევს საერთაშორისო სამართლის სხვა იმპერატიულ ნორმას. გამოყოფის ეფექტიანობისათვის მხოლოდ მშვიდობიანი და დემოკრატიული საშუალებებია მისაღები და ძალის გამოყენება, უკანონობად მიიჩნევა და იკრძალება.

6. სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტობა იდენტურია ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი ცვლილებების მიუხედავად. სახელმწიფო, იდენტურობისა და კონტინუიტეტის პირობების არსებობისას, არ წარმოადგენს „ახალ სახელმწიფოს“ კარდინალური პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის შიდასახელმწიფოებრივი ცვლილებების მიუხედავად. იდენტურობის საფუძველზე, იგი სრულად ინარჩუნებს კონტინუიტეტის შესახებ განცხადების მომენტში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს. სახელმწიფოს კონტინუიტეტი და სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა ერთმანეთისაგან განსხვავებული ფენომენია. სახელმწიფოს კონტინუიტეტი, არის მისი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არსებობის უწყვეტობა, თუნდაც სოციალურ ორგანიზმად მისი დროებითი გაქრობის პირობებში. ხოლო სამართალმემკვიდრეობა, არის სამართლის ერთი სუბიექტის სუვერენული უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა მეორე სუბიექტზე. სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მმართველობის ფორმათა ცვლა გავლენას არ ახდენს სახელმწიფოს იდენტურობაზე მისი საერთაშორისო სუვერენიტეტისა თუ საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

7. 1918 წლის, 26 მაისიდან, ქართველი ხალხის ნება-სურვილით დამყარებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, როგორც საერთაშორისო სამართლის ახალ სუბიექტზე პირდაპირ გავრცელებას იწყებს თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართალი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, ხოლო შემდეგ ფაქტობრივი ანექსია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის მომენტისათვის წარმოადგენდა სრულფასოვან საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, როგორც დეკლარაციული, ისე

კონსტიტუციური თეორიების მიხედვით და მასზე ვრცელდებოდა მოქმედი საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები. 1991 წლის, 31 მარტის, რეფერენდუმისა და 1991 წლის, 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობამ თავისი სუვერენული ნების გამოხატვით, საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დაუკავშირა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მოახდინა მასთან იდენტიფიცირება სახელმწიფო კონტინუიტეტის საფუძველზე. 1991 წლის, 9 აპრილის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან იდენტურობისა და მისი კონტინუიტეტის საფუძველზე აღიდგინა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა და მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა არ არის განპირობებული საბჭოთა კავშირის გაყოფით. იგი განხორციელებულია ხალხის თვითგამორკვევისა (1918-1921 წლები) და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლების რეალიზების შედეგად (1990-1991 წლები). საქართველოს რესპუბლიკა ფლობს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ყველა თვისებას, წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტურ და გამგრძელებელ სახელმწიფოს, სრულად პასუხობს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმწიფო „საქართველო“, იგივე სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს რაც საქართველოს რესპუბლიკა. მხოლოდ ამ გზით წარმოადგენს იგი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს და შესწევს უნარი უზრუნველყოს სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულება, საკუთარი ხალხის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სახელმწიფოებრივი ლეგიტიმურობა და საერთაშორისო სამართალსუბიექტობა მოკლებული იქნება ისეთ უმთავრეს საფუძველს, როგორცაა საკუთარი ხალხის ნებასურვილი და დაემყარება სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური მოსაზრებებით განპირობებულ შეხედულებებს. საქართველოს რესპუბლიკის სამართალსუბიექტობის საერთაშორისო

სამართლებრივი აღიარება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ „ახალ სახელმწიფოდ“, ნიშნავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკასთან სახელმწიფო „საქართველოს“ სამართლებრივი მემკვიდრეობის არსებობის უარყოფას, 1921 წლის ოკუპაციისა და ანექსიის უკანონობით აღბეჭდილი ფაქტის უგულებელყოფას, აგრეთვე 1991 წლის, 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შედეგებისა და სახელმწიფოებრივი იდენტურობისა და სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის უარყოფას. თავის მხრივ, საქართველოსთან მიმართებით, ეს ნიშნავს სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალში უპირატესობის მინიჭებას არა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უზენაესობისათვის, რომლის მიზანია სახელმწიფოთა შორის სამართლიანობის დამკვიდრება, არამედ არჩევანის შეჩერებას პოლიტიკური თუ სხვა კონტექსტით ნაკარნახებ ინტერესებზე. საქართველოს რესპუბლიკა, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტური სახელმწიფო, ლიტვის რესპუბლიკის მსგავსად არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ვინაიდან უკანასკნელს არ მოუპოვებია სუვერენული უფლებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ლიტვის რესპუბლიკისა და ბალტიის სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენის პრეცედენტიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალი შესაძლებლობას იძლევა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის იდენტურობისა და კონტინუიტეტის შენარჩუნება, აღიარებულ იქნას საერთაშორისო თემობის მიერ, რაც თავის მხრივ საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიზნის, სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და სამართლიანობის დამკვიდრების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ბიბლიოგრაფია

1. ალექსიძე,ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი (2010).
2. დემეტრაშვილი,ა., კვაჭაძე,მ., კუბლაშვილი, კ., ლოსაბერიძე, დ., რუხაძე, ზ., ხმალაძე, ვ., ჯიბლაშვილი,ზ. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი (2005).
3. კაკაბაძე,ს. ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 გამომცემლობა „ნეკერი“ (1997).
4. ლე ფური,ლ. (Le Fur, L.) საქართველო და საერთაშორისო უფლება(თარგმანი ფრანგულიდან) “დამოუკიდებელი საქართველო“- ს გამოცემა N3. პარიზი (1933).
5. ლომაშვილი,ფ. საქართველოს ისტორია 1918-1991, „განათლება“,თბილისი (1999).
6. ლომაშვილი,ფ. საქართველოს ისტორია,“გამომცემლობა განათლება“ თბილისი (2000).
7. მალანჩუკი,პ. აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, „დიოგენე“(2005).
8. ნანეიშვილი,გ. სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა. ტფილისი უნივერსიტეტის გამოცემა.
9. ნანეიშვილი,გ. იურიდიული სუბიექტი. ტფ . სახ. უნივერსიტეტი (მოამბე VIII).
10. პატარაია,დ. სამართალმემკვიდრეობა საერთაშორისო სამართალში და საქარველო, თბილისი (2002).

11. სურგულაძე, ა. პ.სურგულაძე, საქართველოს ისტორია.საკითხავი წიგნი 1783-1990. თბილისი (1992).
12. შარაძე,გ. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი (2003).
13. ცნობილაძე, პ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, (2002).
14. Abi-Saab, G. Secession: International Law Perspectives; Cambridge University Press, (2006).
15. Akehurst, M. A Modern Introduction to International Law, 6th ed. (1987).
16. Alexandrowicz, A. The Theory of Recognition. British Yearbook of International Law.– The Theory of Recognition in Fieri (1958).
17. Arangio-Ruiz , G. L' État dans le sens du droit des gens et la notion du droit international'(1975-6).
18. Anzilotti, D. Cours de Droit International (1929).
19. Austin, J. The Province of Jurisprudence Determined; W.E. Rumble (Ed.) (1832).
20. Barthélemy, J. La crise de la democratie contemporaine (1931).
21. Benvenisti, E. The International Law of Occupation, Princeton, Princeton University Press, (2004).
22. Brierly, J.L. The Law of Nations: An Introductionto the International Law of Peace (5th. Ed.) (1928).
23. Brierly,J.L. The Basis of Obligation in International Law, *in* Lauterpacht and Walldock(Eds.), The Basis of Obligation in International Law and Other Papers by the late James Leslie Brierly 1,(1958).
24. Brierly, J.L. The Outlook for International Law (1944).
25. Brierly , J.L. International Law as a Subject of Education, in Luterpacht and Walldock(Eds.) (1926).
26. Brown, G. Leibniz`s moral philosophy, in N. Jolley (Ed.), Companion (1995).
27. Brownlie, I. International Law and the Use of Force by States. Oxford, Clarendon Press, (1963).
28. Brownlie, I. Principles of International Law, 4th ed. (1990).
29. Brownlie, I. Principles pf Public International Law, 6th edn, Oxford, Oxford University Press, (2003).
30. Brownlie, I. 53 British Yearbook of International Law (BY) (1982).
31. Brownlie, I. Principles of Public International Law, Oxford, Clarendon Press, (1990).
32. Carr, E.H.The Twenty Years` Crisis 1919-1939.Perennial (2001).

33. Cassese, A. *Self-determination of Peoples: A Legal Reappraisal*. Cambridge, Cambridge University Press, (1995).
34. Cavagliery, A. *Règles Générales du Droit de la Paix*, 26 RCADI (1929-I).
35. Charpentier, J. *Le Reconnaissance international et l'évolution du droit des gens*. Paris, A pedone, (1956).
36. Cohn, E.J. "Review: Recognition in International law" 64 L.Q.R (1948).
37. Craven, Matthew C.R. *The Problem of State Succession and the Identity of States under International Law*. *European Journal of International Law* 9 (1998).
38. Crawford, J., Boyle, A. *Opinion: Referendum on the Independence of Scotland - International Law Aspects*.(December 10. 2012).
39. Crawford, J. *The Criteria for Statehood in International Law*, 48 *Brit.Y.B.I.L.* (1976-77)
40. Crawford, J. *The Creation of States in International Law*,second edition, Clarendon Press.Oxford. (2006).
41. Dallin, D.J. *Soviet Russia's Foreign Policy*.(1976).
42. Duguit, L. *L'Etat, L. le droit objectif et la loi positive*. Paris, Ancienne Librairie Thorin Et Fils. Albert Fontemoing, Editeur (1901).
43. Duguit, L. *L'Etat, Les Gouvernants et Les Agents*. Paris, Ancienne Librairie Thorin Et Fils. Albert Fontemoing, Editeur (1903).
44. Dumberry, P. *The Controversial Issue of State Succession to International Responsibility Revisited in Light of Recent State Practice*, 49 *Germ.Y.B. Int'l L.* 413,416(2006).
45. Ebenroth, C.T., Kemner,M.J., *The Enduring Political Nature of Questions of State Succession and Secession and the Quest for Objective Standards*. *University of Pennsylvania Journal of International Economic Law*, Vol.17.(1996).
46. Ebenroth, C.T. *Staatensukzession und Internationales Privatrecht*, in *BERICHTE DER DEUTSCHEN GESELLSCHAFT FÜR VÖLKERRECHT*, Band 35, Karsruhe (1996).
47. Erich, R. *La Naissance et la reconnaissance des Etats* 13 RCADI (1926-III).
48. Essen, J. *van De Facto Regimes in International Law*. *Merkourios – International and European Security Law – Vol.28/74* (2012).
49. Friedmann, W.G. *The Changing Structure of International Law*(1964).

50. Friedmann, W. G. The Disintegration of European Civilization and the Future of International Law, 2 Modern L.R. 194-214 (1938).
51. Friedmann, W. G. United States Policy and the Crisis of International Law, 59AJIL 857 (1965).
52. Frank, T. M. "Experts Report", reproduced in A.F Bayefsky(ed), Self-determination in International Law: Quebec and Lessons Learned(The Hague: Kluwer Law, 2000).
53. Friedmann, W.G. Legal Theory Stevens & Sons Limited, London.(1967).
54. Georgiev , D. Politics or Rule of Law: Deconstruction and Legitimacy in International Law. 4 European Journal of International Law( EJIL) (1993).
55. Gierke, Otto Von. Das Wesen der menschlichen Verbände (1902).
56. Gowlland-Debbas, V. Collective Responses to Illegal Acts in International Law (1990).
57. Graham, M.W The League of Nations and Recognition of States, Berkeley, University of California Press, (1935).
58. Grant TD, United States practice relating to the Baltic States, 1940-2000. 1 Baltic YBIL 23, (2001).
59. Gross, L. The Peace of Westphalia 1648-1948, 42 AJIL 20-41, (1948) p. 26; A. Nussbaum, A Concise History of the Law of Nations (1950).
60. Grotius, H. De Jure Belli ac Pacis, Book II, Ch. IX, § 3.
61. Grotius, H. De Jure Belli ac Pacis libri tres (1625), transl. by F.W. Kelsey, The Classics of International Law (1925).
62. Guggenheim, P. Lehrbuch des Volkerrechts. Vol.II, Basel (1950).
63. Guggenheim, P. Lehrbuch des Völkerrechts unter Berücksichtigung der internationalen und schweizerischen Praxis. 2 Bde., Verlag für Recht und Gesellschaft, Basel (1948–1951).
64. Hall, W.E., Higgins, A. P. International Law . Oxford (1924).
65. Hegel, G.W.F. The Philosophy of Right, transl.Knox (1967).
66. Heilborn, P. Les Sources du Droit International, 11 RCARDI 5 (1926-I).
67. Heintschel von Heinegg, W. The Rule of Law in Conflict and Post-Conflict Situations: Factors in War to Peace Transitions, 27 Harv. J.L & Pub. Pol'y (2004).
68. Heller, K.J. The Nuremberg Military Tribunals and the Origins of International Criminal Law. Oxford University Press, New York (2011).
69. Henkin, L., Pugh, R.C., Schachter, Oscar., Smit,Hans. International Law, Cases and Materials(1987).

70. Higgins, R. Problems & Process: International law and How We Use it. OXFORD University Press (1994).
71. Hobbes, Th. Leviathan. Penguin class ed; (1981)
72. Hobbes, Th. Leviathan Ch.XVI. - <http://oregonstate.edu/instruct/phl302/texts/hobbes/leviathan-contents.html> (18 օգնօսն 2015թ)
73. Hobsbawm, E.J. Age of Extremes: The Short Twentieth Century 1914-1991(1994)
74. Jellinek, G. Allgemeine Staatslehre (1905).
75. Jones, J,W. The “Pure” Theory of International law(1935)16BY 5,15-16; G, Marston, Termination of Trusteeship 18 ICLQ 1 (1969).
76. Jovanovic,V. Fordham International Law Journal Volume 21, Issue 5 (1997) Article 2 The Status of the Federal Republic of Yugoslavia in the United Nations; UN Document S/23877 of 5 May 1992.
77. Kant, I. Zum ewigen Frieden.. Erster Definitionartikel zum ewigen Frieden – Die bürgerliche Verfassung in jedem Staat soll republikanisch sein. Bern (1867).
78. Kelsen, H.The Pure Theory of Law, “Labandism”, and “Neo-Kntianism”. A Letter to Renato Treves (1933), in S.L. Paulson and B. Litschewski Paulson (Eds.) Normativity and Norms, Critical Perspectives on Kelsian Themes (1998).
79. Kelsen, H. Recognition in International Law: Theoretical Observations 35 American Journal of International Law (1941).
80. Kelsen, H.Das Verhältnis von Staat und Recht im Lichte der Erkenntniskritik (1921), in Klecatsky and Marcic and Schambeck(Eds.), Die Wiener rechtstheoretische Schule: Schriften von Hans Kelsen, Adolf Merkl, Alfred Verdross 95 (1968).
81. Kelsen, H.Das Problem der Souverenitat und die Theorie des Volkerrechts (1920).
82. Kelsen, H.Algemeine Staatslehre (1925).
83. Kelsen, H.General Theory of Law and State(1945), p. 93, 108.; H.Thierry, The Thought of Georges Scelle, 1 EJIL (1990).
84. Kelsen, H. Zur Theorie der juristischen Fiktionen, *in* Die Wiener Schule, (1919).
85. Kelsen, H. Introduction to the Problems of Legal Theory (1992), transl. of the 1st ed. of the Reine Rechtslehre: Einleitung in die Rechtswissenschaftliche Problematik, S. Paulson and B. Litschewiski Paulson(Eds.)Clarendon Press.Oxford. (1934).



86. Kelsen, H. Hauptprobleme der Staatsrechtslehre Tübingen, J.C.B. Mohr (P. Siebeck) (1911).
87. Kelsen, H., Zur Theorie der juristischen Fiktionen(1919), in Klecatsky and Marcic and Schambeck (Eds.), Die Wiener rechtstheoretische Schule: Schriften von Hans Kelsen, Adolf Merkl, Alfred Verdross, at (1968).
88. Klabbers, J. Cat on a Hot Tin Roof: The World Court, State Succession and the Gabchikovo-Nagymaros Case, 11 Leiden J. Int'l L. (1998).
89. Kohen, M. Secession: International Law Perspectives. Cambridge and New York: Cambridge University Press, (2006).
90. Koskenniemi, M. The Politics of International Law, European Journal of International Law(EJIL) (1990).
91. M. Koskenniemi, From Apology to Utopia, The Structure of International Legal Argument (1989)
92. J. Kunz. The Changing Law of Nations(1964).
93. J. Kunz, Critical remarks on Lauterpacht`s Recognition in International Law ,44 AJIL (1950).
94. Lagarde, E. La Reconnaissance des Soviets. Paris.(1924).
95. Lampe, J. Yugoslavia as History: Twice There was a Country (2000).
96. Lauterpacht, H. Recognition in International Law. Cambridge, Cambridge University press. (1947).
97. Lauterpacht, H. International Law and Human Rights (1950).
98. Lauterpacht, H. The Function of International Law (1933).
99. Lauterpacht, H. The Grotian Tradition of International Law, Collected Papers of Hersch Lauterpacht (1970-1978) Vol.2.
100. Lauterpacht, H. International Law and Human Rights, New York, (1950).
101. Lauterpacht, H. The International Protection of Human Rights, 70 RCADI 1(1947-I).
102. Le Fur, L. La démocratie et la crise de l`Etat. (1934), in Les Grands Problemes du Droit (1937).
103. Le Fur, L. La Théorie du Droit Naturel Depuis le XVII Siècle et la Doctrine Moderne, 18 RCADI (1927-III).
104. Leibniz, G.W. Codex Juris Gentium diplomaticus, Hanover, (1693).
105. Leibniz, G.W. - Caesarinus Fürstenerius (1677), in Acad. Ed., IV, 2ter Band (1677-1687).
106. Leibniz, G.W. Caesarini Fürstenerii de Jure Suprematus ac Legationis Principum Germaniae (1677).

107. Lehto, M. Succession of States in the former Soviet Union: Arrangements concerning the bilateral treaties of Finland and the USSR , 4 Finnish YBIL (1993).
108. Libarona, I.U. Territorial integrity and self-determination: The approach of the International Court of Justice in the Advisory Opinion on Kosovo. REAF, num.16, (October 2012).
109. Liszt,F.V. Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. (Ein Gutachten) – Berlin (1918).
110. MacGibbon, I.Estoppel in international Law 7 International and Comparative Law Quarterly (1958).
111. McDougal, M.S. International Law, Power and Policy: A Contemporary Conception, 82 RCADI 133 (1953-I).
112. McDougal, M.S. Perspectives for an International Law of Human Dignity (1959).
113. Makarov, A.N. Der sowjetrussisch-finnische Konflikt. Ztscht.f..a.off.R.u. V.-r., (1940-1941).
114. Marek, K. Identity and Contunuity of States in Public International Law. Geneve 1968., quoted by Korovin, Soviet Treaties and International Law, A.J. (1928).
115. Marks, T. British Acquisition of Siamese Malaya(1896-1909) Bangkok, White Lotus Press, (1997).
116. Morgenthau, H.J. "Politics among Nations 2nd ed., (1954).
117. Morgenthau, H.J. Scientific Man vs. Power Politics; London(1947).
118. Morgenthau, H.J. The Political Science of E.H.Carr, 1(1) World Politics (1948).
119. Mugerwa, N. Subjects of International Law, in Manual of Public International Law, (Sorensen ed. 1968).
120. Müllerson, R. International Law, Rights and Politics Development in Eastern Europe and the CIS, London, Routledge, (1994).
121. Nijman, J. E. The Concept of International Legal Personality. The Hague (2004).
122. Oppenheim, L. (R.F. Roxburgh Ed.), International Law : A Treatise (1920).
123. Oppenheim, L. International Law , 1st edn, vol 1, (1905).
124. Oppenheim, L. The Future of International Law (transl. of a 1911 German text) (1921).
125. Paitchadze, D. The Resistance Movement and the Issue of Restoration of Statehood in Georgia in 1801-1914. European Union Foreign Affairs Journal eQuarterly for European Foreign, Foreign

Trade, Development, Security Policy, EU-Third Country Relations and Regional Integration (EUFAJ)  
N° 02 – 2014 ISSN 2190-6122.

126. Pegg, S. *International Society and the De Facto State*(Ashgate 1998).
127. Politis, N. *The New Aspects of International Law* (1928).
128. Pound, R. *Philosophical Theory of International Law*, 1 *Bibliotheca Visseriana* 89 (1923).
129. Pufendorf, S. *On the Law of Nature and Nations* (1688), transl. *De Jure Naturae et Gentium* (1672) in the *Classics of International Law* (1934).
130. Reibstein, E. *Völkerrecht: eine Geschichte seiner Ideen in Lehre und Praxis*, Vol. I, (1957).
131. Riley P., *Introduction to Leibniz Political Writing*, (1988).
132. Riley, P. *Felicity*, in *LPW*(Leibniz Political Writing), Cambridge University Press 1972, 1988.
133. Sahović ,M. 'La reconnaissance mutuelle entre les républicues de l'ex-Yougoslavie' , 42 *AFDI* (1996).
134. Salleilles, R.1907-8 *Comparative Civil Law Course on legal persons*, *De la personnalite juridique*, published in 1910.
135. Scelle, G. *La doctrine de L. Duguit et les fondements du droit des gens*, 1-2 *Archives de Philosophie du droit et de Sociologie juridique* (1932).
136. Scelle, G. *Précis de Droit des Gens, Principes et Systématique*, Vol. I, *Introduction, le milieu intersocial* (1932).
137. Scelle, G. *Théorie et Pratique de la Fonction Exécutive en Droit International*, 55 *RCADI* 87 (1936-1).
138. Schwarzenberger, G. *Power Politics: A Study of International Society* 2nd ed. (1951).
139. Sharp, R.H. *Duties of Non-Recognition in Practice 1775-1934* Geneva, Geneva Research Center. (1934).
140. Sherman L. Cohn, *Ex Injuria Jus Non Oritur: A Principle Misapplied*. 3 *Santa Clara Lawyer* 23 (1962).
141. Tripel, H. *Les Rapports entre le Droit Interne et le Droit International*, 1 *RCADI* (*Recueil des cours de l'Academie de droit international*) (1923).
142. Trotzki, L. *Zwischen Imperialismus und Revolution, Die Grundfragen der Revolution an dem Einzelbeispiel Georgiens*. II *Aufgabe*, Hamburg (1923).

143. Uhler, O.M. Der völkerrechtliche Schutz der Bevölkerung eines besetzten Gebiets gegen Maßnahmen der Okkupationsmacht unter besonderer Berücksichtigung der Genfer Zivilkonvention vom.12 August 1949. Zürich (1950).
144. Vadapalas, V.Tarptautinė teisė bendroji dalis, Vilnius Eugrimas, (1998).
145. Vattel, E. The Law of Nations or Principles of the Law of Nature Applied to the Conduct and Affairs of Nations and Sovereigns,LONDON: Printed for G.G. and J. Robinson, Paternoster-Row. Book I. (1797).
146. Visscher, C. Problèmes d'interprétation judiciaire en droit international public. Paris, A Pedone (1963).
147. Vaihinger, H. Die Philosophie des Als ob, System der theoretischen, praktischen und religiösen Fiktionen der Menschheit auf Grund eines idealistischen Positivismus (1913).
148. Verdross, A.Die Verfassung der Völkerrechtsgemeinschaft, Berlin, Springer, (1926).
149. Verdross, A. Völkerrecht. Springer, (1955).
150. Verzijl, J.H.W. International Law in Historical Perspective, Vol. II: International Persons(1969).
151. Vezbergeite, I. Remedial Secession as an Exercise of the Right to Self-Determination of Peoples, CEU, Budapest, Hungary (2011).
152. Wilhelm G. Grewe, The Epochs of International Law. (2000).
153. Williamson, E. D. Legal Adviser U.S. Department of State. American Society of International Law, Panel on "State Succession and Relations With Federal States". Gold Room -Rayburn House Office Building, Washington D.C. (April 1, 1992).
154. Willoughby, W.W. An Examination of the Nature of the State. London, Macmillan (1896).
155. Wolff, Chr.von. Jus Gentium Methodo Scientifica Pertractatum (1764), Classics of International Law, Vol. 13, Prolegomena, § 7 et seq. (1934).
156. Žalimas, D. Legal Issues on the Continuity of the Republic of Lithuania, Baltic Yearbook of International Law, vol. 1,(2001).
157. Zimmermann.R, Das Rechtsprinzip bei Leibnitz. Ein Beitrag zur Geschichte der Rechtsphilosophie, Wien (1852).
158. Бараташвили, Д.И. Американские Теории Международного Права. Москва (1956).
159. Блатоваой Н.Т. Международное право. М. Юрид.лит.,(1987).
160. Гельмольт. Г. История человечества. Седьмой том.(1909).

161. Есаян А.А. Некоторые вопросы правосубъектности и правопреемства в теории международного права. (1963).
162. Захарова Н.В. Правопреемство государств. (1973).
163. Каламкарян, Р.А. Международно-правовое значение признания. (1984).
164. Ковалёв А.А., Черниченко С.В. Международное право. Учебник. 3-издание (2008).
165. Кремнев, П.П. О новых понятиях и категориях правопреемства государств: теоретико-практические вопросы. Журнал международного права и международных отношений №1. (2010).
166. Кремнев. П.П. Диссертация - Образование и прекращение существования СССР как субъекта Международного Права. (2000).
167. Лукьянова, Е. А. Российская государственность и конституционное законодательство в России (1917—1993) Москва(2000).
168. В.И. Ленин, Полн.собр.соч. Т.35. (1930).
169. Моджорян. Л. А. Идентичность, непрерывность и правопреемство субъектов международного права. Советское государство и право (1958).
170. Тункин, Г. И. Международное Право, Субъекты современного международного права, Москва (1982).
171. Тункин, Г.И. О юридической природе обычных норм международного права, «Вопросы международного права» (1960).
172. Ушаков. Н.А. Суверенитет в современном международном праве, (1963).
173. Ушаков. Н.А. Субъекты современного международного права, стр.61-62.
174. Ушаков, Н.А. Принцип единогласия великих держав в Организации Объединенных Нации, АН СССР (1956).
175. Ушаков, Н. А. Курс Международного Права - Том 3 Основные институты международного права (1990).
176. Фельдман, Д.И., Курдюков, Г.И., Основные тенденции развития международной правосубъектности. Казань, (1974).
177. Черниченко, С.В. Континуитет, идентичность и правопреемство государств. Рос. Ежегодник международного права. 1996-97. СПб., (1998).

178. Черниченко С.В. Является ли Россия продолжателем или правопреемником СССР?/  
Белый мир.[www.whiteworld.ru](http://www.whiteworld.ru) (дата обращения 13 Мая 2009г.)

## საქმეები

179. Achikian v. Bank of Athens, A.D., 1923/24, case no.7.
180. Banco Nacional de Cuba v. Sabbatino, 376 U.S. (1964).
181. Bank of Ethiopia v. National Bank of Egypt and Liguori.
182. Barcelona Traction case, Judgement of 5 February 1970, ICJ Rep. 1970. The 1969 Vienna Convention on the Law of Treaties includes a recognition of ius cogens: derogation from these norms by treaty law is prohibited.
183. Can v. United States, 14 F.3d (2d Cir.1994).
184. Deutsh Continental Gas Gesellschaft v. Polish State(1929) 5 ILR 11, .
185. East Timor (Portugal V. Australia) Judgement of 30 June 1995.
186. F.H. Redward and Others case (Great Britain v. US), RIAA 6, 157 (Hawaiian Claims).
187. Guaranty Trust Co., 304 U.S.
188. House of Lords, Lazard Brothers and Co. v. Midland Bank Ltd. 2 A.C. 307,337. Also reported at: [1933].
189. ICJ, Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence in Respect of Kosovo (Advisory Opinion) General List No. 141,22 July 2010.
190. ICJ, Advisory Opinion of 9 July 2004, on the Legal Consequences of the Construction of Wall in the Occupied Occupied Palestinian Territory.
191. Katanga People’s Congress v. Zaire African Commission on Human and Peoples' Rights, Comm. No. 75/92 (1995).
192. Kosovo AO, supra note 5, paragraph 80.
193. Legal Consequences for States of the Continued Presense of South Africa in Namibia (South-West Africa) Notwithstanding Security Council Resolution 276(1970) Advisory Opinion of 21 June 1971.
194. Legality of the Use of Force (Serbia and Montenegro v Belgium), ICJ Rep 2004.

195. Liechtenstein v. Guatemala, 1955 I.C.J. Rep. 4.
196. Duff Development Co v Government of Kelantan(1942).
197. Lotus Case. Permanent Court of Justice, SS Lotus Case (France v. Turkey), PCIJ Rep. (1927) Series A No 10.
198. Murarka v. Bachrack Bros., 215 F.2d 547, 553 (2d Cir. 1954).
199. Namibia, ICJ Reports 1971.
200. Namibia Opinion, ICJ Rep 1971 p 16,31(para52); Wall Opinion, ICJ Rep 2004 p136,171(para88).
201. National Oil Corp. v. Libyan Sun Oil Co., 733 F. Supp. 800, 805 (D.Del. 1990).
202. National Petrochemical Co. of Iran v. M/T Stolt Sheaf, 860 F. 2d 551, 553 (2d Cir. 1988)).
203. Namibia Opinion, ICJ Rep. 1971.
204. National City Bank of New York v. P.R.C., 348 U.S. (1955).
205. Trials of War Criminals before the Nuremberg Military Tribunals, Volume III “The Justice Case”. Washington (1951).
206. Ottoman Debt Arbitration(1925) 3 ILR 42.
207. Roselius&Co v. Karsten & Turkish Republic (1926) 3 ILR 35.
208. R.E. Brown case (US v Great Britain)(1923) RIAA 6,.
209. Russian Government v. Lehigh Valley Railroad Co. 8 August, 1927.
210. Serbia CR 2009/24 hearing of 1 December 2009.
211. South-West Africa (International Status) Case 1950 I.C.J. Rep. 128 .
212. S.S. Lotus case, 1927 PCIJ (ser.A.) No.10.
213. Supreme Court of Canada Reference re Secession of Quebec(1998) 2 SCR.
214. Temple of Preah Vihear (Cambodia v Thailand)Merits 1962 ICJ.
215. The Sapphire, 78 U.S. 164,169 (1870).
216. Нюрнбергский Процесс, Сборник Материалов, Том I. Издание Третье, Исправленное, Москва (1955).

## დოკუმენტები

217. გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაცია 1970 წლის 24 ოქტომბერი (სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი. პუნქტი (ბ)).
218. ერთა ლიგის წესდება, 1919 წლის 28 აპრილი.
219. რუსეთის იპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტი, ქართლ-კახეთის სამეფოს (1762-1801წწ.) გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების აქტი. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბ., 1919.
220. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წლის, 26 მაისი.
221. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, 1991 წლის 9 აპრილი.
222. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს. (გაზ. საქართველოს რესპუბლიკა. 1991, 11 ივნისი.-N 114 (134).
223. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. თბილისი, 1992 წლის 2 იანვარი.(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N1 1991, 1992 წლის 8 იანვარი.)
224. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია .1992 წლის 21 თებერვალი. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N 36, 1992 წლის 25 თებერვალი).
225. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხლი 1.
226. ფილიპე მახარაძის მოხსენებითი ბარათი ვლადიმერ ლენინისადმი „საქართველოში მუშაობის შესახებ“; 1921 წლის 6 დეკემბერი.
227. A Convention Between Her Majesty the Queen of the United Kingdom of Great Britain and Ireland and the South African Republic. 27 February, 1884. Select Constitutional Documents Illustrating South African History 1795-1910, G.W. Eybers, London, 1918.



228. Agreement on Normalization of Relations between the Federal Republic of Yugoslavia and the Republic of Croatia, 29 August 1996, A/51/318, S/1996.
229. Agreement on the Regulation of Relations and Promotion of Cooperation between the Republic of Macedonia and the Federal Republic of Yugoslavia, 8 April 1996, S/1996/291).
230. II. Convention Relating to the Regime of the Straits . 24 July 1923; [http://www.mfa.gov.tr/ii\\_convention-relating-to-the-regime-of-the-straits.en.mfa](http://www.mfa.gov.tr/ii_convention-relating-to-the-regime-of-the-straits.en.mfa) - 11 ოგნისი, 1915წ.).
231. Charter of the Organisation of American States . As amended by the Protocol of Amendment to the Charter of the Organization of American States "Protocol of Managua", adopted on June 10, 1993. [http://www.oas.org/dil/treaties\\_A-41\\_Charter\\_of\\_the\\_Organization\\_of\\_American\\_States.htm#ch4](http://www.oas.org/dil/treaties_A-41_Charter_of_the_Organization_of_American_States.htm#ch4) (2015 წლის 30 ოგნისი).
232. 175 Cf. Report of the International Law Commission on the Work of its 48th Session, GAOR, 51st Session, Supp. No 10 (A/51/10), 1996.
233. Conference on Yugoslavia, Arbitration Committee, Opinion No.1.November. 29, 1991. in 2 The International Conference on the Former Yugoslavia, Official Papers 1259 (B.G. Ramcharan ed.,1997). reprinted in 31 I.L.M. 1494 (1992).
234. Decision of the State Council of the USSR on the Recognition of the independence of the Republic of Lithuania, 6 September 1991. The Archive of the Seimas of the Republic of Lithuania.
235. Declaration of EC Recognizing Baltics` Independence.27 August, 1991. <http://www.apnewsarchive.com/1991/EC-Declaration-Recognizing-Baltics-Independence/id-1e2755ffa2f1153aa93d33d7920bcb7c>.
236. Declaration of Judge Simma, Accordance with international law of the unilateral declaration of independence in respect of Kosovo.22 July,2010.
237. Declaration on the Guidelines on the Recognition of the New States in Eastern Europe and in the Soviet Union (16 December 1991).
238. Declaration at Brussels EC Extraordinary Ministerial Meeting, 27 August 1991,(1991) 62 BYIL .
239. Declaration on Yugoslavia (Extraordinary EPC Ministerial Meeting, Brussels, 16 December 1991).

240. Declaration on Principles of International Law Concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with the Charter of the United Nations, G.A. res. 2625, Annex, 25 UN GAOR, Supp. (No. 28), U.N. Doc. A/5217 at (1970).
241. General Assambly Resolution 56/83 (2001), 12 December 2001, Annex.
242. General Assembly Resolution ES-10/15, 20 July 2004, para.3.
243. Law on Reinstatement of the 12 May 1938 Constitution, 11 March 1990.
244. Law on the Temporary Fundamental Law of the Republic of Lithuania, 11 March 1990.
245. League of Nations O.J., Spec, Supp. 4, at 8-9 (1920).
246. League of Nations. Records of 3 rd Assembly, Minutes of the 6 th Committee (political questions). Geneva 1922, pp.38-41 and annex 12; "Documents..." pp. 25-33 and League of Nations Records of the 3 rd Assembly Plenary Meeting. Vol. I, pp. 201-203 – Geneva, 1922.
247. Montevideo Convention on the Rights and Duties of States, December 26, 1933.
248. Opinion 1, Badinter Arbitration Commission of the European Conference on Yugoslavia, 92 ILR. 29 November 1991.
249. Opinions 8, and 10 Badinter Arbitration Commission of the European Conference on Yugoslavia 92 ILR 201 (4 July 1992).
250. Opinions 8,9,10; Conference on Yugoslavia Arbitration Commission: Opinions on Questions Arising from the Dissolution of Yugoslavia (January 11 and July 4, 1992) 31 I.L.M. 1488(1992).
251. Order of the German Federal Constitution Court of 26 October 2004, 2 BvR 955/00, Deutsches Verwaltungsblatt 2005, 175-183.
252. Report and Resolution adopted By the Assembly of the League of Nations Dated December 14th. 1939. The Development of Finnish-Soviet Relations during the autumn 1939 in the light of official documents. Helsinki 1940.
253. Resolution 63/3 of the General Assembly, 8 October 2008. A/RES/63/3 Sixty-third session.
254. Restatement of the Foreign Relations Law of the United States(Revised 1985) Section 202.
255. Responsibility of States for Internationally Wrongful Acts 2001, annex to General Assembly resolution 56/83 of 12 December 2001, and corrected by document A/56/49(Vol. I)/Corr.4.
256. Supplementary Russian-German Treaty, August 27, 1918. XX Memorandum Appendix.(Izvestia, Sept.3,1918).

257. Secret protocol to the German-Soviet Supplementary Treaties of 27 August 1918: Note from Joffe to the German Foreign Minister. (Europäische Gespräche, 1926,III.
258. SC Res 351(1974); GA Res 3203 (1974).
259. Statement of Parliamentary Under-Secretary of State, FCO, 581 HL Deb col 1187, 21 July 1997.
- 260.** S/RES/757 (1992) of 30 May 1992.
261. The convention of Pretoria, 'Convention' for the Settlement of the Transvaal Territory, 3 August 1881.
262. Treaty of Saint-Germain-en-Laye. 10 September 1919.
263. (UN Doc 1991/Russia, Appendix, 24 December 1991, 31 ILM 138).
264. UNGA Resolution 1514(XV), holding the Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples.
265. UNGA Resolution 2625 (XXV).
266. UNGA Resolution 3281(XXIX).
267. U.N. Security Council Official Records(SCOR), 383 Mtg., Dec 2, 1948, No. 128.
268. UN General Assembly Resolution A/Res/63/3, 8 October 2008.
269. VERBATIM RECORD. United States of America CR 2009/30 hearing of 8 December 2009, paragraph 20, p.30. () International Court of Justice, Public sitting held on Tuesday 8 December 2009, at 10 a.m., at the Peace Palace, Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence by the Provisional Institutions of Self-Government of Kosovo.
270. Vienna Declaration and Programme of Action, United Nations World Conference on Human Rights, 25 June (1993).
271. Written Statement of The Federal Republic of Germany. Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence by the Provisional Institutions of Self-Government of Kosovo. April, 2009.
272. Written Statement by The Russian Federation. Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence by the Provisional Institutions of Self-Government of Kosovo. 16 April, 2009.
273. Yugoslav Agreement on Succession Issues (2001).  
<http://www.dipublico.com.ar/16818/yugoslav-agreement-on-succession-issues-2001>.

274. АЛМА-АТИНСКАЯ ДЕКЛАРАЦИЯ. Алма-Ата, 21 декабря 1991 г.  
(<http://cis.minsk.by/reestr/ru/index.html#reestr/view/text?doc=4> )(2015 წლის 23 ივლისის მდგომარეობით).
275. Соглашение о создании Содружества Независимых Государств. 8 декабря 1991 г.  
Государственный архив Российской Федерации. Ф. 10026. Оп. 4. Д. 1303. Л. 1-5.  
(<http://www.rusarchives.ru/statehood/10-12-soglashenie-sng.shtml>) (2015 წლის 23 ივლისის მდგომარეობით).

## პერიოდიკა

276. გაზეთი „ახალი საქართველო“-1990.-15 ნოემბერი.- N2-3 (21011).
277. გაზეთი „კომუნისტი“-1990 წელი, 10 მარტი, N57.
278. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991.17 სექტემბერი. – N180 (200).
279. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978) თბილისი 1983.
280. 2 Annuaire de l'Institute de Droit Int'l. 1936.
281. Baltic Yearbook of International Law, Volume 1, 2001.
282. ICJ. Reports 1975, Western Sahara, Advisory Opinion.
283. ICJ Reports 2004, Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory.
284. ILC Yb.(International Law Commission YbK) 1949.
285. ILC Yb.(International Law Commission YbK) 1980/II.
286. ILC Yb.(International Law Commission YbK) 1958/II.
287. League of Nations Official Journal(LNOJ), Sp Supp 4(1920).
288. Lithuanian Foreign Policy Review, No. 3, 1999.
289. Дипломатический вестник № 1, 1992.
290. <http://www.whiteworld.ru/rubriki/000122/000/01062806.htm>.2015 (წლის 1 ივლისი).















